



577


33

დითერატურის მატიანე

ნიგნი

6

ნაკვეთი პირველი





დრამატურის მატიანე

5136

წიგნი

6

ნაკვეთი პირველი



Академия Наук Грузинской ССР
Государственный Литературный Музей



ЛИТЕРАТУРИС
МАТИАНЕ
(Летевისь Литературь)
книга 6

რედაქტორი საქართველოს სსრ მეცნიერებათა
აკადემიის ნ. წ. ზიორაზი ჯიორნიძე

მომონებანი ქართულ მწერლებზე

1. ილია ჭავჭავაძე

პირველი უხვედრა ილიასთან

პირველად ილია ჭავჭავაძე ვნახე 1888 წელს, როდესაც პეტერბურგის უნივერსიტეტში ვსწავლობდი. ის ჩამოვიდა პეტერბურგში ბანკის საქმეების გამო და ბინად ჩამოხტა ვასილ მაჩაბელთან, ლიტუინის პროსპექტზე. ვასილ მაჩაბელი და ილია იმ დროს დიდი მეგობრები იყვნენ.

ვასილ მაჩაბელს იურიდიული განათლება ჰქონდა მიღებული და ნაფეცი ვეჩილი იყო სამეგრელოს უკანასკნელ მთავარ ნიკო მინგრელსკისთან, რომელიც იმ ხანად პეტერბურგში ცხოვრობდა. ვასილი დიდ მონაწილეობას იღებდა სტუდენტთა საღამოების მოწყობაში და ფულსა ჰკრებდა ღარიბი სტუდენტებისათვის.

ერთხელ ერთი საღამოს შემოსავალი, სამი ათასი მანეთი, სტუდენტებს ვასილის თანხმობით გადაედოთ ხელუხლებელ ფონდში და „დარდუბლის კიდობანი“ დაერქმიათ. იმ ხანად ვასილს საქართველოში დაბრუნება უნდოდა და პეტერბურგში თავის სახლის ლიკვიდაციას ახდენდა. მან წინადადება მოგვცა სტუდენტებს, რომ „დარდუბლის კიდობნის“ თანხა თან წაეღო საქართველოში და გადაეცა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისათვის, რომლის თავმჯდომარედ მაშინ ილია ჭავჭავაძე იყო. სტუდენტებმა არ მიიღეს ეს წინადადება. მაშინ ვასილ მაჩაბელმა განაცხადა, რომ ეს საკითხი ილია ჭავჭავაძის თანდასწრებით განეხილათ, და მოითხოვა ილიასთან რამოდენიმე სტუდენტი გაგვეზავნა. სტუდენტობამ აგვიჩია სამი კაცა: მიხაკო მღვდლიევი, ალექსანდრე ლორთქიფანიძე (შემდეგში ქუთაისის სათავადაზნაურო ბანკის დირექტორი) და მე. მივედით მაჩაბელთან ბინაზე, ცოტა ხნის შემდეგ ილია გამოვიდა თავის ოთახიდან, მოვიდა ჩვენთან და გაგვეცნო.

ეს იყო ჩემი პირველი ნახვა ილიასი და ძალაუვნებურად გამახსენდა გრიგოლ ორბელიანის ლექსიდან სიტყვები: „ის ლიბერალი, ბურთივით მრგვალი“, რომელიც ილიას მიმართ იყო თქმული. საერთოდ მისმა გარეგნობამ, მაღალმა შუბლმა და გამომეტყველმა თვალებმა სიმპათიური შთაბეჭდილება მოახდინეს ჩემზე.

ილიამ დაგვიწყო საუბარი „დარდუბლის კიდობნის“ შესახებ. ის დიდხანს გვესაუბრა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მიზნებისა და მათი განხორციელების შესახებ. ამბობდა: „ყველა ქართველმა უნდა მიიღოს მონაწილეობა ამ საზოგადოების წარმატებაში და, რითაც შეუძლია, დაგვეხმაროს“, და თან გვიჩვენებდა, რომ ის ფული წერა-კითხვის საზოგადოებისათვის გადაგვეცა და ამით პეტერბურგის ქართველ სტუდენტობას თავისი წვლი-

ლი შეეტანა მის გასაძლიერებლად: „ეს თანხა თქვენ უსათუოდ შემოგვხარჯებათ, ან აიშლებით, დაიშლებით და დაგეკარგებათ“.

ბევრი მსჯელობის შემდეგ ილიას პატივისცემისათვის დავთანხმდით. ვასილ მანაბელმა ეს ფული წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობას გადასცა შეწირულობის სახით.

ჩემი ჩამოსვლა თბილისში და დიმიტრი ყიფიანის დაქრძალვა

1887 წელს უნივერსიტეტი გავათავე; იმავე წელს სექტემბრის დამლევს თბილისში ჩამოვედი და სათავად-აზნაურო სკოლაში დავიწყე ლათინური ენის მასწავლებლობა. მაშინ ამ სკოლას განაგებდა ალექსი ბესარიონის-ძე ჭიჭინაძე, ჩემი კარგი ნაცნობი ქუთაისიდან. ჩემი ჩამოსვლის შემდეგ არც კი გასულიყო ერთი თვე, რომ დიმიტრი ყიფიანი მოჰკლეს სტავროპოლში. ამ ამბავმა მთელ ქართველობას თავზარი დაგვცა და ყველა ააღელვა. გაიმართა ქართველი ინტელიგენციის კრება, რომელზედაც გადაწყდა, რომ დ. ყიფიანის ცხედარი თბილისში ჩამოესვენებინათ და მთაწმინდაზე ჯეროვნად დაემარხათ. ამ მიზნით სამგლოვიარო დღეებში იკრიბებოდა დ. ყიფიანის დამკრძალავი კომისია, რომელშიც შედიოდნენ ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი და სხვა ჩვენი გამოჩენილი მწერლები და საზოგადო მოღვაწენი.

ხმა, რომელიც მთავრობამ დაყარა, ვითომც დიმიტრი ყიფიანი გაძარცვის მიზნით მოკლესო, არავის არა სჯეროდა; ყველა დარწმუნებული იყო, რომ დიმიტრი თვითმპყრობელური მთავრობის აგენტებმა მოკლეს.

კომისიამ გამოიმუშავა დამარხვის გეგმა: გარდაცვალებულის ჰირსიფულობა და დაკრძალვის ორგანიზაცია იცისრა მისმა ნათესავმა დავით ყიფიანმა, თბილისის ცნობილმა ნოტარიუსმა, რომელიც დიდი მეგობარი და თანაზოღვაწე იყო ილია ჭავჭავაძისა.

დაკრძალვის დღეს საქართველოს ყველა კუთხიდან მოვიდნენ დეპუტატები და სხვადასხვა დაწესებულებათა წარმომადგენლები. ცხედარს ყველანი მკლავზე სამგლოვიარო ლენტებით დავხვდით ყოფილ ოლგის ქუჩაზე, ვერის ჯვართან. პროცესიას უნდა გაეარა გოლოვინის (ეხლანდელი რუსთაველის) პროსპექტით ერევნის მოედანზე, მერე სოლოლაკის ქუჩა და შემდეგ უნდა ასულიყო პეტრე დიდის ქუჩიდან მთაწმინდაზე. პროცესია დავით ყიფიანის მეთაურობით დაიძრა, მაგრამ როგორც კი მიუახლოვდით გრიბოედოვის ქუჩის სავალს, პოლიციამ გამოგვიცხადა, რომ პროცესია გრიბოედოვის ქუჩით უნდა წასულიყო. შეიქმნა დიდი ჩიხქოლი. ხალხი მიაწვა წინ მიმავალთ. ამასობაში ნიკო დიასამიძემ, რომელიც ქართულ ჩოხაში იყო გამოწყობილი და წაბლისფერ ტაიქზე იჯდა, გაარღვია პოლიციის რაზმი და წინ გასწია. ახალგაზრდათა გუნდმა დავით ყიფიანიც გაიყვანა წინ. მას მიჰყვებოდა სამღვდელოება ალექსანდრე ეპისკოპოსის (ოქროპირიძე) მეთაურობით. პოლიცია წინ გადაეღობა ეპისკოპოსს და განუცხადა: — „Ваше преосвященство приказано идти по Андреевской улице“...

—მ—მ... აქაური.—წავილულლულე ბოლოს.

—გაიზარდე პატარავ, გაიზარდე, სკოლაში დადიხარ?

—მ—მ... დიახ.

—ყოჩაღ პატარავ, ვერე უნდა!

კიდევ გაიღიმა და გზა განაგრძო. მას მერე ის ქიზუყში აღარ მინახავს.

1910 წელს თბილისში პირველად ჩამოვედი. იროდიონი დიდი ხნის დატუსაღებული იყო. დროგამოშვებით ციხიდან გამოგზავნილი მისი ლექსები იბეჭდებოდა გაზეთებში—სვედით აღსავსე ლირიკა მანც სამშობლოს ტყვიანობებს დასტრიანებდა.

ერთ დღეს, ეხლანდელ რუსთაველის პროსპექტზე მივიდიოდით. ერთი ჩემი კეთილისმყოფელი მაჩვენებდა თბილისის თვალსაჩინო კუთხეებს და ქართულ დაწესებულებებს. ეტლით ტუსაღი ჩამოატარეს. ორი ჯარისკაცის შუაში მჯდომს ბორკილდადებული ხელები მუხლებზე ეწყო. გამხდარი იყო, გაფითრებული, წვერმოშვებული და შუბლშეკრული: სვედიანი თვალებით იყურებოდა. ჩემმა თანამგზავრმა ქუდი მოიხადა. ტუსაღმა იცნო ის და მხოლოდ თვალებით მიესალმა.

—ვედოშვილია!—არ იცნობ?—შემეკითხა ის.

—ვედოშვილი?—როგორ არ ვიცნობ!—მიფუგე მე, თითქოს ტყვიანასროლმა.—როდის უნდა გაუთავდეს პატიმრობის ვადა?

—გაუთავდეს კი არა, გადასახლება მიუსაჯეს,—ციმბირში ჰგზავნიან,—მოკლედ მომიჭრა ჩემმა მოსაუბრემ. ეს იყო ქაბუკი მოხვევა—დიმიტრი გელიაიძე, რომელიც იმავე წელში, სულ მცირე ხნის შემდეგ, რევოლუციური მუშაობისათვის დააპატიმრეს და იმავე ციმბირის გზას გაუყენეს. იგი იქვე, ციმბირში დარჩა, გადასახლებაში დაცოლშვილდა, რევოლუციის შემდეგ მცირე ხნით ჩამოვიდა მთლად გაქალაქავებული, თავისი სამშობლო მოინახულა, შემდეგ კი უკანვე დაბრუნდა ცოლ-შვილის ჩამოსაყვანად, მაგრამ აღარ დაბრუნებულა.

გადასახლებაშისჯილ ვედოშვილს ციხეში მეგობრების ნახვის უფლება ჰქონდა. გელიაიძემ გადასწყვიტა სანახავად წასვლა და ჩემი წყევანაც მოახერხა. ეს იყო 1910 წლის გაზაფხულზე. პირველად ვნახე მეტეხის სულშემხუთავი კედლების ნესტიანი ლაბირინტი; კამერის რკინისცხვიან ფანჯარასთან, სხვებთან ერთად ბორკილების ჩხრიალით გამოვიდა ვედოშვილიც. მნახველები ბევრნი იყვნენ, თითო-ოროლა სიტყვა თუ მოასწრეს, მე უფრო მოწმე ვიყავი ამ შრუანტელის მომგვრელი შეხვედრისა. იროდიონის „ეტაპის“ დრო ახლოვდებოდა და მეგობრები მისი გამგზავრების საქმეებზე ელაპარაკებოდნენ.

—რა მოგიმზადოთ წასაღებად?—შეეკითხა გელიაიძე.

იროდიონმა ბორკილი აახხრიალა და ხელის ჩაქნევითა და სვედიანი ღიმილით უპასუხა:

—რა უნდა მომიმზადოთ? ბოდბისეფური მიწა, ის ჩემი გამჩენი და სატანჯველად გამზრდელი ერთი მუჭა მიწა. აბა, მაგაზე ძვირფასს რას წავიღებ? მაგონდება, რა დიდი სვედით, რა სიყვარულით აღსავსე გულით იყო მამინათქვამი! თავისი გამზრდელი, თავისი სათაყვანებელი მიწა უნდოდა



„ივერიის“ რედაქცია პირველ ხანებში ფრეილინის ქუჩაზე იყო. აქ შე მარტო ერთხელ ვიყავი, ისიც შემთხვევით. ილია შემოგვხვდა ქუჩაში მე, იაკობ გოგებაშვილს, ნიკო ცხველაძეს და მიგვიწვია რედაქციაში.

1889 წლიდან „ივერიის“ რედაქცია გადავიდა ნიკოლოზის ქუჩის დასაწყისში, სულ ახალ სახლში, რომელიც ილიას თაოსნობით იყო აშენებული, მისი დის ელისაბედ საგინაშვილის საფასით. აქ ილიამ ორი სახლი ააშენა: ერთი ნიკოლოზის ქუჩაზე გამოდიოდა, ვორონცოვის ხიდის პირდაპირ, მეორე — მის უკანა ქუჩაზე. მაშინ არსებობდა სახლთა ამშენებელი ქართული არტელი, რომელიც მშენებლობისათვის საჭირო ხარჯებს თვითონ კისრულობდა და აშენებულ სახლს მზა-მზარეულად აბარებდა პატრონს. შემდეგ ამ სახლებს აგირავებდნენ ბანკში და უმეტეს შემთხვევაში გირაოს ფულით იხდიდნენ აშენების ფასს. ილია კმაყოფილი იყო საღამომშენებლო არტელის მუშაობით და ამბობდა: „მათ შესანიშნავად და სვინდისიანად ააშენეს ეს ორივე სახლი და გამაგრებული ბინების გასაღებები ისე ჩამაბარესო“.

პირველი სახლი საცხოვრებელი ბინა იყო და მის ქვედა სართულში „ივერიის“ სტამბა იყო მოწყობილი. შიგნით ეზოში მას ჰქონდა დიდი ფლიგელი (მოგრიო ბინა), სადაც „ივერიის“ რედაქცია იყო მოთავსებული და მის ქვემო სართულში კიდევ სტამბის განყოფილება. ილია ცხოვრობდა პირველი სახლის მეორე სართულში. აქ მას შესავლის მარცხნივ თავისი სამუშაო კაბინეტი ჰქონდა. მისი ქერი მოხატული იყო რუსთაველის, თამარ მეფის, დავით აღმაშენებლის, გიორგი სააკაძისა და წმინდა ნინოს ფერადი სურათებით. ამის შემდეგ იყო მისაღები ოთახი, ორად გაყოფილი: ერთი — მამაკაცებისათვის, მეორე — ქალებისათვის (მისი მეუღლის — ოლგა თადეოზის ასულისა — და მისი დის — ელისაბედ საგინაშვილისათვის). მესამე გრძელ და დიდ ოთახს შეადგენდა სასადილო, რომელსაც ეზოს მხრით შუშაბანდიანი აივანი ჰქონდა. ზაფხულში შუშაბანდებს ჩამოიღებდნენ ხოლმე, ზამთარში კი ისევ შეადგამდნენ. იმ მხარესვე იყო საწოლი ოთახები.

სასადილო ოთახში ხუთშაბათობით იმართებოდა „ივერიის“ რედაქციის წევრებისა და თანამშრომლებისათვის ლიტერატურული საღამოები, სადაც ილიას მეგობრები და ბანკის თანამშრომლებიც ესწრებოდნენ. ამ საღამოებს მეც ვესწრებოდი 1890 წლიდან, როდესაც „ივერიაში“ დავიწყე სტატიების მოთავსება და გამოვიდა ჩემი პირველი ნაშრომი „სამი ისტორიული ქრონიკა“. აქ ხშირად კითხულობდნენ ქართველი პოეტებისა და მწერლების ნაწარმოებებს და იყო ბაასი საქართველოს საჭირობოროტო საკითხების შესახებ. საღამო თავდებოდა უბრალო ვახშმით, რომელსაც უუჭველად სიმღერები მოჰყვებოდა. ვისმენდით კახურ „მრავალეამიერს“, რომელსაც ამშვენებდა ნიკო მთვარელიშვილის საუცხოო გალობა. ტოლუმბაშად ყოველთვის ანტონ ფურცელაძე იყო.

ილიას „ხუთშაბათობას საღამოები“ დემოკრატიული ხასიათისა იყო, მაგრამ ის არისტოკრატიულ საღამოებსაც აწყობდა. საერთოდ ილია დიდად მი-



დებულები კაცი იყო არისტოკრატიულ წრეებში, რომელთა წარმომადგენლები იყვნენ თბილისის გუბერნატორი გ. შერვაშიძე, გენერალი ნინია (ნიკო) ამილახვარი, გენერალი ზაქარია ჭავჭავაძე და სხვები; მათ ჩვეულებად ჰქონდათ მოეწყობათ „ეურთიქსები“, სადაც ილიას უეჭველად პატიჟობდნენ. ილიაც თავის მხრით მართავდა ასეთ „ეურთიქსებს“ და ამ არისტოკრატებს იწვევდა თავისთან. ილიამ კარგად იცოდა, ვისთან როგორ დაეჭირა თავი.

მთავრობის უმაღლესი წრეები ანგარიშს უწევდნენ ილიას აზრსა და შუამდგომლობას, მაგრამ ილია წინდახედული იყო და, თუ რომელიმე უმაღლესი ხელისუფლების მქონე უხეში ან ე. წ. „სალდაფონი“ იყო, არავითარ კავშირს არ აბამდა, არც ეჩვენებოდა, არც რაიმე საქმისათვის წავიდოდა მასთან. მაგალითად, მთავარმართებელი გოლიციანი უხეში „სალდაფონის“ ტიპს წარმოადგენდა, ამიტომ ილიას მასთან არავითარი ურთიერთობა არა ჰქონდა. ისე წავიდა გოლიციანი საქართველოდან, რომ ილიას არ გაუტყენია და არც რაიმე საქმეზე მისულა მასთან, თუმცა გოლიცინს არა ერთხელ უთქვამს თავისი ადიუტანტის—საშიკო ორბელიანისთვის: „გამაცანი ილიაო“; მაგრამ საშიკოს როგორ შეეძლო ეს მოეხდინა, როცა ილიას გოლიცინის გაცნობა არა სურდა?! მხოლოდ ერთხელ საშიკო ორბელიანს თეატრში დაენახებინა მისთვის მოპირდაპირე ლოქაში მჯდომი ილია ჭავჭავაძე. გოლიცინს შეეხებდა ბინოკლით და ეთქვა: „შესანიშნავი თვალები აქვს, უსათუოდ ჭკვიანი კაცი უნდა იყოსო“.

ილია და ქართული მკლასიის ავტოკეფალიის საკითხი

ჩვეულებრივ, ქართველ საზოგადო მოღვაწეებს, როდესაც რაიმე საქმე ჰქონდათ მთავრობის დიდ მოხელეებთან, შუამავლად ილია უნდა წაეყვანათ. უმიხოდ მთავრობის წარმომადგენლებს ქართველებს არ იღებდნენ და, თუ მიიღებდნენ, ყურადღებას არ აქცევდნენ. ილიას ზოგჯერ ეზარებოდა ამ როლის შესრულება და ყოყმანობდა წაყოლაზე; ხშირად აგზავნიდნენ მას ისეთი საქმეების შესახებაც, რომელთა კურსში ილია ნაკლებად იყო, მაგრამ რაკი სხვა შესაფერი ადამიანი არა ჰყავდათ, სულ მას აკისრებდნენ ყველა დიდ საქმეს.

მოვიყვან ერთ მაგალითს:

როდესაც ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი დაისვა, დიდი ხნის განმავლობაში იგი მსჯელობის საგნად იყო გამხდარი და ქართულ-რუსულ ენებზე მის შესახებ ბევრი წიგნები და სტატიებიც იბეჭდებოდა. ამ საქმეში ჩვენ მედგრად გვეხმარებოდნენ რუსი სლავიანოფილები დურნოვოს მეტაურობით. მათ არა სწამდათ სინოდი და ცდილობდნენ პატრიარქობის აღდგენას როგორც რუსეთში, ისე საქართველოში. დურნოვო ამბობდა: — „საქართველო უძველესი ქრისტიანული სახელმწიფოა. ქართველებმა ქრისტიანობა მაშინ მიიღეს, როდესაც რუსეთის სახელმწიფო არ არსებობდა და რუსები არც ქრისტიანები იყვნენ. ისტორიულად მათ თავიანთი კათალიკოს-პატრიარქი ჰყავდათ და ეხლაც ისე უნდა იყოს. სამაგიეროდ მათი ეპისკოპოსი



კირიონი, რომელიც პატრიარქად უნდა იყოს საქართველოში, მთავრობამ განაჩინა დევნა საქართველოდან, რაც შეუწყნარებელი მოქმედებაა“.

ამ აგიტაციამ ისე იმოქმედა იმპერატორ ნიკოლოზ II-ზე, რომ მან დანიშნა სპეციალური კომისია, რომელსაც უნდა განეხილა საკითხი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისა. კომისიის კრებას დაესწრნენ საქართველოს ეპისკოპოსები: ლეონიდი და კირიონი, პროფესორი ალექსანდრე ცაგარელი და პროფესორი ნიკო მარი. ქართველებს გვინდოდა, რომ ეს საკითხი დადებითად გადაეწყვიტა მეფისნაცვალს ვორონცოვ-დაშკოვს. ამისათვის ვაწყობდით კრებებს ილიას თანდასწრებით და ილიას ვევალებდით ამ საკითხის შესახებ პირადად მოლაპარაკებოდა ვორონცოვ-დაშკოვს. ილია უარზე იდგა და ამბობდა: „მაგ თქვენი „კეფალიისა“ (ასე უძახოდა იგი ირონიით ავტოკეფალიას) არაფერი არ მესმის და ვინმე სხვა გაგზავნეთ“, მაგრამ ჩვენ ვაძიებდით ილია წასულიყო მეფისნაცვალთან. ამასთანავე, რაც შეგვეძლო, მას ვუხსნიდით მოსალაპარაკებელი საკითხის შესახებ.

ილია წავიდა ვორონცოვთან. დიდხანს გაგრძელებულიყო მათი ბაასი. ვორონცოვს ეთქვა: „დამარწმუნეთ, რომ ავტოკეფალია სასარგებლოა როგორც საქართველოსათვის, ისე რუსეთისათვის და მაშინ დაგიკერთ მხარსაო“. ილიას ეთქვა: „შე დამარწმუნეს, რომ ეს ორივესთვის საჭიროა და სასარგებლოა“.

შემდეგ საუბრიდან გამოიკვია, რომ ვორონცოვი ამ საკითხში კარგად იყო მომზადებული: „მან მითხრა, — ამბობდა ილია, — ეკლესია ღმერთს ეხვეწება ყველა ქრისტიანული ეკლესიის შეერთებაზე და თქვენ კი არსებული ერთობის დაშლა გსურთ. განა გაგონილა ერთ მართლმადიდებელ სახელმწიფოში ორი სხვადასხვა საპატრიარქო არსებობდესო?“

ეს რომ მოეუხმინეთ ილიას, მე ვუთხარი: — „ბატონო ილია, განა არ უთხარით ვორონცოვს, რომ ბიზანტია ერთი სამართლმადიდებლო სახელმწიფო იყო და მასში ოთხი ავტოკეფალური საპატრიარქო არსებობდა: კონსტანტინეპოლის, იერუსალიმის, ანტიოქიისა და ალექსანდრიისა?“

ამ კითხვაზე ილია ცოტა შეჩერდა, შემომხედა და მითხრა: — „აკი გითხარით, მაგ თქვენი „კეფალიის“ არაფერი მესმის და ნუ გამგზავნით-მეთქი?“.

რა თქმა უნდა, ილიამ ეს ყველაფერი კარგად იცოდა, მაგრამ მაშინ არ გაახსენდა.

ბოლოს გადაწყვიტეთ მთავრობის წინააღმდეგ დიდი მანიფესტაცია მოგვეხდინა და დემონსტრაციულად მოგვეთხოვა ქართული ეკლესიის ავტოკეფალია. როდესაც წამოიჭრა საკითხი, ვინ გაუძღვება წინ ამ არაჩვეულებრივ დემონსტრაციას, ილიამ თქვა: „თუ საჭიროა, მე წავიძღვებთო“. მაგრამ შემდეგ ისე წავიდა თვითმპყრობელური რუსეთის საქმე, რომ ამ დემონსტრაციის მოწყობა აღარ დაგვიკირდა.

ეს ამბავი იმიტომ მოვიყვანე, რომ ილიასაგან არავინ არ მოელოდა, თუ ის დემონსტრაციის მეთაური გახდებოდა და თავის ჩვეულებრივ სიფრთხილეს გადალახავდა. მაშინ ღრმად დავრწმუნდი, რომ ილია თავს არ დაზოგავდა და

არც უკან დაიხევდა საზოგადო საქმეში, თუ კი ეს საჭირო იქნებოდა საქართველოს კეთილდღეობისათვის.

ილია გაგრიალ ეპისკოპოსის დამარხვაზე

მთავრობა ყოველთვის ექვის თვალთ უყურებდა ილიას მოღვაწეობასა და მიმართულებას. მათ თვალში ილია ისეთი სეპარატისტი იყო, რომელსაც უნდოდა საქართველო ჩაპოშორებოდა რუსეთს, სინამდვილეში კი ილია საქართველოს სრული ავტონომიის მომხრე იყო. მთავრობა თვალყურს ადევნებდა მის სიტყვებს, მწერლობას და ფეხის გადადგმას. მოვიყვანთ ერთ მაგალითს.

როდესაც გაბრიელ იმერეთის ეპისკოპოსი გარდაიცვალა 1896 წელს, მის საპატრიარქოდ ილიამ დაამზადა სიტყვა, რომელიც უნდა დასათლაყების დროს წარმოეთქვა. ილია დიდი თაყვანისმცემელი იყო გაბრიელ ეპისკოპოსისა.

ერთ „ხუთშაბათის საღამოზე“ ილიასთან წამოიჭრა საკითხი: „მთავრობა უწევს რაიმე ანგარიშს ქართველი მოღვაწეების სიტყვებს თუ არა?“ ილიამ თქვა: „ეს კაცზედ არის დამოკიდებული; მაგალითად გაბრიელ ეპისკოპოსის სიტყვებს დიდ ანგარიშს უწევენ. ეგრეთვე ეკლესიის საკითხში ლენერალ ნიკო ამილახვარსაც დიდი გავლენა აქვს და მის სიტყვას ეგზარხოსი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს“.

მართლაც, ამბობდნენ: როდესაც ერთმა რუსმა ეგზარხოსმა ნება არ დართო სამღვდლოებას, რომ ქართულად ლოცვები დაებეჭდათ, ნიკო ამილახვარი წასულიყო მასთან და ეთქვა:

— „Я перестал молиться богу, ибо мой грузинский молитвенник истрепался, а ваш русский молитвенник я не понимаю и вы приостановили издание грузинского молитвенника на грузинском языке!“

ეგზარხოსი ამ სიტყვებზე შემკრთალიყო და ეთქვა: „Никогда не запрещал издание грузинского молитвенника. Это недоразумение!“ და მაშინვე გაეცა ბრძანება დაებეჭდათ ლოცვანი.

გაბრიელ ეპისკოპოსის დამარხვაზე საქართველოს ყველა მხრიდან დაღწესებულებებიდან იყო გავლენილი დეპუტაციები. თბილისელი დეპუტატები ერთად შევიყარეთ მატარებელში. იქ იყვნენ ილია, ლევან ჯანდიერი (თბილისის მაზრის უფროსი, ილიას მეგობარი და პატივისმცემელი), ნიკო ლოლობერიძე, ივანე რატიშვილი, ანდრია ლულაძე და სხვები. ილია ლულაძეს ეხუმრებოდა. ეს უკანასკნელი დიდი ფართი-ფურთის კაცი იყო, ნაკლებად განათლებული, მაგრამ „პრეტენზიების“ მქონე; ერთ ხანს საბავშვო ჟურნალსაც სცემდა, მერე ცენზორი იყო, შემდეგ კორესპონდენტი უცხო გაზეთებისა, სწორედ რამოდენამე დღის წინ, სანამ ჩვენ ქუთაისში გავემგზავრებოდით, ანდრიას დეპეშა გავგზავნა უცხოეთის გაზეთებისათვის, რომ უცხოელი კორესპონდენტი N (გვარი აღარ მახსოვს) თბილისიდან გავემგზავრა ინდოეთში, მას დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს მთელი აზიისათვის. ილია, რომელსაც ძლი-



ერ უყვარდა ოხუნჯობა ასეთი პრეტენზიის მქონე ინტელიგენტებთან, ეკონომიკურად: — „როგორ იყო, ანდრია, რომ დიდ პოლიტიკურ ფაქტად გამოაცხადე კორესპონდენტის ინდოეთში გამგზავრებაო?“ ყველანი ვიცინოდით და მათ შორის ანდრიაც, რომელიც საზოგადოდ ყველას საოხუნჯოდ ჰყავდა ადღებულ-ი. და პირველ ყოვლისა კი — აკაკი წერეთელს. მიუხედავად ამისა ანდრია დიდ ქარაველ პატრიოტად მიგვაჩინდა ყველას, რაც საშუაზაროდ ბოლოს არ გამართლდა.

გაბრიელ ემისკოპოსის დამარხვა ქუთაისის ინტელიგენციამ ერთობ გააკიანურა. მათ უნდოდათ დიდი პატივით დაემარხათ ეს დიდებული ქართველი და ამიტომ საჭიროდ ზედადუნენ, რომ საქართველოს ყველა კუთხიდან შეგროვილიყვნენ წარმომადგენელნი. ჩვენ ჩავედით ქუთაისში დილით და ილია, ჯანდიერი და მე ჩამოვხტით სიმონ ლოლობერიძესთან — სათავადაზნაურო სკოლის შენობაში (სიმონი ნიკო ლოლობერიძის ძმა იყო, წინათ ისტორიის მასწავლებელი ქუთაისის გიმნაზიაში და შემდეგ სათავადაზნაურო სკოლის გამგე). ცოტა დასვენებისა და ჩაის შემდეგ ეტლით გელათში გავემგზავრეთ. მარტის თვე იყო და ცოტა თოვლიც იდგა. აუარებელი ხალხი იყო. ცხე-დარი დაესვენებინათ საკურთხეველის წინ და ხატებითა და ყვავილებით შეემკოთ. დეპუტატები რიგრიგობით მიდიოდნენ და სიტყვებს ამბობდნენ. პოლიციის წარმომადგენლად ესწრებოდა ქუთაისის პოლიცემისტერი სიმონიშვილი, რომელსაც საზოგადოდ ცუდი სახელი ჰქონდა გავარდნილი და ცარიზმის ყურ-მოჭრილ ყმად ითვლებოდა. ჯანდიერმა გვაცნობა, რომ სიმონიშვილს თბილისიდან ზედისუდ მოსდის დებეშები: „Следить за Ильей Чавчавадзе и записать каждое слово, что он скажет“. მაშინ არავინ იცოდა, მაგრამ ესხა გამორკვეულია, რომ ამ დროს ილია პოლიციის საიდუმლო ზედამხედველობაქ ში ყოფილა.

ამ გარემოებამ ჯანდიერი და ილია ჩააფიქრა; საჭიროა თუ არა ამის შემდეგ ილიამ წარმოსთქვას სიტყვა? შეიძლება ამან პატივისცემის მაგიერ უსია: მოენება გამოიწვიოს, რაც არ ეგების გაბრიელის სახელსო. ცოტა ყოყმანის შემდეგ ილიამ გამოგვიცხადა: „სჯობს არაფერი არა ვთქვა, თუმცა გულს კი დანაკლდება, რადგანაც სიტყვა კარგად მაქვს მოზადებულიო“. ამასობაში სა-დასომ მოაღწია და ჩვენ ვითომც ცხედრის გამოსათხოვებლად მივედით ხალხ-თან, რომელიც შემორტყმული იყო კუბოს ირგვლივ. მე წინდაწინ მივედი, გავ-თიმე ცოტად ხალხი და ხმამაღლა ვთქვი: „ბატონებო, ცოტა ჩამოდექით, გზა მოგვეცი, ბატონ ილია ჰავკავაძეს სიტყვა აქვს სათქმელი“. ხალხი გაიშალა. ილია წამოდგა წინ და დაიწყო სიტყვა, რომელსაც დიდის ყურადღებით უსმენ-და ეკლესიაში გაკედლილი ხალხი. ჯანდიერი სიხარულით შეხვდა ამას და ილი-აც კმაყოფილი დარჩა.

წამოვედით. მშვიერები ვიყავით, თუმცა გელათში მოწყობილი იყო ბატარა საუზმე, მაგრამ ჩვენი დასაკმაყოფილებელი საჭმელი არ იყო. მოვედით ქუ-თაისში და ნიკო ლოლობერიძემ მიგვიყვანა რიონის ხიდის მახლობლად ერთ სასტუმროში, რომელსაც, მგონი, „კავკაზი“ ერქვა. შევედით თუ არა სასადი-ლო დარბაზში, დავინახეთ მოქეიფეთა ჯგუფი აფხაზეთის უკანასკნელი მთავ-



რის შვილის გიორგი შერვაშიძის მეთაურობით. უკვე ყველა შეზარხოშებულ იყო, ხშირად გალობდნენ საეკლესიო მოტივს: „განუსვენე, უფალო, სულსამცაღებულსა შენისასა“. მათ რომ დაგვიჩაბეს, ყველანი ფეხზე წამოდგნენ. გიორგი შერვაშიძემ ხმამაღლა დაიძახა: „—ოო, ილია გრიგორიჩს გაუმარჯოს! რა სასიამოვნო სტუმარი მოვიდა! აბა, ახალი სუფრა!...“ მიუფუჭეით მაგიდას, ბოჭეიფე ჩაუფემა წინადადება მოგვცა, რომ ჭერ შესმული სადღეგრძელოების საწებო დაგველია, მერე კი — ახალი, მაგრამ ილიას სადღეგრძელო მანც პირველად დალიეს. თამაღის ბრძანებით დააწყეს თითო თეფშზე ხუთ-ხუთი ჭიქა და დასალევად გადმოგაწოდეს, მაგრამ ნიკო ღოღობერიძემ ითხოვა: „ცოტა გვაცალეთ, საქმელი ვკამოთ, მშვიერები ვართ და მერმე დავლევთ თქვენს სადღეგრძელოებსო“. ეს მხედველობაში მიიღეს. ილია ჩვეულებრივად მუდგა მაღიან ჭამასა და ღვინის სმას. ნიკო ღოღობერიძემ ლაქიას ჩასჩურჩულა ყურში: „ლაპარაკის დროს ილიას ხუთივე ჭიქა შეუმჩნეველად ააცალიეო (ნიკოს ეწინოდა ღვინომ ილიაზე ცუდად არ იმოქმედოსო)“. ლაქიამაც მისი თხოვნა მოხერხებულად შეასრულა. სხვებმა, ვისაც სმა შეეძლო, მიირთვეს ის ხუთ-ხუთი ჭიქა. მე, ნიკო და სიმონ ღოღობერიძეებმა ღვინის დაღვებაზე უარო ვთვიეთ. გიორგი შერვაშიძემ მე და ნიკოს არაფერი გვიძხრა, მხოლოდ სიმონს შეეძავა: „ასე იცით თქვენ, ყველა საზოგადო საქმეში ბრ გვიჭერთ მხარსო“ და სხვა.

შემდეგ მოჰყვენ ჩვენს სადღეგრძელოებს და, როდესაც ილიას ერთი ჩვენთაგანილა დარჩა უდღეგრძელებელი, თამაღამ უთხრა: „მიირთვიეთ ეს ერთი სადღეგრძელოც“. ილიამ უპასუხა: „დიდი სიამოვნებით მივირთმევ, მაგრამ გულს მაკლია, რომ ის ხუთი ჭიქა ავიცილდო, მე მინდოდა ყველას სადღეგრძელოები დამელიათ“. რა თქმა უნდა, მაშინვე მოართვეს ის ხუთივე ჭიქა და ილიამ ყველა გამოსცალა. ნიკო ღოღობერიძემ ხელის კვრით მითხრა: „ჭეშმარიტად, საკვირველი კაცია ილიაო!“

ილიას ადათად ჰქონდა, რომ არაფრით არ ჩამორჩენოდა იმათ, ვისთანაც ის იჯდა. ღვინოს საკმაოდ სვამდა, მაგრამ არ ითვრებოდა. მე ილია მთვრალი არასოდეს არ მინახეს, თუმცა მასთან მყოფი ზოგი მოქეიფენი შეზარხოშებული ამდგარან სუფრიდან.

იმავე საღამოს საღილის შემდეგ წავედით სიმონ ღოღობერიძის ბინაზე. იქ ილიასთან მოვიდნენ ქუთათური მეგობრები და მათ შორის კირილე ლორთქიფანიძე, მისი დიდი მეგობარი და თანამოღვაწე ყურნალ-გაზეთების გამომცემის საქმეში. ხანგრძლივი ბაასის შემდეგ იქვე, სიმონ ღოღობერიძის ბინაზე, მოვისვენეთ. მეორე დღეს მე დილაადრიანად დავბრუნდი თბილისში. ილია ქუთაისში დარჩა. მას უნდა ენახა თავისი სხვა მეგობრები და აგრეთვე ქუთაისის სათავად-აზნაურო სკოლა.

გაბრიელ ეპისკოპოსის შესახებ ორიოდ სიტყვა კიდევ უნდა ვთქვა: პირველად იგი ახლო ვნახე საღმრთო რეჯლის გამოცდის დროს, როდესაც, ოთხ კლასიან პროგიმნაზიას ვთავებდდი ქუთაისში. ის გამოცდაზე დასასწრებად სკოლის ინსპექტორმა იუდიანმა და საღმრთო სჯულის მასწავლებელმა მაჭავარიანმა მოიწვიეს. მართლმადიდებელი შე-

ეთქვა: „მეც ისეთივე მღვდელმთავარი ვარ, როგორც თქვენ, და ასეთი ამბავი ჩვენ შორის არ ეგებოს“. გაბრიელს უპასუხია: „მართალია, მღვდელმთავარი კი ხართ, მაგრამ პავლე მოციქული ამბობს: „ვამხსილათ ერთმანეთი“.

ილიას ოჯახური მღვდელმთავრობა

ზემოთ აღვნიშნე, რომ 1889 წლიდან თბილისში ილია ცხოვრობდა მის მიერ აშენებულს, მაგრამ მისი დის კუთვნილ სახლში. ამავე ბინაზე ცხოვრობდა მისი და ელისაბედი. მათ მაინცადამაინც შეხმატკბილებული ცხოვრება არა ჰქონიათ. ეს მე გამოვიგონია ელენე გიორგის-ასულ ჭაბადრისაგან.

ელენე ჭაბადარი, ეროვნებით რუსი, მეუღლე იყო ილია ჭავჭავაძის მეგობრისა და თანამოღვაწის ნიკოლოზ ჭაბადარისა. იგი დაქვრივების შემდეგ ილიას რეკომენდაციით მიწვეული იყო სათავად-აზნაურო სკოლის პანსიონში ეკონომისტად. ჭეროვნად განათლებული ქალი იყო, კარგად იცოდა ქართული და ფრანგული, ნამეტნავად მუსიკა უყვარდა. გასაოცარი ენერგია ჰქონდა, ამავე დროს იყო დიდად პატიოსანი და კაცთმოყვარე ადამიანი და პანსიონის ბავშვებისათვის ნამდვილი თავდადებული დედა. მეგობრული ურთიერთობა ილიასა და მის ცოლთან არასდროს არ შეუწყვეტია. მათი ურთიერთობა ნ. ჭაბადარის სიკვდილის შემდეგ კიდევ უფრო განმტკიცდა. თითქმის ყოველ კვირა დღეს ილიასთან დაიარებოდა სადილად და ილიას მეუღლე ოღვაც ორ დღეში ერთხელ უსათუოდ მივიდოდა ელენესთან და მას თავის ჭირ-ვარამს უზიარებდა. მე შემიძლია თამამად ვთქვა, რომ ელენესთან დაახლოვებული მეგობარი ოღვას სხვა არავინ გააჩნდა. და აი რაც მე ვიცი ილიას ოჯახური ცხოვრების შესახებ, ყველაფერი გაგონილი მაქვს ელენესაგან.

რამდენად ილია ჭკვიანი და ნაჭიერი ადამიანი იყო, იმდენად მისი და ელისაბედი ვერ იყო მისი შესაფერი. მას ძალიან ცუდი განწყობილება ჰქონდა ოღვასთან, მაგრამ ეს უქანასკნელი მაინც ილიას სიყვარულისა და ხათრი-სათვის მულთან ერთ ჭერქვეშ ცხოვრობდა და იტანდა ყველაფერს.

ელისაბედის ახლო მეგობარი იყო მიხაკო ფილიპეს-ძე ჩიკვაძე, რომელიც ახალგაზრდობაში ილიასთან ერთად სწავლობდა პეტერბურგის უნივერსიტეტში და შემდეგ მასთანვე ერთად მსახურობდა დუშეთის მაზრაში. ელისაბედი წინეთ ცოლად ჰყავდა ორბელიანს, შემდეგ — ალექსანდრე საგინაშვილს და ესლა სდომებია მისთხოვებოდა მიხეილ ჩიკვაძეს, მაგრამ ილია თავის დას გათხოვების ნებას არ აძლევდა: „შენ უმალ ჩემ გვამზე გადაივილი, ვაღრე იმას გაყვებით“. მიუხედავად ამისა, ჩიკვაძე ელისაბედის მამულების გამგე იყო და თითქმის ყოველ დღე მასთან დადიოდა. მართალია, ილიას ჩიკვაძე არ ეპრიანებოდა, მაგრამ იძულებული იყო მისთვის ელისაბედთან სიარული არ აეკრძალა, რადგანაც ჩიკვაძე მისი დის სახლ-მამულის გამგე იყო, მაგრამ კრებებსა და სადილებზე ჩიკვაძე ილიასთან ერთხელაც არ მინახავს.

როგორც აღვნიშნე, ოღვას და ელისაბედს ერთმანეთი სძულდათ, მაგრამ ილია ერთსაც და მეორესაც დიდად უყვარდა. ელისაბედი დარწმუნებულია

იყო, რომ ოლგა სულელია და ილიას შესაფერი არ არის, და ამ თავის რწმენას ყველას დაუფარავად უზიარებდა.

ერთხელ ილიას ოჯახში მივედი. სახლში მხოლოდ ელისაბედი იყო. შემიწვია სასტუმრო ოთახში და ფანჯარასთან დაესხედით, ორივე ილიას ველოდებოდით და ქუჩისკენ ვიშხირებოდით. ამ დროს გამოჩნდა გზად მომავალი ოლგა. ელისაბედმა მითხრა: „აი, აგერ მოდის ეს სულელი, განა ჩემს ილიას ასეთი ცოლი ეკადრება?!“.

ოლგა კი მულზე არავის ძვირს არ ეტყოდა, მხოლოდ ელენე ჯაბადართან იტირებდა ხოლმე თავის მდგომარეობისა და ილიას დის აუტანელი ქცევის გამო. ოლგა ზედმიწევნით პატროსანი და კაცთმოყვარე ადამიანი იყო: ზრდილი, სათნოიანი, თავდაპირილი, თავმდაბალი და თავდადებული საზოგადო საქმისათვის. ის აწყობდა ლატარიებს, საღამოებს და ფულს აგროვებდა წერაკითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა და სხვა საქველმოქმედო დაწესებულებებისათვის. მზრუნველად იყო ამიერ-კავკასიის საქალებო ინსტიტუტში და იქ ბევრ ქართველ ქალს ათავსებდა სასწავლებლად. ამასთანავე თავის წვლილს ხშირად ურიგებდა გაჭირვებულებს. ჩვენი სათავად-აზნაურო სკოლის პანსიონისათვის საგურამოდან ბევრ სანოვაცეს, ხილსა და ღვინოს გვიგზავნიდა ყოველწლივ.

ელისაბედი კი ერთობ ხელმოკერილი და ძუნწი ქალი იყო. ზოგჯერ მისი ასეთი ზნე სულ მცირე ქცევამიც იხატებოდა. ერთხელ ელენე ჯაბადარმა მიამბო და ბევრი მაცინა:

როდესაც პარიზში მსოფლიო გამოფენა გაიმართა, ილიამ გადასწყვიტა პარიზში გამოფენის სანახავად მარტო წასულიყო, მაგრამ ოლგამ აიმაღლა ხმა: „როგორ, შენ მარტო გინდა წახვიდე და მე აქ დამტოვო? არა, მეც უსათუოდ უნდა წამოვიდეო!“ აგრეთვე გამოფენაზე წასვლის სურვილი ელისაბედმაც განაცხადა, მაგრამ ილია-ოლგასა და ელისაბედის ერთად წასვლა შეუძლებელი იყო. ამიტომ ცოლ-ქმართ სთხოვეს ელენე ჯაბადარს, რომ ელისაბედს გაყოლოდა პარიზში. ელენე დათანხმდა, ყველანი პარიზში გაემგზავრნენ. ელისაბედმა ქართული ტანისამოსი არ გაიხადა და ქართული კაბითა და თავსაკრავით დარჩა. ამის გამო პარიზის ქუჩებში ბევრი ხალხი დაედევნა, რომ კარგად დაეთვალიერებინათ ეს მათთვის უჩვეულო ჩაცმულობა. ელისაბედი კი ჯავრობდა: „რა უნდათ ამ მამაძაღლებს ჩემგანაო“.

პარიზში ელენე და ელისაბედი ერთ იაფფასიან სასტუმროში მეოთხე სართულზე მოთავსდნენ. იმ დროს პარიზში იყო ნიკო ლოლობერიძეც. მან ინახულა რა ილია და ოლგა, მათგან შეიტყო, რომ ელისაბედიც პარიზშია, და წავიდა მასთან ეზიზტად. ნიკო იმ დროს ხანში შესული კაცი იყო და გულის სისუსტეს უჩიოდა. მეოთხე სართულზე ასვლამ ცუდად იმოქმედა მის გულზე. და, როდესაც ეს ელისაბედთან მივიდა და მიესალმა, ორი-სამი წუთის შემდეგ გული წაუვიდა. შეშინებულმა ელენე ჯაბადარმა საჩქაროდ სტაცა ხელი ოდეკოლონის შუშას, რომ ესხურებინა ნიკოსათვის. აღმოჩნდა, რომ ეს ოდეკოლონი ელისაბედისა ყოფილა და ელენესი კი იმავე მაგიდაზე უფრო

შორს მდგარა. ელენემ ეს სიჩქარის გამო ვერ შეამჩნია, მაგრამ ვლისაბედმა მიიძახა: „არა, არა, შენი, შენი ოდეკოლონი ახმარეო!“.

ეს სასაცილო წვრილმანი კარგად ახასიათებს ელისაბედის ხელმომპირ-
ნობას.

რას უშვებოდა თავის შემოსავალს ელისაბედი, ან რა ხარჯს ეწეოდა ილიასთან ცხოვრების დროს, არ ვიცი. ერთი კი ცხადია, რომ ილია მის სახლში ცხოვრობდა და ქირას არ იხდიდა. ისე თავის საჭირო-სანოვაგე, პური, ღვინო, ხილი, ქათამი, გოჭი, ინდოური და სხვა სულ ოღვას მამულიდან (საგურამოდან) მოსდიოდათ.

ილია საგურამოს მამულში

ილიას ვაგიეებით უყვარდა საგურამოს მამული. აქ მან მშვენიერი სახლი აიშენა. ადგილი შესანიშნავი იყო: ლამაზი მდებარეობით, მდიდარი მოსავლითა და პაერთაც მშვენიერი. მაგრამ მეურნეობას მოურავის ხელით აწარმოებდა და დიდ შემოსავალს ვერა ღებულობდა.

ილია გატაცების კაცი იყო მეურნეობაში: რა წამს წაიკითხავდა ვაზეთში ახალი იარაღის შემოღების შესახებ, ყოველთვის გამოიწერდა და გაუგზავნიდა მოურავს. მოურავებმა მათი ხმარება არ იცოდნენ და მოკლე დროში იარაღი ფუჭდებოდა: ხან ერთი ხრახნი დაეკარგებოდა, ხან მეორე და მისი ვამკეთებელი კი საგურამოში არავინ იყო.

მახსოვს, ერთხელ ილიამ და ივანე პოლტორაცკიმ რუსეთიდან ინკუბატორები გამოიწერეს და თავთავიანთ სოფლებში გაგზავნეს: ილიამ — საგურამოში, ივანემ კი — ოქროყანაში. ილიას ინკუბატორი ხელსაყრელად მიიჩნდა: „კრუხი 25-30 წიწილს თუ გამოჩეკს, ინკუბატორი ზუთასზე მეტს გამოჩეკავსო“. შეაგროვეს კვერცხები და ინკუბატორში ჩააწყეს. წიწილები მართლა გამოიჩიკა, მაგრამ მათ სხვანაირი მოვლა სჭირდებოდათ და, რაკი ამის მცოდნე კაცი არავინ იყო, ყველა ნელ-ნელა გაწყდა. პოლტორაცკიმ ინკუბატორებს თავი ნიანება, მაგრამ ილიამ, როგორც მითხრეს, ბოლოს და ბოლოს იშოვა საეციალისტი და ქათმები მოამრავლა.

საგურამოს სახლის აშენება და მეურნეობის მოწყობა ილიას ძვირად დაუჯდა, რის გამოც ვალებში ჩავარდა. ერთხელ მე და ნიკო ცხვედაძეს გვიამბო. „მე ჰკვიან კაცს მეძახიან, მაგრამ, რომ დაფეჟრდები, ვრწმუნდები, რომ ჰკუა არ ჰქონია. საგურამოს სახლის აშენება და მოწყობა 40.000 მანეთი დამიჯდა. ამ ფულით თბილისში ორ დიდ სახლს ავაშენებდი და მათი შემოსავალი მარჩინდა, ესლა კი ვალებში ვარ ჩავარდნილიო“.

ილიას არ უჭერებდნენ, როდესაც ამბობდა: „ვალები მაქვს და ვაზეთ ივერიის“ გამოცემა უფრო ახალ-ახალ ვალებს მიმატებს, რადგან შემოსავალი არ ფარავს გამოცემის ხარჯს და ჩემ ფულს ვადებო“. მაგრამ ბოლოს გამოირკვა, რომ ილია მართალს ამბობდა. როგორც ცნობილია, ილიამ „ივერიის“ გამოცემა გადასცა ინტელიგენტთა ერთ პატარა ჯგუფს, რომელსაც ალექსანდრე ივანეს-ძე სარაჯიშვილი მეთაურობდა, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ უსახ-



სრობის გამო ამ წრემ მიატოვა მისი გამოცემა, თუმცა ალექსანდრე სარაჯიშვილი დიდი ხელმძღვანე და თადარიგის კაცი იყო. როცა ილია ტრადიციულად გარდაიცვალა და მისი ქონება ანდერძის ძალით წერა-კითხვის საზოგადოებას გადაეცა, საზოგადოების დანიშნულმა კომისიამ გამოარკვია, რომ ილიას ქონება ხარჯების და ვალების დაფარვის შემდეგ დიდს არაფერს წარმოადგენდა.

ილიას ცხოვრების უკანსკენელი წლების ამბები ნაკლებად ვიცი. როდესაც ილიამ ბანკს თავი დაანება და ის უშაღლესად საბჭოს წევრად აირჩიეს, მე მას იშვიათად ვხვდებოდი. იმ დროს ილია თავის დის სანლში ნეკოლოზის ქუჩაზე აღარ ცხოვრობდა, მას ანდრეევსკის ქუჩაზე (ახლა ორჯონიკიძის ქუჩა) ეყიდა მცირე სახლი და მის მოწყობას და გაფართოებას ლაშობდა. მე მის ახალ სახლში ერთხელაც არა ვყოფილვარ და არ ვიცი, რას წარმოადგენდა ეს ბინა. ჩემთვის საკვირველი და გაუგებარი ის იყო, თუ რამ აიძულა ილია, რომ მან მიატოვა თავის დის სახლი, ის სახლი, რომელიც მან თვითონ ააშენა და საგანგებოდ თავის კაბინეტი იქ მოაწყო და თავის სიცოცხლის დასრულებასაც ამ სახლში ელოდა? მაგრამ ერთი რამ ცხადია: ილიას და მის დას შორის რაღაც დიდი კონფლიქტი უნდა მომხდარიყოს. ეტყობა, შეუძლებელი გახდა ამ კონფლიქტის გადალახვა და ილია იძულებულა გახდა ეალკე ბინაზე გადასულიყო. ელენე ჯაბადარი იმ დროს ჩემთან, სათავად-აზნაურთა სკოლაში, აღარ იყო. მოხუცებულობის გამო მან თავი დაანება ჩვენს გიმნაზიაში სამსახურს და გადასახლდა სოფელ საგარეჯოში თავის ერთად-ერთ ქალთან და სიძესთან, საეჩთან, რომელიც ჩრდილო-კავკასიაში ჯერ გიმნაზიის მასწავლებლად მუშაობდა და შემდეგ კი დირექტორად. ელენეს ორი შვილიშვილი (ქალ-ვაჟი) ჰყავდა. ის ერთხელაც აღარ მოსულა თბილისში, თორემ მისგან გავიგებდი დის სახლიდან ილიას გადასახლების მიზეზს. მე მგონია, ელენესა და ოლგას შორის მიწერ-მოწერა უნდა ყოფილიყო და ოლგა თავის მეგობარს, რასაკვირველია, ყველაფერს გულახდილად მისწერდა.

ილია კარტისა და ნარდის თამაზობა

ილია მოყვარული იყო კარტისა და ნარდის თამაზობისა.

ქალაქის თამაში მეტნაწილად კლუბში მიმდინარეობდა. ჩემს დროს თბილისში სამი კლუბი არსებობდა. ერთს სააზნაურო კლუბს ეძახდნენ, იგი გიორგი მეზრან-ბატონის სახლში იყო მოთავსებული. ამ კლუბს მეტ სახელად „ბურღუჩი კლუბს“ უწოდებდნენ. წევრებად ყველა ჯურის ხალხს იღებდნენ. არეული იყვნენ ქართველები, სომხები და რუსები. რაკი ამ კლუბს დიდძალი წევრები ჰყავდა, შემოსავალიც კარგი ჰქონდა. აკაკი წერეთელი მეტნაწილად აქ თამაზობდა კარტს, ილია კი — არა.

მეორე კლუბი უფრო არისტოკრატიული იყო და მისი წევრები უმეტესად იყვნენ რუსი ჩინოვნიკები, არა ჩინოვნიკს ნამეტნავედ კი სომხებს ძნელად ირ. ჩვენდნენ. ამ კლუბს ერქვა „Тифлисский кружок“. ილია მის წევრად ითვლებოდა, მაგრამ ქალაქის სათამაზოდ მხოლოდ იშვიათად შეივილიდა სა-

საეკლესიო მუზეუმის გახსნა ოფიციალურად ეგზარხოსმა პალატიმ დაუკავშირა დიდ ზურმს. 15 ივლისს 1888 წელს, როდესაც იდღესასწაულეს 500 წლის შესრულება რუსეთის მიერ ქრისტიანობის მიღებისა. მაგრამ ამ დროის მუზეუმის წესდება ჯერ კიდევ დამტკიცებული არ იყო რუსეთის სინოდის მიერ. მიუხედავად ამისა კრება შედგა 3 ივნისს 1888 წელს და აირჩიეს მუზეუმის კომიტეტის თავმჯდომარედ დ. ბაქრაძე, წევრებად თ. ჟორდანიას, პოლიეკტო კარბელაშვილი და იერომონახი ლეონიდა. მაგრამ ბაქრაძე ფაქტიურად თავმჯდომარის მოვალეობის შესრულებას შეუდგა 1889 წლის 24 იანვრიდან, როდესაც სინოდმა მუზეუმის წესდება დაამტკიცა. პირველი კრება გაიხსნა იმავე წლის 13 თებერვალს. კრებას დაესწრნენ გარდა თავმჯდომარისა ნ. კალისტოვი, მდივანი კომიტეტისა, და თ. ჟორდანიას. ამ კრებაზე ბაქრაძის წინადადებით წევრებად აგვირჩიეს მე და ნიკო მთვარელიშვილი, რომელიც იმ ხანად ქართული ენის მასწავლებელი იყო სათავადაზნაურო სკოლაში. მას სასულდერო აკადემია ჰქონდა დამთავრებული და საისტორიო კვლევა-ძიებას მისდევდა. სხვათა შორის მას დაწვრილა ჰქონდა საყურადღებო სტატია ანტონ I კათალიკოსის შესახებ, სინოდის კანტორის არქივის ახალი მასალების შესწავლით.

კომიტეტს მოქმედება იმით დაიწყო, რომ დ. ბაქრაძე და მე მცხეთაში წავედით და იქიდან საეკლესიო მუზეუმში ვადმოვიტანეთ მთელი კოლექცია საყურადღებო ხელნაწერებისა (საეკლესიო მუზეუმი მაშინ მოთავსებული იყო სიონის ტაძრის ეზოში), კომიტეტის მდივანად ავირჩიეთ თედო ჟორდანიას და მას ჩაბარდა ხელწერილით ეს ჩამოტანილი ხელნაწერები, რომლებიც საფუძვლად დაედო საეკლესიო მუზეუმის ბიბლიოთეკას.

შემდეგ დ. ბაქრაძე და ნ. კალისტოვი გაემგზავრენ დავით გარეჯისა და იოანე ნათლისმცემლის მონასტრებში. იქიდან ჩამოიტანეს ხელნაწერები და ნიუთები და ჩააბარეს თ. ჟორდანიას. ამის შემდეგ დ. ბაქრაძის სიცოცხლეში არც ერთი მონასტრიდან არაფერი არ ჩამოუტანიათ და არც არაფერი გამოუტანა საეკლესიო მუზეუმს. ამის მიზეზი იყო ინტრიგები დეკანოზის ესტატე ელიევისა, რომელიც თავმჯდომარეობდა სიონის ტაძართან არსებულ ლეთისმშობლის ძმობის საზოგადოებას (საეკლესიო მუზეუმი ამ ძმობის განყოფილებას შეადგენდა ოფიციალურად). ესტატე ელიევი ყურმოჭრილი ყმა იყო ყველა ეგზარხოსისა, მათი ზრახვებისა და ინტერესების თავგამოდებული დამცველი. ერთ კრებაზე მან საყვედური გამოგვიცხადა, რომ მას ყურადღებას არ ვაქცევთ, არაფერს ვეკითხებით და სხვა. ბაქრაძემ უთხრა: არ ვიცი რაში გამოიხატა ჩვენი უყურადღებობა, ჩვენ პატივისცემით გეპყრობით, როგორც ჩვენს უფროსს, ლეთისმშობლის ძმობის თავმჯდომარეს, თუ რაიმეს კარგს გვიჩვენებ, ყურადღებით მოვისმენთ და ავასრულებთო. მიუხედავად ამისა, მან ყოველი სუბსიდიის მოგვისპო, ფული არ გვაქვსო (ეს არ იყო მართალი ეგზარხოსის განკარგულებაში საკმაო თანხა იყო ყოველთვის და ძმობა იღებდა მისგან სუბსიდიას). ყველა ამ ამბავმა ცუდად იმოქმედა დ. ბაქრაძეზე და მან გადასწყვიტა უარი ეთქვა თავმჯდომარეობაზე, მაგრამ მე და ნ. მთვარელიშვილი როგორც იქნა დავაჯერეთ, რომ ეს არ ჩაედინა. ჩვენ ვეუბნებოდით: ელიევი

ყოველთვის არ იქნება ძმობის თავმჯდომარე, ფულის შესახებ ჩვენ შეგვიძლია უძისოდაც აღვძრათ შუამდგომლობა ეგზარხოსის წინაშე და სხვა. სამწუხაროდ, ამის შემდეგ დ. ბაქრაძეს დიდხანს აღარ უტოცხლია, ის მიიცვალა 10 თებერვალს, 1890 წელს. კომიტეტის თავმჯდომარედ იყო მხოლოდ ერთ წელს და შვიდ თვეს. მის მოადგილედ ეგზარხოსმა დანიშნა არქიმანდრიტი ნიკოლოზ, სრულიად უცნობი არქეოლოგიაში. მე და ნ. მთვარელიშვილი თ. ჟორდანიასთან კონფლიქტის შემდეგ ფაქტიურად ჩამოეშორდით საეკლესიო მუზეუმს.

კომიტეტი კვირაში ერთხელ იკრიბებოდა და მსჯელობდა მუზეუმის მოწყობის შესახებ. ეს მუშაობა რიგიანად მაღიოდა, მანამ ცოცხალი იყო დიმიტრი ბაქრაძე, ის შესანიშნავი ადამიანი, ქართული კულტურის კარგი მცოდნე, დამსახურებული არქეოლოგი და ისტორიკოსი.

ერთ დღეს ზაფხულში ალექსი მუსხელიშვილმა შემოსწორა წერა-კითხვის საზოგადოებას მთელი კრება ხელნაწერებისა, რომელთა შორის აღმოჩნდა ე. წ. „შატბერდის კრებული“. ამ კრებულში სხვა მნიშვნელოვან ძეგლთა შორის მოთავსებული იყო „მოქცევაჲ ქართლისაჲ“. მაშინ, მე თბილისში არ ვიყავი, ნიკო შარი მოსულიყო წერა-კითხვის საზოგადოებაში, ეს შემოწირული ხელნაწერები ენახა და აღენუსხა კატალოგში. ნ. მარას აღწერილობიდან გავიგეთ არსებობა „ქართლის მოქცევის“ მატეიანისა, რომელიც შესდგებოდა მცირე ქრონიკისა და ნინოს მიერ ქართლს გაქრისტიანებასა. ხელნაწერს ბოლო აკლდა, არც თარიღი ჰქონდა, მაგრამ პალეოგრაფიული ხასიათის მიხედვით დ. ბაქრაძემ ის მეცხრე საუკუნის ძეგლად გამოაცხადა. ამას, რასაკვირველია, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენი ისტორიოგრაფიასათვის, ვინაიდან არც ერთი ჩვენამდის მოღწეული „ქართლის ცხოვრების“ ხელნაწერი იმ ყამად შეჩვიდმეტე საუკუნეზე ადრინდელი არ იყო. სწორედ იმ დროს გამოვიდა პროფესორ პატკანოვის სტატია „ქართლის ცხოვრების“ შესახებ, სადაც იგი ამტკიცებდა, რომ ქართველებს ძველი ქართული საისტორიო ძეგლები XI—XII საუკუნემდე არა ჰქონდათ და მათი თავდაპირველი წერილობითი ისტორია, ამჟამად ლეონტი მროველის სახელით ცნობილი, სომხის ბერის მიერ არის შედგენილი. ესლა კი „შატბერდის კრებულის“ აღმოჩენით დ. ბაქრაძე და სხვები ამტკიცებდნენ, რომ მატეიანსებური ისტორიული ძეგლი უკვე მეცხრე საუკუნეში არსებობდა. ილია ჭავჭავაძე პროფესორ პატკანოვთან კამათის დროს „ქვათა ლაღადში“ ძირითადად ამას დაეყრდნო და ეს რელიეფურად აღნიშნა. ხელნაწერს სტატიები უძღვნეს ბაქრაძის გარდა თედო ჟორდანიამ, მოსე ჯანაშვილმა და პოლეოქტო კარბელაშვილმა, რომელნიც აგრეთვე ერთხმად აღნიშნავდნენ, რომ შატბერდის ხელნაწერი მეცხრე საუკუნეს ეკუთვნის.

1889 წელს ალექსი ჭიჭინაძემ მიმიპატივა სურამში იმ სათავადაზნაურო სკოლის შეგირდების რეპეტიტორად, რომელთაც სექტემბრის დამდეგს სახელმწიფო გიმნაზიაში ეგზავნენ უნდა დაეჭირათ. თავისუფალ დროს მე ვათვალიერებდი არქეოლოგიური თვალსაზრისით სურამის არემარეს. ერთ დღეს შემთხვევით სოფელ ქვემოქალაში (ხაშურის მახლობლად) მღვდელ სუხიევის სახლში აღმოვაჩინე ერთი დიდმნიშვნელოვანი ხელნაწერი, რომელიც სახარე-

ბის ტექსტს შეიცავდა. ეს ხელნაწერიც იმავე შატბერდის მონასტერში იყო გადაწერილი და იმავე მწერლის მიერ, რომელსაც გადაწერა მესხიშვილის შემოწირულა „შატბერდის კრებული“. მისი გადამწერია იოანე ბერაი. ხელნაწერს ჩვენდა სასიხარულოდ აღმოაჩნდა გარკვეული თარიღი, რომლის მიხედვით სახარება გადაწერილი აღმოჩნდა 973 წელში. ამით აშკარა გახდა, რომ „შატბერდის კრებული“ მეცხრე საუკუნეს კი არ ეკუთვნის, როგორც დ. ბაქრაძე ამტკიცებდა, არამედ — მეათეს. ამ ხელნაწერს ვუწოდებ „პარხალის სახარება“, ვინაიდან გადამწერს იგი შეეწირა ახლად მეათე საუკუნეში აშენებული პარხალის მონასტრისათვის.

იქვე მე ვნახე სხვა საყურადღებო ძეგლებიც და ყველა ამის შესახებ წავგიკითხე ნოზსენება საეკლესიო მუზეუმის კომიტეტის კრებაზე. იმის ცხადყოფამ, რომ „შატბერდის კრებული“ მეათე საუკუნეს ეკუთვნის და არა მეცხრეს, ცოტა არ იყოს მსმენელთა აღფრთოვანება შეაწვავდა. ეს ამბავი არც დ. ბაქრაძეს ესმოდა და ერთგულ ილიამაც თქვა: „ყველას ყური გამოუქვამეთ „შატბერდის კრებული“ მეცხრე საუკუნის არისო და ნამდვილად კი მეათესი ყოფილა“.

მე განვიზრახე ერთ წიგნად გამომეცა „მოქცევაჲ ქართლისაჲ“, სუბმატდაკითხის-ის „ქრონიკა ტაოკლარჯეთის ბაგრატიონთა შესახებ“ და მესხური დაჯიონის ქრონიკა. ეს განზრახვა განუცხადე დიმიტრი ბაქრაძესა და კომიტეტის წევრებს. თედო ჟორდანიას გადმოწერილი ჰქონდა „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ და ნან იმ კრებაზე, სადაც ჩემი განზრახვა გაუზიარე კომიტეტს, უჩვენა დიმიტრი ბაქრაძეს ხელნაწერში შებღალული სიტყვები და ფრაზები, რთაელიც ძნელად იკითხებოდა და ამიტომ გაუშიფრავი დაეტოვებინა თავის რეველში. მე ვუთხარი: „ზოგიერთი სიტყვები ამ ადგილებისა გავარჩიე და ისინი საერთოდ ვანუზილოთ გამოცემის დროს-მეთქი“. ჟორდანიამ მითხრა: „რაკი შენ ამის გამოცემას აპირებ, ჩემი რეველიც თან წაიღე და ხელნაწერს შეუღარეო“. მე მადლობა ვუთხარი და გამოვართვი. როდესაც ტექსტის გამოცემას შევუდექი, დიმიტრი ბაქრაძე გარდაიცვალა და ჩვენი კრებებიც შეწყდა.

1890 წელს გამოვიდა ჩემი „სამი ისტორიული ქრონიკა“, ხოლო 1891 წელს „ქართლის მოქცევაჲ“ მეორე ნაწილი „წმინდა ნინოს ცხოვრება“; ამან დიდი ინტერესი გამოიწვია ჩვენს საზოგადოებაში, ვინაიდან გამოცემათა წინასიტყვაობებში მრავალი ახალი საკითხი იყო გაშუქებული ჩვენი ისტორიულ ძეგლებისა და საისტორიო წყაროების შესახებ. მაგრამ თედო ჟორდანიამ, მოსე ჯანაშიელმა და პოლიექტორ კარბელაშვილმა ჩემს წინააღმდეგ გაზ. „ივერიაში“ მოათავსეს კრიტიკული წერილები. მოსე ჯანაშიელმა ცალკე ბროშურაში აღწუსა ჩემს მიერ გამოცემული ტექსტის „შეცდომები“, რომელიც უმეტეს ნაწილად კორექტურული ხასიათისა იყო, და დაარქვა სახელად „აღვაღვინე“. თ. ჟორდანია შეეცადა საერთოდ ჩემ მიერ გამოთქმული მოსაზრებების გაბათილებას და ამას გარდა ამტკიცებდა, თითქოს მე უციცი ვარ და წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ბიბლიოთეკის ხელნაწერთა აღწერილობის შედგენა არ შემიძლია.

წერა-კითხვის საზოგადოების ხელნაწერთა კატალოგის შედგენა მე მკონ-
 და მინდობილი გამგეობის მიერ და კიდევ დავიწყებ აღწერილო-
 ბა, მაგრამ როდესაც გაზ. „ივერიაში“ ჩემს წინააღმდეგ მკვლევარებმა აურ-
 ზაური ასტეხეს, გადავწყვიტე რუსულად შემედგინა კატალოგი, ვინაიდან
 ტექსტის დაბეჭდვის საშუალება მქონდა „პაპეჩიტელის“ ორგანოში: „Сборник
 материалов для описания местностей и племен Кавказа“. რომელსაც რედაქ-
 ტორობდა ჩემი დიდი მეგობარი, კავკასოლოგი ლევ გრიგოლას-ძე ლობატიנסკი.
 ამან ქართულ საქმეს ავნო, ვინაიდან რუსულად თარგმნა ძველი ქართული
 ტექსტებისა არც ისე ადვილი იყო, ბევრ დროს თხოულობდა, ზოგიერთ ტექს-
 ტებს თარგმნას ვერც ვერეოდი ჭეროვნად (მაგალითად „სამეფო კარის გარი-
 გების“ ტექსტის თარგმნა რუსულად მე და ნიკო მარში ერთად დავიწყეთ, მაგ-
 რამ ვერ დავასრულეთ, რადგანაც ძლივს ვერეოდით და თარგმნა ბევრ დროს
 თხოულობდა, ნ. მარს დრო არა მქონდა თბილისში დარჩენილიყო). ამას გარდა
 „სბორნიკებში“ დიდ ადგილს ვერ გვითმობდნენ. რადგანაც სხვა მასალებიც
 ბევრი იბეჭდებოდა*). ამ მოზეზების გამო ყველა ხელნაწერის აღწერა ვერ მო-
 ვასწარი. გამოვეცი მხოლოდ ორი დიდი ტომი, თითო ოთხი ნაკვეთისაგან შემ-
 დგარი. მარტო ქართულად რომ მებეჭდა, მაშინ იგი დასრულებული მეჭ-
 ნებოდა.

თედო ყორდანია ჩვეულებრივ გაკიცხვასაც არ დასჯერდა და ცილი დამ-
 წამა წერილობით, გაზეთში, ვითომც მას ჩემთვის რვეული არ უთხოვებია,
 ილია ჭავჭავაძეს ათხოვა და შემდეგ მან ჩემს სახლში შემთხვევით ნახა.

მე საპასუხო წერილი მოვათავსე გაზ. „ივერიაში“ და განვაცხადე, რომ
 მე და ბ-ნა ყორდანია გაზეთის საშუალებით ვერ გავსწორდებით, თუ თვითონ
 ბ-მა ყორდანიამ არ უპარკყო ცილისწამება-მეთქი. იმავე წერილში ვთხოვე
 ნ. მთვარელიშვილს გაზეთის საშუალებით აღენიშნა, რაც იცოდა ამ საქმის შე-
 სახებ. აი, ეს ჩემი წერილი:

„წერილი რედაქციის მიმართ

ბ-ნ თ. ყორდანიამ ჩემდა პასუხად დაბეჭდა თქვენს გაზეთში გრცე-
 ლი წერილი შემდეგის სათაურით: „რა მნიშვნელობა აქვს ჩვენს ძველს
 მწერლობას მსოფლიო მწერლობაში და როგორ უნდა შესდგეს სამეც-
 ნიერო კატალოგი ჩვენის ხელნაწერებისა“ („ივერია“ № № 229, 230, 231,
 232 და 233). ხსენებულს წერილებში ბ-ნმა ყორდანიამ ბევრი უმარ-
 თლო ბრალი დაგვდვა, ბევრი ისეთი აზრი გვაკუთვნა, რომელიც ჩვენ
 არ გვეკუთვნის და არ გამოგვიტყვამს, და კიდევ უფრო ბევრი ცილი
 დაგვწამა. ყველა ამის პასუხს თავის დროზე წარმოვუდგენ „ივერიის“
 რედაქციას. ხოლო ეხლა ვთხოულობ გადაჭირებს პასუხს ბ-ნ ყორდა-

*) ისე კი უნდა გითხრათ, რომ პირადად ჩემთვის „აღწერილობის“
 ბეჭდვა რუსულად ხელსაყრელი იყო, ვინაიდან პონორარსაც მაძლევ-
 დნენ (გვერდში, მანეთს) და 150 თუ 200 ცალ ამონაბეჭდსაც.

ნოსაგან ერთის საგნის შესახებ, რომელიც მან ყრულ და მოზნელოდ გამოთქვა და რომელშიაც მე და ბ-ნი ჟორდანიას გაზეთის საშუალებით ვერ გავსწორდებით, რასაკვირველია, თუ თვითონ ბ-ნმა ჟორდანიას უარ-არ-ჰყო ეს ცილისწამება. ეს საგანი გახლავთ შემდეგი:

როდესაც მე შევუდექი „სამის ისტორიულის ხრონიკის“ და „წმინდანინოს ცხოვრების“ გამოცემას, ბ-მა თ. ჟორდანიამ განსვენებულის დ. ბაქრაძის სახლში „საეკლესიო მუზეუმის“ გამგებობის სხდომის შემდეგ თავაზიანად გადმომცა მე თავის მიერ გადაწერილი რვეული „ქართლის მოქცევისა“, რომელიც იმ საღამოს მას დაუბრუნა დ. ბაქრაძემ. ბ-მა ჟორდანიამ ესეც დაუმატა: გადმოცემას დროს „ეს რვეული თქვენ გამოგადგებათ, რადგანაც „ქართლის მოქცევის“ ქრონიკის ტექსტი დამზადებული მქონდა და „ნინოს ცხოვრებისა“ კი არა. რამდენიმე სიტყვა ჩემს გამოცემის გეგმის შესახებაც ვთქვით იმ საღამოს. იქვე ჩვენთან იყო მაშინ ბ-ნი ნ. მთვარელიშვილი, რომელსაც ეს ამბავი უნდა ახსოვდეს. შემდეგ არა ერთხელ გვქონდა ლაპარაკი ბ-ნ ჟორდანიასთან იმავე რვეულის შეცდომების შესახებ. ზოგიერთი სიტყვები და ფრაზები მასთან ერთად გავსინჯეთ მის რვეულსა და ხელნაწერში. ერთხელ კიდევაც თითონა სთქვა: რასაკვირველია, შეცდომები იქნებაო, შეცდომას ვინ აიცილებსო (თუ რამდენად შეიძლებოდა იმ რვეულზე დამყარება და ისე გამოცემა ტექსტისა, ამას ჩემს პასუხში მოვიხსენიებ). არც ერთხელ ბ-ნს ჟორდანიას არ უსურვებია დაგვებრუნებინა მისთვის რვეული, ხოლო როდესაც შეგვხვდებოდა, გვკითხავდა, მალე გამოვა თუ არა „ქართლის მოქცევაო“. ეხლა კი ბ-ნი ჟორდანიას წერს თავის წერილში: „მაგრამ დახეთ მუხთალს შემთხვევას, ის ტყავის წიგნი მიმეფარა თვალთაგან მოულოდნელად და მოუნდომელად ჩემდა და ზედავე დამეკარგა თვით ჩემგან გადაწერილიცა რვეული „ქართლის მოქცევისა“, რომელიც მერმე შემთხვევით ვნახე ერთის ჩემის მეგობრის სახლში...“ (წერტილები თვით ნამდვილში).

ცხადია, თუ რა სურს, ამით სთქვას ბ-ნმა ჟორდანიამ, მაგრამ ისე ორიბრად არის ეს ნათქვამი, რომ ყველას შეუძლიან ამით ჩვენ ჩირქო მოგვცხოვს და ავტორსაც შეუძლიან სთქვას, აქ სრულებით თქვენ არ მყავდით სახეშიო. ამისათვის ჩვენ ვთხოვლობთ ბ-ნ ჟორდანიასაგან, ეს ადგილი თავისის წერილისა უკანვე წაიღოს, ან და გამოაცხადოს, რომ ეს ადგილი ჩვენ შესახებ არ არის დაწერილი და ჩვენ აქ მას სრულიად მხედველობაში არა ვყვებართ, და აგრეთვე მახლობელს „ივერიას“ №-ში გადაქრილი პასუხი მოგვცეს: მართალია, თუ არა, რომ რვეული „ქართლის მოქცევისა“ გვათხოვა მან თავისი ნებათ?

აგრეთვე ვთხოვთ ბ-ნს ნ. მთვარელიშვილს, გამოაცხადოს „ივერიას“ №-ში, თვით ბ. ჟორდანიამ გადმოგვცა ის რვეული დ. ბაქრაძის სახლში, თუ არა? და აგრეთვე გამოაცხადოს ისიც, მართალია, თუ არა, რომ

ჟორდანიას ამბობს, ვითომც ხრონიკა მესხური დავითინისა მას (ესე იგი ბატონს მთვარელიშვილს) გადაეწეროს და არა მე.

2 ნოემბერს 1891 წ.

ეკ. თაყაიშვილი.

ამის შემდეგ ნიკო მთვარელიშვილმა დაბეჭდა წერილი გაზ. „ივერიაში“ და დაადასტურა, რომ თ. ჟორდანიამ რვეული დიმიტრი ბაქრაძესთან მისი თანადასწრებით გადმოცა სხდომაზე. მომყავს ეს წერილიც:

წერილი რედაქციის მიმართ.

პასუხად ბ. ე. თაყაიშვილის წერილისა, რომელიც დაიბეჭდა „ივერიაში“ № 235-ში, მოკლედ ვრაცხ ჩემს თავს გამოვაცხადო შემდეგი:

ა) ერთხელ, როდესაც საეკლესიო მუზეუმის კომიტეტს კრება ჰქონდა თავმჯდომარის დ. ზ. ბაქრაძის სახლში, ამ უკანასკნელმა დაუბრუნა ბ. თ. ჟორდანიას მისგანვე გადაწერილი რვეული „ქართლის მოქცევისა“, ხოლო ბ. თ. ჟორდანიამ გარდასცა ესევე რვეული ბ. ე. თაყაიშვილს.

ბ) „მესხური დავითინის“ გადაწერა, მართალია, მიხდოდა იმ განზრახვით, რათა მსურველს ადვილად წაეკითხა ეს საყურადღებო ხელნაწერი, დავიწყე კიდეც თავილამ ამის გადაწერა და გადასწერე ოთხი ფურცელი, რომელიც შეიცავს ფსალმუნებს და თავდება გიორგი მთაწმინდელის ანდერძით. ამ დროს ბ-ნი ე. თაყაიშვილი შეუდგა სამი ისტორიული ხრონიკის დამზადებას და ჩვენ ვეთხოვა, რათა გარდაგვეცა მისთვის დედანი აღნიშნულ ხელთნაწერისა. რასაკვირველია, ჩვენ გარდაგვეცით, როგორც დედანი, აგრეთვე ჩვენგან გადაწერილი ნაწილი ფსალმუნებისა მთაწმინდელის ანდერძით. ეს ნაწილი „მესხურას დავითინის“ ბ. ე. თაყაიშვილს არ დაუბეჭდია, გარდა გიორგი მთაწმინდელის ანდერძის ნაწილისა. თვით „მესხური დავითინის ხრონიკის“, ე. ი. ისტორიული ნაწილის, გადაწერა ეკუთვნის ბ. ე. თაყაიშვილს.

გ) საქაროდ ვრაცხ, აქვე მოვიხსენო ისიც, რომ „მესხური დავითინის“ ავტორგრაფად დასახელების აზრი მე არ მეკუთვნის. ამ ხელთნაწერის შესახებ ჩვენ გვაქვს გამოთქმული შედგენილი ჩვენ მიერ „ქართველთა შორის წ.-კ. გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნსაცავის კატალოგში შენდევნი:

„... ერთი წყაროთაგანი ვახუშტის ისტორიისა“ (გვ. 54).

ნ. მთვარელიშვილი

6 ნოემბერს.

თედო ჟორდანიამ ამ წერილებს დუმილით აღარა გვერდი. ამიტომ მე გავუგზავნე ჟორდანიას ორი კაცი: ირაკლი რამიშვილი, რომელიც იმ დროს გორში მსახურობდა, მასზე უწინ კი — რუს-ოსმალთა ბირველი ომის დროს ბიძაჩემთან ვახშისტრად გურულ დრუჟინაში, და არისტო ქუთათელაძე, ჩემი ამხა-

ნაგი, ქართული ენის მასწავლებელი სათავადაზნაურო სკოლისა. მათ დავაბარე, რომ თ. ჟორდანიასათვის ვერ წინადადება მიეცათ სამედიატორო სამართალში გამოსულიყო და, თუ ამას უარყოფდა, მაშინ ეთქვათ, რომ დუელში იქვეყნდი. მეორე დღეს დილით დანიშნული პირები მისულიყვნენ მასთან იმ დროს, როდესაც ის სემინარიაში მიდიოდა გაკვეთილებზე და ამიტომ საუბარი გზაში დაეწყო; ჩემებს ეთქვათ: „თაყაიშვილი სამედიატორო სამართალში გთხოვთ გამოხვიდეთო“. მას უპასუხია: „არა სამართალი გვინდა, მე ხომ ნიკო მოვარელიშვილის წერილი არ უარმიყვიაო?“ მაშინ ჩემებს უთქვიათ: „არა, თაყაიშვილი თხოულობს, რომ თქვენ ბეჭდვითი სიტყვით უარყოთ ცილისწამება, თუ არა და მასთან დუელში უნდა გამოხვიდეთო“.

ეს ლაპარაკი გაგრძელებულიყო იქამდე, სანამ ისინი მივიდოდნენ სემინარიის კარებთან, იქ კი თედო ჟორდანია უცებ შევარდნილიყო სემინარიაში და დაეწყო ყვირილი: „მიშველეთ, ეს ორი კაცი მკლავსო!“ ხმაურზე პოლიცია მოსულიყო. ჩემს მიერ გაგზავნილ კაცებს ეთქვათ, რაშიც იყო საქმე და წამოსულიყვნენ.

ეს ამბავი შეიტყო ილიამ და გამომიგზავნა კაცი: „დღეს 3 საათზე მნახე, სახლში ვიქნებოო“. მეც დანიშნულ დროზე წავედი მასთან, მაგრამ ილია სამსახურიდან ვერ არ იყო მოსული, რამდენიმე წუთის შემდეგ მოვიდა ივანე პოლტორაკი, ნახევარი საათის შემდეგ კი — ილია. ორივე მან სადილზე შეგვიპატივა, მაგრამ სადილი არ მიჭამია, ნასადილევი ვიყავი. ნასადილევს ილიამ გაძიხმო თავის კაბინეტში და მითხრა: — „თქვენ და თ. ჟორდანიას საქმეზე უნდა მოგლაპარაკოთ. მე ძალიან ვწუხვარ, რომ თ. ჟორდანიას წერილი ჩვენს გაზეთში დაიბეჭდა, მაგრამ ხომ იცით საუბედუროდ დრო არ მაქვს, რომ გაზეთს ყოველთვის ყური ვუგდო. მე მინდა თქვენ მშვიდობიანათ მორიგდეთ ამ საქმეში. ყველას ემჯობინება სამედიატორო სამართალს მიმართოთო“.

ილია ძალიან ლობიერად მელაპარაკებოდა.

მე ვუთხარი: „მან სამედიატორო სამართალზე უარი თქვა და ამიტომ გამოეწვიე დუელში“.

ილიას გაუკვირდა: „ეგ ყოვლად შეუძლებელია, თუ მან სამედიატორო სამართალზე უარი თქვა, ეს იმას ნიშნავს, რომ თავისი თავი დანაშაულად იცნოს. არა, მაგაზე უარის თქმა არ შეუძლია! თქვენ დანიშნეთ თქვენი მედიატორები და მოითხოვეთ იმანაც დანიშნოსო“.

— „დიდი სიამოვნებით, მაგრამ არ ვიცი, ვინ დავნიშნო მედიატორად?“

— „ი, ერთ პირად ივანე პოლტორაკი დანიშნეთ, მაგაზე უკეთეს კაცს სად იშოვნით?.. და მეორე სხვა ამოირჩიეთ“.

ეს აზრი მივიღე, გავადით სასადილო ოთახში და ივანე პოლტორაკის იქვე კთხოვე, მიეღო ეს დანიშნულება. ისიც დათანხმდა. მეორე მედიატორედ მინდოდა დამენიშნა გრიგოლ ვოლსკი, ჩემი კარგი მეგობარი, მაგრამ ის ბაქოში ცხოვრობდა და მოაწერა: — „დიდი სიამოვნებით მივიღებდი შენს თხოვნას, მე აღმფოთებული ვარ თ. ჟორდანიას საქციელით, მაგრამ სამწუხაროდ დრო არა მაქვს და სამსახურს ვერ მივატოვებ მით უმეტეს, რომ ეს 2-3 დღეს



არ გათავდებოა“. მერმე იაკობ გოგებაშვილის რჩევით, მედიატორედ ჩვენი სათავად-აზნაურო სკოლის მასწავლებელი გიორგი იოსელიანი დაენიშნე (იოსელიახი ძველი მოღვაწე იყო, იაკობ გოგებაშვილისა და ნიკო ცხევედაძის ამხანაგი, რომელიც ერთხელ იაკობ გოგებაშვილისაც დაენიშნა თავის მედიატორედ, როდესაც მას სამართალში გამოეწვია ანდრია ლულაძე, საბავშუო ქურნალის გამოძეგვლა).

ილიამ, თუ რედაქციამ, არ ვიცი, ქორდანია აიძულა გამოსულიყო სამედიატორო სამართალში. მან თავის მხრით პირველ მედიატორედ გიორგი წერეთელი დანიშნა, მეორე პირად კი — ილიას მეგობარი ნიკო ხიზანიშვილი.

მე პოლტორაცკის ვუთხარი: „როგორც ვატყობ „ივერიის“ რედაქცია ჩემი წინააღმდეგია და ილია, რომელიც მოწმედაა დანიშნული, ხომ არ მიემხრობა მათ?“ მან მითხრა: „ერთ წუთს არ წარმოიდგინო, რომ საზოგადო საქმეში ილიამ მივერძობება გამოიჩინოს, ეს ყოვლად შეუძლებელია“.

შეიყარნენ ჩვენი წარმომადგენლები და თავმჯდომარედ ამოირჩიეს ნათიცი ვეჭილი ალექსანდრე ჭყონია, დიდად პატიოსანი და ცნობილი საზოგადო მოღვაწე, ისტორიკოსი, რომელმაც საყურადღებო ისტორიული ნარკვევი გამოსცა. შეკრება მოხდა საღამოთი ილიასთან კაბინეტში. დაგვიბარეს ჩვენც — მე და თ. ქორდანია. ჩვენ, რასაკვირველია, მათ ბუბას არ დაესწრებოდით. კარგა ხნის შემდეგ მიიმწყვდეს მე. მაშინ შევიტყვე, რომ გიორგი წერეთელი სასამართლოს მდივნად აერჩიათ, ილიამ უთხრა გიორგის: „აბა, ბატონო გიორგი, მოახსენე“. გიორგიმ დაიწყო თავის მპერმეტყველური ტონით: „ჩვენ ბევრი ერთობირეთ და იმ დასკვნამდე მივედი, რომ სასამართლო არ მოხდეს და თქვენ ისე მოგარიგოთ; ჩვენ გამოვიმუშავეთ წერილის ტექსტი, რომელსაც ქორდანია ვაზეთში გამოაქვეყნებს“ — და წაიკითხა: „ძალიან ვწუხვარ, რომ ბატონმა ექვთიმე თაყაიშვილმა ჩემი წერილი შეურაცყოფად მიიღო, მე სრულად არ მქონებია აზრად მისი შეურაცყოფა, არც ნიკო მთვარელიშვილის განცხადება უარმიყვია და დიდად ვწუხვარ ამის გამო“. შემდეგ გიორგიმ დაუმატა: — „შენ ჯერ ახალგაზრდა კაცი ხარ, ჩვენ ძველ მოღვაწეებს, ილიაც დამემოწმება, ამგვარი შეურაცყოფა ხშირად გავციდდია, ამიტომ გთხოვთ და ეს ყველა ჩვენგანის აზრია, ნუ გავამწვავებთ საქმეს და ასე მშვიდობით მოერიგდეთ“.

მერმე ილიამ მომმართა: „აი, რაც გიორგიმ მოგახსენათ, მე ამას უნდა დაკუმატო შემდეგო: მე ერთგვარად მეწყინება, რომელი თქვენგანიც არ გამტყუნდეს, ვინაიდან ჩვენ მაგ დარგში მომუშავე სხვა მცოდნე პირები არა გვყავს და თქვენი წაჩხუბება კი დიდ ზიანს მოუტანს საერთო საქმეს. ამიტომ უნდა დაგვდვათ პატივი და დაგვეთანხმოთ ამ წინადადებაზე“.

მე ვუთხარი: „ეს თქვენ მიერ შემუშავებული წერილის ტექსტი მთლად გერ მომხიციავს იმ ცილისწამებას, რაც ქორდანიამ დამწამა, მიჩვენია შესდგეს სასამართლო, მაგრამ რაკი ამას თქვენ თხოულობთ, თანახმა ვარ“.

მერმე მიახმეს თ. ქორდანია, რა ელაპარაკეს მას, არ ვიცი, როგორც ბოლოს მითხრეს, ის წასულიყო მოსალაპარაკებლად თავის მეუღლესთან და იქი-

დან დაბრუნებულს ეთქვა: „შე არ შემოიღია ამ პირობას დავეთანხმო, ეს ჩემი ნამდვილი გამტყუნება იქნება“.

მეორე დღესვე შესდგა სასამართლო. მე და თ. ჟორდანიას მოგვთხოვეს, რომ ჩამოგვეყალიბებია: რა ბრალდებას ვდებთ ერთმეორეს. მე განაცხადე: „რამდენიც არ უნდა წერონ ჩემს უვიცობაზე სამეცნიერო საქმეში და მკითხველნი არწმუნონ, თითქოს მე არც კითხვა ვიცი და არც რამე გამეგება ისტორია-არქეოლოგიისა, ეს მედიატორების საქმე არ არის და ამას არც ეხლა ვაქცევ ყურადღებას და არც მომავალში მივაქცევ, მხოლოდ ვამბობ, რომ ჟორდანიამ დამწამა ცილი, ვითომ მას რვეული არ უთხოვებია ჩემთვის და მე კი სახლში აღმომჩინდა. ამიტომ მოვითხოვ სასამართლოსაგან ამ ცილისწამებაზე მან პასუხი აგოს. რაც შეეხება იმის მტკიცებას, რომ მე არ ვიცი ხუცური ტექსტის კითხვა, ეს თუ თქვენ გაინტერესებთ, გთხოვთ მიანდოთ რომელიმე თქვენს წევრს, მოიწვიოს მან მცოდნე პირები, შეადაროს ჟორდანიას რვეულის ტექსტი ჩემს გამოცემასთან და აღნიშნოს, რომელს უფრო მეტი შეცდომები გვაქვს და რომელი უკეთ ვკითხულობთ ხელნაწერში წაბლალულ ადგილებს“.

ჟორდანიამ კი პირიქით გვერდი აუხვია ჩემს მთავარ ბრალდებას, თითქოს მას ჩემთვის რვეული არ უთხოვებია, და დაუმატა მას კიდევ სხვა ბრალდებები, თითქოს მე ის ჩემს პოლემიკურ წერილში უდიერად მოვიხსენე და მისი ფსევდონიმი „ვეგრი“ გავხსენი და ამით ვითომც დიდი ზიანი და შეურაცხყოფა მივაყენე ავტორს.

მერმე მოგვაწერინეს ხელი მათ შავრ შედგენილ ქალაღზე, რომ მე და ჟორდანია ვანდობთ მედიატორებს განაჩენის გამოტანას ჩვენი დავის შესახებ, რის შემდეგ ჩვენს შორის უნდა ყოველგვარი დავა მოისპოს და არასოდეს ამ საკითხებს არ დაუბრუნდეთ (ეს ხელწერილი ეხლა ჩემთან ინახება).

ამის შემდეგ მედიატორებმა დაიწყეს თავიანთი საქმე. სასამართლო, რომელსაც ესწრებოდა თითქმის მთელი თბილისის ქართველი ინტელიგენცია, ორ კვირას გაგრძელდა. პირველ სხდომაზე წაიკითხეს ვახ. „ივერიაში“ მოთავსებული ყველა პოლემიკური წერილი, მეორე სხდომაზე ჩვენ, მოივარ-მოპასუხე, გვალპარაკეს საერთოდ ყველა კითხვების შესახებ. შემდეგ სხდომებზე კი დაკითხეს მოწმეებს, რომელთა შორის იყვნენ ილია ქავჭავაძე, ნიკო მთვარელოშვილი და დავით ქუთათელაძე, რომელიც მესმარებოდა „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს გამოცემაში. მოწმეებმა ყველაფერი ჩემს სასარგებლოდ უჩვენეს. ეს რომ შენიშნა ჟორდანიამ, უკანასკნელ (მეექვსე) სხდომაზე განაცხადა, რომ ანა ჰყავს მოწმედ სათავადაზნაურო ბანკის დარაჯი, რომელმაც ეს საქმე კარგად იცის, და სასამართლოს სთხოვა მას დაკითხებოდნენ. ამაზე მედიატორები ცოტა არ იყოს გაკვირვებით შეეკითხნენ: „ეს სამეცნიერო საკითხია და რა საქმე აქვს დარაჯსო?“ და მისი თხოვნა არ დააკმაყოფილეს. მერმე მე შემეკითხნენ: „იმ ბრალდებაზე, რომ თქვენ მისი ფსევდონიმი გახსენით, რას იტყვითო?“.

მე ვუპასუხე: „ესეც ისეთივე ცილისწამებაა, როგორც მისი პირველი ბრალდება, ვინაიდან მისი ფსევდონიმი დიდი ხანია გახსნილია და ჯერ კიდევ

თვენახევის წინათ ჩვენი პოლემიკის დაწყებისა მოსე ჯანაშვილმა იხმარა იგი გახსნილი სახით თავის წერილში, რომელიც „ივერია“-ში დაბეჭდა, — და მედიატორებს ამის დასასაბუთებლად გადაეცემა გაზ. „ივერიის“ ის ნომერი, სადაც მოსე ჯანაშვილის წერილი იყო დაბეჭდილი. ამის შემდეგ მეორე თუ მესამე დღეს მედიატორებმა დაბეჭდეს გაზეთ „ივერიაში“ (1892 წ. № 27) განაჩენი, რომელიც აქვე მომყავს:

„მედიატორეთა განჩინება“

ე. ს. თაყაიშვილისა და თ. ჟორდანიას სადაო საქმის შესახებ.

1892 წელსა, თებერვლის „მ“ დღესა, ჩვენ მედიატორეთა ა. მ. ჭყონიამ, ი. ი. პოლტარაცკიმ, გ. წ. იოსელიანმა, ნ. თ. ხიზანიშვილმა და გ. ე. წერეთელმა, აღმორჩეულთა განსახილველად ბრალდებათა, რომელნიც ერთმანეთს განუცხადეს ე. ს. თაყაიშვილმა და თ. ჟორდანიამ 1891 წლის „ივერიის“ 120, 134 და 229—233-მდე ნომრებში დაბეჭდილის საპოლემიკო სტატიების გამო, განებატეთ რა საქმე საჯაროდ და მოვისმინეთ რა მოწმეთაგან ჩამორთმეული ჩვენება და ორ მხრივ გამოთქმული შედარება, დავასკვნით:

I. ჩვენ მედიატორეთა, წავიკითხეთ რა ბ-ნ თაყაიშვილის შესახებ წარმოთქმული სიტყვები (№ 233 „ივერიისა“) ჟორდანიასი: „მაგრამ დახეთ მუხთალს შემთხვევას: ის ტყაეის წიგნი მიმეფარა თვალთაგან მოულოდნელად და მიუწვდომელად ჩემდა და ზედვე დამეკარგა თვით ჩემგან ვადაწერილი რვეულიცა „ქართლის მოქცევისა“, რომელიც შემთხვევით ვნახე ერთი ჩემი მეგობრის სახლში“... (ბევრი წერტილია დასმული) დავრწმუნდით, რომ ამ სიტყვებში უწვევლად გამოსტყვივის შეურაცხყოფი დაწამება, ვითომც ბატონმა თაყაიშვილმა უკანონოდ მიიტვის ბ-ნ ჟორდანიას რვეული; მაგრამ ეს დაწამება სრულებით უსაფუძვლოა, რადგან თვით იმის ლაპარაკიდან და მოწმეების ჩვენებიდგან გამოარკვეა, რომ ბ-ნ ჟორდანიას თვითონ უთხოვებია თავისი რვეული ბ-ნ თაყაიშვილისათვის, რომელთანაც იმყოფებოდა აგრეთვე ტყაეის წიგნი. ამასთანავე ვცანით, რომ ეს დაბრალება, შესაძლებელია, ბ-ნ ჟორდანიას მოუვიდა მხოლოდ იმის გამო, რომ იგი შეცდომას მიეცა და გულმაიწყოების გამო ველიარ მოიგონა, როდის და სად გადასცა ბ-ნ თაყაიშვილს თავისი რვეული.

II. შესახებ იმ ბრალდებათა, რომელნიცა ბ-ნ ჟორდანიამ განაცხადა ბ-ნ თაყაიშვილის წინააღმდეგ, ჩვენ მედიატორეთა ასე ვსცანით:

ა. ბ-ნ თაყაიშვილის სიტყვები (№ 134 „ივერიისა“): „მე მგონია თვით ბ-ნი ჟორდანია მოხარული იქნებოდა, რომ მუხუემის წიგნები და ხელთნაწერები, რომელნიც მას აბარიან, დაწვრილებით აწერილი ყოფილიყო და ისე ჩაბარებოდა მას“, — არავითარ შეურაცყოფას არ აყენებენ ბ-ნ ჟორდანიას.

ბ. ბ-ნი თაყაიშვილის აზრი „ივერიის“ № 134 გამოთქმული, რომ წერა-კითხვის გამგეობის მიერ დანიშნულს კატალოლის შესადგენათ კო-



მისიას არ გაუკეთებია რა და ტყუილად კომისიის სახელს ატარებსო არ შეურაცყოფს ბ-ნ ჟორდანიას, რადგან თვით ბ-ნ თაყაიშვილის სტატიიდან გამოდის, რომ მას მხედველობაში არ ჰყოლია პირადათ ბ-ნი ჟორდანი.

გ. საყვედური ბ-ნ ჟორდანიასი, ბ-ნ თაყაიშვილისადმი მიმართული, რომ მან ბ-ნ ჟორდანიას ფსევდონიმი გამოაქვეყნა, უსაფუძვლო აღმონინდა, რადგან ბ-ნ თაყაიშვილზედ ადრე ფსევდონიმი გამოქვეყნებულ ყოფილა.

დ. რაიც შეეხება იმ საყვედურსა, რომლითაც ბ-ნმა ჟორდანიამ მიმართა ბ-ნ თაყაიშვილსა, რომ მან იხმარა მის შესახებ გულსატკენი სიტყვები საპოლემოკო სტატიისაში, აქ ბ-ნ თაყაიშვილს ბრალი არ ედებოდა, რადგან ამგვარივე საყვედურის კიდევ უფრო ღირსია ბ-ნი ჟორდანი.

მედიატორეთა თავმჯდომარე — ალექსანდრე ჭყონია.

ივანე პოლტორაკი

გ. იოსელიანი

მედიატორენი: ნ. ხიზანაშვილი

გ. წერეთელი.“

რაც შეეხება იმ საკითხს, თუ როგორ ვკითხულობთ მე და ჟორდანი ხელნაწერის ტექსტებს, მისი გარკვევა მინდობილი ჰქონდა გიორგი წერეთელს. მან ამის შესახებ მიიღო ყველა ზომა: მოიწვია ხელნაწერის კითხვის საუკეთესო მცოდნენი ნიკო მთვარელიშვილი და არისტო ქუთათელაძე. მე შევადგინე სია იმ სიტყვებისა და ფრაზებისა, რომლებშიც ჩემი და ჟორდანიას კითხვა განრჩეოდა. გ. წერეთელმა და მის მიერ მოწვეულმა პირებმა შეამოწმეს ღედანთან ეს სია და ამის მიხედვით გ. წერეთელმა შემდეგი დამოწმება დაწერა:

დამოწმება

1892 წელსა 27 მარტსა გავათავე შემოწმება ორნაირთა კითხვათა დედნიდან ბ. თედორე დავითის-ძისა ჟორდანიასი და შესწორება ამა დედნისა და დამატება ამოკითხვისა იმ ადგილთა, რომელნიც ბ. თ. ჟორდანიას ვერ ამოუკითხავს ქართლის ნოქციევის ესე იგი შატბერდის კრებული ხელნაწერიდან ტყავზე. თითოეული სიტყვა და ლექსთა თხზვა, ამოკითხული, როგორც ბ. თ. ჟორდანიას მიერ, აგრეთვე ბატ. ექვთიმე თაყაიშვილის მიერ, შევადარე ნამდვილს და დავრწმუნდი საკუთარის ჩემი ამოკითხვით, რომ ყველა სიტყვები და წაშლილი ესე იგი გადასული ადგილები ბატ. ექვთიმე თაყაიშვილს უფრო ზედმიწევნით წაუკითხავს და აღუდგენია, ვიდრე ბ. თედორე დავითის-ძე ჟორდანიას. ხოლო რაიცა შეეხება (წაშლილ) გადასულ ადგილებს, ბატ. ექვთიმე თაყაიშვილს წაუკითხავს ისინი მართლად, რამდენათაც თვით მე ეს გადასული ადგილები, შიგ შთაბეჭდილის ასოების მოყვანილობის ამოკითხვით დავადასტურე; ბატ. თ. ჟორდანიას კი ეს გადასული ადგილე-

ბი არ წაუკითხავს და არც უტღვია იმისი წაკითხვა. ეს ყოველივე მე მოვიმოქმედე მონდობილობისამებრ სამედიკატორო მოსამართლეთა და თანხმობით თვით მოდავე მხარეთა. არ შემძლიან არ განაცხადო ჩემი მწუხარება მასზედ, რომ ბ. თ. ჟორდანიას არშიებზე უწერია თავისი უმართლოდ აღდგენილი ტექსტი და ამით დიდი უწესობა მოუხდენია, რადგან შესაძლოა ამას მომავალნი მკვლევარნი მისის მიზეზით შეცდომაში შევიდნენ, რაიცა შეეხება თვით არშიებზე დაწერას და ხელნაწერის გაფუჭებას, ეს მიცნია მე მეტად შეუფერებელ და უმსგავსო კადნიერებათ იმ მკვლევარისა, რომელიც თვით ბნელისა შინა ვალს და სხვაც უნდა ბნელსა შინა ატაროს, თვით დედანი გადაწერილი ბატ. თ. ჟორდანიას მიერ, რვეულად ცნობილი, გადაფურცლე და ყოველივე თავის ალაგას, ფურცელი გამოუკლებლათ იყო და ამგვარის დამოწმებით გამოვართვი ბატ. თაყაიშვილს და ჩავაბარე ბ. ჟორდანიას რწმუნებულს კაცს, ბატ. გრიგოლ ყიფშიძეს. ბ. თ. ჟორდანიას რვეულში წმინდა ნინოს ცხოვრების ნაწილში ფურცლების გვერდებზე და შიგ ჯა შიგ შესწორებული სატყვები ეკუთვნის დავით ვასილის-ძე ქუთათელაძეს, რასაც შინა ხელს ვაწერ გიორგი ექვთიმეს-ძე წერეთელი.

ბ. რვეულში ას თერთმეტი გვერდია, რომელთაგან ას ცხრაზე უნის გვერდის აღმნიშვნელი ციფრები თ. ჟორდანიას ხელით დასმული. გ. წერეთელი“.

დამოწმებას თან ახლავს ჩემს მიერ პარალელურად შედგენილი სია 143 სიტყვისა, თუ როგორ ვკითხულობთ ამ სიტყვებს მე და როგორ კითხულობს ჟორდანიას ამ სიის ბოლო მე-8 გვერდზე გიორგი წერეთელი სწერს:

„ამ სიტყვებში ხუთი სიტყვა ეპოვე ეფ. თაყაიშვილის მიერ უმართლოდ წაკითხული და ორი სიტყვაც საეჭვოდ, დანარჩენი სიტყვები ყველა მართლად წაკითხულ არს მის მიერ, ხოლო თ. ჟორდანიას მიერ უმართლოდ“.

გიორგი ექვთიმეს-ძე წერეთელი

1892 წელსა 27 მარტს.

იმ ადგილებს და ფრაზებს, რომელიც ჟორდანიას ვერ წაუკითხავს და გამოუწვია გიორგი წერეთელის ხელით გვერდებზე უწერია: „გამოწმებულია. გ. წერეთელი“.

ამას გარდა მე შევადგინე ცალკე ქაღალდებზე სია 125 სიტყვისა, რომელსაც მე და ჟორდანიას ერთგვარად ვკითხულობთ. ამ სიის ბოლოს გ. წერეთელი წერს: „სულ ყველა ეს სიტყვები ბატ. ექვთიმე თაყაიშვილს და თ. ჟორდანიას რვეულში ერთნაირად ეპოვე წაკითხული. გ. წერეთელი 27 მარტს 1892 წელს“.

ეს სიები გიორგი წერეთლის დამოწმებასთან ერთად ჩემს პირად არქივში ჩანება.

მანამ გიორგი წერეთელი ამ შედარებას დაამთავრებდა თედო ჟორდანიამ 1892 წლის შეიღ თებერვალს მიმართა თბილისის ნოტარიუს დავით ყიფიანს განცხადებით, რომ ეჭვითივე თაყაიშვილს აქვს ჩემი რვეული, რომელშიც გადამოწერილი მაქვს „ქართლის მოქცევის“ ქრონიკა მეათე საუკუნის ხელთაწერიდან, და უსათუოდ ამ თვის მ-ს 12 საათამდის დამიბრუნოს.

ამის საპასუხოდ მე მივსწერე იმავე ნოტარიუსს.

„ჟორდანიას მომართვა ჩემდამი უპატიოსნებად მიმაჩნია ვინაიდან მან კარგად იცის, რომ ეს რვეული გადაცემული აქვს გიორგი ეჭვითმეს-მე წერეთელს, რომელმაც ჟორდანიას რვეულის ტექსტი უნდა შეადაროს ჩემს გამოცემულ ტექსტს და აღნიშნოს, ვინ რა შეცდომას დაუშვებს ტექსტის წაკითხვაში. ამიტომ ჟორდანიას მისთვის უნდა მიემართნა და არა ჩემთვის“.

როგორც გიორგი წერეთლის „დამოწმებაშია“ მოხსენებული, ჟორდანიამ ეს რვეული დაიბრუნა თავისი რწმუნებულის — გრიგოლ ყიფშიძის ხელით.

ჩემი სიმაართლის კადვე ერთხელ დასამტკიცებლად ჩემი და ჟორდანიას მიერ სხვადასხვანაირად წაკითხული სიტყვების სია უნდა დამებეჭდა გაზეთ „ვერიაში“, რის გამოც იგი გრიგოლ ყიფშიძეს მიეუტანე, მაგრამ მან მითხრა: „დაეციოთ ხელი ილიას, ჩვენ უარს ვერ ვიტყვით გამოქვეყნებაზე, ვინაიდან ეს მეორე ნაწილია იმისა, რაც სამედიატორო სასამართლოს ჰქონდა დავალებული“, მაგრამ მეორე დღეს ეს სია ილიას წაკითხა და ეთქვა: „ჩემს მაგიერად სთხოვეთ ეჭვითივე თაყაიშვილს, თუ შეიძლება ნუ გამოაქვეყნებს მას, ისიც ეყოფა, რაც ჟორდანიას თავის უგუნურებით მოუვალა, და, რაკი იგი ეხლა მუშაობს სხვა მასალების გამოქვეყნებაზე, ხელს ნუ შეეშლითო“. მეც აღარ დავბეჭდე ეს სია, თუმცა გიორგი წერეთელმა მომცა წინადადება: „თუ გნებავს ცალკე ბროშურად გამოეცი, ეს ხელმოწერილი სია და „კვალის“ ხელმოწერალებს ჩემ გაზეთთან ერთად დავუბრუნებო“, მაგრამ ეს უხერხულად ესცანი, ვინაიდან ილიას თხოვნას ეწინააღმდეგებოდა.

ასე დამთავრდა ჩემი და ჟორდანიას პოლემიკა და, თუ აქ საჭიროდ დავინახებ მცირედ შევხებოდი ამ ამბავს, ეს იმიტომ, რომ დაკავშირებული იყო დიდ ილიასთან, რომელიც შევხებულად ჩაერია ჩვენს კონფლიქტში და აიძულათ, ჟორდანიას სამედიატორო სამართალში გამოსულიყო. თუ ილია არ იქნებოდა, შესაძლოა ეს საქმე ცუდად დამთავრებულყო როგორც ჩემთვის, ისე თედო ჟორდანიასათვის.

ილიანათმის იუბილეზე გადახდის განცხადება

90-იან წლებში ქართულმა საზოგადოებამ დაიწყო პოეტებისა და მოღვაწეების იუბილეთა გადახდა. პირველი ასეთი იუბილე მოუწყვეს რაფიელ ერისთავს, რომლის ლექსებს, მეტადრე ბოლო ხანისას, ხალხური ლექსების სტილით დაწერდა, დიდი სახელი ჰქონდა ნოზვევილა ქართულ საზოგადოებაში. ამ იუბილეში მთელმა საქართველომ მიიღო მონაწილეობა. ყველა ქართული დაწესებულებასაგან გამოვსაენილი იყო დებუტატები. იუბილარს ბევრი საჩუქრები შეუგროვეს.



იუბილე გადაიხადეს ბანკის „ქარავან სარაის“ თეატრში, სასახლის ტერიტორიაზე. იუბილარი წამოიყვანეს მისი ბინიდან ეტლით ი. ქავჭავაძემ და აკაკი წერეთელმა და თეატრის დარბაზში მოიყვანეს. ეტლში სამი კაცი უნდა მოთავსებულიყო. თვითონ იუბილარი და ორი ჩვენი გამოჩენილი პოეტი. იუბილარი დასვეს თავსაჯდომზე, მაგრამ მასთან დაჯდომა აკაკიმ ილიას შესთავაზა, ილიამ კი — აკაკის, ამ პატივში ილია და აკაკი ვერ შეთანხმდნენ და ორივე წინა სკამზე დასხდნენ, რადგან იუბილართან დაჯდომა გულასხმობდა უფრო დიდ პოეტად აღიარებას თავის თავისას, ეს კი არც ერთმა არ ინება. თეატრში რ. ერისთავს ისინი აქეთ-იქიდან მოუსხდნენ. დაიწყო დაწესებულებათა წარმოშადგენლების მოლოცვები და სიტყვები, იუბილემ გასტანა შუადღიდან საღამოს 6 საათამდე. საღამოთი კი იმავე დარბაზში ეახსნა გაცხუბადეს, დიდა მზიარულება, ცეკვა და სიმღერები იყო.

შემდეგ იუბილეს გადახდის რიგი ილიაზე მიდგა, მაგრამ ილია ამაზე უარს ამბობდა თავმდაბლობის გამო: „იუბილე ერთგვარი ყვენობაა“, მაგრამ ეტყობოდა ზოლოს და ზოლოს თანახმა ხდებოდა.

1897 წლის ნოემბერში ქართველმა საზოგადოებამ გადაწყვიტა, რომ ილიასთვის 9 აპრილს 1898 წელს გაემართათ 40 წლის სამწერლო მოღვაწეობის იუბილე, არჩეული იყო საიუბილეო კომიტეტი. დაიწყო კადეც საჩუქრების შეგროვება, ზოგიერთ საჩუქარს წინდაწინვე „ივერიის“ რედაქციაში აგზავნიდნენ; ილიამ ეს უხერხულად ჩათვალა, რას გამოც საიუბილეო კომისიამ საჩუქრების მოგროვება წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში გადაიტანა. სამწუხაროდ, ეს იუბილე ვერ მოეწყო, რადგანაც მთავრობამ ნება არ დართო (არ ვიცი, საიუბილეო კომისიას ოფიციალურად მოსწერეს ეს უარი, თუ წინდაწინ ვააფრთხილეს კერძო მოლაპარაკების დროს, რომ სჯობს ნუ ითხოვთ იუბილეს, უსათუოდ უარს მიიღებთო. მგონი ასეც იყო, ოფიციალურად კომისიას იუბილეს გამართვის ნება არც უთხოვნია მთავრობისაგან).

მე როდესაც სათავად-აზნაურო გიმნაზიაში ვმასწავლებლობდი და შემდეგ გამგედ ვიყავი, სისტემატურად ვმართავდი სალიტერატურო საღამოებს, სადაც ჩვენი შეგარდები კითხულობდნენ ქართველი პოეტების ლექსებსა და მოთხრობებს, მღეროდნენ ქართულ ხალხურ სიმღერებს და უკრავდნენ სხვადასხვა საკრავებზე: ვიოლინოზე, ვიოლონჩელზე და სხვა. საღამოების მოწყობა მარტო პედაგოგიური საბჭოს ინიციატივას შეადგენდა და ამაში სრულიად არ ერეოდნენ სკოლის კომიტეტის წევრები, ჩვენ მათ არც არაფერს ვკითხვდით, მხოლოდ ვიწვევდით მათ, როგორც სტუმრებს, მოსაწვევი ბარათებით.

მე განვიზრახე ერთი ასეთი საღამო სპეციალურად ი. ქავჭავაძის პატივსაცემად მოგვეწყო და მისი პროგრამა ილიას სხვადასხვა ლექსებისა და მოთხრობების მიხედვით შეგვედგინა. ეს განზრახვა პედაგოგიურ საბჭოს მოვახსენე და ვთხოვე, რომ იგი საიდუმლოდ შეენახა: არც კომიტეტის წევრებს სცოდნოდათ და არც თვით ილიას, თუ ეს საღამო ვის პატივსაცემად ეწყობოდა. ამის მიზეზი ჯერ ერთი ის იყო, რომ ვინმეს პატივსაცემად სალიტერატურო საღამოს მოწყობის ნებართვა ოფიციალურად უნდა მოგვეთხოვა კავკასიის მსრუწველისაგან. მეორე, შეიძლება ილია არც დათანხმებულიყო

და არც დასწრებოდა იმ საღამოს. მართლაც ეს განზრახვა ისე საიდუმლოდ იქნა შენახული, რომ საღამოს გახსნამდე არავის შეუტყვია, რომ ყოველივე ეს ილიას საბატვისსაცემოდ იყო მოწყობილი. ქართველი მწერლები და კომიტეტის წევრები ყველა მოვიწვიეთ.

საღამომ მეტად დიდებულად ჩაიარა, ბავშვები შესანიშნავად იყვნენ მომზადებულნი და მშვენიერის დეკლამაციითა და არტისტული ხელოვნებით კითხულობდნენ ილიას ლექსებს და მისი პოემების ნაწყვეტებს. პროგრამაში სხვა მწერლების ნაწარმოებებაც საკმაოდ იყო შეტანილი. დეკლამაციას მოჰყვა სიმღერები ზაქარია ჩხიკვაძის ლოტბარობით და მუსიკალური განყოფილება ვიოლინოზე, ვილონჩელზე და სხვა ინსტრუმენტებზე დაკვრით ზაქარია ფალიაშვილის ხელმძღვანელობით, რომელიც ჩვენს სკოლაში მუსიკის მასწავლებელი იყო. ილია აღტაცებით ეგებებოდა თვითველ შეგირდის გამოსვლას, ტანს უკრავდა და თავის განცვიფრებას მეგობრებს უზიარებდა. საღამო რომ გაიყვანა, ილია, მისი მეგობრები და ნაწილი ჩვენი ინტელიგენციისა მივიწვიეთ პატარა სერობაზე იმავე დარბაზში, სადაც საღამო-კონცერტი იყო გამართული. ამ სერობამაც მზიარულად და კარგად ჩაიარა, ხოლო ბოლოს ილიამ დიდი ქება შეასხა ნიკო ცხვედაძეს. ეტყობოდა ილიას ეგონა, რომ ეს საღამო ნიკო ცხვედაძის განზრახვითა და ინიციატივით იყო მოწყობილი, პედაგოგიური საბჭო კი სრულიად არ მოუხსენებია. ილია, ცხვედაძის ჩაგონებით, დავერებულე იყო, თითქოს სათავადანსაურო სკოლის მასწავლებლები და გამგე ალექსი ჭიჭინაძე, რომელიც დიდ კონფლიქტში იყო ნიკო ცხვედაძესთან, „ბანკოვიადის“ დროს მაჩაბლის მომხრე იყვნენ და არა ილიასი; ნამდვილად კი ყველა ესენი ნეიტრალიტეტს იცავდნენ. მხოლოდ ერთადერთი მასწავლებელი მოსამზადებელი კლასისა ალექსანდრე ნათაძე დიდი მომხრე იყო მაჩაბლისა და ამჟამა პროპაგანდასაც ეწეოდა ქართლში მის სასარგებლოდ. ამ ერთი მასწავლებლის საქციელი ილიამ ყველა მასწავლებლებზე გადაიტანა და ერთს თავის სიტყვაში ოსტატურად გამოუჩინა: პროპაგანდას ჩემს წინააღმდეგ თავად-აზნაურობის სკოლის ოსტატებიც ეწეოდნენო. მერმე, როდესაც ალექსი ჭიჭინაძე აიძულეს თავი დაენებებია სკოლისათვის, ჩვენ გვეგონა ილიამ შეიცვალა ეს აზრი და უკვე კარგ დამოკიდებულებაშია ჩვენს მასწავლებლებთან. ამას ისიც გვაფიქრებინებდა, რომ როდესაც მე ამირჩიეს სკოლის გამგედ, გაზეთ „ივერიის“ ერთ-ერთმა აქტიურმა თანამშრომელმა „მეველემ“ (დ. მიქელაძემ) ქება შემასხა და სხვათაშორის მოიხსენია, რომ — „ბანკოვიადის“ დროს მე ნეიტრალიტეტს ვიცავდი. მაგრამ, როგორც ჩანს, ირკვეოდა, რომ ილია ისევ ემდუროდა ჩვენს მასწავლებლებს. ასე, რომ მან ვერ გაიგო ამ საღამო-კონცერტის მოწყობის ინიციატორი ვინ იყო. შემდეგში ელენე ჭაბადარმა ილიას ყველაფერი უამბო დაწვრილებით: „საღამო პედაგოგიურმა საბჭომ და მისმა ხელმძღვანელმა სპეციალურად შენ მოგიწყვესო, — ეთქვა მას, — ამით მათ შენი იუბილე თავისებურად ჩაატარეს და იმის მაგიერ, რომ პედაგოგიური საბჭოსთვის გეოქვა მადლობა, შენ შეასხი ქება ცხვედაძეს, რომელსაც არაერთი მონაწილეობა არ მიუღია ამ საღამოს მოწყობაში. ვანშამიც პედაგოგიური წევრების ხარჯით იყო გამართულიო“.



ილიას სწყენოდა ეს ამბავი და დიდი საყვედური ეთქვა ელენე ჯაბადარისათვის: „არ მოკლოდი შენგან, თუ ამ საქმეს დამიმაღლდი“.

ჯაბადარს ეპასუხნა: „მე რა შუაში ვარ? რაც გამგემ დამაველა, ის ავისრულე, რომ შეთქვა ეს შენთვის, შენ შეიძლება არც კი დასწრებოდი სალამოს“.

— ეს მართალია, — ილიას ეთქვა, — მაგრამ მე ჩემდა უნებლიეთ უხერხულ მდგომარეობაში ჩავევარდი. უსათუოდ ვეასლები გამგეს. ბოდის მოვიბდი და დავარწმუნებ, თუ როგორ ვაფასებ ჩემდამი მისსა და პედაგოგიური საბჭოს ამ გამოუთქმელ პატივისცემას. ხვალ დალით საგურამოში მივდივარ და იქიდან რომ დავბრუნდები, უსათუოდ ვინახულებ გიმნაზიის გამგეს“.

ელენე ჯაბადარს ეთქვა: „სალამოს თუ სახლში იქნები, მე ვეტყევი მან შემოიაროს შენთან“.

— ეს რასაკვირველია კარგია, მაგრამ ჩემთვის უხერხულია ამისი თხოვნა და, თუ შენი მხრით ურჩევ და სალამოს მ საათზე ჩემთან შემოვა, დიდად მონახული ვიქნები“.

როცა ეს ამბავი ელენემ გადმომცა და მითხრა, რომ ილია დიდად შეწუხებულია და კარგს იზამ, თუ წახვალ და დაამშვიდებო, მეც წავედი ილიასთან. მან დიდა თანაგრძნობით მიმილო და მითხრა:

„არ ვიცი, დამიჭერებთ თუ არა, მაგრამ გულწრფელად მოგახსენებთ: მე თავას დღეში ისეთი სიამოვნება არ განმიცდია, როგორც იმ სალამოს. მე მარტო მამის ვიგრძენი, თუ რა გამიყვებოდა და რა დამიწერია. ვერ წარმოვიდგინდი, თუ თქვენი შეგირდები ასე შესანიშნავად და ნიჭიერად შეითვისებდნენ ჩემს ნაწერებს.“

ჩემი ნაწერების კითხვა ბევრისაგან მომისმენია, მაგრამ ისეთი შეგნებით და ექსტრემულით არაფერს წაუკითხავს, როგორც თქვენს ახალგაზრდობას. ვწუხვარ, რომ პედაგოგიურ საბჭოს მადლობა ვერ გადავუხადე. თქვენ მართალი ხართ: რომ ჩემთვის წინდაწინ ვაგემხილათ სალამოს მიზანი და პროგრამა, მე არ დავესწრებოდი, რადგანაც შეიძლება ჩემი დასწრებით რაიმე ხიფათი მოსვლოდა ჩვენს გიმნაზიას, რომელზედაც, კარგად ვიცი, მთავრობა კბილებს ილესავს. პედაგოგიურ საბჭოს ჩემ მაგიერ დიდი მადლობა გადაეცით და ბოდისში მოწახლდეთ, რომ იმ სალამოთი თქვენი მასწავლებლების ამაგი ვერ შეეცდეს“.

მე ვუთხარი: — ჩვენ გვინდოდა ამ სალამოთი თქვენთვის გვეჩვენებინა, თუ როგორ შეითვისა ჩვენმა ახალგაზრდობამ თქვენი ნაწარმოებები, რა სიყვარულითა და გრძნობით ეპყრობიან თქვენს ნაწარმოებებს. ჩვენ ამით შეძლებისდაგვარად თქვენი იუბილე გადავიხადეთ. ამაზე მეტი ვერ შეეძლოთ და, თუ რაიმე ნაკლი შეამჩნიეთ, ეს გავვიზიარეთ, რომ შემდეგში შევასწოროთ“.

ილიამ თქვა: „მერწმუნეთ, რომ მათ გამოთქმაში, ნაწარმოების გაგებასა და შეთვისებაში შენიშვნის შეტანა, ან რაიმე ნაკლის აღბეჭდვა არ შეიძლება. მე გამოუთქმელად ვაფასებ თქვენს პატივისცემას და კიდევ ვიმეორებ: ჩემს დღეში ასეთი სიამოვნება არ განმიცდია. რასაც ეხლა თქვენ გეუბნებით, ყველა ეს იქ დამსწრე მეგობრებს გავუზიარე“.

„ბეკა და ალბუღა
 არტალას არ ჩააყოლოა“.

ნიკო ხიზანიშვილი მისი მეუღლითა, მსახიობ ელისაბედ ჩერქეზიშვილი-თა, და შეიღებით ილიასთან ხშირად იყო სადილად. ზოგჯერ მათ რუსული „გარმონიკა“ მოჰქონდათ, ნასადილეც დაუქრავდნენ და ბავშვებს აცეკვებდნენ. თუ ელენე ჯაბადარი ასეთ სადილს ესწრებოდა, „გარმონიკის“ ხმას ვერ იტანდა, თითქოს გული უწუხდებოდა. ის მუსიკის მოყვარული იყო და შორღებოდა „კამპანისა“.

დეკუმბრია მიფინასცვალ ვორონოვთან*

1905 წლის მანიფესტის გამოცხადების წინ, როგორც ცნობილია, გურიის საქმე დიდად გართულდა. მეფისნაცვალმა ვორონოვ-დაშკოვმა აღიხანოვის

* 1905 წლის რევოლუციის პერიოდის გურიის გლეხთა აჯანყება, რომელსაც საღვთო გლეხთა რევოლუციური კომიტეტებმა უღწნენ. დიდი მნიშვნელობის მოვლენა იყო. გლეხთა გლეხთა თავდღეული ბრძოლა აისახული ჩელისუფლებას წინააღმდეგ საერთო რევოლუციური ატეკიების თვალსაზრისით ნაწილი იყო და პარტიის კურალდების ცენტრში იდგა. მისი სიბრძნული წარმართვისათვის ზრუნავდნენ დიდი ბელადები ლენინი და სტალინი.

ვ. თ. ლენინი პარტიის III ყრილობაზე 19/IV (2/V) (1905 წ.) აღნიშნავდა: „რევოლუციური მოძრაობისათვის მხარდაჭერის საკითხი, შეიძლება, ითქვას, ორად იყოფა: 1) თვითღილი სა-ფუძვლება და 2) პარტიის პრაქტიკული გამოცდილება. ამ უკანასკნელ საკითხზე პასუხს ზოგჯერ მთავრად მომხსენებელი ანხ. ზარსოვი, რომელიც საუცხოვოდ იცნობს ყველაზე მოწინავე გლეხურ მოძრაობას—„გურიაში“ (ლენინი, თხზ. ტ. 8, IV გამოც. გვ. 471, ხაზგასმამ ჩუხია).

შემდეგ ლენინი დამსწრეთ მოაგონებდა, რომ „ეს მოძრაობა ჩვენ თვალწინ ფართოვდება და იზრდება. მთავრობა კვლავ მიმართავს ძველებურ ცდებს მოატყუოს გლეხები ცრუ დემოკრატიათ. საჭიროა გარყვინის ამ პოლიტიკას დაუპირდაპირით ჩვენ პარტიის ლიზნუგა“ (იქვე, გვ. 471—472).

პარტიის III ყრილობამ მიიღო ლენინის მიერ შედგენილი „პროექტი რევოლუციისა კავკასიის აშხების შესახებ“ რომელშიც მთელი 4 მუხლი აღფრთოვანებით ლაპარაკობს კავკასიის აშხებზე. ამ პირველ რიგში მხედველობაშია გურიის აჯანყება (იხილე ლენინის თხზ. ტ. 8, გვ. 497); ამავე რევოლუციის პროექტში ყრილობა მსურველ საღამს უთვლის „კავკასიის გმირ პროლეტარიატსა და გლეხობას“ და, სხვა ღონისძიებითა შორის, პარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და ადგილობრივ კომიტეტებს ავალებს ენერგიული ზომების მიღებას „აშხ-მარების დროზე გასწეველ შეიარაღებული ძალით“ (იქვე, გვ. 497—498).

ლიბერალური წრეების მიერ წამოყენებული შერეების პოლიტიკას, რომელიც მთავრობის წაქეზებითა და მხარდაჭერით სარგებლობდა, მკვეთრი წინააღმდეგი იყო ამხანაგი სტალინი, რომელიც იმ ხანებში წერდა:

„ალყამემორტოული მეფის თვითმყრობელობა გველივით იცვლის ძველ კანს, და, მამონ როცა უქმაროვნი რუსეთი გადაწყვეტენ იერიშისთვის ემზადება, იგი ტოვებს (ვითომდა ტოვებს) თავის მათარასს და, ცხერის ქურჭში გამოყოფილი, აცხადებს „შერეების პოლიტიკას“ და მოწოდების დროს, რომ შერი ვიძითთ სახელოვანი ამხანაგებისათვის, ჩამოთვლის აჯანყების კერებს მთელი რუსეთის მასშტაბით, რომელთა შორის გურისაც. ასახელებს (ი. ბ. სტალინი, თხზ. ტ. I გვ. 74—76. ხაზგასმამ ავტორისა).

ერთ-ერთ ბროკლიამიციში, აანალიზებს რა შექმნილ ვითარებას. ამხანაგი სტალინი ასკენის: „დიახ, ამხანაგებო, ჩვენ პარტიის პირდაპირი მოვალეობაა აჯანყება მოწოდება—ი რა გვიჩვენა ამ ორი—სამი თვის ისტორიამ“ („ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების პროკლამაციები 1904—1907 წ.“ გვ. 126, ხაზგასმამ ავტორისა).

ჯარი გაგზავნა გურიის დასასჯელად. ეგ რომ ჩვენ შევიტყეთ, თავჯარი დაგვეცა, რადგანაც გურიას განადგურება ელოდა. შეიკრიბა მთელი ინტელიგენცია, ყველა პარტიების წარმომადგენლები, სამღვდელოება და გადასწყვიტეს დეპუტაცია გაეგზავნათ ევრონცოვთან და ეთხოვნათ მისთვის, რომ დამსჯელი რაზმი უკან დაებრუნებია. დეპუტატები ამოირჩიეს ილიას მეთაურობით, რომელსაც უნდა ევრონცოვი დაერწმუნებია, რომ გურია დამშვიდდება და აღარავითარ წინააღმდეგობას არ გაუწყვეს მთავრობას. წავიდა ილია დეპუტაციით. დიდი ბოლშევიკებისა და თხოვნის შემდეგ დაითანხმეს ევრონცოვი. მან ალიხანოვი სამტრედიიდან დააბრუნა უკან. მაგრამ ამის შემდეგ არ გასულა ერთი თვე, რომ გურული რევოლუციონერები ნასაკარაღზე თავს დაესხნენ ერთ როტა რუსის ჯარის და სანახევროდ ამოსწყვიტეს. მთავრობამ ეხლა უფრო გაძლიერებული ჯარით გაგზავნა ალიხანოვი, რომელსაც გრიახნოვის კარნახით ასეთი ინსტრუქცია ნისცეს: საღვურ ნატანებიდან დაწყებული შვიდ ვერსზე ყოველ მხრივ ოზურგეთამდის და შემდეგ ოზურგეთის ზემოთაც მთელი სოფლები მოესპოთ, სახლები გადაეხევათ და მცხოვრებნი დაეპატიმრებინათ.

ქართველი ინტელიგენტები ხელმეორედ შევიკრიბეთ დავით სარაჯიშვილის ბინაზე. ილიაც მოვიდა, შეიქნა ბასი, თუ რა ზომა მიგველო, როგორ მოვექცეულიყავით, რომ გურია დაღუპვას გადაგვერჩინა. სხვა საშუალება არაფერი იყო, ხელმეორედ უნდა გაგვეგზავნა დეპუტაცია ევრონცოვთან და გვეთხოვა დაბრუნება ალიხანოვის დამსჯელი რაზმისა. დაიწყეს დეპუტატების დასახელება პირველად დაასახელეს ილია ჭავჭავაძე, მაგრამ ილიამ განაცხადა: „ნემი წასვლა ევრონცოვთან არ ივარგებს, რადგან ამ ცოტა ხნის წინათ ვარ-

რუსეთისა და საქართველოს გლეხთა მოძრაობის რევოლუციურ აღმავლობაზე, მათ დამშვიდობაზე მოუთხოვეს მეორე პროკლამაცია — „მისხრევა ბორცილები“ (იქვე გვ. 119).

1902 წელს მისში რ. ს.-დ. შ. პ. კეკელიძის კემშირმა 70 ითას ცალად გამოუშვა სპეციალური მოწოდება—პროკლამაცია—„გურიის გლეხებს“. ასევე, 1904 წელს გამოცემულ ბროშურაშიც — „გლეხთა მოძრაობა გურიაში“—აღნიშნულია, რომ გურიის გლეხთა ბრძოლას სათავეში ედგნენ სოციალ-დემოკრატიული წრეები.

გურის გლეხთა აჯანყებას გამოეხიზა რევოლუციური ვაჟეთი „ვეპერიოდი“, რომელმაც ითავის 1905 წ. 10 მარტის მე-11 ნომერში მოათავსა მთარაილი კორესპონდენცია.

ამხანაგი ლ. პ. ბერია თაქს ისტორიულ ნაშრომში „ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“—წერს: „საქართველოს მთელ რიგ რაიონებში (ოზურგეთის, ზუგდიდის, სენაკის, გორის, დუშეთის, თბილისის და თელავის მაზრები), განსაკუთრებით ეურიაში (ოზურგეთის მაზრა), გლეხთა დიდი შეიარაღებული აჯანყებები ხდებოდა. გლეხთა რევოლუციური კომიტეტები—რევოლუციური გლეხობის შეიარაღებული აჯანყების ორგანიზატორები—ახორციელებდნენ შემამულეთა მიწების ხელში ჩაგდებას, ყოველგვარი გადასახადების გაუქმებას; შემამულეთა, სამღვდელეობების და მთავრობის დაწესებულებათა ბოიკოტს.“ (ლ. ბერია—„ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“, 1949 წ. გვ. 56).

ასეთია მდგომარეობა და შეფასება გურიის რევოლუციური მოძრაობისა ბოლშევიკური ორგანიზაციებისა და მათი ხელმძღვანელების მიერ. ცხადია, პერიციებისა და დეპუტაციების ის მეთოდი, რომლის შესახებაც ივანეს ჯე. თაყაიშვილი, არსებითად არ ეთანხმებოდა ნამდვილ რევოლუციურ გზას და თავისებურად ხელს უწყობდა მეფის მთავრობასთან ხალხის „შერთხების“ თვითმყრობელურ პოლიტიკას, რაც ნათელია თვით ევრონცოვის თანხმობითაც — გაგზავნა დეპუტაცია გურიაში (იხ. მოგონებანი, გვ. 37—39).

წმუნებდით, რომ გურულები მთავრობას აღარავითარ წინააღმდეგობას გაუწევენ“. დეპუტაციაში ამოირჩიეს: ქალაქის თავი ალექსანდრე ჩერქეზი-შვილი, დავით სარაჯიშვილი, ელადიმერ მიქელაძე, ებსეკაბოსი გიორგი ალადაშვილი, ბიძა აწ განსვენებული აკადემიკოსის დოქტორ ალადაშვილსა, სტეფანე პრელაშვილი, მე და კიდევ რამოდენიმე სხვა. დეპუტაცია უნდა წარედგინა ნამესტნიკისათვის საშეკო ორბელიანს, რომელიც მაშინ თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა წინამძღოლი იყო. მიგვიღო ვორონცოვმა თავის კაბინეტში. ოვითონ ვორონცოვი პატარა დივანზე იჯდა. მან თავისთან დაისვა ჩვენი წინამძღოლი ორბელიანი, ჩვენ კი ირგვლივ შემოვუსხედით სკამებზე; ჩვენს უკან იდგა ვორონცოვის სამხედრო ნაწილის გამგე შირინკინი. ჩერქეზი-შვილმა მას მოახსენა ჩვენი თხოვნა, დიდხანს ელაპარაკეს აგრეთვე ელადიმერ მიქელაძემ და დეპუტაციის სხვა წევრებმაც. ვორონცოვი დამშვიდებულად და დინჯად იჯდა ჩვენს წინ და ყურადღებით უსმენდა ყველას, ხელში შავი გიმირის კრიალოსანი ეჭირა და მას ათამაშებდა. ბოლოს მან პასუხად გვითხრა: „თქვენ ამბობთ, რომ გურულები არ არიან რუსეთის მთავრობის წინააღმდეგი, მაგრამ ეს საიდან სჩანს? ჯერ ერთი, სამი წელიწადია სახელმწიფო გადასახადი არ შემოუტანიათ, მაზრის უფროსი გააძევეს, რუსის პოლიცია მოხსნეს, სამომრიგებლო სასამართლო გააუქმეს, საკუთარი სასამართლო გაიჩინეს. ესეც არ იკმარეს და ახლა სამხედრო ჯარს თავს დაესხნენ და ამოსწყვიტეს. ეს არის მათი ლოიალობა ჩვენი სახელმწიფოს წინაშე? მე ეხლა ჯარის დაბრუნება უკან არ შემიძლია, ეს ყოველად შეუძლებელია იმ ამბის შემდეგ, რაც გურიაში მოხდა“.

ამ პასუხის შემდეგ ნებართვის გამოუთხოვნელად მე დავიწყე ლაპარაკი, მინდოდა ასე თუ ისე პასუხი გაეცა მისი გადაწყვეტილების გამო. დაახლოვებით შემდეგი ვთქვი:

„Долг мудрого правителя состоит в том, чтобы мирным путем разрешать все важные вопросы, не прибегая к военным репрессиям, когда это возможно. Я сам гуриец, знаю хорошо Гурию и глубоко убежден, что если бы они знали о манифесте, о котором мы к сожалению поздно узнали, то этого инцидента не случилось бы, ибо манифест дает все, или почти все, что они требовали и чего домогались. Подумайте, ваше сиятельство, насколько это удобно, что в столь торжественный момент объявления манифеста, который гарантирует амнистию, гурийцы получают карательный отряд. Еще вопрос, гурийцы ли напали на воинский отряд, или воинский отряд на гурийцев. Послать депутацию мы просим потому, что глубоко убеждены, достигнем цели, что будет по нашему мнению и Вам приятно. Поэтому мы, убедительно Вас просим, послать Ваше доверенное лицо вместе с нашими представителями, которые по моему убеждению могут урегулировать это дело мирно“.

ჩემ სიტყვებზე ვორონცოვი ცოტა ხანს განჟმდა და შემდეგ წამოდგა და გამოვიცხადა: „Я подумаю и после дам вам знать“. ჩვენ მადლობა

ვუთხარით და წამოვედი. არ გასულა ერთი საათი და გვაცნობეს, რომ ეორონცოვი თანახმაა გურიაში გაგზავნოს დეპუტაცია. ილიას დიდად გაუკვირდა და გვითხრა: „ეს დიდი, დიდი მიღწევაა, მე არ მოველოდდი ამას“.

მეორე დღეს გავიგეთ, რომ დეპუტაციის მეთაურად ეორონცოვს აერჩია ვეგენი ვეიდენბაუმი, რომელიც ნამესტნიკის საბჭოს წევრი იყო და რუსეთის დროის კაკკასიის ისტორიის კარგი მცოდნე. ამას გარდა ჩემთან მოვიდა მეფისნაცვლის მდივანი პეტერსონი და მითხრა: „თქვენ დიდი შთაბეჭდილება მოახდინეთ ეორონცოვზე, დიდი ყოყმანის შემდეგ თქვენ დაგეთანხმათ და მისი მხრით მეორე დეპუტატად თქვენ ავირჩიათ და ვთხოვათ ვეიდენბაუმთან ერთად თქვენც წახვიდეთ გურიაში, ყველა ხარჯს ჩვენ ვიკისრებთ“. მე უუთხარი: „მე ისედაც ვაპირებ წასვლას თეადანაშაურობის მხრით. ვეიდენბაუმს ღირსეული კაცია, ჩემი მეგობარია, მაგრამ გურულები მას ნაკლებად იცნობენ, ამიტომ კარგი იქნება მასთან ერთად ლენინგრაღი ძალამა დაინიშაოს“. პეტერსონს ეს მოეწონა და თქვა: „კარგი წინადადებაა, დღესვე გადავექმ ეორონცოვს და პასუსს შეგატყობინებთ“. სამი საათის შემდეგ მაცნობა, მეფისნაცვალს თანახმაა ძალამა, ვეიდენბაუმი და თქვენ წახვიდეთო (ძალამა მეფისნაცვლის თანაშემწე იყო სამხედრო ნაწილში და სხეებზედ უფრო ღიბერალად ითვლებოდა).

მოვემზადენით და ორ დღეში გურიაში უნდა წავსულიყავით, მაგრამ მოულოდნელად მოვიდა ქუთაისის გუბერნატორი სტაროსელსკი, ის წარუდგა მაშინვე ეორონცოვს და მოახსენა, რომ იყო ოსურგეთში, ყველაფერი მოაგვარა. ხალხი დაამშვიდა, ინციდენტი მოხდა მაზრის უფროსის უტაქტობით. არავითარი დეპუტაცია არ არის საჭირო. თუ დეპუტაცია წაეა, მე სახელი გამოიტყდება და გუბერნატორად დარჩენა აღარ შემძლებათ. ეორონცოვმა მას დაუჯერა და ჩვენი დეპუტაცია მოხსნილი იქნა.

მეორე დღეს ყოფილი მარშალი დავით მელიქიშვილი მოვიდა ჩემთან და სასტუმროში წამიყვანა ქუთაისის გუბერნატორ, მის ნათესავ სტაროსელსკისთან. ის მოგვიყვა ამბავს, რომ გურიაში ყველაფერი დაამშვიდა და დეპუტაცია სრულებით საჭირო არ არისო. მას დიდი ნერვიულობა ეტყობოდა, დადიოდა ოთახში წინ და უკან და სულ იმასდა:

„Я, я, я! я все сделал, меня все слушают, меня все уважают“ და სხვა...

სწორი გითხრათ, სტაროსელსკი არ მომეჩვენა სერიოზულ ადამიანად, თუმცა განათლებული კაცი იყო, სპეციალობით აგრონომი. წინათ ის საქარის „პიტომნიკის“ გამგე იყო და მშვენიერად ჰქონდა საქმე დაყენებული. ეს „პიტომნიკი“ დავათვალიერე პროფესორ ვასილ პეტრიაშვილთან ერთად, როდესაც ის ოდესის სტუდენტთა ექსკურსიას ხელმძღვანელობდა საქართველოში. მამინ სტაროსელსკი იქ არ დაგვიხდა, მისმა მეუღლემ და თანამშრომლებმა მიგვიღეს. ყველაფერი დაწვრილებით გვიჩვენეს და დიდი პატივი გვცეს...

ილიასა და აკაკის დამოუკიდებლობა

გაზრცელებული აზრი, ვითომც ილიასა და აკაკის შუა ცუდი განწყობილება იყო, არ არის მართალი. მხოლოდ მლიქვნელები და ბოროტი ხალხი ცდილობდა მათ შორის ცუდი განწყობილება ჩამოეგდო. საერთოდ მათ ახლო მეგობრული ურთიერთობა არა ჰქონდათ. აკაკი არ დადიოდა ილიასთან, არც ილია—აკაკისთან, ისინი მხოლოდ საზოგადო კრებებზე ხედებოდნენ ერთმანეთს, მაგრამ მათ ერთმანეთის დიდი პატივისცემა ჰქონდათ, ერთი მეორის ნიქს და სამსახურს სამშობლოს წინაშე დიდად აფასებდნენ. თუ ვინმე დიფფებდა ილიას წინაშე აკაკის შესახებ კრიტიკას და ცუდად ხსენებას, ილია მაშინვე გააწყვეტინებდა სიტყვას, თვით ილიასაგან კი არასოდეს არ გამოიგონია და არც სადმე წამოკითხავს წუნი და კრიტიკა აკაკის ნაწერების შესახებ გარდა იმისა, რომ მან წერილობით არ მოიწონა აკაკის დახასიათება „ვეფხისტყაოსნის“ გმირებისა და რაც დაწერა მან „ორ-ხმინა საახალწლო ოპერეტში“. მახსოვს მხოლოდ ერთი მცირედი შენიშვნა: როდესაც ანასტასია წერეთელმა საბაკშვო ჟურნალის „გეჯილის“ გამოცემა განიზრახა, მან ჩვენ მწერლებს სთხოვა, მიეცათ მისთვის ლექსი პირველ ნომრისათვის. ილიას მიეცა ლექსი „ბაზალეთის ტბა“, ხოლო აკაკის — ლექსი „ღამურა“. მე ვიყავი ილიასთან, როდესაც ანასტასია წერეთელმა მოიტანა ცენზორიდან დაბრუნებული კორექტურა ორივე ლექსისა. „ბაზალეთის ტბა“-ში ცენზორს ზოგიერთი სიტყვები და სამი უკანასკნელი სტროფი ამოეშალა. ილიამ უთხრა გრიგოლ ყიფშიძეს: გსლავე ეს ამოშლილი სიტყვები და სტროფები ჩავწეროთ და შევინახოთ, რომ მერმე არ დაიკარგოსო. შესწორებული ცალი ილიას გადასცეს და მეორე ცალეებში მან თავის ზელით შეიტანა ამოშლილი სიტყვები და სტროფები. შემდეგ წაგვიკითხეს აკაკის ლექსი „ღამურა“. ილიამ დიდად მოიწონა იგი, მაგრამ შენიშნა: „ბოლოს ორი სტროფი სრულიად ზედმეტია, აკაკის ნაკლი ეგ არის, რომ ნაწარმოების გათავება არ იცისო. სურათი რომ დახატა, ამით უნდა გაეთავებია“-ო.

ეს იყო და ეს მართო, სხვა შენიშვნა აკაკის ნაწერების შესახებ, მე მისგან არა მსმენია.

რაც შეეხება „ვეფხისტყაოსანზე“ წაკითხული ლექციის დედა აზრს, რომ ტარიელი ქართლელ ტიბს წარმოადგენს, ავთანდილი იმერელისას და ფრილონი მეგრელისას, ეს აზრი ეკუთვნის ნიკო დიდიანს. ეს მე პირველად მოვისმინე ერთ ქართველ ინტელიგენციის კრებაზე ქუთაისში, როდესაც მე ქუთაისის გიმნაზიის უფროსი კლასის შეგირდი ვიყავ. აკაკიმ ამის შესახებ ლექცია წაიკითხა 1856 წელს, როდესაც მე უკვე პეტერბურგის უნივერსიტეტის მე-4 კურსზე ვიყავი. იმ ხანად კანიკულებზე ქუთაისში ვიყავ ჩამოსული და შემთხვევა მომეცა ეს ლექცია მომესმინა. აკაკიმ ნიკო დიდიანის დედააზრი განა-

ვრცო და გალამაზა. რასაკვირველია, ილია მართალია, რომ რუსთაველის მიერ დახატული მსოფლიო მნიშვნელობის გმირების უბრალო ეთნოგრაფიულ ტიპებად აღიარება შეუძლებელია. მაგრამ ხელალებით არც იმის თქმა შეიძლება, რომ ასე თუ ისე რამოდენიმედ მაინც, ტარიელის ტიპი ქართულს არ მოგვა- () გონებს და ავთანდილისა იმერელს.

ილია და სათამადაზნაურო სკოლა

ილია ქავეჭავაძე დიდ მონაწილეობას იღებდა სააზნაურო სკოლის დაარსებაში 1879 წელს, მისი ტიპის და პროგრამის გამომუშავებაში, პანსიონის მოწყობაში და სხვა. დაეა იმის შესახებ, თუ რა ტიპის უნდა ყოფილიყო სააზნაურო სკოლა: კლასიკური, რეალური თუ სამეურნეო, არას დროს არ შეწყვეტილა. ილია ყოველთვის სამეურნეო ტიპის მომხრე იყო. ბოლოს და ბოლოს საკითხი კლასიკური გიმნაზიის გახსნით გადაწყდა. მისი მოწყობა და გამგეობა მე ჩამბარდა 1894 წელს. აქ მოვიყვან ილიას ერთ წინადადებას, რომელიც ეხება პანსიონის სურსათ-სანოვაგის მოპარაგების საკითხს და რომელიც დაბეჭდილია 1882 წელს გაზეთ „დროების“ № 12-ში.

„შაბათს, მაისის 29-ს იყო უკანასკნელი ეგზამენი ტფილისის სათამადაზნაურო სკოლაში. სკოლის კომიტეტის წევრთა გარდა, ამ დღეს ეგზამენს დაესწრენ ილია ქავეჭავაძე, ალექსანდრე ორბელიანი, ლ. მაღალაშვილი, შ. ბარათაშვილი და სხვა. ეს პატივცემული პირნი კმაყოფილებით ისმენდნენ მოსწავლეთა სიტყვა-პასუხს და მათგან თავისი ცოდნის გამოჩენას.

ეგზამენების შემდეგ მათ დახედეს ბავშვებს, როდესაც ესენი სადილსა სჭამდნენ... აქ ერთს გარემოებას მიაქციეს ყურადღება — ღვინის უქონლობას სუფრაზე — ძალიან კარგი იქნებო, ბრძანა ალექსანდრე ორბელიანმა, რომ ამ ბავშვებს ღვინო ჩვენ უგზავნოთ ხოლმე...

— აი, ბატონებო, შეეგროვდეთ ერთი თხუთმეტროდე ააცი, სიტყვა ილიამ, და დაეაწესოთ, რომ თვითეულმა ჩვენგანმა წელიწადში ორთლი კოკა ღვინო და თხუთმეტ-თხუთმეტი კოდი პური შეაწიოს ხოლმე ამ სკოლას.

ამ წინადადებაზე ყველა იქ მყოფთ ერთხმად თანხმობა გამოაცხადეს... იქვე იყვნენ დასახლებული ქართლისა და კახეთის ზოგიერთი პატივცემული პირი, რომელნიც კმაყოფილებით იკისრებდნენ ამ პატარა საზოგადოების წევრობას და მით თავის ერთადერთ სკოლას დიდს შემწეობას აღმოუჩენდნენ.

ეჭვი არ არის, რომ აქ მოხსენებული საქმედ გადაიქცევა: საკმაო შემოდ დასახლებული პირები გაეიხსენოთ, რომ ყოველივე იქანეულობა ამ სიტყვების განხორციელებაში გაიფანტოს. ლ”.

ეს შენიშვნა უნდა ეკუთვნოდეს ნიკო ლომოურს, რომელიც 1882 წელს იყო გამგე სათამადაზნაურო სკოლისა.

ილია და საქართველოს ისტორია, არქეოლოგია და სიმბოლოები

ილია დიდი მოყვარული იყო საქართველოს ისტორიისა და არქეოლოგიისა, ის დიდი პატივისმცემელი იყო ჩვენი არქეოლოგის — დიმიტრი ბაქრაძისა, დიდადაც აფასებდა მის მუშაობას. როდესაც მე დ. ბაქრაძეს გავეცანი და დავიწყებ მასთან მუშაობა საეკლესიო მუზეუმის მოსაწყობად, მაშინ ილიასთან ძისუფლო ერთი ბერძენი, მეტანა ლიგატურის იატაკის ქვები და ეთევა, რომ ეს ქვები მან ამოიღო ერთი კოშკის ნანგრევებიდან მცხეთაში. ილია დაანატრესებულებო ამით და დიმიტრი ბაქრაძეს სთხოვა მცხეთაში გათხრები ეწარმოებინა, ხარჯის ფულს მე შევაგროვებო. იმ დროს თბილისში ილია ოქრომჭედლიშვილი იყო ჩამოსული. მან სიხარულით გაიღო ამ ხარჯისთვის 100 მანეთი. ბაქრაძეს ნება ჰქონდა საარქეოლოგიო კომისიიდან გათხრების წარმოებისა, მაგრამ ამ მუშაობაზე მან უარი თქვა: „არ, მცალია და მაგისტრის მცხეთაში ვერ წავალ, მეტადრე ფული სრულიად საკმაო, რისი არ არის გათხრისათვის“. ილიამ უთხრა: „ამით დავიწყობ და თუ კი რამე გამოჩნდება, მერე სხვა ფულს ვიშოვით“. დ. ბაქრაძემ მე სთხოვა დამეწყო ეს საცდელი გათხრა, მაგრამ მეც სკოლაში დატვირთული ვიყავი გაკვეთილებით და ვუბასუხე: „მე მყავს აქ ერთი ასალგაზრდა, გვარად ქუთათელაძე, ნიკო მარის ამხანაგი, იმას ჯერ არავითარი სამსახური არა აქვს, მას დავაკისრებ თავზე დგომას, მე მხოლოდ საღამოობით ვივლი და თვალყურს ვადევნებ“ — შეთქი. ბაქრაძე დამთანხმდა.

ღათიკო ქუთათელაძემ იმ ხანად დაასრულა მათემატიკის ფაკულტეტი პეტერბურგის უნივერსიტეტში და თბილისში იყო ჩამოსული; ის ჩემი პეტერბურგიდან წამოსვლის შემდეგ ნიკო მართან ცხოვრობდა, მას უვლიდა და ესმარებოდა ყოველგვარ საქმეში; მაშინ ნიკო მარი მეთორმეტე საუკუნის ქართულ ოდებს („აბდულმესიასა“ და „თამარიანს“) ამზადებდა გამოსაცემად და ქუთათელაძეც ხელს უწყობდა. მან ნიკო მარის ჩიჩინით სულ ზებირად იცოდა ეს ოდები და დიდი სურვილი ჰქონდა ძველ ქართულ ლიტერატურაში ემუშავა, თუ კი ცოტა სარჩოსაც იშოვნიდა თბილისში. ქართველისათვის თბილისში რაიმე სახელმწიფო სამსახურის მიღება შეუძლებელი იყო. პირველ ხანებში მას გადაეცემა კერძო გაკვეთილები, რომლებიც მე მქონდა სხვადასხვა ოჯახებში, და ამით ცხოვრობდა ერთ ხანს. დ. ქუთათელაძე მაშინვე დათანხმდა მცხეთაში წასულიყო და გათხრა ეწარმოებინა. მისთვის ეს კიდევ იმ გარემოებით ჯაადვილდა, რომ მას მცხეთაში ყავდა ერთი ნათესავი მონაზონი ქალი და მასთან შეეძლო ღამის გათევა. წავედი, გავსინჯეთ ის კოშკი და მე აზრად მომივიდა, რომ ამ კოშკს უნდა კუთვნიებოდა ის ქვა, რომელიც მცხეთაში იყო ნახული. ქვის წარწერა მოგვითხრობდა, რომ რომაელმა მეფემ ვესპასიანმა იბერიის მეფეს ფარსმანს აუშენა ციხე-სიმაგრეო.

ღათიკო ქუთათელაძემ დაიჭირავე ორი კაცი და ილიასთან მისული ბერძენის თანხლებით დაიწყო მუშაობა. მცხეთაში მე მივიდიოდი საღამოობით ორ დღეში ერთხელ და თვალყურს ვადევნებდი გათხრებს. დ. ქუთათელაძე ბროსეს მიხედვით „რანორტებს“ მანქვდიდა, თუ რა დღეს რა გააკეთა. მუშაობამ

გასტანა ორკვირაზე მეტი და, როდესაც ფული დაილია, გათხრაც შეეწყვიტეთ.

კოშკი აშენებული იყო რიყის ქვით, შესდგებოდა რამოდენიმე სართული-საგანს, ქვემო სართული ორ ნაწილად იყო გაყოფილი. იატაკი ყველგან ლიგატურის ქვებისაგან იყო შემდგარი და კედლები მოხატული ყოფილიყო, რომაული მხატვრობით. სხვათა შორის აქ ვნახეთ ფერადებით დახატული (ერთ ნაგლეხის ნატეხზე) კარგად დაცული ანტიკური-რომაული ქალღმერთის თავა. ვაპოვნეთ აგრეთვე ბრინჯაოს და რკინის ისრის პირები, მძივები, სხვადასხვა ღერის მინის ნატეხები, შუშის ქურჭლის ნატეხები, საცრემლეები, პატარა თინის კოჭობი ქათმის ძვლებით სავსე და სხვა. ამას გარდა დავრწმუნდით, რომ იმ მეორე სართულის ქვემოთ კედევ უნდა ყოფილიყო მესამე სართული, და ეს ზართლაც ასე აღმოჩნდა, როდესაც ამ უკანასკნელ წლებში განაგრძეს არქეოლოგიური მუშაობა. ამ კოშკის მახლობლად სხვათა შორის მდიდრული ქალის სამარხიც აღმოჩნდა.

გათხრის ანგარიში და აღმოჩენილი ნივთები წარუდგინეთ ილიას. ილია დიდად კმაყოფილი დარჩა იმით, რომ გამოირკვა, თუ რას წარმოადგენდა ეს კოშკი, რომელ დროს ეკუთვნის და რომ მოხატულიც ყოფილა, ნაპოვნ ნივთებზე კი თქვა: „100 მანეთად მარტო ეგ ქალღმერთის თავი ღირსო“.

ილია სულ იმას ამბობდა, რომ უნდა გეყავდეს ერთი კაცი, რომელიც ჩვენს ისტორიასა და არქეოლოგიაზე იმუშავებს. მას სხვა არაფერი საქმე არ უნდა ჰქონდეს. სირცხვილია ჩვენთვის, რომ ამისთანა კაცი არა გეყავსო.

ერთხელ ნიკო ღოღობერიძემ მიგვიწვია რამოდენიმე კაცი, რა თქმა უნდა, პირველ რიგში ილია ჭავჭავაძე, ნიკო ცხვედაძე, იაკობ ისრაელიანი, მე და კიდევ სხვები და გამოგვიცხადა: „განზრახვა მაქვს საქველმოქმედო საქმისათვის დაეტოვო 50 ათასი მანეთი და მიჩინეთ, რა მიზნისათვის და რომელ საზოგადოებას დაუტოვო ეს თანხა?“.

ილიამ ასეთი წინადადება შემოიტანა: „ეს თანხა გადაეცეს წერა-კითხვის საზოგადოებას, რომ მან აიჩინოს ერთი კაცი, რომელიც სპეციალურად იმუშავებს საქართველოს ისტორიის, არქეოლოგიის და ძველი ლიტერატურის დარგში“.

ზოგიერთის აზრი იყო: თანხის შემოსავალი მოხმარებოდა ახალი სკოლების გახსნას, ზოგიც იმ აზრისა იყო, რომ ქართველი სტუდენტებისათვის სტიპენდიები დაენიშნათ უმაღლეს სასწავლებლებში.

ნიკო ღოღობერიძემ თქვა, რომ ყველას სჯობია, შემოსავალი სტიპენდიის მოხმარდეს, ჩვენმა ახალგაზრდობამ ჯეროვანი განათლება მიიღოს, ამ შემოსავლით სულ მცირე 8 სტიპენდია დაინიშნებაო. თუ ვის მიეცეს იგი, ჩემს სიცოცხლეში მე გადავწყვიტ და შემდეგ წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობამ აირჩიოსო.

მოვალეობის გრძობა

ილიას ჰქონდა თავის მოვალეობის დიდი შეგნება, ამიტომ ის დიდი სიფრთხილით ეპყრობოდა ყველა თავის ნაწერს. არ არის ილიას თხზულება, რომე-

ლიც მას რამოდენიმეჯერ არ გადაეცეთებინოს და არ შეესწორებინოს. ასე იქცეოდა იგი არა მარტო თავის თვალსაჩინო თხზულებების წერის დროს, არამედ სულ უბრალო ბარათის დაწერის დროსაც. გიორგი ჟურულმა მიაშობო ერთი გარემოება: „ერთხელ ილიას იაკობ გოგებაშვილის პატარა წერილი მოუვიდა და პასუხს თხოვლობდა. დაწერა ერთი პატარა წერილი და დახია, დაწერა მეორე და ისიც დახია. მე ვუთხარი: — რა ამბავია ილია, რომ პასუხი ვერ მოგიხერხებია ამ პატარა შეკითხვაზე?“ მან მითხრა: — „წერილი პატარაა, თუ ღიდი, ყველა დოკუმენტია და ამიტომ ყველა წერილი წინასწარი მოფიქრებით უნდა იყოს დაწერილი-ო“.

ამასვე ამბობდნენ „ივერიის“ თანამშრომლებიც: „როდესაც ილია ღამე წერს, დილას მისი ქაღალდების კალათი საესეა დახეული ქაღალდებითო“. ამით აიხსნება, რომ ილია საჩქაროდ წერილზე არავის პასუხს არ აძლევდა, მანამ კარგად არ მოიფიქრებდა და კმაყოფილი არ იქნებოდა თავის წერილით. აგრეთვე მისი საჯარო სიტყვები ყოველთვის წინდაწინ მოფიქრებული და ზოგჯერ დაწერილიც იყო.

როგორც მახსოვს, ერთხელ ვლადიმერ მიქელაძემ გამოაქვეყნა ერთი წერილი, სადაც ამბობდა: ილია სადილად დავპატიე, მაგრამ მან მომწერა: „დღეს არ შემიძლია მოსვლა, რადგანაც ევგენი მარკოვის პატიესაცემ საღამოს უნდა დავესწრო და სიტყვა გთქვა, მე ჩვეულებად არა მაქვს მოუმზადებლად წავეჩხირო“.

ერთხელაც გ. ჟურულის შეკითხვაზე: „ილია, სიტყვებს წერთ, თუ ზემირად გაქვთ მოფიქრებული?“ — ილიამ უპასუხა: „ზოგჯერ ეწერ, ზოგჯერ ზემირად მაქვს მოფიქრებული, მაგრამ როგორ უნდა დაეიწყო და მოვათავო სიტყვა, ეს ყოველთვის კარგად ვიცით“.

მას ჩვეულებად ჰქონდა მიღებული, როდესაც რაიმე თხზულებას დაწერდა, შეკრებდა თავის თანამშრომლებს, მეგობრებს და მათ წაუკითხავდა ნაწერს. ყურადღებით მოისმენდა შენიშვნებს და ამის საფუძველზე ნაწერს ზოგჯერ ასწორებდა ხოლმე. ეს კარგად არის ცნობილი პოეზიის და ბელეტრისტიკის დარგში. ჩვენ მაშინ გვყავდა საკმაოდ მცოდნე და შეგნებულნი ხალხი, რომელთაც შეეძლოთ ჯეროვანი დაფასება მხატვრული ნაწარმოებისა. როდესაც მან „ქვათა ღალადი“ დაწერა, შეკრიბა მეგობარ ლიტერატორთა წრე; მეც მიმიწვია. ჩემს გარდა იქ იყვნენ ვლადიმერ მიქელაძე, ნიკო ცხვედაძე, ნიკო ხიზანიშვილი, ბანკის დირექტორი მიშა გრუზინსკი. ილიამ წაგვიკითხა ეს შესანიშნავი სტილით დაწერილი თხზულება, რომელიც, რა თქმა უნდა, მიმართული იყო პროფესორ პატკანოვისა და იმ სომეხ მწერლებსადმი, რომელნიც საქართველოს ისტორიასა და კულტურას ამცირებდნენ. როდესაც მან კითხვა დაამთავრა, ყველამ ერთხმად მოაწონა. არავის მცირე შენიშვნაც კი არ გაუკეთებია. სხვებისაგან მე არ გამკვირვებია, მაგრამ ნიკო ხიზანიშვილმაც რომ ხმა არ ამოიღო, ეს ძლიერ გამაკვირდა, რადგან ის ამ ისტორიას თვალყურს ადევნებდა, პატკანოვის, ეზოვის წერილები და დიმიტრი ბაქრაძის პასუხი წაკითხული ჰქონდა. მე დავრწმუნდი, რომ ილიას თვით პატკანოვის

წერილი „ქართლის ცხოვრების“ შესახებ წაკითხული არ ჰქონია, რადგანაც ის პროფ. პატკანოვს აწერდა ზოგს ისეთ გამოთქმებსა და აზრებს, რომელნიც პატკანოვის წერილში არ იყო. მე ნიკო ხიზანიშვილს, რომელიც ჩემთან გვერდით იჯდა, ხელი ვკარ და ჩუმიად ვუთხარი:

— „ნუთუ შენც არაფერი არა გაქვს სათქმელი?“.

მან მიპასუხა: „ეს სამეცნიერო ძიება არ არის, პუბლიცისტური წერილია და, ცოტა რამე რომ აკლდეს, მნიშვნელობა არა აქვსო“.

მერე ილიას შევევითხე: „თქვენ პატკანოვის წერილი წაკითხული გაქვით თუ არა?“.

— „არა, მე ის წერილი არ წაშიკითხავს, მე ვემყარები დიმიტრი ბაქრაძის დალაგებულ პასუხს, რომელსაც კარგად ვიცნობ, იქ ყველაფერი ჭეშრებულად არის გამოქვეყნებული“.

— „ეს თქვენი ნაშრომი, — ვუთხარი მე, — დიდებულია სტილით და პოპულარობით, მაგრამ ზოგიერთი აზრები, რომელთაც თქვენ პატკანოვს აწერთ, სავსებით სწორია არ არის და, ეს თუ არ შესწორდა, მოწინააღმდეგენი პასუხს გაგკეცვენ და პატკანოვის წერილიდან ამოწერილი სიტყვებით უარყოფენ ზოგიერთ თქვენს დებულებას. მაგალითად: თქვენ ამბობთ, ვითომც პატკანოვს ეთქვას, რომ მეცამეტე საუკუნემდე ქართველებს დაწერილი მატრიანეები არა ჰქონიათ და დასაწყისი ქართლის ცხოვრებასა მაშინ არის შეთხზული სომეხ ავტორისაგანო, ნამდვილად კი პატკანოვი ქართული მატრიანე წარმოშობას მეტორმეტე-მეთორმეტე საუკუნეებს მიაწერს და სხვ... ამას თქვენ ნათლად დაინახავთ, როდესაც პატკანოვის წერილს წაიკითხავთ. ეს წერილი აქ მაქვს და მოგართმევთ-მეთქი.“

ამოვიღე ვიზიდან პატკანოვის წერილის ამონაბეჭდი სამინისტრო ჟურნალიდან და ილიას გადავეცი. მან მადლობა გადამიხადა და თქვა, რომ დიდი სიამოვნებით გავეცნობი ამ წერილს და, რასაც დავინახებ საქიროდ, შევცვლიო.

ილიამ ეს წერილი გამოიყენა და ზოგი რამ შესწორა კიდევ.

ილია ხშირად მისოვდა წიგნებს და წყაროებს საქართველოს ისტორიის შესახებ და, რა წიგნიც მქონდა, რასაკვირველია, ვუგზავნიდი.

აქ ორიოდ სიტყვა პროფესორ ალექსანდრე ცაგარელის შესახებ. ალ. ცაგარელმა, როგორც ცნობილია, გამოაქვეყნა გამოკვლევა მეგრულის შესახებ. ამის შემდეგ ა. ცაგარელი ქართული ენის მტრად გამოაცხადეს და ლანძღვა დაუწყეს. ა. ცაგარელი ლინგვისტი იყო; მაგრამ ხელი ააღებინეს ლინგვისტურ მუშაობაზე, რის გამოც მან დაიწყო რუსული აქტების გამოცემა საქართველოს შესახებ და ხელნაწერთა აღწერილობა.

ილია ჭკვევაძე, ნიკო დოლობერიძე და მე ერთ საღამოს წამოვედით დავით სარაჯიშვილის სადილიდან და გზაში ნიკო დოლობერიძემ ჩამოაგდო ლაპარაკი: „შეუძლებელია მკვლევარისადმი ისეთი მოპყრობა, როგორც ჩვენი ხალხი შეხვდა ალექსანდრე ცაგარელს და მის თხზულებასო“.

ილიამ თქვა: „მე არ ვიცი, რამდენად მეცნიერულია მისი გამოკვლევა, მაგრამ მე ერთი ვიცი, რომ ამან ჩვენ ქართველებს დიდი ზარალი მოგვაცენა.“



ეს დაიხვია ხელზე რუსის მთავრობამ და განიზრახა მეგრელები, ჩამოამოროს საერთო ქართულ ოჯახს. გამოაცხადეს, რომ მეგრული ენა სხვა ენა არის, არა ქართული, სკოლაში შემოიღეს მეგრულ ენაზე სწავლება რუსული ანბანით და „ამორღები“ გაიჩინეს. ამას გარდა ეკლესიაშიც უნდა შემოიღონ მეგრული ენა. კიდევ კარგი, რომ თვით მეგრელობა ასე შეგნებულად შეხვდა მტრების ცდას და მდგარ წინააღმდეგობას უწევს მათ. ასევე რუსის მთავრობის მოხელენი აცხადებენ სვანური ენის თავისებურებას და აპირებენ სკოლაში სწავლება სვანურ ენაზე შემოიღონ“.

ილია და წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება

ილია ერთი დამაარსებელთაგანი იყო წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა, 1886 წლიდან კი — მისი გამგეობის თავმჯდომარე. მე რომ პეტერბურგიდან თბილისში ჩამოვედი, იმავე წელს საზოგადოების კრებაზე გამგეობის წევრად ამირჩიეს. ილია ამ დროს იშვიათად ესწრებოდა გამგეობის კრებებს. მას მხოლოდ მაშინ სთხოვდნენ დასწრებოდა კრებას, როდესაც რაიმე დიდი საქმე წამოიჭრებოდა. ერთი ასეთი საქმე იყო ქუთაისის სათავად-აზნაურო სკოლის საკითხი. ქუთაისის სკოლა წერა-კითხვის საზოგადოებას ექვემდებარებოდა. იქ უთანხმოება ჩამოვარდა მასწავლებლებსა და გამგეს შორის. როცა ქუთაისში პირველად სათავად-აზნაურო სკოლა გაიხსნა, მის გამგედ დაინიშნა ალექსი ბესარიონის-ძე ჭიჭინაძე. მანამდის მას საკუთარი კერძო სასწავლებელი ჰქონდა და თვალსაჩინო მოღვაწე იყო ქუთაისის ყველა საზოგადო საქმეში. შემდეგ ის გადმოვიდა თბილისში და გახდა თბილისის სათავად-აზნაურო სკოლის გამგე. მის ადგილას ქუთაისში დანიშნეს სპირიდონ ჯორჯიკია. პირადად ასეც კარგი მასწავლებელი იყო, მათემატიკოსი, მაგრამ ტაქტი აკლდა, მასწავლებელნი წინააღმდეგნი გახდნენ მისი და საჩივარი გამოგზავნეს. ის იძულებული გახდა გადამდგარიყო თანამდებობიდან. მის ადგილას წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ დაინიშნა ვასო ყიფიანი, მაგრამ როცა თბილისში კერძო საურთიერთო ბანკი დაარსდა, ვასო გახდა ამ ბანკის დირექტორი, ქუთაისში მის ადგილას დანიშნეს სიმონ ბესარიონის-ძე დოლობერიძე, ისტორიის ყოფილი მასწავლებელი ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიისა. სიმონი კარგი კაცი იყო, ფრიალ განათლებული, მაგრამ დადლილი იყო ხანგრძლივი სამსახურის გამო, მასწავლებელნი მისი უკმაყოფილონიც იყვნენ და ისიც გადადგა. შემდეგ ალექსანდრე გარსევანიშვილი დაინიშნა გამგედ, რომელიც წინათ მასწავლებლობდა თბილისის სათავად-აზნაურო სკოლაში ჩემ დროს; ვერც ეს გამოდგა იქაურ მასწავლებელთათვის მისაღებ კაცად, ამიტომ ისიც გადააყენეს და იოსებ ოცხელი დაინიშნა გამგედ; ამან კი გამოიჩინა უნარი, ჩამოავდო წესრიგი და განაგებდა სკოლას სულ ბოლომდის.

ილიას მოადგილედ წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში ვაწინააღმდეგებელი იყო და მისი თავმჯდომარეობით ხდებოდა გამგეობის კრება კვირაში ერთხელ. საზოგადო წლიურ კრებაზე კი ყოველთვის ილია იყო თავმჯდომარე. აქ მას ზოგჯერ უსაყვედურებდნენ ზარმაცობას.

ერთგვლ მახსოვს ნიკო ხუდადოვის გამოსვლა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წლიურ კრებაზე. ნ. ხუდადოვი გორელი სომეხი იყო. ქარაველი მოღვაწე, პატიოსანი და რადიკალური მიმართულების კაცი. ყველა საზოგადო საქმეებში მხურვალე მონაწილეობას იღებდა. ქალაქის თვითმმართველობის ხმოსანი იყო და კრიკაში ედგა „სოლოლაკის პლუტოკრატის“. ცნობილია მისი გაშენებული ტყე კუკიაში, სასაფლაოს ზემოთ და სხვა. საზოგადო კრებაზე ნ. ხუდადოვი რიხიანი ხმით უსაყვედურა ილიას:

— „ილია, სულ ძილი და ძილი არ შეიძლება, არაფერს არ აკეთებ და ჩვენი საზოგადოების საქმეც ვერ მიდის კარგადო“.

ილიამ უპასუხა: — „შე რომ მიძინავს და მიძინავს, ეს ყველასაგან ცნობილია, მაგრამ შენ თუ გლიძიავს და გგონია, ალბათ, ბევრ რამეს აკეთებ, — ერთი გვაჩვენე რა გაგიკეთებიაო?“.

გამგეობის კრებაზე ილიას დასწრება იმდენად საჭარო არ იყო, რამდენათაც მისი წასვლა ადმინისტრატულ პირებთან; რომელნიც ხშირად ეროდნენ საზოგადოების საქმეში და ხელს გვიშლიდნენ. ასეთები იყვნენ სახალხო ინსპექტორები, მზრუნველი, მისი თანაშემწენი, ეჭვარბოსი და სხვები. ილია საქმეებით მეტად გადატვირთული იყო და იგი იქ ხშირად ვერ ახერხებდა ყველა ამ პირებთან სიარულს.

ერთგვლ ი. გოგებაშვილმა მიმიწვია კრებაზე, რომელსაც დაესწრო დაახლოებით 30 კაცი. ამ კრებაზე მან განაცხადა: „ჩვენი საქმეები ძალიან ცუდად მიდის, კაცი არა გვყავს, რომ სხვდასხვა დაწესებულების წარმომადგენელთან განუწყვეტლივ იაროს ან ჩვენ წაგვყვეს, რომ მათ ჩვენი ჰიორვარამი აუფხსნათ და უსამართლობაზე ხელი ავაღებინოთო. ილია საქმეებით არის გადატვირთული და მას ასე ხშირად ვერ ვაწუხებთ და თუ კაცი ვერ ვიშოვით, რომელსაც მთავრობა ასე თუ ისე ანგარიშს გაუწევს, ვერაფერს ვერ გავხდებითო“.

ვანო მაჩაბელმა თქვა: „ასეთი კაცი ჩვენ ვეყავს, ეს არის თბილისის მახრის თავადაზნაურთა წინამძღოლი შაქრო მაღალაშვილი, თუ მას ამოირჩევთ წერა-კითხვის საზოგადოების თავმჯდომარედ, დიდად გამოგადგებოთ“.

გადასწყვიტეს ის აერჩიით თავმჯდომარედ. ვ. მაჩაბელს წინააღმდეგობის ნება არ უთხოვია მაღალაშვილისაგან, რომელიც კარგ განწყობილებაში იყო ილიასთან და ამიტომ შეიძლება თავმჯდომარეობაზე არ დათანხმებულიყო, მაგრამ ვანო დარწმუნებული იყო, რომ მაღალაშვილი უარს არ იტყოდა, თუ კი მას ამოირჩევენ. დადგა არჩევნის დღე. ილია თავმჯდომარეობდა. სხვა საქმეები რომ გათავდა, ჯერი მიდგა თავმჯდომარის არჩევაზე. მაშინ კანდიდატების წინააღმდეგ დასახელება არ იყო მიღებული, დამსწრეთ ბარათებით უნდა დაესახელებიათ, ვინ უნდოდათ თავმჯდომარედ. ჩატარდა არჩევნები და შეკრიბეს ბარათები. ილიამ დაიწყო ბარათების კითხვა. მდივანი წერდა ხმათა ანგარიშს, საბოლოოდ აღმოჩნდა, რომ ილიამ მეტი ხმა მიიღო, ვიდრე მაღალაშვილმა და, ამგვარად, ისევე ილია დარჩა თავმჯდომარედ.

ეს პირველი კრება იყო, რომელზედაც საზოგადოების თავმჯდომარედ სხვა კანდიდატი იყო დასახელებული მის წინააღმდეგ. ილიამ ეს გამოსვლა ვ. მაჩაბელის და გ. წერეთლის ინტრიგად მიიჩნია.

ერთხელ მახოვს ნიკო ხუდადოვის გამოსვლა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წლიურ კრებაზე. ნ. ხუდადოვი გორელი სომეხი იყო; ქართველი მოღვაწე, პატიოსანი და რადიკალური მიმართულების კაცი. ყველა საზოგადო საქმეებში მხურვალე მონაწილეობას იღებდა. ქალაქის თვითმმართველობის ხმოსანი იყო და კრებაში ედგა „სოლოლაის პლუტოკრატის“. ცნობილია მისი გაშენებული ტყე კუკიაში, სასაფლაოს ზემოთ და სხვა. საზოგადო კრებაზე ნ. ხუდადოვი რიხიანი ხმით უსაყვედურა ილიას:

— „ილია, სულ ძილი და ძილი არ შეიძლება, არაფერს არ აკეთებ და ჩვენი საზოგადოების საქმეც ვერ მიდის კარგადო“.

ილიამ უპასუხა: — „შე რომ მიძინავს და მიძინავს, ეს ყველასაგან ცნობილია, მაგრამ შენ თუ გღვიძავს და გგონია, ალბათ, ბევრ რამეს აკეთებ, — ერთი გვაჩვენე რა გაგიკეთებიაო?“.

გამგებობის კრებაზე ილიას დასწრება იმდენად საჭირო არ იყო, რამდენათაც მისი წასვლა ადმინისტრაციულ პირებთან; რომელნიც ხშირად ერგოდნენ საზოგადოების საქმეში და ხელს გვიშლიდნენ. ასეთები იყვნენ სახალხო ინსპექტორები, მზრუნველი, მისი თანამემწენი, ექზარხოსი და სხვები. ილია საქმეებით მეტად გადატვირთული იყო და იგი იქ ხშირად ვერ ახერხებდა ყველა ამ პირებთან სიარულს.

ერთხელ ი. გოგებაშვილმა მიმიწვია კრებაზე, რომელსაც დაესწრო დაახლოებით 30 კაცი. ამ კრებაზე მან განაცხადა: „ჩვენი საქმეები ძალიან ცუდად მიდის, კაცი არა გვყავს, რომ სხვადასხვა დაწესებულების წარმომადგენელთან განუწყვეტლივ იაროს ან ჩვენ წაგვყვეს, რომ მათ ჩვენი პირვარამი ავუხსნათ და უსამართლობაზე ხელი ავადებინათო. ილია საქმეებით არის გადატვირთული და მას ასე ხშირად ვერ ვაუწუხებთ და თუ კაცი ვერ ვიშოვეთ, რომელსაც მთავრობა ასე თუ ისე ანგარიშს გაუწევს, ვერაფერს ვერ გავხდებითო“.

ენო მანაბელმა თქვა: „ასეთი კაცი ჩვენ ვეყავს, ეს არის თბილისის მახარის თავადაზნაურთა წინამძღოლი შაქრო მალალაშვილი, თუ მას ამოირჩევთ წერა-კითხვის საზოგადოების თავმჯდომარედ, დიდად გამოგვადგებაო“.

გადასწყვიტეს ის აერჩიათ თავმჯდომარედ. ე. მანაბელს წინააღმდეგობა ილიასთან და ამიტომ შეიძლება თავმჯდომარეობაზე არ დათანხმებულყო, მაგრამ ენო დარწმუნებული იყო, რომ მალალაშვილი უარს არ იტყოდა, თუ კი მას ამოირჩევდნენ. დადგა არჩევნის დღე. ილია თავმჯდომარეობდა. სხვა საქმეები რომ გათავდა, ჯერი მიდგა თავმჯდომარის არჩევაზე. მაშინ კანდიდატების წინააღმდეგ დასახელება არ იყო მიღებული, დამსწრეთ ბარათებით უნდა დაესახელებიათ, ვინ უნდოდათ თავმჯდომარედ. ჩატარდა არჩევნები და შეკრიბეს ბარათები. ილიამ დაიწყო ბარათების კითხვა. მდივანი წერდა ხმათა ანგარიშს, საბოლოოდ აღმოჩნდა, რომ ილიამ ნიჭი ხმა მიიღო, ვიდრე მალალაშვილმა და, ამგვარად, ისევ ილია დარჩა თავმჯდომარედ.

ეს პირველი კრება იყო, რომელზედაც საზოგადოების თავმჯდომარედ სხვა კანდიდატი იყო დასახელებული მის წინააღმდეგ. ილიამ ეს გამოსვლა ე. მანაბელის და გ. წერეთლის ინტრიგად მიიჩნია.



მართლაც დიდი უხერხულობა იყო იმაში, რომ ახალი თავმჯდომარე² ხელმძღვანელი იყო ილიასთან წინასწარ შეუთანხმებლად, რომელსაც ასეთი განსაკუთრებული, განუზომელად დიდი ღვაწლი მიუძღოდა საზოგადოების წინაშე.

როდესაც ილია აირჩიეს უმაღლესი საბჭოს სათათბიროს წევრად, წერა-კითხვის საზოგადოების თავმჯდომარეობიდან გადადგა, მის მაგიერ კი გიორგი ყაზბეგი იქნა არჩეული.

ილიას მემორანდი და დაახლოებული პირები

ილია მეტად გულჩათხრობილი ადამიანი იყო, მე არა მგონია მას ისეთი მეგობარი ჰყოლოდეს, რომლისთვისაც თავისი ინტიმური დარღვები და გულის-თქმა გაენდოს. როდესაც ის საზღვარგარეთ წასასვლელად ემზადებოდა, მე და ნიკო ცხვედაძე მივედით მასთან. ცოტა მოწყენილი დაგხვდა, მაგრამ დიდხანს ვიბაასეთ. სხვათაშორის გვითხრა: „მე დარდიანი ადამიანი ვარ, მაგრამ ჩვეულებად არა მაქვს, რომ ჩემი დარღვები სხვას გავუზიარო, მევე ვიკლავ გულში“. ვიმეორებ: გულთადი მეგობრები არა ჰყოლია მას, მაგრამ დაახლოებული პირები ბევრი ჰყავდა და ისინი ითვლებოდნენ ილიას მეგობრებად. მე რომ თბილისში ჩამოვედი, მისი მეგობრები ნიკოლოზ ჯაბადარი, დიმიტრა ყაზბეგი, ბესარიონ ლოლობერიძე ცოცხლები აღარ იყვნენ, ასე რომ მათ შესახებ ვერაფერს გეტყვით. აქ რამდენიმე შენიშვნა ილიას ზოგიერთ დაახლოებულ პირთა შესახებ.

ივანე ეგნატეს-ძე პოლტორაცკი (თბილისის ნოტარიუსი) ილიას ამნაწავი იყო გიმნაზიიდან. ქართული კარგად იცოდა, დაბადებულია ქუთაისში, დედა ქართველი ჰყავდა, ზედგინძის ასული. პირველი ცოლიდან მას შეეძინა ერთი შვილი, რომელიც ილიას ნათლული იყო და მის სახელს ატარებდა.

ილია პოლტორაცკი (ილიას ნათლული) თბილისის რეალური გიმნაზიის გათავების შემდეგ პარიზში გაემგზავრა უმაღლესი სწავლის მისაღებად და იქ დარჩა, ბანკში მსახურობდა და 1944 წელს გარდაიცვალა.

ივანე პოლტორაცკის მეორე მეუღლე ნაღა გაბაშვილის ქალი იყო. ივანეს იმისაგან ექვსი შვილი ჰყავდა: ხუთი ქალი და ერთი ვაჟი.

პოლტორაცკიმ ილიას თხზულებები თარგმნა რუსულ ენაზე. მანვე თარგმნა რუსულად „ვეფხისტყაოსანი“. ხშირად დადიოდა ილიასთან, აჩვენებდა მას „ვეფხისტყაოსნის“ ძნელი ადგილების თარგმანს. ერთხელ მან მითხრა: „ილია წაიკითხავდა ხოლმე ჩემს თარგმანს და ზოგჯერ მეუბნებოდა: ეს ადვილი არ ვარგაო. რომ ვკითხავდი: აბა როგორ უნდა იყოს? — იმას კი აღარ ანობოდა“.

პოლტორაცკი გარდაიცვალა 1892 წლის აგვისტოს დამლევს. მე მაშინ თბილისში არ ვიყავი. ილია დასწრებოდა მის დამარხვას. ეკატერინე გაბაშვილმა და სხვებმაც მითხრეს: „ილიას თვალებიდან კურცხალ-კურცხალი ცრემლები სდიოდაო“. ისინი გაკვირვებულნი იყვნენ: „ერთხელ ძლივს დავიანახეთ მის ავალზე ცრემლიო“.

ილია წინამძღვრი შვილი დიდად დაახლოვებული იყო ილია მთელი ივანე თან და ნაძებნავად მის მეუღლე ოლგასთან. ის იყო აგრეთვე ნათესავი ივანე პოლტორაკისა და მისი შვილი ცოლის—ნადო გაბაშვილისა.

სპეტაკი აღამიანი იყო, დამაარსებელი და ხელმძღვანელი წინამძღვრიანთ-კარის კერძო სამეურნეო სკოლისა, რომელსაც შესწირა მთელი თავისი სიცოცხლე და ქონება. მე კარგად ვიცნობდი მას. შეიძლება ითქვას, რომ ის იყო უარესი ფიზიკრატი, დარწმუნებული, რომ საქართველოს მართო მეურნეობის გაჩაღება და განათლება უშველის. ამიტომ, მისი აზრით, ყველა შეძლებულ ქართველს ან უნდა სამეურნეო სკოლა გაეხსნა, ან არა სკოლისთვის თავისი ქონება შეეწირა. ილიას მამულზე ამბობდა: „რა ოხრად უნდა ილიას საგურამოს მამული? შვილი არა ყავს და ძირი, სჯობს ჩვენს სკოლას შემოუერთოს და ამით გავაფართოოთ საქმეო“. წერილებსა ბეჭდავდა ქართულ ყურნალ-გაზეთებში. გამოსცა დიდი წიგნი სათაურით: „ვაზის მოვლა“.

ი. წინამძღვრი შვილი პირველ ხანებში თბილისის მაზრის მომრიგებელ მსახურად მსახურობდა (1868—1901), მერე — თბილისის ქალაქის ნოტარიუსად. უმაღლესი განათლება არ ჰქონდა, მაგრამ ენერჯია, მოხერხება და საქმისათვის თავდადება—გამოუთქმელი. პირველად ილია წინამძღვრი შვილი სკოლას თავისი ხარჯით ინახავდა, მერე სათავადაზნაურო ბანკმა დაუნიშნა შემწეობა, მაგრამ მაინც მთელ თავის ჯამაგირსა და მამულის შემოსავალს ზედ ადებდა. ყოველ შაბათს ეტლით მიდიოდა თავის სკოლაში და ორშაბათს უკან ბრუნდებოდა. ზოგჯერ სარევიზიოდ თან მიჰყავდა პედაგოგები, ან შენობის სარემონტოდ—ხელოსნები და სხვანი. თვით საპედაგოგო საქმის არასპეციალისტი იყო, ამიტომ სკოლის გამგეს და მასწავლებლებს ისეთ რამეებს ავალებდა, რის შესრულებაც შეუძლებელი იყო. მიუხედავად ამისა, სკოლას მაინც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, კურსდამთავრებულნი სოფლებში კარგად მუშაობდნენ. ნიჟიერ შეგირდებს ის ნოვიციის სამეურნეო სასწავლებელში აგზავნიდა, შემწეობას აძლევდა, მათთან მიწერ-მოწერა ჰქონდა. ყველა მისი შეგირდი მას თავის მამად სახავდა.

ზომიერი ცხოვრების და ჰიგიენის მიმდევარმა ილია წინამძღვრი შვილმა დიდხანს იცოცხლა, მაგრამ უკანასკნელ სამ წელიწადს ლოგინად ჩავარდა. ნიკო ცნვედაძის ყოფილი ცოლი უვლიდა. არც ნათესავეებსა და არც მეგობრებს მასთან არ უშვებდა. ეს მანდილოსანი სომხის ქალი იყო. ნიკოდან მას შესძენოდა ერთი ქალი, მერმე მას ნიკო და ქალი მიეტოვებია და პარიზში წასულიყო. თან წაეღო თავისი მზითვეი — 40 ათასი მანეთი. პარიზში ის თავისუფალ ცხოვრებას ეწეოდა. ბოლოს უკვე ხანში შესული იგი დაბრუნდა თბილისში და უნდოდა ნიკოსთან ცხოვრება, მაგრამ მან უარი უთხრა. როცა ნიკოს ქალი ცოლად ფილიპე გოგიჩაიშვილმა შეირთო, მას ეგონა თავის ქალთან და სიძესთან მოეწყობოდა, მაგრამ ფილიპემ არ მიიღო, რის შემდეგ ილია წინამძღვრი შვილთან დაბინავდა და მას უვლიდა.

ილია წინამძღვრი შვილის დასაფლავებას ბევრი ხალხი დაესწრო, წესი სიონის ტაძარში აუგეს, შემდეგ წინამძღვრიანთკარში წაასვენეს და იქ დამარხეს ეს შესანიშნავი და უებრო ქართველა მოღვაწე.



ლევან ჯანდიერი (1848—1918) ჩემის აზრით ყველაზე უფრო დაახლოებული პირი იყო ილიასთან. თბილისის მაზრის უფროსი, ჭკვიანი, პატიოსანი, ენერგიული და დიდად შეგნებული, კახეთში ერთ-ერთ მოწინავე კაცად ითვლებოდა, ნივთიერადაც შეძლებული იყო. სადაც კი წავიდოდა ილია, ისიც თან დასდევდა და მოგზაურობის მარშრუტი მის ხელში იყო.

მის დროს მაზრაში სრული სიწყნარე და წესრიგი სუფევდა; ავაზაკობა და თავზე დაცემა არ ყოფილა, მაგრამ ერთხელ მან გოლიცინის წყრომა მაინც დაიმსახურა:

ბორჩალოს მაზრაში ავაზაკობა, კაცის კვლა და ხოცვა-ჟლეტა გახშირდა. გოლიცინისათვის მოესხენებინათ და ის აღშფოთებული იყო. დაებარებინა ლევან ჯანდიერი და უკითხავად დაეწყო მისთვის ყვირილი: „Вы не на месте. Вы не умеете водворить порядок!“ და ჩამოეთვალა ყველა ის უწესოებანი, რაც ბორჩალოს მაზრაში მომხდარიყო. ამის პასუხად ჯანდიერს ეთქვა: „Ваше сиятельство, я Тифлисский уездный начальник, все что вы перечислили, это имело место в Борчалинском уезде, у меня ничего подобного не было и не может быть!“

ამაზე გოლიცინს წარბშეუშლელად უპასუხნია: „Это всеравно, вы все одинаковы. Борчалинский или Тифлисский“.

ასეთ ხეპრე აღმინისტრატორთან ჰქონდა საქმე ჯანდიერს.

თუ რამდენად შეგნებული ჰქონდა ლ. ჯანდიერს ჩვენი გლეხობის საჭიროებანი, ამაში მე დავრწმუნდი თბილისის და ბორჩალოს მაზრაში არქეოლოგიური მოგზაურობის დროს.

ქვემო-ქართლი (ბორჩალოს მაზრა, და თბილისის მაზრის სამხრეთ-დასავლეთი სანაპირო), ეს შესანიშნავი მხარე და მოწინავე სადროშო საქართველოში, დაცარიელდა აუარებელი მტრების შემოსევით, მეტადრე ლეკების გაუთავებელი თარეშის დროს. იმის მაგიერ, რომ ეს ადგილები ქართველი ხალხის უმიწო გლეხებით დაესახლებინათ, მთავრობამ XIX საუკუნის ოცდაათიან წლებში ოსმალეთიდან გადმოასახლა სომხები და ბერძნები; შემდეგ აქ დასახლდნენ გერმანელებიც. თბილისის და ბორჩალოს მაზრების დასავლეთ საზღვრებთან ძველიდან დარჩენილი ქართული, სოფელი სულ სამი იყო: ერთი დიდა სოფელი გომარეთი, მეორე — ვარდისუბანი, პატარა სოფელი, 15 კომლიანი, და მესამე — რეხა, სადაც სანახევროდ ბერძნებიც ცხოვრობდნენ. რეხასა და ვარდისუბანს მცირედი მიწა ჰქონდათ, გომარეთის უფრო ნაკლები, ამიტომ მე მეტად გამოიკვირდა და მეამა, როდესაც მანგლისის მახლობლად, ვიხსნარად წოდებული ნასოფლარის ქვემოთ, ვნახე მთიულებით დასახლებული სოფელი 50 კომლისაგან შემდგარი და რიგიანად მოწყობილი. ვკითხე: „საიდან გაჩნდით აქ თქვენ?“ მათ მიპასუხეს: „ჩვენ მთიულები ვართ, მიწა ნაკლები გვქონდა. უშველოს დემერთმა ლევან ჯანდიერს, მან მოგვხედა და აქ გადმოგვასახლა, საყოფი მიწა მოგვიხერხა და მისი წყალობით მოვითქვეით სულთ. აქ ორი ნასოფლარია თავის ეკლესიებით, მაგრამ რაკი მათი სახელები არ ვიცით, ჩვენ სოფელს ახალსოფელი დავარქვეითო“. მე ვუთხარი: „ამ ნა-

სოფლარების სახელები მე ეკლესიათა წარწერების მიხედვით გამოვარკვიე, თქვენ ქვემოთ რომ ნასოფლარია, ამის სახელი აზიკვე ყოფილა, აქ ადამიანთა ქანდაკებებიც არის, ერთს „შოთაი“ აწერია, შეიძლება შოთა რუსთაველი იყოს, ხოლო თქვენს სოფელს ბზა ჰქმევია“.

ამას გარდა ეთხოვე ეკლესიებისათვის ყური ეგდოთ. დიდად გაუხარდათ და დამპირდნენ მოვლას.

2. აკაკი წერეთელი

აკაკის შორიდან ვხედავდი ხშირად ქუთაისში, როდესაც პროგიმნაზიასა და გიმნაზიაში სწავლობდი, მაგრამ პირადად მხოლოდ მაშინ გავიცანი, როდესაც გიმნაზიის მეშვიდე კლასში გადავედი. იმ დროს ეცხოვრობდი პოლკოვნიკ ალექსანდრე მუსხელიშვილთან, რომელსაც ცოლად ჰყავდა ნიკო ლოლობერიძის და ანეტა, ცნობილი საზოგადო მოღვაწე და ერთობ ჰქვიანი და კარგი ადამიანი. მე ვიყავი რეპეტიტორი ალექსანდრეს ძმისწულისა, რომელიც გიმნაზიის მეოთხე კლასში სწავლობდა, და აგრეთვე ანეტას ძმისწულის, სიმონ ლოლობერიძის ქალის ნინოსი, რომელიც შემდეგ ვაჩნაძეზე იყო გათხოვილი და რომელიც ეხლაც კეთილად სუფევს. იგი მაშინ ქალების სასწავლებელში ქუთაისში სწავლობდა.

აკაკი ზოგჯერ ანეტასთან დადიოდა და იქ ვხვდებოდი მას. შემდეგ მას ქუთაისის თეატრში მოღვაწეობის დროს ხშირად ვხედავდი სცენაზე. იგი რეჟისორი იყო თეატრის კერძო დასისა და გასტროლებში მონაწილეობას იღებდა, სცენაზე თავის ლექსებს კითხულობდა. მაშინ თბილისიდანაც ხშირად მოდიოდნენ აკაკისთან ქართველი არტისტები — ვასო აბაშიძე და ვლადიმერ მესხიშვილი, რომელნიც ჩვენთვის დიდად საყვარელნი იყვნენ, მათ წარმოადგენებს დიდის ხალისით ესწრებოდა ქუთაისის საზოგადოება. მეტადრე ჩემზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა ვასო აბაშიძის სახუმარო კუპლეტები, რომლითაც ის ვადაჰკრავდა ზოგიერთ ჩვენს მოღვაწეებს.

აკაკის ზოგჯერ ვხვდებოდი ქუთაისის ინტელიგენტთა საღამოებზე, რომლებიც კერძო ოჯახებში იმართებოდა, უფრო ხშირად ეფემია კლდიაშვილის ოჯახში (ჩვენი არქიტექტორის, სიმონ კლდიაშვილის დედა იყო); აქ ვისმენდით ხოლმე აკაკის ჩვეულებრივ ხუმრობას. ზოგჯერ ჩვენის თხოვნით თავის ლექსებს გვიკითხავდა.

როდესაც უნივერსიტეტი გავათავე და თბილისში ჩამოვედი, მაშინ კი ხშირად ვხვდებოდი აკაკის კერძო ოჯახებში და ნამეტნავად წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ბიბლიოთეკა-მუზეუმში, რომელიც იმ ხანად ერთ მოზრდილ ოთახს წარმოადგენდა, წიგნების მაღაზიის უკან საადგილმამულო ბანკის ქარვასლაში, სასახლის ქუჩაზე. აქ იკრიფებოდნენ ქართველი ინტელიგენტები და ამ კრებაზე აკაკი ხშირად მოდიოდა და თავის მოთხრობებითა და ამბებით გვართობდა.

როგორც ქუთაისში, ისე აქაც აკაკი ცოლშვილით არა ყოფილა, არც მუდმივი ბინა ჰქონდა: ხან ერთ სასტუმროში ცხოვრობდა, ხან მეორეში. სამსახურ-

რი თავის დღეში არა ჰქონია, მაშასადამე, მისთვის არც ჯამაგირი არსებობდა. ცოტა შენოსავალს იღებდა თავისი მამულადან და ყოველთვის უფულოდ იყო. მაგრამ როგორც დამსახურებული და უებრო პოეტი ის ყველასათვის საყვარელი კაცი იყო და შეძლებსამებრ ყველა ეხმარებოდა. ხშირად მას სასტუმროს მებატრონენი, ნამეტნავად იმერლები და გურულები, არც ბინაში, არც საკმელ-სასმელში ფულს არა თხოვდნენ, თვის ბოლოს მხოლოდ ანგარიშს წარუდგენდნენ თავიანთი ხელმოწერით, რომ ფული მიღებულიაო.

აკაკი კერძო ოჯახებშიც ცხოვრობდა, ნამეტნავად პირველ ხანებში ნიკოდიასამიძისას (თბილისში), სადაც მას მასპინძლის ცოლი და შვილები დიდის სიყვარულით თავს დასტრიალებდნენ. ხშირად იყო აგრეთვე დეკანოზ დავით ღამბაშიძის ოჯახში, ყვირილაში, სადაც დავით ღამბაშიძე სასულიერო გაზეთ „მწყემსს“ სცემდა.

ერთ ადგილს დიდხანს გაჩერება არ უყვარდა: ხან თბილისში იყო, ხან ქუთაისში. ქუთაისში მას ბინა ნიკო ნიკოლაძის დებთან — კატოსთან და ანიკოსთან ჰქონდა. ესენი ცნობილი ინტელიგენტი ქალები იყვნენ, ქუთაისში მასწავლებლობდნენ და ისე ირჩენდნენ თავს. დებს თავიანთი ძმა ნიკო ნიკოლაძე ისე უყვარდათ, რომ ერთ სამღურავს ძმის შესახებ ვერ ათქმევინებდით. კატო (1854—1931) და ანიჩკა (1846—1931) თამამი ლიბერალური მიმართულების ქალები იყვნენ, უქმროები. აკაკი იქ როგორც თავის ოჯახში, ისე სცნობდა თავს. ნამეტნავად საინტერესო იყო მათი შინაური დამოკიდებულება. აკაკიმ პოეტურად შეთხზული ბაასი იცოდა. კატო მაშინვე სიცილით შენიშნავდა: „ტყუილი, ტყუილი!“—ო, მაგრამ აკაკი ამაში არც თავის შეურაცყოფას ხედავდა და არც ეჩხუბებოდა, სუყველაფერი სიცილით თავდებოდა.

საზოგადოდ აკაკი სააპეკო კაცი იყო, ვინმე პატრონი უნდა ჰყოლოდა, ვინაიდან ცოლშვილთან იმ დროს არა ცხოვრობდა. გაგონილი მქონდა, რომ მისი ცოლი, ბაზილევსკის ასული, მდიდარი ყოფილა, როდესაც ის აკაკის შეურთავს. ამბობდნენ, ქონება რომ დახარჯვიათ, აკაკიც გასცილებიაო, მაგრამ მის ცოლს კვლავ ორჯერ დიდი ქონება მიუღია გარდაცვალებულ ნათესავებისაგან, აკაკი ისევ ცოლთან წასულა მოსკოვში და, როცა ეს ქონებაც შეუქამიათ, აკაკი ისევ საქართველოში დაბრუნებულაო.

ნატალია ბაზილევსკაია მე უკვე მოხუცებულობაში ვნახე, როდესაც აკაკი ავად იყო, და ეტყობოდა, რომ ახალგაზრდობაში სანდომიერი ქალი უნდა ყოფილიყო. შვილა ღამაში ყავდა.

როდესაც აკაკი ავად გახდა, თბილისში მისი ცოლი ჩამოვიდა და დაადგა თავზე, თავისებურად უნდოდა კარგად მოევლო. ავადმყოფ აკაკის სხვა ქალებიც უვლიდნენ (მაგ. ტასო მაჩაბელი და სხვები). ერთხელ მივედი აკაკის სახანახავად, ნუგეში ვეცით:

— „არაფერი საშიში ავადმყოფობა არ გაქვს, მალე მორჩები“—მეთქი. მან მითხრა: „რა მომარჩენს, ეს თუ არ მომაცილებთ“, და მიუთითა ცოლზე. ეს აკაკის ჩვეულებრივი ოხუნჯობა იყო; ისე, რაც შეეძლო, პატივსაცემდა ცოლს.

აკაკის შვილი ალექსი ერთობ სიმპატიური ადამიანი იყო, ზრდილი, კაცთ-
მოყვარე, ლამაზი და კეთილი გულის პატრონი; მამა ძალიან უყვარდა და,
თუმცა ქართული ნაკლებად იცოდა, მაგრამ მამის თხზულებათა შინაარსი ზედ-
მიწევნით ჰქონდა შეთვისებული. მან ოპერის მოყვარულთა დასი შეადგინა და
ერთხელ გასტროლებისათვის ჩამოვიდა საქართველოში; აკაკი შვილს დიდად
ეხმარებოდა, მაგრამ მოგება ვერ ნახეს და ვალებში ჩაცვივდნენ. თანდათანო-
ბით ეს საოპერო დასი ალექსიმ შემდეგ გააუმჯობესა, პარიზში ჩავიდა თავისი
დასით და დიდი წარმატებით მიყავდა საქმე. კარგი შემოსავალი ჰქონდა და
დიდი შთაბეჭდილებაც მოახდინა ამ დასმა ფრანგებზე. მერე ფრანგებმა არენ-
დით აიღეს ეს დასი და მისი მონაწილენი, გარდა საფრანგეთის ქალაქებისა,
ბრიუსელში და ბელგიის სხვა ქალაქებშიც მართავდნენ სალამო-კონცერტებს,
რომელთაც აუარებელი ხალხი ესწრებოდა. დასს მართალია შემოსავალი დი-
დი ჰქონდა, მაგრამ ალექსი იმდენად პირდაპირ იდეალური და უანგარო კაცი
იყო, რომ შემოსავლის ანგარიშში თითონ არც კი ერეოდა, რასაც დასი მის-
ცემდა. იმით კმაყოფილდებოდა. დასის წევრები ალექსის აღმერთებდნენ და
ოდნავი უსიამოვნებაც კი არა ჰქონიათ მასთან. დედამისი ნატალია იმ დროს
დასწეულებული იყო, ორ წელიწადს ლოგინში იწვა, შვილი თავს დასტრია-
ლებდა და არაფერს არ აკლებდა, მაგრამ ბოლოს მაინც სწეულებას გადაჰყვა.
დედის სიკვდილის გამო გამოუთქმელ მწუხარებაში ჩავარდა ალექსი. ერთი
თუ ორი წლის შემდეგ თითონ ალექსიც გახდა ავად და იქ, პარიზშივე, მიიცვა-
ლა. დიდალი საოპერო დეკორაციები, ტანისამოსი და ბიბლიოთეკა დარჩა,
რაც მილიონნახევრად იყო შეფასებული, ეს ყველაფერი ქართულ საზოგა-
დოებას დაუტოვა ანდერძით, მაგრამ ოპერის დასის წევრებმა საჩივარი აღ-
ბრეს, რომ ჩვენ გვეუთვნის მთელი საოპერო ქონებაო და ეს ქონებაც მათ
დარჩათ

აკაკი ჩემი დიდი პატივისმცემელი იყო და ეს საქმიანაც დაამტკიცა, მე
ცოტა არ იყოს სირცხვილეული დავრჩი. ერთხელ შემოვიდა იგი ჩემთან სახლ-
ში (მაშინ წყნეთის ქუჩის დასაწყისში ვცხოვრობდი ხოლო აკაკი ჩემ პირდა-
პირ ყოფილ ოლღას ქუჩაზე) და მითხრა:

— „ყველაფერზე გული ამივარდა, არცერთი ჩვენი დაწესებულება არ
მაკმაყოფილებს შენი საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მეტი და
ჩემი ქონება თქვენ უნდა დაგიტოვოთ ანდერძითო“.

მე გავიცინე და ღიმილით ვუთხარი: „აკაკი! შენი ჭირამე ჩვენი დალუპვა,
თუ არ გინდა მაგას ნუ იქმ-მეთქი“.

— „რატომაო?“ — მკითხა.

— „იმიტომ რომ, მეშინია, შენს ვალებში არ გაგვიყიდონ ის ხელნაწერე-
ბი და სხვა ნივთები, რომელნიც თქვენ უნდა დაგიტოვოთ ანდერძით“.

მან მიპასუხა: „ვინ გითხრა ეს? ვალი ერთი კამეიციც კი არ მაქვს, ან, ვა-
ლი საიდან მექნება, როდესაც ფულს არავინ მასესხებს? ჭე ნახავ მაშინ, რო-
დესაც ჩემს მემკვიდრეობას მიიღებთ და მოსარჩლე არავინ გამოგიჩინდებათ“.

ამით გავათავებთ ლაპარაკი და სხვაზე გადავედით. სხვა დროს მას ამ საკითხზე ლაპარაკი აღარა ჰქონია. წარმოიდგინეთ: წასულა აკაკი ქუთაისში და ამავე კვირაში ნოტარიალური წესით დაუმტკიცებია ანდერძი, რომ მთელ თავის მამულს და მთელ თავის ნაწარმოებებს, გამოცემულს თუ გამოუცემულს, უტოვებს საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას.

ეს მე მხოლოდ მაშინ გავიგე, როდესაც აკაკი გარდაიცვალა. ძლიერ გამოვივრდა, რად მოიქცა იგი ასე, რადგანაც 100 დესეტინა მიწა, დიდი ეზო და სახლი საჩხერეში, რომელშიც აკაკი ცხოვრობდა, მამაპაპეული იყო და კანონით მასში წილი უნდა ჰქონოდა მის დასაც, რომელიც მაშინ ლოგინად იყო ჩავარდნილი. მეორე მხრით, ეს ამბავი საკვირველი იყო იმ მხრივაც, რომ აკაკის შვილსა და ცოლს არავითარი პრეტენზია არ გამოუცხადებიათ ამის შესახებ. რა თქმა უნდა, ჩვენ დიდი პატივი ვეცით აკაკის ოჯახობას, სანამ ის თბილისში იყო: არამიღირსი, მაგრამ სამყოფი სარჩო გაუუჩინეთ.

ანდერძის თანახმად აკაკის სახლი, მამული, ეზო და მისი ხელთნაწერები მალე ჩავიბარეთ, მის სახლში გავხსენით მუზეუმი და მასივე ყოფილ მოურავს კოტე აბღუშელიშვილს ჩავებარეთ. ის ენერგიული კაცი იყო და დიდად ხელს გვიწყობდა; რასაკვირველია, თავის ანგარიშსაც არ იეიწყებდა.

თბილისში აკაკის მოურაობას ასრულებდა სოსიკო მერკვილაძე, ბუკინისტი, დიდი ფართი-ფურთის კაცი. აკაკი მასთან ხშირად დადიოდა. სიკვდილის შემდეგ აღმოჩნდა, რომ მას აკაკისაგან ნოტარიუსის წესით შეუძენია უფლება აკაკის რამოდენიმე საუკეთესო თხზულების გამოცემისა. ჩვენ რომ ეს გავიკვირვებთ, მან გვითხრა: „ამ თხზულებებს მე მხოლოდ ერთხელ გამოვცენ და მერმე ყველა თქვენს უფლებაში გადმოვცო“.

როგორც აკაკის წინადადებას ანდერძის შესახებ შევხვდი სიცილით, აგრეთვე სიცილით შევხვდი მეორე მის წინადადებასაც. ერთხელ აკაკი მოვიდა ჩემთან და მითხრა: „რამდენადაც ვიცნობ ხალხურ პოეზიას, უნდა გამოგიტყუდე, რომ ჩვენსთანა ხალხური პოეზია სხვა ხალხს იშვიათად თუ აქვს. ამიტომ შენ დიდი სამსახური მიგიძღვის, რომ ასე ბევრი მასალა გამოაქვეყნე თქვენს საისტორიო და საეთნოგრაფიო ორგანოში — „ძველ საქართველოში“, მაგრამ ხალხში გაბნეული მასალა აუარებელია, ამოუწურავი და მათი შეგროვება-გამოცემა გაასკეცებულ მუშაობას თხოულობს. მინდა ამ საქმეში დაგეხმაროთ. მოწმობა მომეცი, რომ მე თქვენი საზოგადოება მაგზავნის კახეთში სახალხო პოეზიის შესაკრებად“.

მე, როგორც მოგახსენეთ, სიცილით შევხვდი ამ წინადადებას: „თუ ღმერთი გწამს, აკაკი, მაგას მე ნუ დამაელებ, თორემ უხერხულ მდგომარეობაში ჩავვარდები. შენ მთელი საქართველო გიცნობს და მის უგვირგვინო მეფეს გეძახიან, ექვთიმე თაყაიშვილია უნდა მოგცეს შუამდგომლობის მოწმობა და გაგიკეთოს რეკომენდაცია? მე ხომ სასაცილოდ ამიგდებენ და იტყვიან: ეს, როგორ გაკადნიერებულა და ჩვენ გვასწავლის ვინ არის აკაკი და როგორი პატივით უნდა მივიღოთ-მეთქი?“.

— „აი, ასე იცი შენ, — მითხრა მან — შენ რა გენადღვება, მე ასეთი მოწმობა გამომადგება. ჩემი ხალხს არაფერი არ სჯერა, აკაკიმ ლექსის წერის მეტი არაფერი იცისო, შენ სერიოზული კაცი ხარ და მე შენს მოწმობას გამოვიყენებო“.

მე ვუთხარი: „დიდის სიამოვნებით, მაგრამ სიცილს მაინც დამაყრიან. საამისოდ დიდი ფული ჩვენ არა გვაქვს, მხოლოდ 100 მანეთს მოგართმევთ, თუ გეყოფათ ეს წასასვლელად, მიიღეთ და წაბძანდით“.

— „თავსაყარად მეყოფა, მეტი არ მინდაო“.

დავწერე ჩვეულებრივი მოწმობა და მივეცი 100 მანეთი. ამას გარდა მივწერე ჩემს მეგობრებს თელავში, განსაკუთრებით ვასილ კახიძეს, რაფიელ ერისთავის სიძეს, რომ ჩვენმა დიდმა მგოსანმა განიზრახა ფოლკლორული მასალების შეგროვება და გთხოვთ დიდის პატივით შეხვდეთ, წაიყვან-წამოიყვანოთ სხვადასხვა სოფლებში და კმაყოფილი დააბრუნეთ უკანო.

მართლაც კახელები დიდის ამბით შეხვდნენ აკაკის და შესაფერი პატივი არ დაუკლიათ მისთვის. დაბრუნების შემდეგ აკაკის ჩვენთვის არაფერი არ მოუტანია და არც ჩვენ გვიკითხავს რამე ამ საქმის შესახებ.

ყველამ იცის, რომ აკაკის ილიასავით უყვარდა კარტის თამაში. ხშირად დამესაც ათენებდა; მანამ ვიბეს არ ამოიცალიერებდა, თამაშობას არ მიატოვებდა. თუ ილია უმეტეს შემთხვევაში კარტში ფულს იგებდა, აკაკი თითქმის ყოველთვის აგებდა. მე ვეკითხებოდი კარტის მოთამაშებებს: „რა მიზეზია, რომ ილია იგებს, აკაკი სულ აგებს?“ ისინი მეუბნებოდნენ: „შეუძლებელია აკაკიმ მოიგოს, რადგან მან „ფასი“ არ იცის; ქაღალდი მოუვა თუ არა, მისთვის სულერთია, მაინც თამაშობსო. მის პარტნიორებს „ბურღუჩნი“ კლუბში დავა ჰქონდათ ერთმანეთში, აკაკის რომ დაინახვდნენ: დღეს მე ვეთამაშები და არა შენ. შენ გეყო, რაც წინათ მოუგე, ეხლა მოგება მე უნდა მხვდესო“. ასე წინდაწინ იცოდნენ, რომ აკაკისთან თამაში მათთვის ყოველთვის მოსაგები იყო.

აკაკი, როგორც მოვისხენიე, სააპეკო კაცი იყო. ერთხელ მას ქუთაისის სათავადაზნაურო ბანკმა პენსია დაუნიშნა და თანხა წერა-კითხვის საზოგადოებას გადასცა, რომ თვითურ-თვითურად ეძლიათ განსაზღვრული რაოდენობით. ამან უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენა საზოგადოება და მისი ხაზინადარი. აკაკი თხოულობდა ბევრ ფულს, ისინი არ აძლევდნენ განსაზღვრული თანხის მეტს. იყო ერთი მითქმა-მოთქმა. აკაკი ამბობდა: „მე არაფერს არ მაძლევენ, ჩემს მაგიერ სხვები აწერენ ხელს და მათ მიაქვთო“. ამას, რასაკვირველია, არავინ არ იჯერებდა, ვინიდან დავით კაჭიკაშვილია, რომელიც მაშინ გაჩაგებდა წერა-კითხვის საზოგადოების საქმეებს, უაღრესად პატიოსანი კაცი იყო და, თუ ვინმე ეტყოდა დავითს, რომ აკაკი ამბობს არაფერს მაძლევენო, ისიც მითქმელს ხელწერილებს უჩვენებდა და აკაკის კი საყვედურს სრულიადაც არ ეუბნებოდა. მაგრამ როდესაც გიორგი ყაზბეგი გახდა საზოგადოების თავმჯდომარე, იმან შეურაცყოფად მიიღო ასეთი მითქმა-მოთქმა და წერა-კითხვის საზოგადოებამ უარი სთქვა აკაკისათვის გასანაწილებელი ფულის მიღებაზე. შემდეგ ბანკმა სხვა დაუნიშნა აპეკუნად. მაგრამ იმანაც უარი სთქვა. ბოლოს

იაკობ გოგებაშვილს სთხოვეს, რომ მას მიეღო თავის თავზე აქ ფულების გამოზოგვა აკაკისათვის. გოგებაშვილი დიდ უარზე იყო, მაგრამ მერმე სთქვა: „ვინმემ ხომ უნდა იკისროს ეს არა სასიამოვნო საქმე? ისე აკაკი ვერაფერს ვერ წიღებს. მე დავთანხმდები, თუ ექვთიმე თაყაიშვილიც შემომიერთდებაო“. მე ვუთხარი იაკობს: — „როგორც შენ, ისე მე დიდ პატივს ვცემ აკაკის, მაგრამ ესეც ხომ იცი, აკაკი არავის არ დაინდობს და ჩვენც კარიჭაშვილის ამბავი მოგველის-მეთქი“. — „რა ვქნათ უნდა გადვიტანოთო“, — მითხრა და ორივე დავთანხმდით, ერთ ხანს ვუძღვებოდით ამ საქმეს. ჩვენ მაინც და მაინც არ შეგუწუხებდითვართ აკაკის, ისე კი პირს უკან რას ამბობდა, არ ვიცი.

როგორც რაფიელ ერისთავის იუბილე დიდი ზეიმით გადაიხადა ქართველმა საზოგადოებამ, ისე კიდევ უფრო მეტის ზეიმით, თანაგრძნობითა და სიყვარულით გადავიხადეთ აკაკის იუბილე თბილისში 1908 წელს. მაგრამ მისი იუბილე თბილისით არ დამთავრებულა. შედგა ჯგუფი, რომელმაც აკაკი დაატარა საქართველოს ყველა კუთხეში: ქართლში, კახეთში, იმერეთში, რაჭალეჩხუმში. ყველა კუთხე დიდის ზეიმითა და თანაგრძნობით შეხვდა პოეტს და აგრძნობინა თავისი სიყვარული და პატივისცემა. სხვათა შორის აკაკი ესტუმრა ილიას სოფელს ყვარელს. აქ იური ჭავჭავაძემ (გენერალ ნიკო ჭავჭავაძის ძმისწულმა) ისეთი საზეიმო შეხვედრა მოუწყო აკაკის, რომ ხარჯების დასაფარავად, როგორც გადმოგვცეს, მას მოუხდა ათიოდე დეკეტინა მამულის გაყიდვა.

აკაკის ქართველი ხალხის პატივისცემა და სიყვარული არ დაკლებია, ინტელიგენცია დიდად აფასებდა მის პოეტურ მემკვიდრეობას. სასტუმროებისა და რესტორანების პატრონები მას სთავაზობდნენ კარგ ბინას, მოწყობილობასა და საკმელ-სასმელს, ფულს არა სთხოვდნენ. ნიკო დიასამიძის, ვანო მაჩაბლისა და სხვათა ოჯახების კარებები ყოველთვის ღია იყო. ზაფხულში საჩხერეში მიდიოდა ხშირად და იქ თავის სახლში სხვიტორში ცხოვრობდა; აქ დიდ ყურადღებას აქცევდნენ თავისი მოგვარეები, მეტადრე ელისაბედ და ბუჯან წერეთლები.

იუბილეს შემდეგ აკაკი თანდათან დასუსტდა, დაავადმყოფდა და 1915 წლის იანვარში გარდაიცვალა თავის სოფელ სხვიტორში. უკვდავა პოეტი დიდი ამბით ჩამოასვენეს თბილისში და დაკრძალეს ქართველ მწერალთა პანთეონში, სადაც განისვენებენ დიმიტრი ყიფიანი და ილია ჭავჭავაძე.

3. გიორგი წერეთელი

ჩვენ დიდ მოღვაწეთა შორის ყველაზე უმაღლ გავიაცანი გიორგი წერეთელი. როდესაც ქუთაისში მეორე კლასის პროგიმნაზიაში შევედი, გიორგი წერეთელი მაშინ ამიერ-კავკასიის რკინიგზაზედ მუშაობდა, ის იყო დიდი მეგობარი იოსებ თაყაიშვილისა, რომელიც თვალსაჩინო პიროვნება იყო მთელ გურიაში.

ერთხელ, კვირა დღეს იოსებმა სადილად დამიძახა: „ჩემთან გიორგი წერეთელი იქნება და მოდიო“. მეც მივედი. იქ იყო გიორგის გარდა ერთი ჩვენი სოფლის ლიხაურის მკვიდრი კაკაბი ლომჯარია, რომელიც მოსწრებულა ენის პატრონი იყო, თამამი, უშიშარი და გლეხების მეჭომბავე.

სადილზე მხიარულობა გვექონდა. ტალღებამაღდ თვით იოსებ თაყაიშვილი იყო. მან სხვების სადღეგრძელო რომ მოათავა, ჩემი სადღეგრძელო დალია და ასეთი სურვილი გამოთქვა: „მე მინდა საქართველოს თავისუფლებას მოეწირო და ასეთი კაცი გამთხვიდე, რომ საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი გახდეთ“. კაკაბი ლომჯარია შეედავა იოსებს: „მე მაგის თანახმა არა ვარ“. ყველამ გაკვირვებით შეხედეს და ჰკითხეს: — „რატომ?“ — „რატომ და კოჭლი კაცი რომ პრეზიდენტად აირჩიონ, არ გვეტყვიან ფეხმართალი კაცი ვერ იშოვნეთ?“ — „ეჰ, ეგ როგორ იქნებაო, — დაუწყეს ლაპარაკი კაკაბის, — პრეზიდენტს თავი უნდა ჰქონდეს კარგი და არა ფეხიო“. კაკაბამ სიცილით მითხრა: — „არ გეწყინოს, ხუმრობით ვთქვიო“. მე ვუთხარი: „როგორ მეწყინება, რაკი კარგად ვიცი, რომ საქართველო ასე ადვილად ვერ განთავისუფლდება და მისი პრეზიდენტიც ვერაოდეს ვერ გავხდები, რადგან ასეთი დიდი წარმოდგენა არა მაქვს ჩემს თავზე-მეთქი“. მომვარდა გიორგი წერეთელი: „ყმაწვილო! ეგ რა თქვი, ყველა მოსწავლე უნდა განდიდება მოელოდეს და თავს ამზადებდეს მომავალი საქართველოს თავისუფლებისათვის!“ — მერე ხმამალა თქვა: „მე მოვესწრები საქართველოს განთავისუფლებას და შენ ახალგაზრდა მით უმეტეს“-ო.

ამის შემდეგ გ. წერეთელი რამოდენიმეჯერ შემხვდა კიდევ ქუთაისში იოსებ თაყაიშვილთან. შემდეგ ვნახე სურამში, როცა მესამე კურსზე ვიყავი პეტერბურგის უნივერსიტეტში; ზაფხულში საქართველოში ვისვენებდი და ერთ-ორ დღეს მე და მიხაკო მღვდელიევი კატო და ანიჩკა ნიკოლაძეებს ვესტუმრეთ სურამში (მაშინ ნიკოლაძის ქალები გიორგი წერეთლის შვილებს უვლიდნენ და იქ სააგარაკოდ იყვნენ). გიორგი იქ ამოვიდა შვილებთან, მისი პირველი ცოლი, ნიკო ნიკოლაძის და, ოლიმპიადა უკვე გარდაცვლილი იყო.

უნივერსიტეტი რომ დავამთავრე და თბილისში ჩამოვედი, მაშინ გიორგი არა მსახურობდა და დიდ გაპირვებას განიცდიდა. გვინდოდა რაიმე საქმეში მოგვეწყო, მაგრამ გიორგის საქმე ყველაზე უფრო მწერლობა იყო, ამიტომ ვანო მაჩაბელმა, ალექსი ჭიჭინაძემ და მე განვიზრახეთ გაზეთის, ან ჟურნალის დაარსება. ეს უფრო იმით იყო გამოწვეული, რომ მაშინ, გარდა ილიას „ივერიისა“, სხვა გაზეთი არ არსებობდა. ყოველდღიური გაზეთი დიდ ფულს მოითხოვდა და ჩვენ ვერ შევძლებდით ამ ფულს შოვნას, ამიტომ გადავწყვიტეთ, საკვირაო გაზეთი დავეარსებოთ. აღმდარით შუამდგომლობა ეურ. „კვალის“ გამოცემის შესახებ და კიდევაც მივიღეთ უფლება. რედაქტორობა და გამომცემლობა გიორგი წერეთელს დავუმტკიცეთ, რასაც გ. წერეთელი დიდი სიხარულით შეხვდა. მაგრამ მან მალე იცვალა მიმართულება და გაზეთი მესამე დასელების ორგანოდ გახდა. ეს ეწყინათ ვანო მაჩაბელსა და ალექსი ჭიჭინაძეს. მოხიჯეს: — „წადი, ჩვენს მაგიერ მოელაპარაკე გიორგის; ეს რა ამბა-

ვია, რომ ჩვენი დაარსებული გაზეთი სხვებს გადასცაო“. მე ვუთხარი: „მე ვარ ორგის რა უნდა ველაპარაკო ის დიდი ცნობილი მოღვაწეა და მე არ შემეფერება მისი ჭკუის სწავლება. ისე ჩამოუგდებ ლაპარაკს და, რასაც მეტყვის, მოგახსენებთ მეთქი“. წავედი გიორგისთან და დავიწყე ლაპარაკი „კვალის“ შესახებ. მან მითხრა: „ესლა ისეთი დრო დადგა, რომ ძველი მიმართულება უნდა უკუვადროთ, იქიდან მარტო ნაციონალური თავისუფლების მისწრაფება დავითოვით და სხვა სოციალურ-ეკონომიურ საკითხებში მარქსისა და ენგელსის მიმართულება უნდა მივიღოთ. მარქსი ეკონომიურ საკითხში და სოციოლოგიაში ისეთი ავტორიტეტია, როგორც დარვინი ბიოლოგიაში. მარქსისტები ენერგიული ზალხია და გაზეთის საქმეს უზრუნველგახდიან. მაჩაბელს და ჭიჭინაძეს არაფერი შეუძლიათ“.

გიორგი წერეთელი სხვა ჩვენ მოღვაწეებისაგან იმით განირჩეოდა, რომ ჩვენი ძველი მწერლობა იცოდა, ზუცურ ხელთნაწერებს კარგად კითხულობდა, ახალი ქართული ჩინებულად იცოდა. ქართველი მწერლები მის შესახებ სხვადასხვა აზრისა იყვნენ. მაგ., აკაკი ამბობდა: „გიორგი წერეთელს ორი თავი აქვს, ერთი ჭკვიანი და მეორე სულელი. ხან ერთს ხმარობს და ხან მეორესო“. ნიკო ნიკოლაძე ამბობდა: „ყველაფერი საქმე გამოუვა ხელიდან: კარგიცა და ავიცაო“.

იგი არქეოლოგი იყო. მისი რეფერატი მეხუთე საარქეოლოგიო კრებაზე თბილისში ყველა სხვა ქართულ რეფერატს სჯობდა. მოსკოვის არქეოლოგიური საზოგადოების წევრი იყო, არქეოლოგიურ მოგზაურობას აწარმოებდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში და სტატიებს ბეჭდავდა „в Материалах по археологии Кавказа“.

ილია ქავჭავაძესთან ხშირად ჰქონდა პოლემიკა, მაგრამ პირად შეხვედრის დროს მათ ცუდი განწყობილება არა ჰქონიათ და ხშირად იგონებდნენ თავიანთი ძველი მოღვაწეობის დროს, თუ მაშინ რა დევნასა და რაოდენ უსიამოვნებას განიცდიდნენ.

4. ვაჟა-ფშაველა

ვაჟა-ფშაველა მე პირველად გავიცანი პეტერბურგში, როდესაც უნივერსიტეტში შევედი, ის მოვიდა თავისუფალ მსმენელად უნივერსიტეტში და ესწრებოდა ქართველი სტუდენტების სხდომას სათვისტომო საკითხების შესახებ. ფშავ-ხევსურეთის სახალხო პოეზიიდან აუარებელი ლექსები იცოდა ზეპირად. არავითარი რვეული, ან წერილობითი საბუთები ხელში არა ჰქონია და ყველანი განცვიფრებულნი ვიყავით, როგორ შეეძლო ამდენი ლექსების ზეპირად დამახსოვრება. ლექსები, რასაკვირველია, დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა ჩვენზე.

ის ცხოვრობდა ერთ ჩემ ამხანაგ გოცირიძესთან, მაგრამ დიდხანს ვერ შეეწყვიენ ერთმანეთს და გასცილდნენ.

თბილისში რომ ჩამოვედი, მას ვერა ვხედავდი, მაგრამ ერთი მისი საქმე წამოიჭრა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების კომიტეტში და მა-

შინ შევერტყევი, რომ ის მანგლისის მახლობლად თონეთში ყოფილიყო მასწავლებლად. თონეთელებიდან ასეთი საჩივარი მოვიდა: ცუდად იქცევა, მუშტიკვრით გვიმასპინძლებდა და ხანჯალითაც გვემუქრებო. იქ გაგზავნეს გამოძიებისათვის წერა-კითხვის საზოგადოების საქმის მწარმოებელი იაკობ მანსვეტა-შვილი და იმან მოიტანა ამბავი, რომ ვაჟს ჩხუბი მოსვლია ერთ რუსის ოფიცერთან, ისინი ერთმანეთს შეხებიან ხელით. ბოლოს და ბოლოს საქმე იმით გათავდა, რომ ვაჟა-ფშაველამ მიატოვა იქ სამსახური.

შემდეგ მას ვხვდებოდი იშვიათად წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარიაში და ვეცნობოდი მის ლექსებს და მოთხრობებს, რომელნიც „ივერია“-ში იბეჭდებოდა. მაშინ მას უკვე სახელი ჰქონდა მოხვეჭილი, როგორც დიდსა და ორიგინალურ პოეტს. ყველაზე უფრო მისი ნიჭის დამფასებელი იყო ილია ჭავჭავაძე, რომელიც ამბობდა: „რუსთაველის შემდეგ ჩვენ ასეთი ნიჭიერი პოეტი არა გვეყოლია“. „ხუთშაბათობის სხდომებზე“, რომელნიც ილიას ბინაზე ეწყობოდა ხოლმე და რომელთაც ესწრებოდნენ რედაქციის ყველა წევრი, მწერლები და ილიას მეგობრები, ხშირად კითხულობდნენ ვაჟა-ფშაველას ამათუ იმ თხზულებას.

შემდეგ, როდესაც მე დავაარსე საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება, ჩვენ შევეუდემით აგრეთვე სახალხო პოეზიის ნიმუშების შეკრებასა და გამოქვეყნებას. გვიანდოდა შეგვეკრიბა დაწვრილებითი ეთნოგრაფიული მასალები საზოგადოდ მთიელთა და განსაკუთრებით ფშავ-ხევსურების ცხოვრების შესახებ. მე ვთხოვე ვაჟა-ფშაველას: „ამას შენზე უკეთესად ვერავინ ვერ შეგვიდგენს, გასამრჯელოს მოგართმევთ, შეგვიკრიბე ასეთი მასალა. ჩვენ გვიანტერესებს ვიცოდეთ ფშავ-ხევსურების ცხოვრების პირობები, მათი ზნე-ჩვეულებანი, მისწრაფებანი და ხასიათები“. ვაჟა-ფშაველა დამპირდა და რამოდენიმე ხნის შემდეგ მოგვიტანა შესანიშნავი მოთხრობა „ფშაველი და მისი წუთისოფელი“, რომელიც დაბეჭდილია „ქველი საქართველოს“ მე-2 ტომში. ეს ნაწარმოები ნამდვილი პოეტური მოთხრობაა, რომელსაც თან ახლავს ფშავური ლექსები და ანდაზები. ხევსურების შესახებ ასეთი მოთხრობის დაწერა საუბედუროდ მას აღარ დასცალდა.

შვილების აღზრდაში დახმარებას მოხოვდა და 1902 წელს მისი შვილი ლევანი პანსიონში მივალბევი კომიტეტის საზოგადოების ხარჯზე. გარდაცვალების შემდეგაც მის ორივე შვილს სტიპენდიები დაეუნისნეთ და სასწავლებლად გაგზავნეთ.

როდესაც იგი დასნეულდა, მოვათავსეთ სათავადაზნაურო გიმნაზიის საავადმყოფოში, შენობაში, სადაც ახლა ჩვენი უნივერსიტეტია. აქ მე მასთან ხშირად დავდიოდი და რაც შემეძლო ყველაფერში ვეხმარებოდი, მაგრამ სამწუხაროდ უღროოდ გამოეცალა წუთისოფელს.

5. ეგნატე ნინოშვილი (ინგოროჟვა)

ეგნატე ნინოშვილს პირადად არსად არ შევხვედრივარ და არც გამიცნია, მხოლოდ ერთხელ მომწერა წერილი და მოხოვა მასალები მიმეთითებინა გურიის აჯანყების შესახებ. მე სიამოვნებით ავუსრულე ეს თხოვნა, ჯერ დავუსა-

ხელე ოფიციალური ცნობები, რომელიც სამხედრო შტაბში ინახებოდა (მაშინ სამხედრო შტაბში მუშაობდა ჩემი ძმა—ვარლამ თაყაიშვილი, იმისგან შევეცდებოდი ნომერი საქმისა), ამას ვარდა ვერჩიე პირადად ენახა ბიძაჩემი ედიშელ თაყაიშვილი, რომელიც ამ ჭანყში ერია და დაჭრილი იყო მუხლის თავში, და მივსწერე დაწვრილებით, თუ როგორ ჩაბმულიყო ის ამ აჯანყებაში, ვის გადაერჩინა დაკოდილი და სხვა.

ბიძაჩემიდან მე ასე მქონდა გაგონილი: მოთავენი აჯანყებისა ყოფილიყვნენ დავით გუგუნავა და დავით გურიელი. გუგუნავა მოსულიყო ჩვენს სოფელში ლეხოურში ჭარის შესაკრებად, ბიძაჩემი ედიშელი მაშინ 16 წლისა ყოფილიყო. ბებიაჩემს ის დაემალა სახლში, რომ გუგუნავას არ ენახა და არ მოეთხოვა მისი წაყვანა. „მე კი — მითხრა ბიძაჩემმა — დიდად მინდოდა მასთან წასვლაო“. ამიტომ დაუწყია ღრიალი. ეს გაუგონია დავით გუგუნავას და უკითხია ბებიაჩემისათვის: ვინ არის რომ ღრიალებსო? რომ გაუგია რაში ყოფილა საქმე, გუგუნავას გამოუყვანია სამალავიდან და წაუყვანია ეს გახარებული 16 წლის ახალგაზრდა, მაშინ უკვე თოფის სროლაში გაწვრთნილი.

ბიძაჩემს უაზნებია, რომ აჯანყებისათვის მზადებას ორი კვირით ადრე შეუდგნენო ლეხოურში და რომ ჭარის შეკრებას მეთაურობდაო ხოსო*) გოგორიშვილი. მამაჩემი მაშინ კარდონის ნაჩაღნიკი ყოფილიყო, ე. ი. მდინარე ჩოლოქის კარდონის მცველი (ჩოლოქის წყალი შეადგენდა სახლვარს რუსეთის და ოსმალეთისას, მის მცველს კარდონის ნაჩაღნიკი ერქვა).

მეორე ჩვენი გვარის კაცი, ქაიხოსრო თაყაიშვილი, რუსის მთავრობის მოხელე იყო. მამაჩემი და ქაიხოსრო თაყაიშვილი შეგნებული წინააღმდეგნაყოფილან აჯანყებისა და ამბობდენ, ესენი ვერას გახდებიან და დიდი ზარალი მოუვა გურიასო; მაგრამ მათ არ უყვრებდნენ. ბიძაჩემმა მითხრა: მზადება ჩვენს სოფელში იმითაც გამოიხატებოდა, რომ ჭვარს ზემოთ (ჭვარი ერქვა იმ ადგილს, სადაც ეკლესია იყო) აჭის წყლის სათავეში მიმავალი გზა შეკრეს, რამოდენიმე ხე აქა-იქ მოსჭრეს და მით გადახირეს გზაო. მამაჩემს უკითხავს: „რად ჩადიხართ ამ საქმეს?“ იმათ უპასუხიათ: „ამაზე რუსები ვერ გადავლენ“—ო. მამაჩემს კი უპასუხია (ბიძაჩემმა მითხრა): „რუსებმა კავკასიის მთები გადმოლახეს და თხმელას ხეები დააკავეს მათო?!“.

ოზურგეთში გურიელების დროიდან დარჩენილი მალალი ციხე იყო, ამ ციხეში ბინდობდა რუსის ჭარი და ექვე ჭართან ყოფილან, როგორც რუსის მოხელენი, ქაიხოსრო თაყაიშვილი და მამაჩემი — სიმონ თაყაიშვილი.

ბიძაჩემის თქმით, აჯანყებულთა შეტევის გეგმა ასეთა ყოფილა: დავით გუგუნავას რაზმი უნდა მოსულიყო ნავომრიდან, ხოლო დავით გურიელის — ლანჩხუთიდან. ეს იქნებოდა მემარჯვენე და მემარცხენე ფრთები შეტევისა. ლეხოურლები და მაკვანელები აქედან უნდა ჩასულიყვნენ მდინარე ჭუუვის პირზე, გოგორიშვილის თაოსნობით. გოგორიშვილის რაზმი იქნებოდა მებრძოლთა ცენტრი.

*) იმდროინდელი ხოსო ანუ მისი ძმა...

აჯანყების დაწყების დროს დავით გუგუნივას და გოგორიშვილის რაზმებმა დროულად მისულან თავთავიანთ ადგილზე, მაგრამ დავით გურიელის რაზმს რალაცა მიზეზის გამო დაგვიანებოდა. მის მოსვლამდე შეტევა უკვე დაწყებული იყო, გოგორიშვილის რაზმს გადაელახა ყუყი და დაეკავებია მალლობი, რომელიც ოზურგეთის ციხის პირდაპირ იყო, ბაზრის წყლის მარცხენა ნაწილზე.

გოგორიშვილს მალლობის წვერიდან ბიძაჩემი ედიშელი გაეგზავნა ბაზრის წყალთან ჩასასვლელად, სადაც იდგა ერთი ნაწილი მეამბოხეთა და მათ უნდა მოხმარებოდა. ეს ფერდობი ბაზრის წყალამდე საკმაოდ გრძელია, ბიძაჩემს ჩაუბრუნია ფერდობის შუა ნაწილამდის, მაგრამ იქ მოხვედრია კარტეჩი მუხლში და წაქცეულა, ფორთხვით ჩასულა ცოტა ქვემოთ, საცა ადგილი ცოტა ჩაღრმავებული იყო, და იქ ჩაწოლილა.

ბრძოლა გაგრძელებულა სამხრობის დრომდე (გურულად—ზარმელის დრომდე). მამაჩემს და ქაიხოსრო თაყაიშვილს ციხიდან დაუნახავთ, როგორ ჩამოეშვა ერდიშელ თაყაიშვილი მალლობის წვერიდან და როგორ დაეცა მიწაზე. როდესაც სროლა გათავებულა, თურმე მათ გადასძახეს ციხიდან გოგორიშვილს: „ერდიშელი როგორ არისო?“ იმას პასუხი მიუცია: „ჯერ არ ვიცით, მკვდარია თუ ცოცხალი“. ეს რომ გაუგონია, ბიძაჩემს დაუწყია ყვირილი: „ცოცხალი ვარ, ცოცხალი, არიქა მიშველეთო“. წასულა ქორივით გოგორიშვილი, შეუგდია მხარზე ბიძაჩემი და აღმართზე ამოუბრუნია. გოგორიშვილი დაუნახავთ რუსებს ციხიდან და აუტეხიათ სროლა, მაგრამ ვერ მოუხვედრებიათ ტყვია და ასე ამრიგად ამ გმირ გოგორიშვილს გადაურჩენია ბიძაჩემი. იგი წამოუყვანიათ მაშინვე სახლში, იქ დოსტაქარებს კარტეჩი ამოუღიათ მუხლის თავიდან და მოურჩენიათ. მაგრამ მუხლის თავზე ნატყვიარისაგან ჩაღრმავებული ადგილი ბიძაჩემს კარგად აჩნდა.

შემდეგ გოგორიშვილი დაუქერიათ რუსებს, ერთხანს სატუსაღოში გაუჩერებიათ, მერე დანჯრეტა მიუსაჯეს თურმე. ბიძაჩემმა მითხრა: „მე არაფერი ამბავი არ ვიცი და ერთ დღეს ოზურგეთში წავედი; ყუყზე რომ გავედი, დავინახე რუსის მთელ როტას მიჰყავდათ დასახვრეტად გოგორიშვილი, აუარებელი ხალხი მისდევდა ჯარს, შევეურთდი მათ. პატიმარი ყვიროდა და აგინებდა მეფის მთავრობას. რომ დავინახე ჩემი ვადამრჩენი, დავიწყე ტირილი და მივდედვი შორიანლო. მან შემომხედა და მითხრა: „რა გატირებს, ბიჭო, არავის არ შეჩვენა ჩვენი სისხლი, დრო მოვა გადაუხდიანო. მე ვაივავლანით დავებრუნდი და მთელ კვირას ჭკუაზე არ მოვსულვარ, ისე მაწუხებდა მისი სიკვდილი“-ო.

ეგნატე ნინოშვილმა მალლობის წერილი მომწერა: ვნახავ უსათუოდ ერდიშელ თაყაიშვილსო, მაგრამ რალაც მიზეზით არ უნახავს ბიძაჩემი.

ე. ნინოშვილის წერილი მომყავს აქვე. წერილს თარიღი არა აქვს, მაგრამ იგი დაწერილია უსათუოდ 1892 წელს ზაფხულში, ვინაიდან ჩემთან მომართვა მასალების საჩვენებლად გურიის ჯანყის შესახებ ურჩევია თედორე კიკვაძის ზესტაფონში, სადაც იგი ეგნატე ნინოშვილთან ერთად მსახურობდა ნ. ლობჯინძის კანტორაში. ე. ნინოშვილის „ჯანყი გურიაში“ დაუწერია 1888—

1889 წლებში. ეს მოთხრობა ავტორს დაუმთავრებლად მიაჩნდა და ამიტომაც არ გამოუცია თავის სიცოცხლეში. სამწუხაროდ ჩემი ნაჩვენები მასალების შესწავლა მას ვეღარ მოუხწვრია ვიდრე გარდაიცვლებოდა. მისმა უძროოდ გარდაცვალებამ მით უფრო დამწვა გული.

აი მისი წერილი:

„პატივცემულო ბ. ექვთიმე!

თქვენი წერილი მივიღე. დიდად მადლობელი ვარ პასუხისათვის, მადლობელი ვარ აგრეთვე რომ დამისახელეთ 1841 წ. გურიის აჯანყების შესახებ მასალები, რადგანაც კი გავიგე იმ წიგნების, ანუ ჟურნალების, სათაურები და № №, ვფიქრობ აწი აღარ გამიძნელებდა იმათი მოპოება.

როცა თბილისში ვიახლები, თქვენც უნდა შეგაწყინოთ თავი, ვთხოვთ იმისი მოთხრობა, რაც ბიძა თქვენიდან გაგიგონიათ იმ აჯანყების შესახებ. ჩემთვისაც უამბნიათ ბევრჯელ მოხუცებს იმ აჯანყების ამბავი, მაგრამ ერთის ნამბობი მეორეს არ ეთანხმებოდა. თქვენ, იქვი არ არის, უფრო ნამდვილი წყაროდან გექნებათ გაგებული იმის ვითარება. განსაკუთრებით საჭიროა გავიგო ნამდვილი მიზეზი (მოტივი) იმ აჯანყებისა.

თქვენი პატივისმცემელი

ევანტე ინგოროყვა“.

P. S. ილია ჭავჭავაძეს ჰქონდა მჭიდრო კავშირი ქართული კულტურისა და საზოგადოების ბევრ მოღვაწესთან — გოგებაშვილთან, ცხვედაძესთან, მარიამ ვახტანგის ასულ ორბელიანთან და სხვებთან, რომლებთანაც მისი ურთიერთობის გაშუქება მეტად საჭირო რამ არის; შემდეგში ყოველ მხრივ ვეცდები შთამომავლობას კვლავ აღუუდგინო წარსული საუკუნის ამ ბუმბერაზი ადამიანის ცხოვრებასა და საქმიანობასთან დაკავშირებული ძვირფასი მომენტები.

ამჟამად მკითხველის ყურადღება მსურს შევაჩერო ერთ უცნობ დოკუმენტზე, რომელსაც ეწოდება „ოქმი ილია ჭავჭავაძის განსვენებაზე მოსულ დელეგატების კრებისა“.

როდესაც ილიას ტრალიკული დაღუპვის ამბავი გავრცელდა, საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან შეიკრიბენ დელეგატები, რომელთაც გამოიმუშავეს წესრიგი დამარხვისა და მისი სახელის უკვდავყოფისათვის.

შეკრებილ დელეგატთა კრებამ სტამბურად დაბეჭდა ოქმი, რომელიც ხალხში გაავრცელა. ეს ნაბეჭდი ოქმი შემთხვევით ვიპოვე ჩემს ქალაქებში და ქვემოთ ვურთავ მოგონებებს¹.

¹ პატივცემულმა „აკადემიკოსმა ექვთიმე თაყაიშვილმა აღნიშნული ოქმი შემოსწორა საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურულ მუზეუმს ილია ჭავჭავაძის ფონდში დასაცავად.

მ ძ მ ი

ილია ჭავჭავაძის განსვენებაზე მოსულ დელეგატების კრებისა

1907 წ. სექტემბრის 9-ს საღამოს 7 საათზე ტფილისის თ.-აზნაურთა დეპუტატების საკრებულოში მოხდა კრება ილია ჭავჭავაძის დასაფლავებისათვის საქართველოს სხვა და სხვა კლუბიდან ჩამოსულ დელეგატებისა, რომელსაც დაესწრენ ტფილისის ქართულ დაწესებულებათა წარმომადგენელნიც. კრება მოწვეულ იყო ახალგაზრდობის ერთი ჯგუფის მიერ ილია ჭავჭავაძის ხსოვნის აღსანიშნავად და პატივსაცემად. კრების ინიციატორებმა წინადადება მისცეს დამსწრეთ, რომ დაედგას განსვენებულს ძეგლი ტფილისში ერევნის მოედანზე. შედგეს ეროვნული თანხა და მიღებულ იქმნას სხვა და სხვა ზომები ილიას სახელის განსამტკიცებლად ხალხში.

კრებამ დიდის კამათისა და საგნის ყოველმხრივი განხილვის შემდეგ დაადგინა:

1) შესდგეს ეროვნული თანხა ილია ჭავჭავაძის სახელობაზე ქართულა ლიტერატურისა და სწავლა განათლების გავრცელებისათვის, 2) მიენდოს ამ საქმის მოწყობა წ.-კითხვის საზოგადოებას და 3) დაევალოს უკანასკნელს, მამართოს ქართულ დაწესებულებათ—შავი ქვის მწარმოებელთა კრების საბჭოს, ქალაქის ფვით-მმართველობათ, თ.-აზნაურთა კრებებს, ბანკებს, და კერძო პირებს, რომ ყოველ წლიურად ან ერთ-დროულად გამოიღონ თავისი წვლილი ილია ჭავჭავაძის თანხის შესადგენად.

მ. ავლაძე

მხიარული მოხიარულება

ქმისაზრობის ქ. თბილისის საღვთისმეტყველების თანამდებობაზე. უჩემოდ არც ერთი დღეა არ გაიგზავნებოდა და არც მიიღებოდა, საყურადღებო ამბებს, რის გამხელაც შეძლებოდა, ჩემს მეგობრებს ვუზიარებდი. ხანდახან გროვებოდა ისეთი საინტერესო მასალები, რომელთა გამოქვეყნება სასარგებლოდ მიმაჩნდა, მაგრამ არ ვიცოდი ვისთვის მიმემართა. ბოლოს, დიდი ფაქრის შემდეგ, გადაწყვიტე ის მასალები მიმეტანა „ივერიის“ რედაქციაში. მაშინ „ივერიის“ რედაქცია მოთავსებული იყო ნიკოლოზის ქუჩაზე (დღ. კალინინის ქ.). შენობის პირველ სართულში რედაქცია იყო, სარდაფში კი სტამბა, სადაც „ივერიის“ გარდა სხვა წიგნებიც იბეჭდებოდა. შემდეგ რედაქცია ზემო სართულში გადაიტანეს, სადაც აგრეთვე ცხოვრობდა „ივერიის“ რედაქტორი ილია ჭავჭავაძე.

ერთ დღეს ჩემი ვადაწყვეტილება შევასრულე და მორიდებით შევადრე რედაქციის კარები. იქ იყვნენ: გიგო ყიფშიძე, საშა ნიკიტინი და გრძელიშვილი. გ. ყიფშიძე გამომგლაპარაკა:

— რა გნებავთ, ახალგაზრდა?

მე მივაწოდე ჩემი ახალი ამბები, სხვადასხვა ცნობები და ვთხოვე: თუ შეიძლება ესენი დაბეჭდეთ და, როცა კიდევ მოეგროვებ ასეთ ცნობებს და ამბებს, მოვიტან-მეთქი. მან გადაათვალიერა ჩემი მასალა, მოიწონა და მითხრა:

— ძალიან კარგი, დაგიბეჭდავთ, ყოველთვის მოიტანეთო. ჩემს სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, რომ ჩემი მასალაც დაიბეჭდებოდა გაზეთში.

გავიდა დრო. ახალი ამბები და სხვადასხვა ცნობები კვლავ დაგროვდა. წავილე რედაქციაში.

მაგრამ ხელა სულ სხვა სანახაობა დამიხვდა. გარდა იმ თანამშრომლებისა, რომლებიც პირველად ვნახე და გავიცანი, იქა ბრძანდებოდა თვით ილია ჭავჭავაძე. მე გოცებით შევხვედი მის გონიერ თვლებსა და შუბლს. ჩემი საქმე სულ დამაინტერესდა, მაგრამ გ. ყიფშიძემ მიმიყვანა ილიასთან და უთხრა:

— ეი, ამ ახალგაზრდა ქალს ჩვენთან თანამშრომლობა უნდა, მასალებიც მოაქვს და საზოგადოდ სურვილი აქვს გაეცნოს რედ. ქციის მუშაობასო.

მე ილიას წინ ვიდექი. ილიამ ხელი გამომიწოდა და წარმოთქვა:

— კეთილი, კეთილი!

გრივად ყიფშიძე მეტად კეთილი, სათნო და ლმობიერა აღამიანი იყო, მეტადრე ახალგაზრდობას უწყობდა ხელს.

ამის შემდეგ ხშირი სტუმარი გახდა რედაქციისა, სადაც თავს იყრიდნენ ჩვენი მწერლები და საზოგადო მოღვაწეები: ი. გოგებაშვილი, ნიკო ცხე-დაძე, ან. ფურცელაძე, ვაჟა-ფშაველა, სოფრომ მგალობლაძე, ნ. ხიზანი-შვილი და სხვები.

ერთხელ, როცა ჩვეულებრივად ცნობები მივიტანე, რედაქციაში ილია და გ. ყიფშიძე იყვნენ. უცბად კარები გაიღო და ნიკო ხიზანიშვილი შემოვიდა. ილიამ შეხედა და შესძახა:

— დიდ გლეხს გაუმარჯოსო!—ნიკომ უხასუხა:

— დიდ თავიანთს გაუმარჯოსო!—ამას მოჰყვა სიცილი და მხიარული ბაასი. მე გამაყვირე ნიკო ხიზანიშვილის სითამამემ ილიასთან, მაგრამ შემდეგ გავიგე, რომ ისინი ერთმანეთთან შეხუმრებულნი იყვნენ.

ნ. ხიზანიშვილს (ურბნელს) რედაქციაში დიდი მხიარულება და სიცოცხლე შეჰქონდა.

იმ ხანებში „ივერიაში“ იბეჭდებოდა შიო არაგვისპირელისა და ეგნატე ნინოშვილის შოთხრობები. მასსოვს, ილია ჩათქვრებით კოთხულობდა. ამ დროს ნ. ხიზანიშვილი ქაქანიტ შემოვიდა და, ილიამ არ დამასწროსო, კარებდანვე დაუძახა:

— დიდ ბატონს გაუმარჯოსო!—ილიამ წყნარად გაუღიმა—უხასუხა:

— ამას თავი დავანებოთ... ნიკო, როგორ მოგწონს ამ ახალგაზრდა მწერლების ნაწერები? როგორც ვაინდა ვასინჯე, ნიკი ეტყობათ, ნიკო!—დაიწყე ამბზე სჯა ბაასი. ბოლოს გ. ყიფშიძემ, ახალგაზრდობის მუდამ მოსარჩლემ თქვა:

— ნიკი კი აქვთ, მაგრამ ორივენი ძალიან გაჭირვებულნი არიან, შეე-ლაა საჭირო.

ამ დროს ილიასთან მისი მეუღლე ოლლა შემოვიდა. გ. ყიფშიძემ ოლ-ლასთანაც წარმადგინა:

— აი, ახალგაზრდა ქალიშვილი, კარგა მომუშავე და მოსაქმეო. ოლდამ დამიმეგობრა. ხშირად მიბარებდა თავისთან. მეც, რაკი თავისუფალი დრო მქონდა, მუდამ ესარგებლობდი მათი კეთილ-მასპინძლობით. იქვე ვაკაცანი აღ. ყიფ-შიძის ცოლი და ნაღია ქუნიია („მომამის“ რედაქტორის ცოლი). ჩვენ სამნი ოლლას ხშირი სტუმრები ვიყავით ხან საუზბეხე, ხან ვახშაშხე, ხან ისე სასაუბ-როდ ვიკრიბებოდით. თვითონ ოლლა საქეულმოქედო, საზოგადო საქმეებში იყო ჩაბმული და ჩვენც ვვამუშავებდა, რამაც უფრო მეტად დამაახლოვა მას-თან. ოლლა ჩვენს ოჯახშიც დადიოდა. დედაჩემს გაცნობისთანავე დაუახლოვ-და და შეიყვარა.

დედაჩემი ბევრის მნახველი და გამგონი იყო. კარგი მოსაქმე და ხელო-ვანი. მშვენიერი ენით საუბრობდა, ოლლას მოსწონდა მისი ნაამბობი. ერთ-ხელ ოლდამ სთხოვა: აბა, მარიამ, შენი პირადი ცხოვრებიდან გიხსენე რამე, მინდა ილიას გადავცეო. დედაჩემსაც დიდის ხალისით აუსრულა თხოვნა...

რედაქციის თანამშრომლები თიოქას ყველა გაცივანი...

1892 წელს, თუ არ ვცდები, ხოლერობა იყო. ხოლერა რუსეთშიაც მძინ-

ვარებდა. რუსეთის გაზეთებში მთელი სვეტები იბეჭდებოდა: რამდენი გახდა ავად, რამდენი გარდაიცვალა, რამდენი განიკურნა და სხვა...

ამ საბუშაროს სათარგმნელად მე მაძლევდნენ. რედაქციაში მივიდოდი თუ არა, მაგიდაზე რუსული გაზეთები ეწყო მთარგმნელთა გვარების აღნიშვნით. ჩემს სამუშაოს ვიპოვიდი, რადგანაც ზედ „ოლგა“ ეწერა ხოლმე, ძალიან მიხაროდა, რომ ეს შეუწყვეტელი სამუშაო მქონდა.

ერთხელ დილით ადრე მოვედი რედაქციაში, ილია შემობრძანდა. მე მაშინვე ფეხზე წამოვიკერი.

— რა ადრე მოსულხარ, ქალო?— შემიკითხა.

ჩემი ადრე მისელის მიზეზი მოვახსენე:

— წუხელის მორიგე გახლდით ტელეგრაფში, ცოტა ახალი ამბები მოვიტანე, რომ პავლოვმა არ დამასწროს-მეთქი. პავლოვი ძველი გამოცდილი რეპორტიორი იყო, ფრაცსა და ცილინდრში გამოწყობილი დადიოდა ლორდევით. იმას როგორ ვაჯობებდი, მაგრამ იმ ახალი ამბის მიტანა კი მივასწარი.

ილიამ გაიცინა:

— კარგია, რომ ყველაზე ადრე ჩვენ ჩავგვიარდეს ხელში ახალი ამბები. მერე მითხრა:

— განა თქვენ მსახურობთ?

— დიახ, ვმსახურობ. ვუბასუხე...

რედაქციაში უკვე შინაურად მთელიდნენ და, როცა რამე შეკრება იქნებოდა, ან წვეულება, ან ვახშამი თანამშრომლებთან ერთად, მეც არ მივიწყებდნენ.

მასხოვს, ვახშამი გამართა სოლომონ დოღაშვილმა. მასპინძელი, ვის სახლშიც იმ ღამეს ვახშამად ვიყავით, ცნობილი სოლომონ დოღაშვილის შთამომავალი, დიდი პატივისმცემელი და მოსიყვარულე იყო ილია ჭავჭავაძისა, განსაკუთრებით, და, საერთოდ, მწერლობისა, რადგანაც თვითონაც წერდა. ამასთან მსახურობდა რკინიგზაზე მეექვსე უბნის ლიანდაის ტექნიკოსად. საუცხოო ვახშამი გააწყო. ესწრებოდნენ: ილია ჭავჭავაძე, გ. ყიფშიძე, ნიკო ხიზანიშვილი, გრძელ-შვილი და სხვები. მე გიგო ყიფშიძესა და ვაჟა-ფშაველას შუა ვიჯექი; დიდი ქეიფი და მოღბენა იყო.

იმ ხანად ასეთ ვახშამებს ბევრნი მართავდნენ— ანტონ ფურცელაძე, ს. კრელაშვილი, ს. მგალობლიშვილი, ნ. ხიზანიშვილი და სხვანი. მხიარულებასა და სმასთან ერთად ყველგან საინტერესო ბაასი იმართებოდა.

მეტად საყურადღებო იყო ნ. ხიზანიშვილთან მოწყობილი საღამო. ხიზანიშვილს ცოლად ჰყავდა ჩვენი სასიქადულო მსახიობი ქალი ელისაბედ ჩერქეზიშვილი. ნიკო და ლიზა მეტად მხიარული მასპინძლები იყვნენ. მათ ენამახვილობას, ქილიკსა და ხუმრობას საზღვარი არ ჰქონდა. მათ ხუმრობაზე ილია თავისებურად დინჯად იცინოდა. მორიგ სადღეგრძელოებში ილია ჭავჭავაძემ შესვა ლიზას სადღეგრძელო და სხვათა შორის უთხრა:

— გისურვებ ნიკის გაშლას და გაფურჩქნასო— ილიამ იცოდა, რომ ლი-

ზა მეტად ხელოვნურად და მოხერხებულად უკრავდა გარმონზე, თანაც მღეროდა, და გადასცა საკრავი შემდეგი მიმართებით:

— აბა, შენ იცი, როგორ ჩააქიკიკებო—ელისაბედმა გარმონი გამოართვა, ჯერ ქება-დიდება შეასხა ილიას თავისი მახვილი ენით, რაც ყველას ესიამოვნა, მერე მიუჯდა აკვანს, ატირებულ ბავშვს ძუძუ ჩაუღო პირში. თან აწოვებდა, თანაც სხვადასხვა ჰანგს უკრავდა და ზედ საიშურად დამღეროდა. სიმღერა დამთავრდა. ამას „ვაშა“ და ლიზას სადღეგრძელოს გამეორება მოჰყვა.

ილიასაც ჩვეულებად ჰქონდა გამასპინძლებოდა თავისი რედაქციის თანამშრომლებს შაბათობით.

შაბათი დღე იყო. მე იმ დღეს თავისუფალი ვიყავი, ჩვეულებრივად ასალი აზებტი მივიტანე. გიგოს ჩაკაბარე. გიგომ ვადმომცა:

— ოღლა გიბარებს, ნახე, რალაც საქიე აქესო.

ის იყო რედაქციიდან გამოსვლას ვაპირებდი, რომ ილია შემობრძანდა. მაშინვე სალამი მივეცი. იქვე იყო ნიკო ხიზანიშვილი. ილია ყველას მიესალმა, მერე ნიკოს მიმართა:

— ხომ იცი, ნიკო, დღეს შაბათი, რედაქციის თანამშრომლები ვასშმად ჩემთან მოვლენ. ის მეკატლეტეც წამოიყვანე.—წაიხუმრა ილიამ. ნიკოს გაეციხა:

— შენისთანა მეკატლეტე ვილა? ჯერზე 10—12 კატლეტი არა გყოფნის—ატყდა სიცილი.

მე ოლლასთან შევედი. მივესალმე. დედაზე შემეკითხა, როგორ არის, მინდა მისი ნახვაო. იქნება კიდევ რამე ძველი მიაშბოსო. მე ძალიან მესიამოვნა და მოვახსენე:

— ბატონი ბრძანდებით, როცა გნებაეთ, მოვიყვან-მეთქი.

გავიდა დრო და მსახურმა ვასშმისთვის მიგვიწვია. სასადილო ოთახში რომ შევედი, იქ დაგებდა რედაქციის მთელი შემადგენლობა. მაგიდას მიეუსხედით. მშვენიერი, უხვი ვახშამი იცოდა ილიამ. გარდა კარგვ გამასპინძლები-სა, იმართებოდა მეტად სასიამოვნო სჯა-ბაასი, სიმღერა და მზიარულება. სადღეგრძელოს სადღეგრძელო მოჰყვა, მოსწრებული სიტყვები, ენამახვილობა.

ერთ დღისას ოღლამ შემომითვალა: შენ და დედა მეწვიეთ საუზმეზეო. ჩვენც წავედით. საუზმის დროს ილია მიუბრუნდა დედას: ქალბატონო შარია, იქნებ რამ გახსოვთ კიდევ ძველი ამბებიდანო. დედამ უამბო თბილისის დიდი „ბუნტისა“ და პატარა „ბუნტის“ შესახებ. ამ „ბუნტის“ მიზეზი იყო ბაჟის გადასახადის გადიდება თბილისელ მოქალაქეებზე. ილიამ დიდი გულსწყურით მოისმინა.

„ივერიის“ რედაქციის შემადგენლობა იცვლება. მიდის გ. ყიფშიძე. მის მაგივრად დავით მიქელაძე მუშაობს. რედაქტორად, რასაკვირველია, ილია ქაჭავაძე რჩება. ვაზეთს მატერიალურად ცოტა უჭირს.

1893 წ. თბილისის სასულიერო სემინარიაში დიდი არეულობა მოხდა. ამ არეულობას ვითომ გკონომიური, მაგრამ უფრო პოლიტიკური სარჩული ეძღო-

სემინარიელები, ვინც-კი არეულობაში აქტიური მონაწილეობა მიიღო, ყველანი დაითხოვეს. მთავარი ის იყო, რომ დათხოვნილების უმრავლესობას ე. წ. „მგლის ბილეთი“ მისცეს, მათ არც სამსახური შეეძლოთ და არც სწავლის გაგრძელების უფლება ჰქონდათ. მათ რიცხვს ეკუთვნოდნენ ივანე ახალშენიშვილი, ილია ავლაძე, კობა ცინცაძე. რაკი მათ სხვაგან სამსახური არ შეეძლოთ, ქართულ ჟურნალ-გაზეთებში დაიწყეს მუშაობა. ახალშენიშვილი და ავლაძე რედაქციაში მოეწყვნენ, ცინცაძე კი გარედან თანამშრომლობდა.

ილია ჭავჭავაძის ერთი ჩვეულება ჰქონდა. ის თავს უყრიდა ქართველ საზოგადოებას და მწერლებს ერთმანეთს აცნობდა. ჩვეულებად იყო, ავრთვე, გადაქეული, რომ ყოველ ახალ წელიწადს და აღდგომას ქართველი მწერლები და მოღვაწეები ილიასთან სახლში იკრიბებოდნენ. ეს იყო არა უბრალო სმა-ჭამა და ქეიფი, არა, ვახშამდის მასთან თავმოყრილი საზოგადოება ჰმართავდა სჯა-ბაას განვლილი წლის აესა თუ კარგზე. ხშირად მწერლები და საზოგადო მოღვაწეები მოხსენებით გამოდიოდნენ ან თავიანთ ნაწარმოებებს კითხულობდნენ. ხდებოდა მათი შეფასება. დიდი საჩუქარი იყო მათთვის ილია ჭავჭავაძის პირადი აზრი.

აზიანაკლებ საყურადღებო იყო ილიას დღეობის გადახდა. ზაფხულში, ივლისის ოცში „ილიაობას“ მთელი ქართველი ინტელიგენცია და ქართველი საზოგადოება მოვილდა თვლიდა თავს, წასულიყო და დღეობა მიელოცა ილიასთვის. მიდიოდა ეს ხალხი საგურამოში, სადაც ილიას სახლი და მამული ჰქონდა. ილიაც ჩინებულად უხედებოდა. ზოგნი, უფრო მახლობლები, ორი-სამი დღე რჩებოდნენ, სურათს იღებდნენ მოსულ სტუმრებთან ერთად. ილია უმასპინძლდებოდა საგურამოს მთელ გლეხკაცობასაც. ეზოში წყაროსთან ლურჯი სუფრები იშლებოდა, ხორავი თავზე საყარი იყო, ღვინო და სასმელი უღვევლი. ეს ჩვეულება მისი სიცოცხლის დასასრულამდე ვაგრძელდა.

საზღვარგარეთიდან დაბრუნებულ ილიასთან მრავალი მახლობელი და ნაცნობი მოდიოდა სანახავად და მის შთაბეჭდილებათა გასაგებად. ერთხელ ილიასთან იყვნენ მისი ძალიან მახლობელი. ილიამ მათ უთხრა:

— კარგად იცით, თერამეტი წელიწადია ეკლესიაში არ შექსულვარ, მაგრამ როცა საზღვარგარეთიდან წამოვედი და ჩემს სამშობლოს მოეუახლოვედი, კავკასიონის მთები რომ დავინახე, ცრემლები მომერია, უნებურად მუხლი მოვიყარე და სახრებით პირჯვარი გადავისახე!... აი, ასეთი ძლიერი ყოფილა სამშობლოს სიყვარული.

ილია ძალიან მოყვარული იყო მყუდრო ოჯახური ცხოვრებისა და თავისი საცხოვრებელი ბინის კულტურულად მოწყობას დიდ ყურადღებას აქცევდა. როდესაც ანდრეევის ქუჩაზე (20 №-ში) სახლი იყიდა, გულმოდგინედ შეუდგა მის გარეგან და შინაგან მოწყობასა და მორთულობას: ოთხი წვეილი ძველებური სკამ-საეარძლები გააახლებინა და გააკეთებინა სქელი სხვადასხვა ფერი ატლასით: მოყვითალო, ყავისფერი, ბორდოსფერი და მუქი ყვი თელი. დიდ მისაღებ ოთახში ოთხივე კუთხე დაკავებული იყო ამ რბილი მორთულობით, შუაზე იდგა მრგვალი მაგიდა (ლომბერი მაკიდა). მაგიდაზე ელაგა აუარებელი სურათები და გამაღიღებელი „პონორამა“.

მაგიდის გარშემო შემოწყობილი იყო ჩალის სკამები.

კედლებზე ეკიდა დიდი სურათები, ოქროთი მოვარაყებულ ჩარჩოებში: ერთ-ერთ მათგანზე გამოხატული იყო გაჭენებული მერანი, რომელზედაც დაკარული იყო მშვენიერი შეხედულების კაბუკი, მეორეზე—რაღაც ნადირი და სხვა („მაზევა“). ამ დიდი სურათების გარდა კედლები საესე იყო წვრილ-წვრილი სურათებით. მე მახსოვს, ილიამ ამ სურათებისათვის დაუკუეთა ასზე მეტი ოქროსფერი ჩარჩო და სულ იმათში ჩასვა ეს წვრილი სურათები.

ილიამ სურათების ნაწილი საზღვარგარეთიდან ჩამოიტანა, მეტი წილი კი აქაური ყურნალებიდან ჰქონდა ამოღებული. ამ სურათების კედლებზე განლაგებისთვის ილიამ ცოტა ენერგია არ დახარჯა, თითონაც აქტიურად იცემბდა მონაწილეობას ჩვენს საქმიანობაში. მე და ოლღამ დაახლოვებით ერთ თვეზე მეტი ვიმუშავეთ და ისე მოვაწყეთ, როგორც ილიას უნდოდა. როცა ამის შემდეგ ერთ საღამოს მათთან მივედი, დიდის ამბით შემხვდნენ ოლღაცა და ილიაც. ილია ღიმილით შემეგება და მხიარულად მომადახა:

— მოდი, მოდი, რა გაჩვენოთ! როგორი სურათი გადავიღეთ მე და ოლღამ.

შემიყვანეს საწოლ ოთახში და ოლღას საწოლთან კედელზე ჩამოკიდებულ სურათზე მიმითითეს. მოხუცი ქალი წინდას ქსოვდა, იქვე იდგა მოხუცივე მამაკაცი, რომელსაც ღვინით საესე ჭიქა ეჭირა ხელში.

— აი,—მითხრა ილიამ,—ეს მე და ოლღა ვართ!

საერთოდ, ილიას ძალიან უყვარდა სურათები და გატაცებით ლაპარაკობდა მათზე. თუ სურათი რომელიმე გამოჩენილი მხატვრის იყო, ილია დაწვრილებით განმარტებას იძლეოდა მის შესახებ; თუ რა დროისაა, სად ინახება მისი ღვინო და რითია შესანიშნავი. ამ დღი სიყვარულით აიხსნება ისიც, რომ მრგვალი მაგიდა საესე იყო სურათებით.

ილიას კაბინეტში საპატიო ადგილი ეჭირა საწერ მაგიდას, რომელზედაც კარგი ქარვის ასე თხუთმეტოდე მარცვლიანი კრიალოსანი და საწერი კალამი იღო. ეს მშვენიერი კრიალოსანი ილიას ძალიან უყვარდა, რადგანაც ნაჭუქარი ჰქონდა მახლობელი მეგობრისაგან—„პრელესტ ბაბალესაგან“ (ბარათი-შვილი). კაბინეტის კუთხეში იდგა დგამი, რომელზედაც ამართული იყო ქალის ქანდაკება (მე მგონი ემბლემა თავისუფლებისა). კაბინეტი კარგი რბილი ავეჯით იყო მორთული, იქვე იდგა მშვენიერი კოსტა ტახტი და წიგნების კარადა. კედლებზე სურათები ეკიდა. ერთი მათგანი გამოხატავდა მშვენიერ მწყემსს საღამურით ხელში.

სასადილო ოთახში იდგა უბრალო ბუფეტი, შუაზე კი სასადილო მაგიდა. კედელთან ფიზგარმონია. ერთ-ერთ კედელზე ეკიდა ძველებური საათი თვით ილიას მიერ გაკეთებული კალენდრით.

საწოლი ოთახი ძალიან უბრალო ჰქონდათ: ძველი საწოლები ვერ მოიშორეს, თუმცა ყოველთვის ფიქრობდნენ მათ გამოცვლას; საუცხოვო იყო სამზარეულო. სულ თეთრი კაფელით იყო მორთული, ჰქონდათ სარდაფიც ჩასაციებლებით. მართალია, ილია დიდ მზრუნველობას იჩენდა თავის სახლებზე და ბინის მოწყობაზე, მაგრამ მაინც თავის ინჟინერს—სიმონ კლდიაშვილს

სულ იმა: ჩასციებოდა, რომ რაც შეიძლება შემოკლებინა ხარჯები. სიმოხი სასტიკ უარზე იყო ხოლმე.

— ბატონო, არ არის ისეთი ხარჯები, რისი შემოკლებაც შეიძლება. ბუხრებსა და ლუშელებს უნდა ჰქონდეს ღრმა საძირკველი—არაფრით უიმისობა არ იქნებაო. მიუხედავად ინიერის ასეთი მტკიცებისა, ილია მაინც თავისზე იდგა და აკი დაინგრა კიდევაც ორჯერ ეს კაფელის ბუხრები და ხელმეორედ დასჭირდათ მათი ამოშენება.

თავისი სახლი ანდრეევის ქუჩაზე ილიამ იყიდა ლვინიაშვილისაგან. ამ ქალმა ილიას კუთვნილი ეზო პირდაპირი ხაზით გადაჭრა. აზომვის შემდეგ ილიამ დაინახა, რომ მისი ეზო იმდენი ფართობის არ გამოდგა, რაც ხელშეკრულებაში იყო ჩაწერილი. ილიამ ამის გამო თავისი ეზოს ხაზი ვარდ გასწია და, რაც აკლდა, შემოიძატა. ბაბაღე ლვინიაშვილმა ძლიერ იწყინა ეს და მოციქულს მოციქულზე უგზავნიდა ილიას—ნუ მიხამ მაგ საქმეს, ეზოს ნუ დამიპაიანჯებო. ბაბაღემ მეც მთხოვა, უარი ველარ ვუთხარი და მივედი ილიასთან ასეთივე თხოვნით, რომ დაეწია უკან თავისი სახლკარი. ილიამ დინჯად მომისმინა და შემდეგ ისეთივე დინჯი ტონით მითხრა:

— იცი, რომ შენზე უფროსი ხალხიც მომივიდა მავეთივე თხოვნით, მაგრამ ყველას უარი ვუთხარი, მე სოფელთან ჰაქეს კავშირი და ამ კავშირს ვერ გაწვევტ. იქიდან ხშირად ურმები მოდიან. ჩამოაყვანს ბინა უნდა, კამესა და ცხენს სადგომი. ყველა ამისათვის მჭირდება შესაყერი შენობის აგება. ვერა ხარ კარგი მოციქულიო.—სიცილით დააბოლოვა თავისი სიტყვა. მართლაც, ილიამ მალე ააგო ეზოში თავლაც და პატარა ბინაც სოფლიდან ჩამოსულ გლეხებისათვის...

„პრელესტ ბაბაღეს“ სახელით თბილისში ცნობილი იყო ბაბაღე ბარათაშვილი. ქალი მეტად დარბაიცილი, ლამაზი, მოპაბოლავი, მზიარული. ბაბაღე ძალიან დაახლოვებული იყო ილიას ოჯახთან და ხშირად იყო ხოლმე ილიას მეუღლე—ოლღასთან და ილიას უასთან—ლიხასთან. ბაბაღეს საღლაც გაღმა აიშინა სახლები—ყოფ. ვორინცოვის ხიდის მდებარეობაში, მკონია, ილიაც დაეხმარა ამ საქმეში.

ბაბაღეს მეტი სახელი „პრელესტ ბაბაღე“ საქართველოში აღექანდრე მესამის ჩამოსვლის შემდეგ შეერქვა. როცა მეფე ჩამოვიდა, ჯარის მანევრებისათვის გაემგზავრა თიანეთში. ბაბაღე იმავე მაზრის მემამულე იყო. მეფის წვეულებაზე ისიც დაესწრო. მაგიდაზე ბაბაღე აღექანდრეს პირდაპირ მჯდარა. როდესაც საქმელი მოურთმევათ, ბაბაღეს ჩვენებურად ჩაუმტკრევიდა პური და თითებით გემრიელად უჭამია. მეფეს შეუნსწავს და ისე მოსწონებია, რომ აუღია ქიქა და განსაკუთრებით უდღვეგრძელებია ბაბაღე. უთქვამს:

Прелестъ Бабага, наше государство! აი, მას აქვთ ბაბაღეს მტკიცედ შეერქვა ეს ზედმეტი სახელი.

ბაბაღეს დიდი მოწონება ჰქონდა თბილისის მაღალ წრეებში. მახსოვს, ერთხელ მასთან მოგხვდი ოჯახში. ვიქნებოდი 24—26 წლის. ოთახში რომ შევედი, ტახტიდან წამოიღვა „ველიკი კნიაის“ შვილი (არ ვიცი რა ერქვა). ბაბაღემ ქართულად გამაფროაილა, რვეერანსი გაუკეთეო, მეც ავასრულე.

ილიას საზოგადოებრივი სიფხიზლის შესახებ

მახსენდება ერთი შემთხვევა. კოსტორგოვმა, ცნობილმა რუსმა შავრაზ-მელმა მღვდელმა, ღებულები გაგზავნა პეტერბურგს. ამ ღებულებით ის აბეზ-ლებდა სინოდთან ქართველ სამღვდლოებს და სამრევლო სკოლებს. იმ ხანებში ფოსტაში ემუშავებოდა, სატელეგრაფო განკუთვნილებად, თუმცა ღებუ-ლები სიფხითბლით-ის გაგზავნილი იყო საიდუმლოდ რკინიგზის სადგური-დან, მაგრამ ისინი მაინც მოხედნენ სამმართველოში და ხელში ჩამივარდა. ეს საიდუმლო მე ილიას შეეატყობინე. ილიამ ძალიან მომიწონა ჩემი ასეთი სიფრ-თხილე, მაშინვე დაუძახა სამრევლო სკოლების უფროსს მამინაიშვილს და მას-თან ერთად საჩქაროდ ინახულა ეპისკ. კირიონი. თუ არ ეცდები, იმ ხანებში სწორედ კირიონი უნდა ყოფილიყო. აღარ ვიცი, რა შედეგები მოჰქვია ილიას ასეთ გამომხაურებას.

ჩემი სამსახურა ტელეგრაფში მაინცადამაინც არაფრად მომწონდა. ვცდილობდი იქიდან წამოსვლას. ილიას მეუღლეს—ოლღას ვთხოვე, შუაქდგომ-ლობა გაეწია ილიასთან, გადაეყვანე თავისთან—ბანკში. ილიამ დინჯად მოის-მინა ჩემი თხოვნა შემდეგ შემეცობა—განა კარგი იქნება, რომ ამ ადგილი-დან გადახვიდეთ? ჩემის აზრით,—დაუმატა ილიამ,—უთუოდ საჭიროა, რომ ასეთ ადგილზე თქვენისთანა დსიზელი ხალხი გვეყვდეს და ამიტომ მე გთხოვთ, ისევ მანდეე განაგრძოთ მუშაობაო.

ილია დიდი პატივისცემით ექცეოდა ნიკო ნიკოლაძეს და გაბრიელ ეპის-კოპოსს. ნიკო ნიკოლაძე ხშირად მინანავს ილიას ოჯახში. მახსოვს დილით, საათის თერთმეტზე მოვიდა, კვირა დღე იყო. ილია ცხოვრობდა ნიკოლოზის (ახ. კალინინის) ქუჩაზე. ნიკოს მოსვლა ილიას ძალიან ესიამოვნა, სტუმარი შინ შეიწვია და მაშინვე გასძახა ოლღას:

— აბა, საუბმე! ჩურჩხელებიც არ დაიციყო!

ნიკო დერეფანშივე გავიდა და მალე შემოალო კარი, შემოვიდა ხელში იმერული ჩურჩხელებით და კრიალა წაბლით. ნიკომ თავისი ხილი ილიას წინ სიცილით დაუწყო და უთხრა:

— რა ვქნა, ვე შექენი ჩურჩხელები ძალიან ლამაზია, ძალიან გემ-რიელი, მაგრამ ამ ჯანჯუხებს მაინც ვერ გავცელი მაგაშიო; თხილზე შემოკრული ეს გამხმარი კანი ყველაფერს მიჩვენია!—ამის გამო ბევრი იცი-ნეს. მისი ქალი რუსუდანიც ადასტურებს, რომ ნიკოს ბავშვივით უყვარდა ეს იმერული თხილის ჩურჩხელები თხელი, ტკბილი კანით. ყოველგვარი გონებ-რივი მუშაობის დროს მამას საწერ მაგიდაზე ელაგა იმერული „ტკბილი კვერის“ თხელი, სუფთა ფურცლები და წამდაუწუმ წუწნიდა და ასე ირობდა თავს წიგნის კითხვისა და წერის დროსაცო.

ილიას მეტად სათუთად უყვარდა ახალწლის დღეები. მახსოვს, რა სია-მოვნებით დასტრიალებდა ხოლმე მეუღლის საახალწლო სამზადისს და რო-გორ მხურვალე მონაწილეობას იღებდა გოზინაყის შესაფერისად მოდულებაში, როგორ ცდილობდა, რომ ზედმეტად არ დამწვარიყო.

ამ დღებში ილიას უყვოდა თავისი ახლობელი მეგობრების ვახსენება და

მათთვის ახალი წლის მილოცვა. მეგობრებს ოჯახებში აუცილებლად გაუგზავნიდა ოლღას ხელით დამზადებულ გოზინაყს. მიუხედავად იმისა, რომ ხშირად ეს მეგობრები შეიძლება მასთანაც კი ხვდებოდნენ ახალწელს.

ჩვეულებრივად, ოღლა თვითონ საკუთარი ხელით დაასხამდა მოწითალო გოზინაყს მშენიერი ფაფურის თევშებზე, რაშიც ილია აუცილებლად უშუალო მონაწილეობას იღებდა, დასტრიალებდა თავზე ამ თევშებს და თვითონ სინჯავდა თვითველ გასაგზავნის.

გაბრიელ ებისკოპოსიც მასხოვს ილიას ოჯახში, სწორედ იმავე ნიკოლოზის ქუჩაზე. ერთად მოვიდოდნენ ხოლმე გაბრიელი, ნიკო ნიკოლაძე და კირილე ლორთქიფანიძე. იქნებოდა საათის 12, დილით საჯზმის შემდეგ მე ვნახე, რა პატივით ჩააცილა ილიამ თავისი სტუმრები კიბის უკანასკნელ საფეხურამდე. ასეთიანი პატივით კი ილია არავის არ ექცეოდა. მეორეჯერაც მასხოვს გაბრიელი ილიასთან. მაშინ კი მარტო მოვიდა. დიდხანს ისხდნენ სუფრაზე. დიდხანს ბაასობდნენ დინჯად. მაშინაც კარებამდე ჩააცილა ილიამ თავისი საპატიო სტუმარი.

— „ეე, დიდი აღამიანიო“. — თქვა ილიამ გაბრიელის გაცილების შემდეგ.

ილია და ლევან ჯანდიერის ოჯახი

ილიას ოჯახის ახლობელთაგანი, სხვათა შორის, ლევან ჯანდიერის ოჯახი იყო. ლევანის მამა (გმირობისათვის „დროშა გიორგათ“ წოდებული) გიორგი ჯანდიერი — ქართული დრუჟინის პოდპოლკოვნიკი იყო. თვით ლევანი მახარის უფროსად იყო ჯერ თიანეთში და შემდეგ სიღნაღის მაზრაში, ერთხანს სოხუმის ოლქის უფროსადაც იყო, ბოლოს თბილისში მსახურობდა. ჯანდიერს რამდენიმე შვილი ჰყავდა: ოთხი ვაჟი და ორი ქალი. ვაჟებიდან ორნი სამხედრო სამსახურში მსახურობდნენ, ერთი მუსიკოსი იყო, საზღვარგარეთ სწავლობდა. ამ უკანასკნელს მიხეილი ერქვა. საუბედუროდ, მას თავისი ნიჭის გამოაშკარავება არ დასცალდა. აღრე გარდაიცვალა. მეტუთე — ისონი მცირე წლოვანი მხეისაგან დაიღუპა წინანდალში, ქაჯკავაძიანთ მამულში.

ილია ხშირი სტუმარი იყო ჯანდიერების ოჯახისა, როგორც თბილისში, ისე სოფლად. განსაკუთრებით გრძნობიერად უყვარდა ამ ოჯახის ბავშვები. ართობდა და თვითონაც ერთობოდა მათთან. ილიას ჰქონდა გიბის საათი, რომელიც უკრავდა მარსელიოზს და, თუ რომელიმე ბავშვი დაიბუტებოდა, ილია მაშინვე ამ უკნაური საათით შეირიგებდა და გუნებაზე მოიყვანდა. ესლაც ახსოვს ჯანდიერის უმცროს ქალს — ბაბულიას, როგორ მიეპარებოდა ხოლმე ილია ამ საათით, მიადებდა ყურზე და ართობდა მისი მუსიკით.

როცა ეკატერინე ჯანდიერმა (უფროსმა ქალმა) ინსტიტუტი დაამთავრა, ილიას შეუღლემ — ოღლამ პაქარა საღამო გაუმართა. მოუწვია ახალგაზრდა ქალები და ყმაწვილები; ახალგაზრდობის გარდა ამ საღამოზე იყვნენ კნენა ჯანდიერი, „პრელესტ ბაბაღე“ — ბარათაშვილი, კოტე აფხაზი, ილია და ლიზა საგინაშვილი. როდესაც საღამოს ბოლოს სუფრა გაიშალა და სადღეგრძელოები ადღეგრძელოებს მოჰყვა — ილიამ აიღო კიჟა და ადღეგრძელა ეკატერინე; ბევ-

რი კარგი უსურვა. თავის სამადლობელში ეკატერინემ ძია ილიას მადლობა გადაუხადა კეთილ სურვილებზე და სხვათა შორის უთხრა:

— გადაწყვეტილი მაქვს საზღვარგარეთ წასვლა და სამეურნეო განათლების მიღება, რომ დაბრუნების შემდეგ ვიმუშაო ჩვენს მამულშიო. ილია მისმა სიტყვამ აღტაცებაში მოიყვანა. მას ისეთნაირად ესაიამოვნა ახალგაზრდა ქალის ეს გადაწყვეტილება, რომ ხელმეორედ ადღევარქელა ეკატერინე და უსურვა, რომ მას სხვა ახალგაზრდა ქალებიც ბევრი გაჰყოლოდა ამ კეთილშობილ გზაზე, რომ ეკატერინე მართო არ დაბრუნებულყო. ეკებ ქალებმა მაინც აჯობონ ჩვენს უდარდელ ჩოსოსან ვაჟაკებსო. ილიამ ბევრი ილაპარაკა იმის შესახებ, თუ როგორ გვეცლება ხელიდან მამაპაჭური მამული და რამდენად სერიოზულია ეს საკითხი ქართველი ხალხის ისტორიისათვის. დაათავა თავისი სიტყვა, ადგა, მივიდა კატოსთან და თავზე აკოცა.

კატომ მართლაც დაამთავრა უმაღლესი სანეურნეო სასწავლებელი შვეიცარიაში, ქალაქ ლოზანში და შემდეგ მუშაობდა თავის სოფელში, მამის მამულში. გვერდში უდგა მუშობელ გლეხობას და იმათთან ერთად ეწეოდა ფიზიკურ მუშაობასაც კი. მან ბევრი სიახლე შეიტანა თავისი სოფლის სამეურნეო ცხოვრებაში შეძენილი სასოფლო-სამეურნეო მანქანებით; ბევრი ახალი ეაზი ჩაყარა ვენახში. ააშენა სახალხო სკოლა, სამკითხველო და სხვა.

ილია გაფაციცებით ადგენებდა თვალყურს როგორც კატოს საზოგადოებრივ მუშაობას, ისე იმ შედეგებს, რაც ამ მუშაობას მოსდევდა. ეკატერინე შემდეგ პროფესორ მაჭავარიანის მეუღლე გახდა.

როდესაც ილია ქავეკავამე საზღვარგარეთ წავიდა, ლევან ჯანდიერმა მისწერა თავის ერთ-ერთ შვილს— აბა, შვილო, ილია ქავეკავამე მოდის მანდ თავისი მეუღლით და დახედი სადგურშიო, დაეხმარე და სათანადო პატივი ეცი, როგორც შეეფერება ილიასო. მართლაც, ბერლინში ჩასვლისას ილიას პატივსაცემად შეხვედრიან იქაური ქართველები, მათთან ბევრი ვერმანელიც. ამ შეხვედრაზე ილიას სიტყვა წარმოუთქვამს, რითაც ყველაზე დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია.

ილია ქავეკავამე ხშირი სტუმარი იყო ჯანდიერების ოჯახისა— სოფელ ვანანძიანში და მათი სახლის ფართე აივანზე ლევანთან და მის მეუღლე სალომესთან ქალადს თამაშობდა. თვით ლევან ჯანდიერი ზაფხულში ოჯახით საგურამოში ეწვეოდა სოლმე.

ამ ორ ოჯახს ისეთი მეგობრობა ჰქონდათ ერთმანეთთან, როგორც ხშირად ზოგიერთ ნათესავსა ; კი არ ექნებოთ.

ილია ქავეკავამეს ასეთივე დიდა სიყვარული და პატივისცემა ჰქონდა ილია წინამძღვრიშვილისადმი. სატყვამ მოიტანა და აქ მინდა დაეყმატო, თუ როგორ ულოცავდნენ ერთმანეთს თავისი საივლიწოდების დღეს ეს ორი ილია. ილია ქავეკავამე ჩვეულებრივად ცხენით ესტუმრებოდა ილია წინამძღვრიშვილს წინამძღვრიანთ კარში. თავის მხრივ ილია წინამძღვრიშვილი აუცილებლად ინახულებდა ქავეკავამეს საგურამოში. ერთხელ მახსოვს: ილია ცხენით წავიდა ასეთ ილიაობა დღეს წინამძღვრიანთ კარში, მაგრამ მასპინძელი სახლში არ დახვედროდა— ის, თავის მხრით, საგურამოში ესტუმრა ილიას.

— შენს ცაცხვებს ვესტუმრეო—ეხუმრებოდა ილია ქავეკავაძე ილია წინამძღვრიშვილს.

— მე შენ კაკალს ვესტუმრეო—უპასუხა წინამძღვრიშვილმა. ჰქონდათ ხუმრობა და მეტოქეობა, რომელი სჯობდა: ილიას კაკალი, თუ ილიას ცაცხვი.

ილია ქავეკავაძე საცხოვრებლად ანდრეევის ქუჩაზე გადავიდა. ერთ საღამოს, როდესაც სახლის დალაგება მთლიანად დაამთავრეს, ვესტუმრე ოლღას. იქ დამხედნენ ოლღას დის შვილები: რუსუდან მელიქიშვილი, შალიკა-შვილის ცოლი—ნინო, ორი ვაჟი სტაროსელსკისა, იყო დიდი მხიარულება და გართობა.

ილია ეთამაშებოდა შალიკაშვილის ბავშვებს. ილიასთან ცხოვრობდა მისი ნათესავი ზალიკო ქავეკავაძე—ყოფილი სამხედრო. სამხედრო სამსახურის ვადა გასული ჰქონდა და სახლში იყო; ფორმას მაინც არ იხდიდა. ილიას ახალ სახლს სასაღილოში გასასვლელად სამსაფეხურიანი კიბე ჰქონდა. კიბესთან ფარდა იყო ჩამოფარებული, რომელიც ხელით შეხებისას იშლებოდა და იხურებოდა. სტუმრებიდან ზოგი ლექსებს ამბობდა—ფარდა გაწეული იყო და ჩვენ სასაღილო ოთახიდან ვუცქეროდით. ამ მხიარულების დროს ილია მივიდა ზალიკოსთან და უთხრა:

— აბა, ერთი, შენ გენაცვალე, მითხარ: როგორ გამოეჭიმებოდი ხოლმე გუბერნატორსო. ზალიკომ უპასუხა:

— ეჰ, დამანებე თავი, რა საჭიროა!

ილიამ სტაროსელსკის შვილებს თვალით ანიშნა, რომ მათაც ეთხოვნათ. ისინიც თან თხოვენ და თან ტაშით იწვევენ. ზალიკომ ამდენ თხოვნას ვეღარ გაუძლო და ერთხელ ვითამაშა. აღარ მოეშენ და სამჯერ გაამეორებინეს. ილია ისე ხმამაღლა იცინოდა და ხარხარებდა, რომ ჩემს სიცოცხლეში ვერც მოცინარი და მხიარული არ მინახავს. ზალიკომ დახურა ფარდა და ბავშვებს უთხრა:

— მე რომ გაჰომიყვანეთ სცენაზე, ახლა ილიაც გაჰომიყვანეთო. ბავშვებმა კვლავ ასტეხეს ტაშის ცემა და ყვირილი:

— ძია ილიკო! ძია ილია! თქვენც გვითხარით რამეო. ილია ჯერ დიდ უარზე იყო, მაგრამ ოღლიც შეესვენა:

— შენ გენაცვალე, ილია, თქვიო.

ზოგი ეძახდა „ტუქვე მოისხა ფოთოლიო“, მაგრამ ოღლამ თხოვა „კაცია ადამიანიდან“ „ჩუბრი, ჩუპრი“... წაიკითხო.

ილიას მაშინვე მოუტანეს მუთაქა თუ ბალიში, რომელიც მან ბავშვივით დაიჭირა. გასწიეს ფარდა, გამოვიდა ილია და შესანიშნავად წაიკითხა „კაცია ადამიანიდან“ ის ადგილი, სადაც აღწერილია ლუარსაბის ალერსი მომავალ შვილთან. ისეთი ალტაცება და ყრიაბული გამოიწვია ამ გამოსვლამ, რომ ენით არ აღიწერებოდა. ოღლამ ილიას აკოცა. ილია ისეთი მხიარული, როგორიც მაშინ იყო, არასოდეს არ მინახავს.

საზოგადოდ ყველას ეგონა, რომ ილია დიდი თაყვანისმცემელი იყო ველიჩკოსი. ნამდვილად კი ილია მასთან არ მეგობრობდა. ერიდებოდა, ეძველ-

ბოდა მისი სტუმრობა, მაგრამ სტუმართმოყვარეობა იძულებდა თავაზიანად მიეღო. ერთხელ საგურამოში ველიჩკო ეწვია ილიას. მეც იქ ვიყავი. სხვათა შორის, ოღლა იკობხავდა ხოლმე მის ამა თუ იმ სტუმარს რა საქმელი ესაი-მოვნებოდა. ველიჩკოს ცოლმა აიჩემა:

— Я желаю картофель в мунире с маслом и маюни!

ვახშმის ბოლოს მოიტანეს მოხარშული კარტოფილი, მაგრამ გაუფტქენე-ლი. თან მოაყოლეს სველი ხელსახოცი, თითების გასაწმენდად. როდესაც შეე-ქამეთ ეს კარტოფილიც „მუნდირით“, ოღლას ხუმრობით ეუთხარა:

— აბა რა იყო? სულ ეს არის „კარტოფილი მუნდირით“? მე მეგონა ვილაც მუნდირიანი კაცები მოვიდოდნენ მეთქი. ეს ხომ ჩვენებურად გაუფ-ტქენელად მოხარშული კარტოფილია, რაღად უნდოდა მაგას მუნდირი მეთქი.— ჯერ ოღლამ გაიცინა, გადიკისკისა (კარგი სიცილი იცოდა), მერე, როგორც ჩანს, ილიას უამბო. მეორე დღით, ჩანს დასაღვევად რომ დაესხედით, ილია წა-მოდგა და ხელების შლით დაიწყო:

— იცით? თურმე ჩვენი ოღლა ელოდა ერთ ბრწყინვალე სამხედრო პირს მუნდირით, რომელიც რევერანსს გაუკეთებდა და რა გამოვიდა... „კარ-ტოფილი მუნდირით“ ჩვენებური ახლად მოხარშული ცხელ-ცხელი გაუფტქენე-ლი კარტოფილი!

ყველამ მე შემომხედა და გაიცინა. მე შემრტხვა და ეუბასუხე:

— მე რომ არა ვარ მუნდირების თაყვანისმცემელი?!...

ბევრი ფიქრობდა, რომ ილია ქავჭავაძე ფუფუნებითა და მდიდრუ-ლად ცხოვრობდაო, მაგრამ არ არის მართალი. საგურამოში ილიას სახლი უბრალოდ ჰქონდა მოწყობილი. ედგა ტახტები საფენებითა და მუთაქებით. უკანასკნელად ხელმოშპირნულ ცხოვრობდა. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც თავი დაანება ბანკსაც და „ივერიის“ რედაქციასაც, თუმცა უნდა ითქვას, რომ გაზეთ „ივერიის“ დათმობა ძალაღან ეძნელებოდა. სხვებიც ეხვეწებოდნენ, რომ გაზეთს ნუ დატოვებო, მაგრამ ილია მთელ თავის ფულებს ამ გაზეთის გამოცემას ანდომებდა და განაცხადა:

კიდევ რომ მქონდეს შესაძლებლობა და პირობები გაზეთის წარმოებისა-თვის—ავიყვანდი ილია აგლაძეს, შაქრო ბილანიშვილს; მათთან ერთად ვიმუ-შავებდი, გაზეთს მე ვავუძღვებოდი და დანარჩენ თანამშრომლებსაც გარედან მოვიწვევდი, მაგრამ ალარავეთარი საშუალება აღარა მაქვსო... .

მახსოვს, 1895 წელს რაფიელ ერისთავს გაუმართეს იუბილე. ეს იყო პირველი დიდი დღესასწაული ქართველი ერისა. იუბილე დიდ საზეიმო ვი-თარებაში იყო მოწყობილი. ქართულ თეატრში ამ იუბილეზე გამოვიდა გრიგოლ აბაშიძე, რომელმაც ძალიან კარგი ლექსი უძღვნა რაფიელ ერის თავს. ილია ქავჭავაძეს ისე მოეწონა ეს ლექსი, რომ გრიგოლ აბაშიძეს გა-დაეხვია და გადააკონა. კარგად დაეინახე ორივეს თვალეებში როგორ ბრწყინ-ვავდა ცრემლი.

(ჩაწერილია საქ. საბ. ლიტერატურული მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომლის ქეთევან ხაჩიაშვილის მიერ, 1949 წელს).

6. ჯანდღირი

მომგონებანი ილია ჭავჭავაძეზე

1900 წელს რუსეთიდან სამშობლოში ახლადდაბრუნებული ახალგაზრდა-ექიმი ვიყავი, როცა თბილისის გუბერნიის ექიმმა ტიტე სიმონისძე ქიქოძემ სოფელ ველისციხეში დამნიშნა. მე თბილისში უნდა შემეძინა საჭირო საექიმო იარაღები, რის გამოც შევიარე ტიტე ქიქოძესთან. საუბრის დროს ტიტეს კაბინეტში შემოვიდა ნიკოლოზ ცხევიძე. რომელმაც შემფოთებით უთხრა ქიქოძეს, რომ ილია გრიგოლისძე ჰევქავაძე ძალიან ავად გამხდარა, სოფელ საგურამოშია, ექიმები კი ვერავენ ვიბოვებ, ქალაქიდან ყველანი გასულან, ვისაც შე ვიცნობო (ზაფხული ძალიან ცხელი იყო).

მე ძალიან შემაწუხა ილიას ავადმყოფობამ და გამოეთქვი სურვილი:

— მზად ვარ წამოვიდე და ილია ჰევქავაძეს ყოველგვარი საექიმო დახმარება აღმოვეუწინო..

ტიტე ქიქოძესა და ნიკო ცხევიძეს ძალიან გაუხარდათ. გადაწყდა, რომ მაშინვე გაემგზავრებულიყავით საგურამოში.

გზად უნდა შეგვევლო მცირეწლოვან დამნაშავეთა კოლონიაში, სადაც საგურამოდან ეტლი მოგვივიდოდა. გზაში, სანამ კოლონიამდე მივიდოდით, ნიკო ცხევიძე კარგად გამეცნო: გამომიკითხა, ბავშუობისას სად ვსწავლობდი, სად დავამთავრე საექიმო ფაკულტეტი და სად მინსახურნია.

ბოლოს მითხრა:

— არ მინდა, ილიამ გაიგოს, რომ თქვენ მის საექიმოდ მიბრძანდებით, ავადმყოფს ვეტყვი, რომ ვითომ გუბერნიის ექიმს სურვილი აქვს საგურამოში გახსნას ქსენონი და ილიას უგზავნის ექიმს საჭირო დახმარების აღმოსაჩენად.

ხუთი საათი იქნებოდა, რომ საგურამოდან ეტლი მოგვივიდა, სწორედ ის ეტლი, რომელშიაც შემდეგში მოკლულ იქნა ილია ჰევქავაძე.

სალამო ხანს საგურამოში მივედი. სახლში დაგვხვდნენ ილიას დისწული კოტე აფხაზი, ნიკოლოზ აფხაზი—მამა კოტესი, ილიას შეუღლებულდა თადეოზის ასული და და—ლიზა საგინაშვილისა.

ილია იწვა თავის კაბინეტში, მასთან სტუმრად იყვნენ არტურ ლეისტი და გაზეთ „კავკაზის“ რედაქტორი ველიჩკო თავისი დით.

ნიკო მიესალმა ილიას და მოახსენა:

— აი, ბატონო ილია, სათავადაზნაურო სკოლის მოწაფე, ახლა კი ექიმი ნიკოლოზ ჯანდღირი, გუბერნიის ექიმმა გამოგვგზავნათ, რომ აღმოუჩინოთ საჭირო დახმარება; გუბერნიის მმართველობას გადაწყვეტილი აქვს საგურამოში ქსენონის გახსნა. ვთხოვთ გაიცნოთ. ილიამ ხელი გამომიწოდა და ღიმილით მითხრა:

— სასიამოვნოა, კეოლი, რაც შემძლიან ყველაფერს გავაკეთებ, ყოველმხრივ დაგეხმარებით. სასიარულოდ ცხენიც მყავს, „ტოლაღებიც“ მაქვს, რაც შეიძლება თქვენ არ გქონდეთო; მერე მიუბრუნდა ნიკო ცხვედაძეს:

— გზიდან მოდიხართ, უთუოდ გინდათ გავრილდეთ, მიბრძანდით ექიმთან ერთად პირსაბან ოთახში და ხელპირი დაიბანეთ.

ილიას კაბანეტიდან პირველი გამოვედი, ნიკო კი ილიამ შეაჩერა.

როდესაც ის პირსაბან ოთახში შემოვიდა, მე უკვე პირს ვიწმენდდი.

— ნიკო, — სიცილით მომმართა ნიკო ცხვედაძემ, — ტყუილი არ გამოიქვია, ილიამ მითხრა: განა არ ვიცი, რომ ჩემი ავადმყოფობა ყველას გეწყინებოდათ. ექიმი მომგვარე და თანაც მატყუებ?

პირის დაბანის შემდეგ ილიასთან შევედით. ილიამ მითხრა მასთან ახლოს სკამზე დავეჯდარიყავ, გამომკითხა გვარი, სახელი, ვანაობა, აგრეთვე — ნათესავე ხომ არა ვარ ლევან გიორგისძე ჯანდიერისა.

მეორე მხრივ ველიჩკო, ნ. ცხვედაძე და არ. ლეისტი რაღაცაზე საუბრობდნენ. უტბად ველიჩკომ ხმამაღლა დაიწყო ლაპარაკი და ივანე მაჩაბელს დასცინა. ილიამ ჯერ გადახედა მოსაუბრეებს, ლოგინში გასწორდა, თვალის დახუჭა და ჩემს გასაგონად ჩაილაპარაკა:

— მაგ ტუტუსს ჰგონია, თითქოს მე ძალიან მესიამოვნება, რომ ჩვენს მამულიშვილს დასცინის. მომწყინდა, გეთაყვა, როგორმე მოწაშორე!

მე ვისარგებლე იმით, რომ ილიას თვალები ჰქონდა დახუჭული და რუსულად ყველას გასაგონად ხმამაღლა ვუთხარი:

— პატრეკემულო ილია, დაილაღეთ? ცუდად გრძნობთ თავს? იქნებ ცოტა ხანს დაიძინოთ! დაისვენეთ, სჯობია. მერე მიუბრუნდი იქ მყოფებს:

— როგორც ჩანს, ჩვენი ავადმყოფი დაიღალა, მიეცეთ საშუალება ცოტა ჩაძინებესა, რომ დაისვენოს.

ყველანი მაწინვე მობოდიშებით გავიდნენ. მეც მივედიოდი, მაგრამ ილიამ შემაჩერა:

— ექიმი, ბარემ მოსულხართ, — გამწინჯეთ.

მე დავჩი მასთან, დაწვრილებით გამოვკითხე ყველაფერი, გავეწინჯე; მის გულს დიდი გადატვირთვა და დადლილობა ეტყობოდა; გულის სისხლის მიღებს სკლეროზი შეჰპარკვდა, გულის კუნთების ანთების ნიშნებით. აშკარა იყო, ილიას გულის ტკივილები გამოწვეული იყო ამ ცვლილებებით.

გამოვუწერე წაშალი, ავუსხენი, რომ ის ფიზიკურად და გონებრივად დადლიოდა, და ევრჩავ რამდენივე ხნით დაანებოს თავი გონებრივ მუშაობას. ავუტრქაღე წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთების კითხვა და მისგან მოვითხოვე მტკიცე რეჟიმის დაცვა.

ილიამ მითხრა:

— შენ (შენობით მომმართა) მითხარი, რად ან რისთვის უნდა მოვიქცე ასე თუ ისე, და თუ ეს ჩემს გონებას ჩასწვდება, მაშინ ბაშუსტა. თორემ ექიმების ბრძანება ზოგჯერ ძნელი გასაგებიაო. მეც დაწვრილებით ავუსხენი, რაც აინტერესებდა, ვუტრჩივ მოსვენება, ვუსტრევე მშვიდი ძილი და გამოველ ეზოში.

გამოწერილი რეცეპტები მაშინვე მცხეთის აფთიაქში გავატანე და გადავწვივებთ, რომ ილიასთან მკურნალად დაერჩინოდა.

ილია ჩემს ყოველივე მოთხოვნას პირნათლად ასრულებდა.

მეორედ გაშინჯვამ დამარწმუნა, რომ ილია თავის ავადმყოფობას ერეოდა.

ერთ დღეს დილით გაზეთები და ფოსტა მოგვივიდა. ახალ ამბებში ამოვიკითხე, რომ თბილისში ამ ორ დღეში უნდა ჩამოვიდეს დოქტორი ვაგნერი—კიევის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის პროფესორი. მაშინვე გადავწვივებ, რომ მესარგებლა მისი ჩამოსვლით და ჩემი ძვირფასი ავადმყოფი მეჩვენებინა. მოველაპარაკე თვით ილიას. სიამოვნებით დამთანხმდა. რამდენიმე დღის შემდეგ თბილისში ჩამოვედი. მე მაშინვე ტიტე ქიქოძესთან წავედი და ჩემი განსზრახვა გავაცანი. ქიქოძემ დაუხარებლად შემიწყო ხელი, რომ პროფესორ ვაგნერთან ერთად ილიას ჯანმრთელობის შესამოწმებლად კონსილიუმი მოგვეწვია. დაენიშნეთ დღეც.

პროფესორ ვაგნერი გუბერნიის ექიმ ქიქოძესთან ერთად თავის დროზე მოვიდა. მე მათ მოვახსენე გასინჯვისა და წამლობის შედეგები. პროფესორმა ვაგნერმა ილია გასინჯა და ჩემს დიაგნოზს სრულიად დაეთანხმა. მე ქალადი და კალამი მზად მქონდა. პროფესორმა წამლების რეცეპტები მიკარნახა. ჩამაწერინა აგრეთვე, თუ ავადმყოფი როგორ უნდა მოქცეულიყო; მან ილიას დაუნიშნა საზღვარგარეთ, ბერლინში, პროფესორ ლეიდენტან სამკურნალოდ წასვლა.

ილია მალე შეუდგა საზღვარგარეთ წასვლის სამზადისს, საქმის გადადება არ უყვარდა.

მე წინადადება მომცა გავყოლოდი, მაგრამ ვერ შევიბრდი, ვინაიდან, როგორც რუსეთიდან ახლად ჩამოსულს და სამსახურშიც ახლად შესულს, დავალბული მქონდა კახეთის სოფლებში კერძო ქსენონის გახსნა-მოწყობა.

ეს საქმე ასე მოგვარდა: ილიას ერთ-ერთი ნათესავი სტუდენტი რიგის სადგურში დახვდებოდა ავადმყოფს და ის ვაჭყევიბოდა ბერლინშიც და შემდეგ, სადაც საჭირო იქნებოდა ან სადაც მოისურვებდა თვით ილია ქაჯკავაძე.

ილიას წასვლისთვის სამზადისში თითქმის ოცმა დღემ გაიარა. ამ ხნის განმავლობაში ყოველ დღელ-საღამოს მასთან დავედიოდი და მკურნალობას განვაგრძობდი.

ილიას საზღვარგარეთ გამგზავრების დღეს ბევრი მნახველი მოსდიოდა. მრავალრიცხოვანი ქართველი საზოგადოება, რომელმაც იცოდა დრო ილიას გამგზავრებისა, სადგურზე ყვავილებით დაუხვდა.

საერთაშორისო ვაგონამდის მიაცილეს. ილია შევიდა ვაგონში და გაღებული ფანჯრიდან ხალხს ესაუბრებოდა და მადლობას უხდოდა.

მე იმ დღით ილიას სწორედ იმ დროს გამოვეთხოვე, როცა მას ბევრი სტუმრები ჰყვდა და მოვასხენე სადგურზე შეგხვდები-თქო. ილიას გამგზავრების ჟამს მეც სადგურზე ვიყავი. ამოვირჩიე მოხერხებული ადგილი, საიდანაც შემეძლებოდა გამოსათხოვარი საღამის მიცემა.

მატარებელი დაიძრა: ილიას ვაგონმა ჩემ წინ გაიარა. ვაგონიდან ილია ხალხს ხელით ესალმებოდა. დამინახა მეც, ხელი დამიქნია, გადმომძახა:

— აკი ვნახამო, მითხარი! — კიდე რალაც თქვა, მაგრამ მე ვეღარ გავი-
 გონე.

მოწიწებით თავი დაეუკარი და ხელის დაქნევით გამოვემშვიდობე.

ილია რიგიდან ჩაივინა ბერლინში პროფესორ ლეიდეტან, რომელმაც
 ცოტა ხნის წამლობის შემდეგ ავადმყოფი ნაუხეიმში გავზავნა.

ილიას თბილისში დაბრუნების შემდეგ ბევრმა ხანმა გაიარა. მე მას ვერ
 ვხვდებოდი, რადგან იმ დროს უკვე კახეთში ვეჭიმობდი და თბილისში იშვია-
 თად ჩამოვდიოდი.

ერთხელ შემთხვევით ვნახეთ ერთმანეთი ქართულ დრამატულ თეატრ-
 ში „თამარ ცბიერის“ წარმოდგენაზე. ილია რომ დავინახე, მივესალმე, მან
 ხელების გაშლით მიბრძანა:

— ყმაწვილო, რა დაგიშავე, რომ არა მნახე?

— პატივცემულო ილია, თქვენ კი არაფერი დაგიშავეებით ჩემთვის, მაგ-
 რამ მე კი ძალიან დამნაშავე ვარ თქვენს წინაშე და გარწმუნებთ, რომ
 ეს პირველი ჩამოსვლაა თბილისში მას შემდეგ, რაც უკანასკნელად ვნახეთ.

ილიამ მხიარულად მომძახა:

— არა, გეტყვით, მაგრამ ახლა კი უსათუოდ სახლში უნდა მნახო. ვი-
 ნახულე. მიაბმო თავისი მოგზაურობა და წამლობა. სხვათა შორის, მითხრა,
 რომ ორი-სამი დღის მკურნალობის შემდეგ, ერთხელ დილით, ჩემს პალატაში
 ლეიდეტი შემოვიდაო. საწოლიდან ამაყენა, წამავლო ხელი და მიბრძანა, რომ
 გავეყოლოდი. გამიყვანა კიბეებზე, წინ გამიძღვა; მივსდევ ამ კაცს ერთი სარ-
 თულიდან მეორეზე, მეორედან მესამეზე, მეოთხეზე, ვფიქრობ: ან მე გავვიყ-
 დი ან ეს კაცი გავიყებულა. ბოლოს შედგა, რატომღაც ერთ კაბინეტში შე-
 მიყვანა, გული გამისინჯა და მითხრა: გული მშვენიერად მუშაობს. თქვენს
 გულს უფრო მეტი შესძლებია, ვიდრე თქვენა გგონიათო. ჩემი გულის ამ გა-
 მოცდამ ძალიან გამამხნევა. მართლაც, კიბეებზე ასვლის დროს სრულებით არ
 დავდლილვარ.

რამდენიმე ხნის შემდეგ მირჩია კურორტ ნაუხეიმში წავსულიყავით.

(ჩაწერილია საქ. სახ. ლიტერატურული მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომლის ქეთევან
 ხაჩიაშვილის მიერ, 1949 წელს).

ი. გომელაური

მოგონებათა პიზოლაჟი

1. ილია ქაქავაძე

თბილისში ჩამოსვლის წლიდანვე (ეს იყო 1885 წ.) ვნატრობდი და ვცდილობდი ილიას ნახვას. შორიდან კი დაეინახე, მაგრამ ახლო მისი ნახვა მე-ღირსა 1887 თუ 1888 წელს.

ქართულ თეატრში (ახლანდელ ვოროშილოვის სახელობის კლუბში) პირველად წარმოადგინეს აკაკი წერეთლის ცნობილი დრამატული პოემა „თამარ ცბიერი“. ამ წარმოდგენას რალაც საიუბილეო ხასიათი მისცეს, რადგანაც პირველისა თუ მეორე მოქმედების შემდეგ აკაკის ბევრი საჩუქრები მიართვეს. წარმოდგენაში მონაწილეობას იღებდნენ მაშინდელი ჩვენი საუკეთესო ძალები: ლადო მესხიშვილი (გოჩა), ანდრონიკაშვილისა (თამარ), საფაროვა-აბაშიძისა (ცირა) და სხვ. წარმოდგენას დაესწრო ილია ქაქავაძეც. ის იჯდა სცენის პირდაპირ, საუკეთესო ლოკაში. მოქმედების დამთავრების შემდეგ ფეხზე იდგა ხოლმე და ტაშს უკრავდა...

მე ქანდარაზე ვიჯექე და ილია ჩემგან შორს იყო. მე კი ძალიან მიწოდდა მისი ახლო ნახვა. მივძვერ-მოვძვერი და მალე ჩავედი პარტერში...

დამთავრდა პირველი თუ მეორე მოქმედება, კარგად აღარ მახსოვს. ოვაციის შემდეგ ხალხი გამოვიდა ფრთეში. გამოვიდა ილიაც. მეც იქ გავჩნდი და ილიას ახლო ავიტუხე... ვაკვირდებოდი მის ლეთაებრივ შუბლს...

ილია ფეხზე იდგა, ხოლო სავარძლებში ვიღაც დარბაისელი კაცები ისხდნენ. საუბარში ერთი მათგანი მიუბრუნდა ილიას და უთხრა:

— ილიავ, შენ რატომ მეტს არა სწერ ძველ ისტორიაზე? აი, რა კარგი პიესაა... (მოსაუბრე გულისხმობდა „თამარ ცბიერს“).

ილია ცოტათი ჩაფიქრდა და შემდეგ ასეთი პასუხი გასცა:

— ე, შე დალოცვილო, ადვილი გგონია მაგის დაწერა?! მაგის დაწერას იცი, რამოდენა სისხლი უნდა?!

ყველანი ჩაჩუქდნენ. შთაბეჭდილება ისეთი დარჩა, რომ მხოლოდ ბევრ-სისხლიან აკაკის შეუძლია ამისთანა რამის დაწერა... და ამ სიტყვებით ილიამ უფრო მალა ასწია მათ წინაშე აკაკის დრამატული პოემა და საზოგადოდ მისი ღვაწლი სამწერლო ასპარეზზე...

ერთხელ, ბანკის კრებაზე ილიას უსაყვედურეს, რომ სამსახურში იკვიანებო. ილიამ ყველაფერი თავისებური სიდიდით მოისმინა და მერე უპასუხა:

— მე გიმნაზიის პირველი კლასის მოწაფე კი არა ვარ, რომ დანიშნულ საათზე ბანკში ვიყო! გარდა ამისა, თქვენ რას უყურებთ ჩემს წასვლა-მოსვლას, თქვენ მე საქმე მომთხოვეთ! საქმე!.. ამასთანავე გავკადნიერდები და ვიტყვი:

ზოგი კაცი ერთი თითით იმოღენას ასწევს, რასაც მეორე, ორი ხელით რომ დავჯაგუროს, ძვრას ვერ უზამს.

ეს ილიამ ისე მოხდენილად და დაბეჯითებით სთქვა, რომ დამსწრეთ ერთი-ღა დარჩენილათ, რომ ტაში დაეკრათ, და-დაუკრეს კიდევც...

* * *

1890 წელს გარდაიცვალა ჩვენი ისტორიკოსი დიმიტრი ბაქრაძე, რომელიც დიდუბის ეკლესიის ეზოში დაასაფლავეს. მე ისევ თბილისში ვსწავლობდი. თუმცა ამ მოღვაწის დასაფლავებაზე დასწრების ნება არ მოგვცა დირექტორმა, მაინც რამდენიმენი გაეიპარენით დიდუბეში. მე, რასაკვირველია, ილიას გარშემო ვტრიალებდი. დასაფლავებას დაესწრნენ ქართველი მწერლებიც. გამოსათხოვარი სიტყვებით მიმართეს მიცვალბულს გიორგი წერეთელმა და აკაკიმ. გ. წერეთელმა თავის სიტყვაში ბრინჯაოს საუკუნე აღსენა. მაშინ ილიამ თავის გვერდზე მდგომ გ. ყიფშიძეს გადაულაპარაკა:

— ძალიან შეტობა...

მერე აკაკიმ წაიკითხა თავისი მშვენიერი ლექსი, რომელიც ასე იწყებოდა:

სამაგალითო შრომასთან ცოდნა
და საყვარულით აღსილი გლოი,
აი, ვის ქობდა ჩვენში უტყუვრად
მინიჭებული, შეგვისებულ... და სხვ.

ლექსი შესდგებოდა სულ სამი კვპლეტისაგან¹. ილიამ რომ მოისმინა, მაშინაც ჩაულაპარაკა თავის გვერდზე მდგომ, გიგო ყიფშიძეს.

— კარგი ლექსი იყო.

* * *

სულ ილიას გარშემო ვტრიალებდი, მაგრამ ერთხელაც არა მქონდა შემთხვევა, რომ მას პირადად დავლაპარაკებოდი... ამისი შესაძლებლობა მომეცა 1899 წელს, როდესაც მე და ჩემი ამხანაგები—მასწავლებლები ქ. შ. წ.-კ. ვამ. საბ. ვამგეობამ დავეთხოვე უადგილოდ...

აქ მოკლედ მინდა აღვნიშნო, რომ იმ დროს ზოგიერთები ებრძოდნენ სენაკის სააზნაურო სკოლის გამგე სამსონ ყიფიანს და უნდოდათ მისი იქიდან გაძევება. ეს ბრძოლა გაგრძელდა სამ წელიწადს. ილია იცავდა სამ. ყიფიანს, როგორც ნიჭურსა და ენერგიულ მასწავლებელს, მაგრამ იმასაც მობეზრდა ამდენი აყალ-მყალი სენაკის სკოლის გარშემო და დათანხმდა, რომ სამ. ყიფიანი გადმოეყვანათ ქუთაისში მასწავლებლად სათავადაზნაურო გიმნაზიაში... იმავე დროს სასტიკად დასაჯა სამ. ყიფიანის მოწინააღმდეგე მასწავლებლებიც და ერთის გარდა ყველანი უადგილოდ დაითხოვა... როგორც შემ-

¹ ეს ლექსი შესდგება ექვსი ტაქტისაგან (იხ. „ივერია“, 1890, № 233 და აგრეთვე აღ. კვიკიძის წერილი: „აკაკის ერთი ლექსის გამო“, „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1947, № 10). რედ.



ღვგ ი. გოგებაშვილმა გადმომცა, ილიას გამგეობის კრებაზე უთქვამს: „ქარის-კაციც უნდა დავიტხოვოთ, რომ ამბის მიმტანი აღარაეინ დარჩეს იქაო“.

ამისდა მიუხედავად მე მაინც წავედი ილიასთან. ჯერ სახლში ვიყავ მასთან, მაგრამ იქ რომ ვერ ვნახე, სათავადაზნაურო ბანკს მივადექ ფრეილინის (ებლა სულხან ორბელიანის) ქუჩაზე... ილიამ ცივად შიმილო და მითხრა დავ-მჯდარიყავ. მე ჩემი მოვასხენე, თუმცა ვიცოდი, არაფერი გამოვიდოდა. იმან მოკლე პასუხით გამომისტუმრა:

— ეს გამგეობის დადგენილებაა და მისი შეცვლა მე არ შემიძლიანო.

2. აკაკი წერეთელი

აკაკის ჰქონდა არაჩვეულებრივად ტკბილი ხმა, უყვარდა ლაპარაკი, უფრო კი ოხუნჯობა. სადაც ის იყო, სხვა ძვირად ამოიღებდა ხმას. ის ლაპარაკობდა თავისი მუსიკალური ხმით, სხვები კი იცინოდნენ. უყვარდა სცენაზე ლექსების კითხვა. ხშირად გამოდიოდა ქართულ თეატრში თავისი ლექსებით. კითხულობდა ოთხ-ხუთ ლექსს, მეტს არა. სცენაზე სათქმელად მისი საყვარელი ლექსები იყო: „განთიადი“ („მთაწმინდა-ჩაფიქრებულა, შეწყურებს ცისკრის ვარსკვლავსა“), „ჭაღარა“ („ის აღარა ვარ, რაც ვიყავ, ძნელი ყოფილა ჭაღარა“), „მუშური“ და „აღმართ-აღმართ“... მას არ ეტყობოდა, რომ ლექსს კითხულობდა, რითმები არ ხშიანობდა და აღამიანს ეგონებოდა აკაკი თავისებურად ტკბილად საუბრობსო.

აკაკის დაეუახლოვდი 1910 წლის ზაფხულში, აგარაკ პატარა [ცემში], სადაც ექიმ ვახტანგ ლამბაშიძეს სანატორიუმი ჰქონდა გამართული. მაშინ მე ამ აგარაკზე ვისვენებდი. იქ, ჩემდა სასიამოვნოდ, იყვნენ—პროფ. ალ. ხახანაშვილი და შიო არაგვისპირელი. ხოლო შუა ზაფხულში ამოვიდა აკაკი თავისი ცოლ-შვილით. ვახტანგ ლამბაშიძემ დიდი პატივით მიიღო საყვარელი აკაკი და მისი ცოლ-შვილი; მათ დაუთმო ცალკე ოთახი, რომელიც განმარტოებით იღვა ეზოში.

ერთხელ არაგვისპირელი შეეკითხა აკაკის:

— თქვენმა შვილმა ქართული იცისო?

აკაკიმ მას რალაც ორაზროვანი პასუხი გასცა:

— იმდენად იცის, რომ მასთან ქართულად ლაპარაკი არ შემიძლებაო! პატარა ცემში ვაიმართა კონცერტი და აკაკის სთხოვეს მონაწილეობის მიღება, ისიც დათანხმდა, მაგრამ ამას თურმე ოჯახური უსიამოვნება მოჰყვა.

სადილის მერე აკაკიმ შემოგვიჩილა:

— მე და ჩემ ცოლს ჩხუბი მოგვივიდა. ჩამცივბია, გინდა თუ არა ახალი ტანისამოსი (მგონი სერთუჯი) ჩაიცვი და ისე გამოდი სცენაზეო.—ის კი ამირებდა თავისი საზაფხულო შავი და კისერთან ცოტა გაცვეთილი პიჯაკით გამოსულას.



— მე ვეუბნები აქ უცხო არავინ არის, ყველანი მიცნობენ, რა მორთვა მინდა-მეთქი და სხვ.

მარტლაც, იმ საღამოს თავისი ჩვეულებრივი საშინაო ტანისამოსით გამოვიდა და დიდად დაატკბო საზოგადოება თავისი ლექსების მშვენიერი კითხვით...

3. ვაჟა-ფშაველა

ვაჟა-ფშაველას ვიცნობდი უმთავრესად ჩემი ქრესტომატიის: „სკოლებში შესასწავლი ქართველი მწერლების“—მეოხებით.

ამ ქრესტომატიების პირველ წიგნში და ისიც პირველ ადგილზე ყოველთვის ვაქვს ცნობილი მოთხრობა „შელის ნუკრის ნაამბობი“ იბეჭდებოდა...

ერთხელ ვაჟა-ფშაველას შევეკითხე: „პოეტის წერითი შემოქმედების პროცესი როგორ ხდება“-მეთქი. ამაზე ვაჟა ჯერ ცოტა ჩაფიქრდა და შემდეგ მიპასუხა:

— სხვებისა არ ვიცი, მაგრამ მე კი, როდესაც ვწერ, სურათები მომდის თავში და მე მხოლოდ ვცდილობ, რომ ეს სურათები კარგად გამოვიყვანო. შემდეგ, როცა დავეწერ და წაივითხა: მაშინ მეც მივხედები ხოლმე, რა ახრიც არის შიგ.

მაშინ მომაგონდა ბელისკის აზრი, რომ „Поэт мыслит образами“.

* * *

ჩემი „ქართველი მწერლების“ პირველი წიგნის მესამე გამოცემაში სილხუნდაძის გრამატიკის გავლენით ვაქვს ლექსების მართლწერაში ზოგიერთი ცვლილება შევიტანე. ეს შენიშნა თურმე ვაქამ და, ქალაქში რომ შემხვდა, მითხრა.

— თუ ძმა ხარ, ჩემს მართლწერას ნუ სცვლით.

ჩემს შეკითხვაზე, თუ რაზე ამბობდა, მან დამისახელა ადგილი ლექსადან: „კლდე და მდინარე“.

„მდინარე მაინც არ ტყდება,
თუმც ცდა მიუღის ცუდათა.
მაინც კლდეს ეღვრება,
გადიქვა კატის კნუტათა“, და სხვ.

მე კი ვწერ: „ცუდადა“ და „კნუტადა“

მე ბოდიში მოვიხადე და შევბირდი, რომ ამის შემდეგ ეს აღარ იქნება ჩემს ქრესტომატიაში-მეთქი.

გარდა ამისა, კიდევ მითხრა: „ქართველი მწერლების“ მეორე წიგნში დაბეჭდილია ლექსი—„აკაკის იუბილეზე“. იმ ლექსში არის ერთი შეცდომა. ეს კი თქვენი ბრალი არ არის, რადგანაც ასე შეცდომით იყო დაბეჭდილი გაზეთში.

იქა სწერია:

„რომ გიყვარს მამულიშვილი,
დამ, იცოდეს ველამა!“

მე კი იუბილეზე ვთქვი:



«რომ მიყვარს ნამუღლიშვილი
დღე, იცოდეფს ყველაშა და სხვ.»

და მთხოვა, რომ შემდეგ გამოცემაში გამესწორებია.

* * *

ვაჟა-ფშაველა წერილშიელი კაცი იყო და ხელმოკლეობას განიცდიდა, მაგ
რამ ამის შესახებ ერთხელაც არ წამოსცდენია რამე ჩივილი. მხოლოდ ერ
თხელ, 1906 წლის ბოლოს თუ 1907 წლის დასაწყისში (კარგად არ მახსოვს)
ვაჟამ მითხრა:

— ძალიან გამიჭირდა ცხოვრება... ბევრი მყავს შესანახი... ამის გამო
გადავწყვიტე სამსახურში შესვლა... «პოსრედნიკობას» მპირდებიან... ეს სამ
სახური იმიტომ არის კარგი, რომ ხალხთან ვიქნები დაახლოებული და მის
თვის მეტი სარგებლობის მოტანა შემეძლება... პატარა გამოცდის ჩაბარება
საჭირო, მაგრამ არა უშავს რა, მაგას მოვახერხებ...

არ გასულა ამ ლაპარაკის შემდეგ რამდენიმე თვე, რომ ისევ შევხვდი ვა
ჟას და მაშინვე «პოსრედნიკობის» შესახებ შევეკითხე. ამაზე ვაჟამ თავისებურ
რიხითა და დაბეჯითებით მითხრა:

— გადავიფიქრე! რაღა დროს ჩემი ჩინოვნიკობაა?! ვიცხოვრებ ისევე
როგორც აქამდის მიცხოვრია!

...და კიდევაც შეასრულა თვითი სიტყვა.

ს. კლდიაშვილი

აკაკი ნაკაშიძე

როცა პირველად ვნახე

ქუთაისი იხდიდა აკაკის 50 წლის მოღვაწეობის იუბილეს. ეს იუბილე გრანდიოზულ სახალხო დღესასწაულად იქცა.

საზეიმო დილასა და საღამოს, რაც ქალაქის თეატრში ეწყობოდა, დავით კლდიაშვილი ხელმძღვანელობდა. მამა დილით ადრე გაემგზავრა თეატრისკენ და თან მე და ჩემი ძმა წაგვიყვანა. ადრე იყო, მაგრამ თეატრის ახლო მდებარე ქუჩებში და, განსაკუთრებით, ბაღის ირგვლივ უთვალავი ხალხი შეგროვილიყო. გაჰირვებით ვიკაფავდით გზას.

თეატრის დარბაზი და სცენა სადღესასწაულოდ იყო მორთული. მარჯვნივ სცენაზე, ნოხებით დაფენილ ამალუბულზე, განიერი სავარძელი იდგა იუბილიარისათვის. კულისებსა და მსახიობთა ოთახებში თავს იყრიდნენ დელეგატები, რომლებსაც ჰქონდათ დავალებული აკაკისადმი მისალმება.

აკაკის მოსვლის საათიც დადგა. მამასთან ერთად თეატრიდან გამოვედი. ჩემ წინაშე დაუვიწყარი სანახაობა გადაიმალა. ჯერ კიდევ შორიდან დავინახე, ხალხით სავსე ქუჩაში მოდიოდა ეტლი, რომელშიაც ორი თეთრი ცხენი იყო შებმული. სიხარულის ყიჟინა ისმოდა, ქულებს ისროდნენ პაერში, ყვავილებს ყრიდნენ და ამ ყვავილებით ფენილ გზაზე ნელა მოიწვედა ეტლი. ბოლოს ისიც დავინახე, ვისაც სიხარულით ეგებებოდა ხალხი. ეტლში აკაკი იჯდა; უცბადვე ვიცანი, რადგან სურათით ვინ არ იცნობდა მას. როცა ეტლი თეატრს დაუახლოვდა, ხალხმა გამოსწრა ცხენები და ეტლი ხელით გამოატარა.

აკაკი თითქოს არ ლეღავდა; როდესაც სცენაზე შემოვიდა, დამშვიდებულნი ჩანდა. იქნებ, ასე იმიტომ მეჩვენა, რომ მე თვითონ აღელვებული ვიყავი.

ზეიმის დაწყებამდე აკაკი მსახიობთა ერთ-ერთ ოთახში შეიყვანეს. მამამ ხელი ჩაგვკიდა მე და ჩემ ძმას და აკაკისთან შეგვიყვანა. მან მოგვიაღწრსა და დაგვკონცა. იმ დღეს და მეორე დღესაც არ დამიბანია ცალი ლოყა, რომელზედაც აკაკიმ მაკოცა.

როდესაც ზეიმი დაიწყო, აკაკი მისთვის დადგმულ სავარძელში დაბრძანდა. კარგად მასსოვს დავითის გამოსვლა. იმ დილით მამა რალაცა სხვა-ნაირი მეჩვენებოდა, ალბათ, იმიტომ, რომ მოქალაქის ტანსაცმელში ვხედავდი. პირველად ეცვა არასამხედრო ტანსაცმელი, საგანგებოდ იმ დღისათვის შეყრილი. დავითმა არ შეკადრა დიდ ქართველ პოეტს საზეიმო დღეს მის წინაშე მეფის რუსეთის პაგონებში წამდგარიყო.

სასეიმო დილა დავეითმა ვახსნა. პირველი სიტყვა მან წარმოსთქვა და მახსოვს ხანგრძლივი ოვაცია, როცა აკაკი დავეითს გადაეხეცა. მილოცვები საღამოსაც გაგრძელდა.

ჩვენთან ოჯახში

1912 წელს, მგონი იენისში, აკაკი ჩვენთან სტუმრად იყო ოჯახში. შეიღებში მე ვიყავი უფროსი და ნშობღებმა მხოლოდ მე დამრთეს ნება სადილის დროს უფროსებთან ვმჯდარიყავი.

სადილი გაგვეუგემურა ერთმა „შემოსწრებულმა“ სტუმარმა. აკაკის და დავეითის უბრალოება მან, ალბათ, ისე გაიგო, რომ თავისუფლად შეეძლო თავის დაქერა. ძალიან ბევრს ლაპარაკობდა, საინტერესო კი არაფერი უთქვამს. როგორც იქნა, სადილის დასასრულს რაღაც საქმე მოაგონდა. მოიბოდიშა და წაივინდა, მაგრამ რაღა დროს, აკაკი პირდაპირ მოიქანცა. ნეტავ მანამდე წათრეულიყო.

ნასადილევს აკაკი და დავეითი ჩენი სახლის პატარა ეზოში გავიდნენ. სახლი, სადაც ვცხოვრობდით, ვინმე ივანე ბაქრაძისაგან გვექონდა ნაქირავეები. ივანე პატარა ტანის კაცი იყო, ძალიან ცოცხალი და გონებაშეხვეილი. ჩქარი ლაპარაკი იცოდა. ამასთანავე მეტისმეტად ებმოდანენა. ხშირად ისე უქირა და ლაპარაკი, რომ ზოგიერთ ფრაზას თუ არ წაუმღერებდა, ისე ვერ იტყოდა.

ივანემ, რომელიც ქვედა სართულში ცხოვრობდა, აკაკი ეზოში დინახა, მივიდა მასთან. იმერული თავაზიანობით თავი დაბლა დაუქრა, მიესალმა და, როგორც ყოველთვის, ესლაც ენა დაება. ესლაც ზოგიერთი სიტყვა „წაუშლერა“. ხშირად იმეორებდა სიტყვას „მგოსანო“ და ამას ისე ამბობდა თავისი წერილი ტენორით, რომ ნამდვილი სიმღერა გამოდიოდა. როცა ივანე წაივინდა, აკაკიმ დავეითს უთხრა:

— ჩინებული მგალობელი გყოლია შინ და უნდა მოგეწვია სადილზე, მოგვალხენდა მაინც!

როგორ კითხულობდა ლექსს

ქუთაისის თეატრში გამართულ ერთ ლიტერატურულ საღამოში აკაკი მონაწილეობდა. პირველად აქ მოვისმინე მისი ლექსის კითხვა. „განთიადი“ წაიკითხა და კიდევ სხვა.

რასაკვირველია, აკაკისადმი თავყანისცემა შთაბეჭდილებას აორკეცებდა, მაგრამ ვისაც აკაკისთვის მოსწონენია, მას, ცხადია, სამუდამოდ მეხსიერებაში დარჩა საყვარელი ხმა და კითხვის თავისებურება.

მოხუც აკაკის ჩემი ლირიზმით საესე ხმა ჰქონდა. კითხვის დროს სახე ჩვეულებრივად აწეული ეჭრა, სნეული თვალები ცისკენ ამართული. არაერთარი მიმიკა. კითხულობდა ნელა, თითქოს ლოცვას წარმოსთქვამდა.

აკაკის კითხვა არა მხოლოდ სიამოვნებას გვრიდა მსმენელს, არამედ სულიერ თრთოლვას განაცდიდენებდა. ლექსის ზემოქმედების გაძლიერებისა-

სახეიმო დილა დავითმა გახსნა. პირველი სიტყვა მან წარმოსთქვა და მახსოვს ხანგრძლივი ოვაცია, როცა აკაკი დავითს გადაეხვია. მილოცვები სალამოსაც გაგრძელდა.

ჩვენთან ოჯახში

1912 წელს, მგონი იენისში, აკაკი ჩვენთან სტუმრად იყო ოჯახში. შვილებში მე ვიყავი უფროსი და ნშობლებმა მხოლოდ მე დამართეს ნება სადილის დროს უფროსებთან ვმჯდარიყავი.

სადილი გაგვიუგემურა ერთმა „შემოსწრებულმა“ სტუმარმა, აკაკის და დავითის უბრალოება მან, ალბათ, ისე გაიგო, რომ თავისუფლად შეეძლო თავის დაქერა. ძალიან ბევრს ლაპარაკობდა, საინტერესო კი არაფერი უთქვამს. როგორც იქნა, სადილის დასასრულს რაღაც საქმე მოაგონდა. მოიბოდიშა და წავიდა, მაგრამ რაღა დროს, აკაკი პირდაპირ მოიქანცა. ნეტავ მანამდე წათრეულიყო.

ნასადილევს აკაკი და დავითი ჩვენი სახლის პატარა ეზოში გავიდნენ. სახლი, სადაც ვცხოვრობდით, ვინმე ივანე ბაქრაძისაგან გვექონდა ნაჭირაგები. ივანე პატარა ტანის კაცი იყო, ძალიან ცოცხალი და გონებაშახვილი. ჩქარი ლაპარაკი იცოდა. ამასთანავე მეტისმეტად ებმოდა ენა. ხშირად ისე უქირდა ლაპარაკი, რომ ზოგიერთ ფრაზას თუ არ წაუშლერებდა, ისე ვერ იტყოდა.

ივანემ, რომელიც ქვედა სართულში ცხოვრობდა, აკაკი ეზოში დაინახა, მივიდა მასთან. იმერული თავიზიანობით თავი დაბლა დაუქრა, მიესალმა და, როგორც ყოველთვის, ეხლაც ენა დაემა. ეხლაც ზოგიერთი სიტყვა „წაუშლერა“. ხშირად იმერობდა სიტყვას „მგოსანო“ და ამას ისე ამბობდა თავისი წვრილი ტენორით, რომ ნამდვილი სიმღერა გამოდიოდა. როცა ივანე წავიდა, აკაკიმ დავითს უთხრა:

— ჩინებული მგალობელი გყოლია შინ და უნდა მოგეწვია სადილზე, მოგვალხენდა მაინც!

როგორ კითხულობდა ლექსს

ქუთაისის თეატრში გამართულ ერთ ლიტერატურულ სალამოში აკაკი მონაწილეობდა. პირველად აქ მოვისმინე მისი ლექსის კითხვა. „განთიადი“ წაიკითხა და კიდევ სხვა.

რასაკვირველია, აკაკისადმი თაყვანისცემა შთაბეჭდილებას აორკეცებდა, მაგრამ ვისაც აკაკისთვის მოუხსენია, მას, ცხადია, სამუდამოდ შეხსიერებაში დარჩა საყვარელი ხმა და კითხვის თავისებურება.

მთხუც აკაკის ჩუმი ღირიზმით სავსე ხმა ჰქონდა. კითხვის დროს სახე ჩვეულებრივად აწეული ექარა. სწეული თვალები ცისკენ ამართული. არავითარი მიმიკა, კითხულობდა ნელა, თითქოს ლოცვას წარმოსთქვამდა.

აკაკის კითხვა არა მხოლოდ სიამოვნებას გვრიდა მსმენელს, არამედ სულიერ თრთოლვას განაცდივინებდა. ლექსის ზემოქმედების გაძლიერებისა-

თვის, და იქნებ კიდევ იმისთვის, რომ მისი ბუნება მოითხოვდა, ძველად ლექსს მუსიკალურ აკომპანიმენტს აახლებდნენ... აკაკის კითხვაში ამ აკომპანიმენტის მაგეირობას სწევდა მისი ხმა და გარეგნობა.

აკაკი ქუჩაში

ქუთათურებს არა ერთხელ დაუნახავთ ეტლით და ხან ქვეითად მიმავალი აკაკი და ყოველთვის ყოველი მოქალაქე შიგერდებოდა და თვალს გააყოლებდა. დღეისტანადი მოხუცის სიარულს რაღაც საზეიმო იერი ჰქონდა.

აკაკი ყოველთვის და ყოველ მდგომარეობაში მომხიბლავი სანახავი იყო. ერი აკაკის თავის სინიღისად სთვლიდა და ყველა თავისი კარგი თვისების საუკეთესო, ცოცხალ გამომხატველად. უკეთეს გარეგნობას ვერ ინატრებდა ხალხი პოეტისათვის, რომელიც თავისი ქვეყნის სახელ მიაჩნდა.

აკაკისთან სხვიტორში

1912 წლის ივლისის დღეა იყო. საჩხერიდან სხვიტორისკენ აღრიანად გავედით. ქართული გიმნაზიის ათი მოსწავლე ვართ.

ყველას ძლიერი სურვილი გვაქვს პოეტი თავის სახლში ვნახოთ.

— არ მივცილებს? — დაეჭვებულია ვიღაც.

ცხადია, ეს ჩვეულებრივი „მიღება, არ მიღების“ ამბავი არ ყოფილა. რატომღაც ძნელი იყო იმის წარმოდგენა, რომ მასთან ჩვეულებრივად შეიძლებოდა შესვლა, ლაპარაკი, ახლოს ყოფნა.

ჩვენს, ახალგაზრდობის, წარმოდგენაში პოეტები იყვნენ მამია გურიელი, ვახტანგ და გრიგოლ ორბელიანები და სხვანი, მაგრამ აკაკი სულ სხვა იყო. ის გაღმერთებამდე მიდიოდა.

გზა ჯერ ყანებით მიიმართება. ჩვეულებრივი პეიზაჟი ზემო-იმერეთისა. ტყიანი გორაკები. აღმოსავლეთით — მალალი ქედი.

ვუახლოვდებით აკაკის სახლს. შორიდან ის ძველებურ კოშკად გვეჩვენება.

ქიშკართან ჩოხიანი კაცი გამოვიდა... ერთი შეხედვით ღონკიხოტს ჰგავს. ცნობილი ესპანელი ჰიდალგო ხელმეორედ მოვლინებულა იმერულ გრძელ და თართო სახელოიან ნაცრისფერ ჩოხაში — ეს კოტე აბდუშელიშვილია, აკაკის მოურავი. სახეზე ვამჩნევ, რომ უკმაყოფილოა ჩვენი დანახვით.

— არ ბრძანდება სოფელში, შევიღებო, თორემ თქვენი ნახვა იმასაც უხარდებოდა. ვწუხვარ, რომ არ დაგზვდათ.

ამას თავაზიანად გვეუბნება. სიტყვები თითქო აღერსიანია. არ აკლია არც „შვილებო“, არც „ვწუხვარ“. ჩვენ კი რატომღაც დარწმუნებული ვართ, რომ აკაკი შინ არის. მაგრამ რა უნდა ვქნათ, ძალით ხომ ვერ შევიჭრებით...

გაგზრუნდით. იქვე პატარა მდინარე ჩამორბის. მდინარის პირად მოწყენილ ბელურებევით ჩამოვსხედით. იქიდან შევეყურებთ სახლს, ეზოს, ეზოში პატარა ძველ ეკლესიას. აქ პოეტის საყვარელი ადგილია. ამ ეზოში ის, ალბათ,

ზნირად დადის. ეზოს ცქერით გვინდა ვეზიაროთ პოეტის სიახლოვეს. მეტი ნუგეში აღარ გვაქვს.

ხმაურით გავუღდექით გზას. სიმღერაც დაეძახეთ. ეს, ალბათ, ჩვენზე გასამხნეველად დაგვიჭირდა. ჩავათავეთ აკაკის ეზოს მომყოლი გზა.

ჟურცრად ყვირილი გვესმის. ჩვენსკენ მორბის შუახნის გლეხი.

— დაბრუნდით, ბატონმა გთხოვთ! — გვეუბნება.

შემოვტრიალდით სიხარულით. ჭიშკართან ისევ დაგვებდა აბღუშელი-შეილი. ახლა მისი შეხვედრა სულ სხვაგვარია.

— მობრძანდით, მობრძანდით! — ხალისით გვებატყება, — გაიგო და გაუხარდა. მობრძანდით!

რამდენიმე წუთის წინ რომ არ იყო აკაკი სოფელში? მაგრამ ამაზე არაფერს ამბობს. არც ჩვენ მოვავგონეთ, რა დროს საყვედურია.

აივანზე პოეტი მოგვეგება. მალალი ბიბლიური მოხუცი ევროპულ პიჯაქში. გვერდით მისი უფროსი და ანა. ესეც მალალი, მაგრამ გამხდარი ქალი. აცვია შავები და შავი თავსაფარი ახურავს.

მე დაკვეხილი მაქვს მეგობრებთან, რომ აკაკი მიცნობს. აკაკი ჩვენს ოჯახში ყოფილა. ჩემი სახელიც იყოფა...

აკაკი ხალისით შეგვხვდა. მოგვეფერა, მოგვეაღერა ყველას ერთნაირად. მე ვერ მიცნო. აივანზე დაესხედით. ჩენი მოგზაურობის მიზანი იკითხა.

ამხანაგები ჩუმათ დამციინიან:

— აკი გვეუბნებოდით, მიცნობსო?

ისლა დამრჩენია, რომ შეუმჩნეველად ვიყო. გულწრფელად ვწუხვარ, რომ ვერ მიცნო.

აივანზე ვეზივართ, ბალახით დაფარულ ეზოს გადავყურებ. ბალახი საოცრად მწვინე მერყენება და ასე მგონია, რომ ხავერდოვით რბილი იქნება. ეზოში ძველი ეკლესიაა. საჯვარე, სოფლის დასასრული მალალ ქედს ებჯინება. ხმაურით ჩამორბის პატარა მდინარე.

— მაშ თქვენ გადახვალთ აქედან ოსეთში, შემდეგ მოივლით ქართლს, კახეთს, კარგია, კარგია... ახალგაზრდა რომ ვიყო, მეც თქვენთან წამოვიდოდი, — ღიმილით ამბობს აკაკი და შემდეგ ჩვენს მეთაურს, მასწავლებელ დავით ქუთათელაძეს მიმართავს, — ჩინებული განზრახვანა... მეფის რუსეთი იმის უფლებასაც არ გვაძლევს, რომ ჩენი ქვეყნის გეოგრაფია ვასწავლოთ ახალგაზრდობას. ზოგმა მაინც ნახოს და გაიცნოს.

შემთხვევით მისი თვალი ჩემზე ჩერდება. ერთხანს დაეჭვებით მიცქერის. ინსტიქტურად ვუახლოვდები.

— შენა ხარ? — მეძახის სახელს.

სიხარული მიტაცებს. ანგარიშმიუტეველად ვეხვევი. ერთი წუთით ვგრძნობ მისი მკლავების მოხვევნას. სახეზე მკოცნის.

— მამაშენს კი ვემდური! — თითქოს საყვედურით მეუბნება, — რამდენჯერ ვთხოვე ჩემთან ამოსულიყო და არ მნახა აქ; იმაზე ნაკლები აზნაური არ ვახლავარ, ეკალა აქაც მოიძებნება...

აღმოსავლეთ საქართველოში, ალბათ, ვერ წარმოუდგენიათ, თუ როგორ შეიძლება კაცმა ეკალა ჭამოს. იმერეთში კი მისი კულტი არსებობს. არ ვიცი, რით არის გამოწვეული ეს სიყვარული — სიღარიბემ წარმოშვა თუ გამახვილებულმა პირის გემომ. მე მგონია ერთმაც და მეორემაც. როცა ერთხელ აკაკი ჩვენთან იყო, ოჯახში იმერული საქმელებით გავუშაპსინძლდით და, სხვათა შორის, ეკალა მოიწონა. იქნებ ეხლა ეს მოაგონდა.

აკაკი დაინტერესებული იყო ქართული გიმნაზიის ბედით და ყურადღებით ისმენდა ჩვენი ქუეიანი მეთაურისაგან ცნობებს მისი მდგომარეობის შესახებ.

საუბარი თანდათან მწერლობაზე გადავიდა. გვიჩვენდა ხალხური პოეზია შეგვესწავლა. აქვე გამოსთქვა სურვილი ხალხური პოეზიის ფართოდ შესწავლა შემოეღოთ ქართულ გიმნაზიაში. ხალხური პოეზიის კრებული გამოიტანა; იქიდან რამდენიმე ლექსი წაგვიკითხა. შევნიშნე, რომ ხანდახან ბოლო ტაეებს ზეპირად ამბობდა.

შემდეგ მან გამოიტანა თავის პატარა საწოლი ოთახიდან დიდ ფურცლებზე დაწერილი პოემა და კითხვა დაიწყო. პოემა საკმაოდ გრძელი იყო. მაგრამ ვინ იტყოდა უარს დიდხანს ესმინა აკაკისთვის?

მახსოვს, დიდი ზიზღით მიმართავდა პოეტი მეფის რუსეთის მესვეურთ.

— ახლა ამ პოემას არ დაბეჭდავენ! — სთქვა აკაკიმ, როცა კითხვა დაამთავრა, — შთამომავლობას დარჩეს...

ცხადია, ჰქონდა უფლება დარწმუნებული ყოფილიყო, რომ ყოველი მისი სიტყვა საგულსხსნო იქნებოდა შემდეგი თაობისათვის.

მაგრამ ერთხელ, როცა ჩვენთან იყო ოჯახში, კარგად მახსოვს რა უთხრა დავითს:

— რუსთაველის შემდეგ მხოლოდ ხალხში შეგვრჩა პოეზია. მე და ჩემისთანანი რა მოსახსენებელია?

გულწრფელი სკეპსისი იყო თუ წუთიერი დაეჭვება? მე მგონია არც ერთი და არც მეორე.

აკაკიმ სადილად დაგვტოვა და გულუხვად გავვიმასპინძლდა. მხიარულად იყო და ბევრი გვაცინა. თავის დას ანას ხუმრობით უთხრა:

— ბატონო, ეხლა მაინც ინებე გათხოვება. ამ ქოჩორა ბიჭებში, რომელიც გინდა, ამოირჩიე.

სალამოვდებოდა, როცა დავემშვიდობეთ. მხიარულად გავუღეკით სოფლის გზას — სიძღვრით. ხმაურით.

როცა სოფელი ჩავათავეთ, დაბინდდა. ღამის გათევა დანგრეულ წისქვილში მოგვიხდა. სახურავი ნახევრად გადახდილი, კარები ჩამოხსნილი, იატაკის მაგიერ რამდენიმე ფიცარი. დღით ძალიან ცხელოდა, ღამით კი წვიმა მოვიდა. ალბათ, აკაკისთან ყოფნით გახარებულნი და ძალშემატებულნი ვიყავით და ამიტომ აღვცლად გადავიტანეთ იმ ღამის გასაჰირო. ჩვენს ბედზე დიდხანს არ უწვიმია... რიქრაქზე გზა განვაგრძეთ.

ს. ფაშალიშვილი

აკაკის შესახებ

1

ჩემი სოფელი—ქვემო მაჩხაანი, ქიზიყის საკმაოდ კულტურული და მოწინავე სოფელი ვახლავთ. აქაურმა კულტურულმა ძალებმა—მასწავლებლობამ და მოწაფეობამ ითავეს აკაკის იუბილეს მოწეობა 1908 წელს. ზემო მოეწყო სოფლის შუაგულს—სამების ეკლესიის გალავანში. ეს მწვენიანი და ხეების ჩრდილით დაფარული მოედანი ამფითეატრივით იყო შემოზღუდული; სოფლის კანცელარიის აივანი ესტრადასავით იყო გადმომდგარი და მოხერხებულ სახალხო თავშესაყარს წარმოადგენდა. აი, ამ აივანზე უნდა გამოსულიყვნენ იუბილეს მონაწილენი, ხოლო მოედანზე ხალხი განლაგდებოდა...

დაიწყო საიუბილეო ზემი. ყვავილებში ჩასმული აკაკის სურათი გადმოჰყურებდა ხალხით გაქვიდო მოედანს.

მოხსენებებს, სიმღერებს მოჰყვა დივერტისმენტი, რაც მანამდე უჩვეულო მოვლენა იყო მაჩხაანელებისთვის. ჩემი გამოსვლის რიგიც მოვიდა და დამსწრებმა წაკითხვა მომიწონეს.

ამით ჩემთვის ახალი ცხოვრება დაიწყო. მე გონებაში ჩამეხატა აკაკის შესანიშნავი ლექსების შინაარსი. თითქოს მათთან ერთად ახლად დავიბადე; რალაც ჩემთვის მანამდე უცნობი და უხილავი სამყარო გადამეშალა თვალწინ. აზრმა აღმიტაცა, პატრიოტულმა გრძობამ გამათბო და გამაგულადა. წაკითხულის მიბაძვით დავწერე ერთი, ორი, ათი, მალე რვეულები გადავაქრეულე ლექსებით. მოვიდა დრო და ჩემს მასწავლებელ ილია მენთეშაშვილს გავუზიარე ჩემი შეცოდებანი, მივუტანე რვეულები და აზრი ვკითხე. მან ზოგი ლექსი მომიწონა კიდევც და მათი რედაქციაში გაგზავნაც განიზრახა.

ამის შემდეგ, სულ მოკლე ხანში გაზ. „დროებაში“ და განახლებულ „ივერიაში“ უკვე წაკითხვით ჩემი ლექსები. ეს იყო 1909 წლის მიწურულს. ერთი სიტყვით, გამოვიდა ისე, რომ ცხოვრების გზა აკაკის სახელისა და შემოქმედების შთაგონების წყალობით ამოვიჩაჩე.

2

დიდი დრო არ გასულა, რომ ბედმა აკაკისთან ახლო ნაცნობობა მარგუნა. ეს იყო მისი სიცოცხლის უკანასკნელ წლებში, როცა გადახდილ საიუბილეო ტრიუმფთა და პარიზში მოგზაურობის შემდეგ მოხუცი მგოსანი ჩვეულებრივ შრომასა და ცხოვრებას დაუბრუნდა. აკაკი ტრიალებდა თბილისში, მონაწილეობდა სალიტერატურო სადამოებში, ესწრებოდა ქ. შ. წ.-კ. გამავრცელებელი საზოგადოების კრებებს, საბანკო თათბირებს, სათავადაზნაურო

საკრებულოს სხდომებს, ქართული წარმოდგენებისა და კლუბის უკლები სტუმარო იყო და ყოველივე ამას ბედნიერად ათავსებდა დიდ პოეტურ შემოქმედებასთან.

თბილისში იმ დროს რამდენიმე გაზეთი და ჟურნალი გამოდიოდა, მაგრამ აკაკი მხოლოდ „ნაკადულისა“ და „ჯეჯილის“ რედაქციებს თუ ესტუმრებოდა — ისიც იშვიათად. მაშინდელი გაზეთებიდან „დროება“ იყო ისეთი ორგანო, რომელიც მხატვრული მწერლობისა და ეროვნული კულტურის აღორძინებასთან დაკავშირებულ საკითხებს ყველაზე მეტ ყურადღებას აქცევდა.

„დროებას“ ილია აგლადე რედაქტორობდა. გაზეთის გარშემო იყრიდნენ თავს ჩვენი მოწინავე მწერლები — ვაჟა-ფშაველა, ი. ვედოშვილი, ს. შანშიაშვილი, შ. მღვიმელი, კ. მყაფევილი, შ. არაგვისპირელი, ი. გრიშაშვილი და სხვები. მაგრამ აკაკი „დროების“ რედაქციას არ ეკარებოდა. თურმე რაღაც სწყენოდა დიდ მგოსანს: აღარ მახსოვს ლექსის დაბეჭდვაზე ეთქვათ უარი, თუ მის წერილში დასტურის მიუტემალად შეეწოვრებინათ ადგილები. მრავალი თხოვნის მიუხედავად, იგი „დროებასთან“ მწკრალად რჩებოდა.

აკაკი უგაზეთობას ითმენდა მანამდე, ვიდრე გაზეთი „თემი“ გამოვიდოდა. აკაკი „თემის“ მკვიდრი თანამშრომელი გახდა. იქ ათავსებდა თავის უკანასკნელ ლექსებსა და წერილებს, მაგრამ როგორც გაკონილი მქონდა, უჩიოდა გაზეთის მცირე ტირაჟს, რაც მის ნაწერებს მკითხველთა ფართო წრეებისათვის ხელმიუწვდომელსა ხდიდა.

— ერთი იმ დღეს შემასწრო, რომ ქართული გაზეთის ტირაჟი ხუთითათსამდე ასულიყოს — ოცნებობდა იგი ილია ქვეყაძესავით. აკაკი თითქმის ყოველდღიური სტუმარი იყო „თემის“ რედაქციისა, ახლო ოჯახური დამოკიდებულება ჰქონდა მის რედაქტორთან და „თემსაც“ რამდენადმე თავის პოზიციაზე აყენებდა. სწორედ იმ მიზნით, რომ გაზეთის თანამშრომელთა წრე გაეფართოვებინა, „თემის“ რედაქცია ცდილობდა იმ დროის ცნობილ ავტორთა მიზიდვას და სიტყვიერად თუ წერილობით სთხოვდა მათ თანამშრომლობას. უნდა ითქვას, რომ ეს წამოწყება მეტად სასარგებლო აღმოჩნდა. „თემის“ რედაქციას ერთგვარი ლიტერატურული სალონის ხასიათი მიეცა, სადაც კარი მუდამ ღია იყო მაშინდელი ლიტერატორებისათვის, უფრო კი ახალგაზრდა მწერლებისათვის, რომელთა ნაწერების გამოქვეყნებას „თემი“ გულმოდგინედ ცდილობდა.

რაღა თქმა უნდა, „თემის“ ეს ლიტერატურული საქმიანობა აკაკის რჩევითა და დახმარებით ხდებოდა. ეს კიდევ უფრო აორკეცებდა როგორც ამ მუშაობის მნიშვნელობას, ისე საზოგადოების ინტერესსაც. მეც პირველად იქ ვნახე აკაკი.

ზამთრის დღე იყო. თოვდა. თეთრად გადაპენტილ ქუჩებზე დილიდანვე მარხილები სრიალებდნენ. ოლღას ქუჩაზე (დღ. რუსთაველის პროსპ.), „თემის“ რედაქციიდან ახლად გამოსული, ალაყაფთან ვიდექი სანახაობით გართული. უცბად ერთხენიანი, კრიალა მარხილი გაჩერდა. მარხილიდან მოხუცმა წამო-

იწია. მას შავი, ოდნავ ფერგადახუნებული დრაპის პალტო ეცვა და ფართო-ყვამიანი კრაველის ქუდი ეხურა. თავ-ალერგილი, თმა-წვეგრგადავერცხლილი, ოდნავ მოღიშარი ფართო თვალებით და დამწვიდებული სახით წამოდ-გა ის და ჯიბიდან საფულე ამოიღო. მე უმაღ ვიცანი დიდად სათაყვანო აკაკი წერეთელი. სასოებით მივჩერებოდი ღიმილის შარავანდდით განათე-ბულ მის სათნო სახეს, გული აჩქარებით მიცემდა და სიწითლის აღმური მედებოდა, რაც ჰაბუჟურ, უეცარ სისარულს შეუძლიან გამოიწვიოს. აკაკიმ საფულე გახსნა, აბაზიანი ამოიღო და მეეტლეს გაუწოდა. თბილისელა მეეტ-ლის ფორმაში კობტად გამოწყობილი, ყირგისულად უღვაშებშეკრეჭილი, ცხვირპაჭუა და სახებუდალი მეეტლე კი კეთილად ვაღიშებული უცქეროდა და, როცა გაწვილი ფული დაინახა, გადაჭრით უთხრა აკაკის:

— Нет барин, пожалуйста не беспокоитесь, мы с Вас это не возьем!
 აკაკი სწრაფად შეეკითხა:

— Почему? разве двадцать копеек мало? მეზარხილეს ირიბი თვალები ღი-მილით ჩაეკიფა და თავაზიანად გახუმარტა:

— Нет барин, не в малости вопрос! Вы на наш кафтан не гляжайте, мы человек понятливый; за человека, за хорошего мы и кафтан отдадим, а Вас знаем хорошим!

აკაკის კმაყოფილების სხივმა გადაუარა სახეზე.

— Откуда? — შეეკითხა ის ცნობისმოყვარედ.

— А когда Вас чествовали, в театр мы Ваших почитателей возили; они сказывали, что Вы бог для своего народа, и похоже, что правда, так и ходите.

ამ სიტყვებზე მეეტლემ კეთილად გაიცინა და განაგრძო:

— А отсюда, с театра то-есть мы возили к Вам на дом цветов да венков, что Вам поднесли за благодарность,—а сколько их было! Вот мы и запомнили Вас с энтих пор! Дай Вам доброго здоровья, пожалуйста, с Вас денег не возьем. Прокатайтесь ежели хотите еще!

აკაკიმ კვლავ შეაძლია ფული. შემდეგ მადლობა გადაუხადა და, როცა მარხილიდან ვადმოდიოდა, ხელი გაუწოდა. მეზარხილეს სისარულისაგან და-იხნა. კოლოზე წამოიჭრა, მარცხენა ხელით მეეტლის „კამილაგა“ მოიშლია და მაჯაზე შოლტის ტარის თასმაგადაცმული მარჯვენა ხელი ფიცხლავ ჩა-მოართვა. ამ სცენამ გამეფელ-გამომეფელთა ყურადღებაც მიიზიდა, ბევრი მათგანი შეჩერდა და ვაღიშებული უცქეროდა.

— Счастливо барин!

მარხილი გასრიალდა და აკაკი „თემის“ ეზოსაკენ გაემართა. მოფიფქულ ქვაფენილზე ძველი კალოშები უცურდებოდა, ჯოხზე გულმოდგინედ ეყრდნო-ბოდა და ფრთხილად მიაბიჯებდა. აი დაუსხლტა ფეხი, ოდნავ წაიბარბაცა, ჯოხი ინაცვლა და ახლა მეორე ფეხი გაუცურდა. მე ვაგებდემ, მზარში ამოუ-ღექი და დამნაშავესავით წავილულულემ:

— ნება მიბოძეთ... ბატონო!.. რედაქციამდე მიგიყვანთ!..

— გმადლობთ ჩემო! სიამოვნებით! ერთობ მადლობელი ვარ— ხვეერ-ლოვანი, ტკბილი, კმაყოფილი ხმით მითხრა მან და მზრებზე მარცხენა ხელით

დამეყრდნო. სანატრელ სიზმარსა ჰგავდა ეს ჩემთვის. სიხარულისაგან ვკანკალებდი, გულს ბავაბუვი გაჰქონდა და ხმა მითრთოდა, როცა თითო სიტყვის წალღულღლებას მოვახერხებდი.

— სწორედ კაი ფეხზე ავმდგარვარ დღეს, — სთქვა აკაკიმ, — სასიამოვნო მგზავრობა მქონდა და თქვენც იღბლად შემხედით ახალგაზრდავ, გმადლობთ... მე აკაკი ვარ, მიცნობთ?

— რასაკვირველია, ბატონო! გიცნობთ და ბედნიერად მიმაჩნია თავი, რომ ამის თქმა შეჰძლიან თქვენთვის.

— მართლა? სათნოდ გაიღიმა აკაკიმ და კმაყოფილად დასძინა:

— აკი ეს თქვენი — იღბლიან ფეხზე ავმდგარვარ მეთქი — დილიდანვე მადლიერი სიტყვები მესმის! თქვენ მოწაფე ხართ? თუმცა არავითარი ფორმა არ მეცვა, მაგრამ აკაკიმ ალბათ ჰასაკის მიხედვით მომცა ეს კითხვა. ამით მან ჩემი ცხოვრების მტკივნეულ კუნჭულში ჩაიხედა. სწორედ იმხანად ცდილობდნენ ჩემი ხელმძღვანელი მეგობრები „დროებიდან“ — მოეწყოთ ჩემი მიღება ან სკოლის დაბალ კლასში, ან სკოლის გარეთ გამოეძეებნათ მასწავლებლები „სიმწიფის მოწმობისათვის“ მოსამზადებლად, მაგრამ ჯერ არაფერი იყო მოგვარებული.

— არა, ბატონო!...

უკვე „თემის“ რედაქციის კარები შევალეთ.

— ა—ა! აკაკი როსტომიჩ! აკაკი როსტომიჩ! მობრძანდით, დაბრძანდით, — დაფაცურდა „თემის“ რედაქტორი, კაცი მეტად მოძრავი. იგი საჩქაროდ შეეგება, ქული ჩამოართვა და ლაქიას დაუძახა აკაკისათვის კალოშებისა და პალტოს გასახდელად. მისალმების ცერემონიის მოთავეების შემდეგ, როცა აკაკი ფართო სავარძელში ჩაბრძანდა, რედაქტორმა რაღაც ანაბეჭდი დაუდო წინ.

— კორექტურა გასწორებული გახლავთ, ისე მაინც გადათვალერეთ — უთხრა მან და თან შეეკითხა: — სად შეხვდით? ხომ იცნობთ აკაკი როსტომიჩ! — ეს ჩენი ახალგაზრდა პოეტია. ამ სიტყვებით ხელი ჩემსკენ მოიწვირა და ჩემი გეგარი დაუსახელა.

აკაკიმ კორექტურის კითხვას თავი დაანება და სიკეთით საესე ღიმილით სავარძლიდან ხელი გამოიწოდა.

— მართლა? სასიამოვნოა. ახლა მეცოდინება ვის უნდა გადაუხადო მადლობა, რომ დღეს დიასამიძენათ ეზოში არ ვიკოტრიალავ — და ამ სიტყვებზე ხელი ჩამოშორთვა. მე სიხარულმა ამღეწა, დამაბნია, რაღაც წავიღულღულე, მოვიბოდიშე და მადლობა გადაუხადე, სიხარული გამოვთქვი, რომ მომეცა ბედნიერი შემთხვევა მისი გაცნობისა.

მცირე პაუზის შემდეგ აკაკიმ გამომიკითხა ზოგი რამ ჩემი სწავლის შესახებ. საუბარი იქამდე მივიდა, რომ აკაკიმ პრაქტიკული ნაბიჯიც კი გაითვალისწინა.

— იცი რა, გიგო ჩემო? — მიმართა რედაქტორს — რომ ეტყოდე ჩემს მაგიერ მარია ვახტანგის ასულს, ან რომ მისწერდე, ის აუცილებლად დაეს-

მარება ამ ჩენს ახალგაზრდას სწავლაში. შეიძლება „სობრანიეში“ სტიპენდია უშოვოს.

— ჩინებული იქნება აკაკი როსტომის ძე, მარიამ ვახტანგის ასულისათვის ეს სულ ადვილია, თქვენ რომ ეტყოდეთ, აჯობებდა.

— სიამოვნებით!—თქვა აკაკიმ და მე მომიბრუნდა:

— მარიამი პოეტ ვახტანგ ორბელიანის ქალიშვილია, მეფე ერეკლეს შთამომავალი, ჩენი საზოგადო საქმეების დიდი მოკეთე, სწავლაში მოწადინებულ ახალგაზრდობას უფრო კი ღარიბ სტუდენტობას ბევრ დახმარებას უწყევს.

მართლაც, სულ მოკლე ხანში აკაკის ეს კეთილშობილური განზრახვა განხორციელდა. მე სტიპენდია დამინიშნეს.

3

ამის შემდეგ ხშირად ვხვდებოდი მას—მუდამ სახენათელსა და ყველასაგან განსხვავებულს: დინჯი, თმათეთრი, მოლიმარი, ცაფირუზისაკენ თავადერილი წელი ნაბიჯით მიდიოდა თბილისის ქუჩებში. იშვიათად ჯდებოდა ეტლში, უფრო უკულობის გამო, მუდამ თითქოს ფიქრში იყო გართული, მაგრამ არ გამოეპარებოდა ნაცნობის გავლა, უპასუხოდ არ დატოვებდა სალამს.

რამოდენიმეჯერ შევესწარი მის ლაპარაკს ვაჟა-ფშაველასზე. მუდამ გვარწმუნებდა—ვაჟა ნიჭიერი მწერალია, მაგრამ ახალგაზრდები გაზვიადებული წარმოდგენას ნუ იქონიებთ მის ენასა და სტილზეო.

ერთი ჩემი ლექსი „სიმღერა“ პირდაპირ ვაჟას კილოზე დაწერილი, ახალი დაბეჭდილი იყო, როცა აკაკისთან მომიხდა მისვლა.

— წაეკითხე შენი ლექსი, — მითხრა მან თითქოს ცივი კილოთი, — როგორც ჩანს, მის სტილს ერთობ გაუტაცნიხარ და საერთოდ ძალიან შეგყვარებია. ეს კარგია, ჩენი ქვეყნის ყოველი მოამაგე ახალგაზრდას უნდა უყვარდეს, მაგრამ არც შემცდარი სიყვარული ივარგებს. ვაჟა-ფშაველა ნიჭიერი პოეტია, ეს უნდა გეახსოვდეს, მაგრამ იგი თავისი მთური ლექსიკონით მართლაც სალექსიკონოდ გვიხდის თავის ლექსებს. ასეთი მიზაძევა ახალგაზრდობას ვენებას მოუტანს.

აღსანიშნავი ის იყო, რომ თითქოს ამ შემთხვევით წამოჭრილი საკითხის დასასაბუთებლად აკაკის უკვე მომზადებული ჰქონდა ვაჟას დიალექტური გამოთქმები. მალე გამოაქვეყნა ვაჟასადმი მიძღვნილი ლექსიც „ენას გიწუნებ ფშაველო“..

რაკი სიტყვამ მოიტანა, საჭიროდ ვთვლი ორიოდ სიტყვა ვთქვა მის შესახებ, რომ აკაკის ეს ლექსი მთლად მოულოდნელი არ იყო თვით ვაჟა-ფშაველასათვისაც. მას ერთგვარად წინ უძღოდა აზრთა გაცვლა-გამოცვლა. ერთ დღეს წ. კ. საზოგადოების სამკითხველოში ასეთ დიალოგს წავაწყდი: ვაჟას ემუსაიფებოდა იმ დროს გამომავალ ჟურნ. „ერის“ რედაქტორი პეტრე სურგულაძე — ბაჩინას ლექსის „მთამ სთქვას“ შესახებ, რომელსაც შემდეგ ვაჟაც გამოეკამათა ლექსით.

— ვაჟა ჩემო, რა არის ამ რაზიკაშვილებს რომ ავიჩემებიათ მთიულური ლექსიკონით წერა! აგერ ბაჩანას ლექსი რომ დაგებუდეთ, შენი არ იყოს, სულ ყირაზე დამდგარი გრამატიკით დაწერილი გამოგვივიდა!

— მე უფრო მგონია თავად იღვებოდი ყირაზე იმ ლექსის წაკითხვის დროსა, — ღიმილით ნოუგო ვაჟამ, — აბა, წალმა დადექით და ისე წაიკითხეთ ჩვენი ლექსები, ნახეთ მაშინ რა გამოვა.

— გამოვა მაინც შენი კუთხური — ვეღარ გაიგე, ფშაველო? — შეეხუმრა ისევე სურგულაძე...

4

ზემოთ უკვე აღვნიშნე ის საერთოდ ცნობილი ფაქტი, რომ აკაკი პრაქტიკულად ზრუნავდა ასალგაზრდობის დახმარებისათვის — სწავლაში ხელის შესაწყობად და შესაძლებელ შემწყობას არ აკლებდა მათ. მონაწილეობას იღებდა ხოლმე მათ სასარგებლოდ მოწყობილ საღამოებში. იყო შემთხვევა, როცა თვითონ ხელმოკლე მდგომარეობაში მყოფი, ფულითაც კი ეხმარებოდა ზოგიერთს, ერთი თვალსაჩინო ფაქტი:

როგორც უკვე მოვიხსენიე, აკაკი გულძვირად იყო „დროებასა“ და მის შემკვიდრე „სახალხო გაზეთთან“, არც ბეჭდავდა იქ არაფერს... მაგრამ ერთ დღეს, ეს იყო მგონი აკაკის გარდაცვალების წინა წელს, „სახალხო გაზეთის“ რედაქციაში უჩვეულო ფუსფუსი შეიქმნა: გარბოდნენ და გამორბოდნენ, იტყვირებოდნენ ფანჯრებში, ჩურჩულებდნენ:

— აკაკი! აკაკი მოდის!

— ჩვენთან მოდის!

— ჩვენს კიბეებზე ამოდის!

რედაქცია მაშინ მოთავსებული იყო 'ასახლის ქუჩაზე (დღ. რუსთაველის პროსპ.), ქართული თეატრის პირდაპირ, დავით სარაჯიშვილის სახლში (ის სახლი შემდეგში დანგრეულ იქნა ქუჩის გაფართოების მიზნით). რედაქცია შიდა ფლიგელში შესამე საართულზე იყო მოთავსებული, ისე რომ იქ მიმსვლელს ალაყაფიდან პირველი ფლიგელის თაღქვეშ გავლით ეზო უნდა გადაეჭრა და შემდეგ რედაქციაში ასასვლელ კიბეს შესდგომოდა. ფანჯრიდან რედაქციის ერთ-ერთ მუშაკს მოეკრა თვალი ეზოში შემოსულ აკაკისათვის და მან ამცნო ეს თავისებურად სენსაციური ამბავი „სახალხოელებს“. რედაქციაში იმ დროს მუშაობდა მეტეხის ციხიდან ახლად განთავისუფლებული ი. გედევანიშვილი, მისი და ყველას სასიამოვნო გაკვირვება ქეშმარიტად უსაზღვრო იყო, რადგან ამ უეცარ „ვიზიტში“ დაინახეს აკაკის შემრიგება.

აი, შემოიღო რედაქციის კარები და აკაკის ქალარამ შემოანათა. იგი ღიმილით შემოვიდა, კარებთან შეგებებულ მუშაკებს სათითაოდ ჩამოართვა ხელი და ტბილად შემოილაპარაკა:

— მოგესალმები თქვენს რედაქციას! როგორც იცით, პირველად მოვდივარ აქ, — ამის შემდეგ ვიახლებით ხოლმე, თუ კარგად ვიქნები!

მას სიხარულით მიესალმნენ და სარედაქციო ოთახში შეიწვიეს.

— ერთი კეთილი საქმისთვის შეგაწუხებთ, — მიმართა მან რედაქციის მძღვანელებს, — ორი გაპირებული სტუდენტი მყავს რუსეთს. შეპირებული ვარ ფულის გაგზავნას და მელიან; — ფული ვავლახად ვერ ვიშოვე და ეს მაწუხებს. მასესხებ ხუთი თუმანი და დასასტამბავად ნოკართმევთ რაიმე ახალ ნაწერს!

ხუთი თუმანი!.. — ეს რედაქციის თითქმის ორი დღის ბიუჯეტს შეადგენდა სტამბისა და გაზეთის ქალაღდის საფასურის გასასტუმრებლად და საერთოდ ასეთი მსხვილი თანხა რედაქციის საღაროში ყოველდღე არ მოიპოვებოდა. მაგრამ ამაზე ფიქრი როგორ შეიძლებოდა. დაფაკურდნენ, გააჩინეს გაუჩინარი და კონვერტში ჩადებულნი ხუთი თუმანი მიართვეს აკაკის.

მცირე პაუზის შემდეგ იგი წამოიღვა.

— გმადლობა, დროს აღარ წაგართმევთ! ამ ეალს, როგორც მოგახსენებ გადაგჩნდით — განუცხადა გახარებულ მისპინძლებს და გამოეთხოვა. აკაკი ქუჩამდე მიაცილეს.

1913 წლის 23 აპრილს ქ. გორში განზრახული იყო ჩემს სასარგებლოდ სალიტერატურო საღამოს მოწყობა. როგორც ზემოთ მოვიხსენიე, სწავლას სკოლის გარეთ ვღებულობდი და გულშემატკივარი შეგობრების რჩევით მოსკოვს დავებირე წასვლა შანიავსკის კერძო უნივერსიტეტში შესასვლელად. აკაკის გაეუშვლავნე განზრახვა და ვთხოვე საღამოში მონაწილეობა.

— სიამოვნებით! მაგ კეთილ საქმეში ხელის მომართვას ჩემი სიბერეც ვერ შემიშლისო.

ვეცადე აკაკის საკადრისი მონაწილენი მიმეწვია. თბილისიდან კიტა აბაშიძე, კომპოზიტორი ნიკო სულხანიშვილი, მომღერალი შაშიანელი, პოეტი გიორგი ქუჭიშვილი შევიბირე, ქუთაისიდან დავით კლდიაშვილი, ხოლო გორში ნიკო ლომოური და თედო რაზიკაშვილი. როცა აკაკის მონაწილეთა სია ვუჩვენე, დაატყვერდა კიტა აბაშიძის გვარს, გაიღიმა და გვეითხრა:

— კიტა მოდის?

— დიახ!

— ძალიან კარგი, — დასძინა პაუზის შემდეგ. მე ვერ მიეუხვდი: თურმე დიდი მგოსანი ნაწყენი ყოფილიყო კიტა აბაშიძეზე (ეს მოხდა „სახალხო გაზეთში“ აკაკის ზემოაღწერილ „ვიზიტზე“ აღრე), ნაწყენი ყოფილიყო იმ შეხედულებათა გამო, რაც ერთხელ კიტამ გამოსთქვა აკაკის ნაწარმოებთა განხილვისას. შემდეგში კიტა მუდამ ცდილობდა ამ ლიტერატურული „ინციდენტის“ აღწერვას, აკაკის გულწრფელად ათავყინებდა „დღევ, მაგრამ აკაკის ჩეიოლება იყო: თუ ვისმეზე ერთხელ გულს აიყრიდა, მასძინელად თუ შეუროგდებოდა.

დანიშნულ დღეს გორში საღამო შედგა, მაგრამ მოულოდნელი ავადმყოფობის გამო აკაკიმ მონაწილეობა ვერ მიიღო. ამის შესახებ გორელები აღრევე ვავებრთხილეთ. ანასტასია ერისთავ-ხოშტარიაშვილს აკაკის წერილი გამოუგზავნა, რომელშიც სთხოვდა — თუ შეგიძლიან ჩამობრძანდით, გორელებს იმედს ნუ გაგვიცრუებთ. ანასტასია მაშინ გორში ბინადრობდა და ჩემს საღამოს ხელმძღვანელობდა.



გორში წასვლის დღეს აკაკისთან მივედი. აკაკი წერილით ატყობინებდა ანასტასიას თავის ავადმყოფობას და ჰპირდებოდა—ცოტა ხანში აუცილებლად გეწვევით ამ ახალგაზრდის დასახმარებლად.

შვიდი თვის შემდეგ, 1913 წლის 2 ნოემბერს გორში კვლავ შედგა ჩემს სასარგებლოდ გამართული სალიტერატურო საღამო, რომელშიც დიდმა პოეტმაც მიიღო მონაწილეობა.

ეს იყო აკაკისთვის ჩვეულებრივი ტრიუმფი. მთელი მახლობელი რაიონები შეიძრა. ბილეთების შექენისათვის პირდაპირ წარმოუდგენელი ამბები ზღვებოდა. თვით აკაკის ჩასვლა უჩვეულო ხეივანად გადაიქცა. მატარებელი საღამოს 6 საათზე ჩადიოდა გორში. ხალხს კი დილიდანვე დაეწყო სადგურში დენა, განსაკუთრებით მოწაფეობას, რომელთა თავშეყრას ეძვეა შეეყვანა ჟანდარმერია და სადგურზე მცველთა რიცხვი გაედიდებინა.

აი, ჩამოდგა მატარებელი... ბაქანზე თავმოყრილი ზღვა ხალხი უცდიდა საბატო სტუმარს და, როცა აკაკის ქალარამ გამოანათა, იგრილა ტრემი და „ვაშაჲ“. ვაგონიდან გადმოსვლისას მგოსანს ყვავილების დიდი თაიგული მიართვა თეთრად გამოწყობილმა გოგონამ. შემდეგ, სადგურიდან გორის ხიდამდე მოწაფეები აკაკის ყვავილებს უფენდნენ გასავლელ გზაზე, სილო მთელ ქუჩაზე ფეხით მიმავალთ ცარიელი ეტლები მწყრივად მიჰყვებოდნენ. ხიდთან დიდ სტუმარს ყვავილებით მორთული ეტლი მიართვეს და იგი ანასტასია ყრისთავ-ხოშტარის ბინაზე წაიყვანეს.

კლუბის შენობის ვარშემო, რომელიც მაშინ იქაური თეატრის მაგიერობას ეწოდებოდა, აუარებელი ხალხი იყო შეკრებილი. როცა აკაკი თეატრში მოვიდა, ახალგაზრდობა მას მისასალმებელი სიმღერით შეეგება. ყვავილებს ისროდნენ მის წინ და ტაშითა და „ვაშა“-თი აცილებდნენ.

საღამოს სალიტერატურო განყოფილებაში აკაკიმ ჯერ დაუბეჭდავი პოემის „რაჭა-ლენჩხუის“ წაკითხვით მიიღო მონაწილეობა. იგი იჯდა სცენაზე ფართო სავარძელში—მრგვალი მაგიდის წინ და კითხულობდა მისთვის დამახასიათებელი სიღინჯით, მშვიდი სახითა და მგზნებარე თვლებით. შადრევანივით მსქეფარე მუსიკალობით ჰხატავდა ჩენი ქვეყნის დიდებული წარსულის ამალღელღებულ სურათებს, ჩენი ხალხის სიმტკიცეს, ან მისი ბედის უკუღმართ ცვალებადობას და თავისი პოეტური განწყურებით აყალიბებდა საქართველოს ბედნიერ მომავალს. ეს იყო აკაკის განსაკუთრებული, ტყბილი, ოდნავ შეზნარული, ზავერდოვანი ტემბრით შესრულებული დეკლამაცია, რაც ხანგრძლივი ტანით, „ვაშას“ ძახილითა და თაიგუ ლების მორთვევით დამთავრდა.

აკაკის საჩუქრები მიართვეს, მაგრამ ჩუ უფრო ძვირფასი საჩუქარი მხვდა წილად: აკაკიმ კოცნით დამაჯილდოვა იმ დარბაზის წინაშე ჩემ მიერ ლექსის წაკითხვის შემდეგ. დიდი მგოსანი ტაშით შეხვდა გიორგი ქუჩიშვილის მიერ წაკითხულ ლექსებს და გვერდზე მჯდომ თელა რაზიკაშვილს გადაულაპარაკა:—ეს ახალგაზრდა მშვენიერ ლექსებს რომ წერდა, ვიცოდი, მაგრამ თუ ასე მშვენიერად კითხულობდა—არ მეგონა, გრიგოლ აბაშიძე გამახსენდო.

საღამოს შემდეგ ადგილობრივმა ინტელიგენციამ ვაშაში გაუმართა აკაკის. იმდროინდელი გორის საზოგადოების რჩეული წარმომადგენლები—

ნიკო ლომოური, ანასტასია ერისთავ-ხოშტარია, თედო რაზიკაშვილი, ალექსანდრე გარსევანიშვილი და სხვები მასპინძლობდნენ ძვირფას სტუმარს. ასეთი მოღბენილი, გულთბილი და უბვი სერობა იშვიათად მინახავს.

ჩვეულებრივ მუდამ მოკრძალებული, თითქოს „უსიტყვო“ ნიკო ლომოური გასაოცრად მომღბენი მასპინძელთაგანი აღმოჩნდა. მან დამსწრეთ გაუზიარა მრავალი ლიტერატურული მნიშვნელობის მოგონება აკაკის გორში პირველად ჩასვლის შესახებ.

თვით აკაკი განსაკუთრებით მხიარული იყო, თავისებურად ენამახვილობდა დასუფრახე წარმოთქმულ სადღეგრძელოებს მგზნებარედ უბასუხებდა. საზეიმო ნადიმმა გათენებამდე გასტანა.

მეორე დღეს გორის ქალთა მეცენატურმა საზოგადოებამ — „მანდილოსანმა“ სადილად მიიწვია სტუმარი. ეს იყო გორის ახალგაზრდობასთან შეხვედრა. აკაკიმ შესანიშნავი პატრიოტული სიტყვით უბასუხა ახალგაზრდებს და თავისი გამოსვლა შემდეგი ლექსით დაამთავრა:

„ის მიხარებს მოხუცს გრძნობას,
გულს ის მხედება შვების ისრად,
მშობელ ქვეყნის სამსახურსა
რომ ღებულობს შვილი კისრად!

ასეთ შვილებს, საიედლოდ
თქვენშიც ხედავს ჩემი თვალი,—
მიტომაც მწამს ასე მტკიცედ
საქართველოს მომავალი!“

თითქოს წინასწარმეტყველური ილღოს უნარმა უკარნახა ჩვენი პოეზიის დიდი მოამაგეს ამ სტრიქონების წარმოთქმა სწორედ გორში, სადაც დაირწა ჩვენი ქვეყნის ბრწყინვალე მომავლის შემოქმედის — დიდი ბელადის აკაკნი.

ეს ლექსი აკაკის არსად დაუბეჭდია. არც მისი სიკვდილის შემდეგ გამოცემულ ნაშრომებში ჩანს; პირველად ჩე მოვიყვანე გაზ. „კომუნისტის“ 1945 წლის 9 თებერვლის ნომერში მოთავსებულ წერილში აკაკის შესახებ. როგორც მახსოვს, ეს სტრიქონები აკაკის ახალი პოემის („რაჰა-ლეჩხუმი“) ერთ-ერთი თავის ნაწყვეტი იყო. იგი წაკითხვისთანავე აკაკის ნებართვით გადაიწერეს „მანდილოსანს“ მიერ მოწყობილ შეხვედრაში მონაწილე ქალიშვილებმა: გულქან რაზიკაშვილმა (თ. რაზიკაშვილის უფროსი ქალი), გაიანე ლომოურიმა და სხვებმა.

აკაკის გარდაცვალების შემდეგ კი, რაზიკაშვილის ოჯახში ყოფნისას მე ამოვიწერე ეს ლექსი გულქანის რვეულიდან. აქვე უნდა შევნიშნო, რომ ბანკეტზე წაკითხვისას ლექსის მეორე სტრიქონი „შვების ისრად“-ის მაგიერად სთქვა: „გულს ის მხედება თაფლის ისრად“-ო, გადმოწერისას, როცა ამის შესახებ გულქანს ვკითხე, მან განმიმარტა, რომ ლექსი თვით აკაკიმ გვიკარ-

ნახა და მისი ასლი ელენე თარხან-მოურავს გადავეციტ ჭრა-კერვის სკოლისათვის, ხავერდის ბალიშზე ამოსაქარგავადო. შესაძლოა, სადმე არსებობდეს ეს ამოქარგული ბალიშიც.

ზემოხსენებული გარემოება საფიქრელს ხდის, რომ ეს ლექსი, ალბათ, სპეციალურად „ექსპრომტად“ დაწერილი ჰქონდა დიდ მგოსანს გათვალისწინებული შემთხვევისათვის და გადაწერის პროცესში უფრო სახერხო შესწორება შეიტანა.

მეორე დღეს აკაკი თავისი განუყრელი აბდუშელიშვილის თანხლებით თბილისს დაბრუნდა და 1914 წლის ზაფხულის მიწურულამდე აღარსად გასულა. ზაფხულისათვის კი განზრახული ჰქონდა კახეთს სტუმრებოდა და თავისი ტრიუმფალური მოგზაურობა მოეთავებინა ამ კუთხის შემოვლით.

როგორც თვითონ ხშირად უთქვამს, კახეთი აკაკის ყოველთვის ჰზიბლავდა, მაგრამ რაღაც მიზეზის, უფრო კი საქნელო მგზავრობის გამო მაინც ვერ მოეხერხებინა იქ დიდი ხნით გასეირნება. მხოლოდ ორჯერ ყოფილიყო თელავს—ერთხელ ილიას სიცოცხლეში, მეორედ და უკანასკნელად კი—ყვარელში ილიას ხსოვნის საღამოში მონაწილეობის მისაღებად; ისე რომ მის მიერ „ბატარა კახსა“ და „ბაში-აჩუკში“ აწერილ კახეთს ის უფრო შორიდან იცნობდა და ბუნებრივია, რომ სიბერით მოპოვებულ მოცალებობის პირობებში გაუძლიერდა ამ მომხიბლავი კუთხის ნახვის სურვილი.

— ნატკრად მაქვს კახეთის შემოვლა, მაგრამ თქვენბური გზებისაგან ისე შეგვინდი, რომ ვერ გამიბედიო, — შემომჩივლა ერთხელ, — ახლა რკინიგზა გადის და, თუ მოვესწარი, ნამდვილად ვიმოგზაურობო, დასძინა მან.

იმდროისათვის რკინიგზის გაყვანა მართლაც მთავრდებოდა. რაკი აკაკის პრინციპული დასტური მქონდა, მგოსანს ვთხოვე და შევიპირე კიდევ, რომ 1914 წლის ზაფხულში მონაწილეობას მიიღებდა სალიტერატურო საღამოებში: სოფელ ქვემო-მაჩხაანში, სიღნაღსა და თელავში.

აკაკის მტკიცე დაპირება მივიღე და სამზადისსაც აღრიანად შევუდგე. აკაკი დიდი მოწადინებით ელოდა კახეთში წასვლას და ჩემს ბედნიერებასაც საზღვარი არ ჰქონდა: ხუმრობა ხომ არ იყო—აკაკი მაჩხაანში, იქ, სადაც მისი სახელის შთავონებით გადავდგი პირველი ნაბიჯი ცხოვრებაში, როგორ შემომნატრებენ ჩემი ტოლები, ან ჩემი ყოფილი „ხაზინები“ და საერთოდ მეზობლები!

დადგა ზაფხული. საღამოების პროგრამა ჩამოვაყალიბეთ. გაზეთებსა და ჟურნალებში დაიბეჭდა ქრონიკა კახეთში აკაკის მონაწილეობით საღამოების გამართვის შესახებ. აკაკის სურვილი იყო პირველად ჩემს სოფელში გავემართა საღამო, შემდეგ სიღნაღსა და ბოლოს თელავში, სადაც ის მცირე ხნით დარჩენასაც აპირებდა ჭავჭავაძეებთან.

ერთი საუკუჰმანო საკითხი დადგა ჩემს წინ: მე სოფელში აკაკის სამასპინძლოდ შესაფერისი სახლი არ მქონდა. გლეხურ, ღარიბ, მოუწყობელ სახლში მას ვერ ვაკადრებდი სტუმრობას. საამსოდ ყველაზე შესაფერისი და საუცხოოდ მოწყობილი სახლი ჰქონდა მაჩხაანელ ვაჰარსა და მემამულეს

ვასილ ნადირაშვილს—ცნობილი ხალხოსანი მწერლის დიმიტრი მაჩხანელის ძმას, რომელთანაც მე მოჯამავირედ ვიყავი თბილისში წამოსვლამდე. ვგულისხმობდი რომ აკაკი მის სახლში ჩამოხტებოდა, მაგრამ თბილისში ჩამოვიდა ჩემი ბიძაშვილი, ქვემომაჩხანელი შაქრო ფაშალიშვილი, სწორედ იმ ხანში მან მშვენიერი ორსართულიანი სახლი ააგო და აკაკისთვის მასპინძლობა გულწრფელად შემომთავაზა. შევთანხმდით, შაქრომ აკაკის სამასპინძლოდ მშვენიერი, რბილი ავეჯი, გრაფიურები, ფარდები და სხვა მოსართავეები შეიძინა ახალი სახლისთვის.

როცა შაქრომ სახლის მორთულობა ჩაიტანა და სოფელში გაიგეს, რომ აკაკი მის სახლში ჩამოხტებოდა—უფრო მდიდარ ოჯახებში მეშინაური ბუზღუნნი დაიწყო:—ხედავთ? ჩვენი ნამოჯამავირალი (ე. ი. მე) და მისი ბიძაშვილი ჩვენზე წინ დგებიან! მაშ, ისე გამოდის, რომ ჩვენ აკაკის ღირსნი არა ვყოფილვართ? მაშ, ეს უღვაში არ იყოს თუ...

ეს ერთი შეხედვით სასაცილო და უბადრუკი შური ნამდვილ ბოროტებად იქცა როგორც ჩემს წინააღმდეგ, ისე აკაკის მიმართ. მეშინა-ვაჭრუკანებმა და მათის წაქეზებით „ზოგიერთთა მარილთა იმ სოფლისათა“ ჩამოაყალიბეს „მოსაზრებანი“—აკაკის მოწვევა ამღროისათვის შეუფერებელია და საქიროა ის გადაიღოს შემოდგომისთვისო.

ეს ის დრო იყო, როცა სიღნაღში პირველად დაარსდა გაზეთი „ხმა კახეთისა“, რომელსაც თბილისიდან ჩამოსული ვაჭრების იდეოლოგი კოტე ტყავაძე ხელმძღვანელობდა. მე თადარიგის დასაქვრად რომ ჩაველ, კოტე ტყავაძე მაჩხანში მოიწვიეს და მეც მთელი დავიდარაბა ამიტყებეს: რა დროს აკაკის მოწვევა, რატომ ჩვენ არ გვეკითხეთ? ეს მათ დააბაჟეთეს იმით, რომ კახეთში შემოდგომა უფრო უხვია, კარგად მოეგმებადებით და შესაფერი-სად დაეუხედებითო. მეგონა, რომ ისინი ამ „მოსაზრებებს“ უკან წაიღებდნენ, როცა აფიშებს დაინახავდნენ, რომლებიც სიღნაღის სტამბაში უკვე იბეჭდებოდა, მაგრამ კოტე ტყავაძემ მოასწრო და მეორე დღეს „ხმა კახეთისა“—ში წერილი გააქრელა—ახლა დრო არ არის სტუმრობის, სჯობია აკაკი შემოდგომით გვეწვიოსო.

ეს იყო 1914 წლის აგვისტოს დამდეგს. აკაკი თბილისში იცდიდა კახეთში სანაგზაუროდ, საიდანაც საჩხერეს სურდა დაბრუნება და მთელი შემოდგომით იქ დარჩენა. მე დაებრუნდი თბილისში და აკაკის მოვახსენე მომხდარი ამბავი.

—ეგ არაფერია,—მითხრა მან,—ჩვენ კონცერტი მოვაწყოთ და იმ ჩვენს მოძულეთ ნუ შემოვუშვებთო. მაგრამ როცა გაიგო, რომ „მოძულეთა“ აზრი გაზეთმაც საჯაროდ გამოაქვეყნა, როცა „ხმა კახეთისა“ გადაიკითხა, გაზეთი შუაზე გადაგლიჯა, დაქმუქნა, იატაკზე ისროლა და ტყავაძის მისამართით აღმფოთებით თქვა:—ვინ კითხავს იმ წითელ ჯორს ჩემს აპეკუნობას (კ. ტყავაძე ახალგაზრდობაში მწითური ყოფილა); რა ზრდილობაა გაზეთში საქვეყნოდ რომ გამოუქენბივარ? საქართველოში ასეთი მასპინძლობა არ მომსწრებიოა“. რამოდენიმეჯერ ბოლთა დაარტყა ოთახში, გულმოსულობამ გადაუარა და ნაწყენმა სინ. ნულით მითხრა:

— ერთობ მეწადა ამ სიბერეში კახეთი კიდევ მენახა, მაგრამ ნაძალადე-
ვი სტუმრობა არ შემძლიან, ეხლა კახეთში ვეღარ წამოვალ. არა უშავს, წავიდეთ
იმერეთს და სალამოები იქ მოვაწყოთ.

ამით მართლაც სამუდამოდ გადაწყვიტა აკაკიმ—კახეთს უნახავად გა-
მოთხოვებოდა. მომხდარ შემთხვევას ომის გამოცხადებაც ზედ დაერთო.
აკაკი საჩხერეს წავიდა და იქიდან ცოცხალი აღარც დაბრუნებულა.

1915 წლის 26 იანვარს მან სამუდამოდ დახუჭა თვალი.

ს. შანშიაშვილი

იროდიონ პელოპონილი

იროდიონ ევლოშვილი ჩვენს ოჯახს შორეულ ნათესავად, მოყვრად მოხედებოდა.

დღეობებში და სხვა ოჯახურ ღზინსა თუ ქირში ჩვენი ოჯახები ერთმანეთს არ ივიწყებდნენ და ყოველთვის მისვლა-მოსვლა და პატივისცემა ჰქონდათ.

აღი-თორმეტი წლისა ვიქნებოდი. სოფელ ტიბაანში, სადაც დედაჩემის მშობლები—სოსანა და თეონა თოფჩიშვილები ცხოვრობდნენ, დიდა დღეობა—„წმინდა სტეფნობა“ იყო გამართლი.

პაპაჩემი, სოსანა თოფჩიშვილი, ძალზე შეძლებული ოჯახიშვილი იყო. ის იყო ცამეტი ქალიშვილის მამა, რომელთაგან იმდროისათვის მხოლოდ სამი-ღა იყო ცოცხალი; სამივენი გათხოვილები იყვნენ. აი, ამ ოჯახში დღეობა დღეს დიდი სტუმრობა იყო. არ მახსოვს მაშინ ევლოშვილის ცოლისძმა, მიხეილი, ამ ოჯახის ახალი სიძე იყო, თუ დასიძებას აპიობდა, ყოველ შემთხვევაში, ორივენი: იროდიონიცა და მიხეილიც იქ იყვნენ.

იროდიონ ევლოშვილი მოყვანილობით შუატანის კაცი იყო, სახე ძალზე სიმბატიური ჰქონდა. ლაპარაკი ემარჯვებოდა და საუბარში ხშირად ლექსებს ჩაურთავდა ზოღმე. ეს მე მაშინ ძალიან მიკვირდა. იმ ხანად იროდიონი, თუ არ ვცდები, ვგონებ ოცი წლისა უნდა ყოფილიყო, თუ მეტის არა.

სუფრაზე თამადად ოჯახის უფროსი იყო: ის იჯდა წუთაქაზე, მოკეცილი, სუფრის თავში. ტანად უზარმაზარი იყო, ახოვანი, შავ ჩოხა-ახალუხში გამოწყობილი. მას და მისი ასაკის სტუმრებს ბუხრის ქუდები ეხურათ, მგონი სუფრაზედაც არ იხდიდნენ.

დღეობისთვის სამი დეკეული დაკლეს, ამდენივე თოხლი. ქათამსა და ინდაურს ვილა დასთვლიდა? გარეთ, სათონეში, სამზარეულო იყო და ზედადგრებზე ათი-თორმეტი ვეებერთელა ქვაბი იდგა. დეიდები და შინაკაცები თავს დასტრიალებდნენ.

დღეობა მარტო ერთ დღეს არ გრძელდებოდა. რაკი ნათესავები თავს მოიყრიდნენ, აღარ ეთმობოდათ ერთმანეთი და თითქმის კვირაზე მეტ ხანს გრძელდებოდა ღზინი და პურობა.

ჩიტებიან მოხატულ ლურჯ სუფრაზე ამტკიცული შოთი პურები, ხონჩებსა და ტაბაკებზე ძროხის ხაშლამა გროვა-გროვა ელაგა. მოდიოდა სხვადასხვა საქმელიც. მაშინ ქიქები იშვიათი იყო. სვამდნენ ჯამებით, ხის ფიალებით ან კიდევ ყველას საკუთარი ხელადა ედგა. როცა თამადა დასცილიდა, ყველას უნდა გამოეცალა. ხელახლა შემოჰქონდათ ქვევრებიდან სველ-სველი ხელადე-

ბი. თამადა არავის აძალებდა, მაგრამ ღვინო თავისთავად ისმებოდა. იროდიონ ევდოშვილმა და ოჯახის სიძეებმა აღარ აცალეს დარბაისელ თამადას, კამათი ატეხეს. სუფრაზე იჯდა შექვიფიანებული თუში ქადაგიძე, რომელსაც უმადლესი სასწავლებელი შვეიცარიაში დაემთავრებინა. ის ხშირად ურთავდა ლაპარაკში უცხო სიტყვებს. აჩემებული ჰქონდა სიტყვა „საკრამენტო“.

სუფრაზე ისმოდა სიტყვები: ნაცია, დემოკრატია, ინტერნაციონალი, ავტონომია, მონარქიზმი, რესპუბლიკა. მე ბავშვი ვიყავ და, ცხადია, ეს ლაპარაკი და ეს სიტყვებიც წემთვის გაუგებარი იყო. აღბათ, არც პაპაჩენს ესმოდა არაფერი, რადგან მოსაუბრეებს ეუბნებოდა: „შვილო, გასაგებად ილაპარაკეთ, არა და, მე დამაცადეთო“, მაგრამ თამადას აღარაეინ აცლიდა.

მამაჩემის უფროსი ქვისლი, ღურგალი ზურაბ ზედელაშვილი უღვაშებზე ხელს ისვამდა და ამბობდა: „ლაპარაკით არაფერი გამოეო, იარალი, იარალიო!“ რატომღაც მომეჩვენა, რომ იროდიონი იმ სუფრაზე დაჩაგრეს. ის მარტო ერთი უმკლავდებოდა მოკამათებებს.

მამაჩემი, მღვდელი და თუში ტატო ქადაგიძე ერთმანეთს მხარს უჭერდნენ, ერთმანეთს კვირს უკრავდნენ.

თუშმა იროდიონს „მეოცნებე და უნიადაგო“ უწოდა, ხოლო ევდოშვილმა თუშს „ბობოლა“ დაუძახა.

ახლა ჩემთვის გასაგებია, რატომ დაუძახა იროდიონმა მას ბობოლა: ქადაგიძეს ათათასამდე ცხვარი ჰყავდა. იროდიონისა და თუშის კამათი ჩხუბად გადაიქცა. საქმე იქამდის მივიდა, რომ იროდიონი სუფრიდან გაიქცა. დეიდებმა და ნათესავებმა ორღობიდან ძლიძლივობით მოაბრუნეს.

გაჩაღდა ისევ ლხინი და პურობა. მახსოვს: ევდოშვილმა თქვა სადღეგრძელო და მიაყოლა რომელიღაც ლექსი, რასაც ყველა დიდის აღტაცებით შეხვდა.

მარტო თუში იჯდა ხმაამოუღებელი და წარბშექმუხვებით. ბოლოს მამაჩემმა გაამხიარულა, რაცა წამოიმღერა მისი საყვარელი სიმღერა:

„აღონ ჭანფან დე ლია პატრი...“ მღეროდნენ მხოლოდ ორნი. თამადა კი ბუზღუნებდა: —რა ეშმაკურ-ქაჯურს მღერიათო.

1910—11 წ. ირ. ევდოშვილი ჟანდარმებმა შეიპყრეს და ციხეში გადასახლეს. მწარე იყო „ბედი მგოსნისა“. გავიგეთ, რა დღესაც მიჰყავდათ, როგორც ტუსალი, ციხეში—სოფელ სოლვიჩევოლსკში.

გადასახლების ამბები დაწერილებით შემდეგ შევიტყვეთ, რადგან მე და იროდიონს ნიწერ-მოწერა გვქონდა.

გადასახლებისას კი მე ვუძღვენ მას ლექსი, რომელიც იმ დღეებში დაიბეჭდა, ხოლო ვერ ვაცხადებდი, თუ ეს ლექსი ვის ეძღვნებოდა.

აი ის ლექსი:

მ გ ო ს ა ნ ს

მშვიდობით! მიხვალ ცივ ციმბირისკენ,
უმადურ შვილთაც გზა დაგილოცეს!
ვინ მოგოგონა, როს შენი სული
სამგლოვიარო ძაბით შემოსეს?

ოჰ, მეგობარო, ვიცი, შეგაქრობს
ნაცნობ კერისა შენ დაშორება;
მაგრამ ჩივილსა არ ხარ ჩვეული,
არც თვალით ცრემლი გადმოიღვრება!

განა თუ მთანი მშობელ ქვეყნისა,
ან ტყე ალაზნის ნისლმობურული,
კახეთის ვრცელი ჭალა-წალკოტი,
თამამად შლილი, აყვავებული,—

არ დაგიწყვეტავს ჩანგის ნახ სიმებს,
როს მოიგონებ ესდენ უხილავს?
შენ შორს იქნები უცხო შვილებთან,
შენს ფიქოს გაანდობ სხვა ქვეყნის ნიავს.

იქ გაიხსენებ წარსულს და აწმყოს
და მომავალსაც ისევ გაჰხედავ;
ვაჰ, თუ წამოგვცდეს შენ, ობლად შთენილს,
„სადა ხარ, ჩემო მშობელო დედავ“¹!

და ინუგეშებ, რომ ზოგჯერ მაინც
ოცნება ტებილი გამოგოქროლებს;
დაგეისიზმრება სხვა მომავალი,—
ის გაანედლებს შენს ჩამქვარს ფოთლებს.

მშვიდობით! მიხვალ და ჩვენ აქ გეტოვებ,
ვხედავ ჭრილობას შენს შიშველ ტანზე:
„ვ ნ იცის კიდევ რამდენი მსხვერპლი
უნდა დაიყეს ეკლიანს გზაზე“².

მშვიდობით იყავ და სალამს გიძღვნი,
სალამს სევდიანს და გამწარებულს;
თვით შენთან ჰხედება კენესა ჩემს გულსაც—
უკულმართ დროში ჯვარზე წამებულს!

¹ ირ. ვედოშვილის ლექსიდან.

² იქვე.

თუ კიდევ შეგხვდით... და თუ ვერ შეგხვდით,
 დე, ცრემლი თვალით გადმოიღვაროს,
 რომ ამა ცრემლმა, ვით შვების წყარომ,
 შემდგომ ბრძოლისა სხვა გაახაროს!

1910 წელი.

ეს ჩემი ლექსი ირ. ვედოშვილს გადასახლებაში წაეკითხა და წერილში
 მითვლიდა: ძალიან გამახარაო.

როგორც ზემოთ მოვიხსენიე, ერთმანეთთან მიწერ-მოწერა გვექონდა, მი-
 უხებდავად იმისა, რომ მე ორი წლის შემდეგ, ე. ი. 1912 წელს შვეიცარიაში
 წაველ.

ირ. ვედოშვილმა მთხოვა შენი დრამატული პოემა „შვების თავადი“
 გამომიგზავნო. მეც ვაუთუხავენ. პასუხში დაწერილებით არჩევედა ამ პოემას.

მე საზღვარგარეთიდან დავბრუნდი 1914 წელს, პირველი იმპერიალის-
 ტური ომის წინაღუდეგში. ვგონებ, ი. ვედოშვილიც ცოტა ადრე თუ ცოტა
 გვიან დაბრუნდა გადასახლებიდან—უკვე ავადმყოფი. სადღა იყო ის ცოცხა-
 ლი და ხალისიანი იროდიონი. მიზნედილიყო, ჩამქრალიყო, ახველებდა.

ერთი ეპიზოდი მინდა გავიხსენო. „თაგუნა“ და „ეშმაკი“ (შარაშიძე და კა-
 ლანდაძე) ძალიან გადაკიდებულნი იყვნენ ირ. ვედოშვილზე და ყოველნაირად
 ჰკებენდნენ. რა ჰსურდათ მისგან, ან რაზე იყვნენ ასე გაგულსებულნი? ვფიქ-
 რობ, ირ. ვედოშვილი წერდა-ხოლმე „რიგოლეტოს“ ფსევდონიმით სატი-
 რულ ფელეტონებს. იქნებ ამ ფელეტონებში ირ. ვედოშვილი შეებო მათ, რა-
 საც ჩვენ იმ ხანად ვერ მივხვდით და ამაზე იყვნენ გულმოსულები. ერთის
 სიტყვით, ირ. ვედოშვილს ამწარებდნენ და ხან ცილსაც სწამებდნენ, რამდენ-
 ნადაც მაშინდელი ლაპარაკიდან მახსოვს.

მე გულში ვსთქვი: გამწარება ასეთი არ უნდა-მეთქი. დავხატე კარი-
 კატურა (ვხატავდი კარიკატურებს „შა“, ხან „სანდროს“ ხელისმოწერით).
 ბედაურზე შევსვი ირ. ვედოშვილი და უკან მიჰყვავენ „ეშმაკი“ და „თაგუნა“
 (თუ მართო „ეშმაკი“, აღარ მახსოვს).

ეს კარიკატურა ძალიან ესიამოვნა იროდიონს და გადავკოცნა...

1915 წელს ირ. ვედოშვილი ლოგინად ჩაეარდა.

ის რომ ციმბირში არ გადაესახლებინათ და იქ ფილტვებით არ დაეა-
 დებულყო, ასე უღროოდ არ გამოესალმებოდა წუთისოფელს.

ს. შაშალოვნილი

იროდიონ ევლოვნილი

ბევრ პოეტს როდი ჰქონია ჩვენში ასეთი მღელვარე ბიოგრაფია.

მე ნხოლოდ რამდენიმე ეპიზოდს გავისსენებ.

ჯერ ისევ ბავშვი ვიყავი, ევლოვნილი პირველად რომ ენახე. 1905 წლის რევოლუციის დამარცხების შემდეგ რეაქცია მძვინვარებდა.

ერთ შემოდგომას—წლის ყველაზე უფრო მიმზიდველ დროს—როცა ტყეები და ვენახები ივსება წითელ-ყვითელი ფერებითა და ბარაქით, როცა ბუნება ყველაზე უფრო მშვენიერია, ევლოვნილი თავის სამშობლო სოფელ ბოდბისხევეში ჩამოსულიყო.

ეკლესიის გალავანში შეგროვილი ხალხის აქეთურ-იქითურს ეუსმენდი, ცრიატი დღე იყო და ნიავეი მკაცრად სუსხავდა. ქუჩაზე ცხენოსანი გამოჩნდა. კობტად, ჩერქეზულად გამოწყობილს ნაბადქვეშ თოფი ჰქონდა მხარილივც გადაკიდებული, ყარაბაღული ქუდი ოდნავი გადაწვევით ექურა და ფართო შუბლიდან გადავარცხნილი კულულება საფეთქლებზე სცემდა. დინჯად, მოლიმარად მოგვესალმა და ჩაიარა.

—ვინ არის?—იკითხეს ცნობისმოყვარეებმა. მათ განუმარტეს ევლოვნილის ვინაობა და თან დასძინეს:

—ყაჩაღმა მიბა მწერლიშვილმა სიმაჰრი რომ მოუკლა, სამაგიეროს გადასახდელად ჩამოსულაო, ამბობენ.

—მწერალი?

—ჰო, ოფიცერია, მაგრამ ამბობენ გაზეთებშიცა სწერსო თურმე, ნაწერებს უქებენო!

„ეს ხომ ევლოვნილი ყოფილა!“—გავიფიქრე მე და ცნობისმოყვარეობით ავედღვნე, წინ გაუფსწარ და გაფაციცებით დაეუწყე ცქერა. ხალათში ამოწყურულს, სიცივისაგან ტაოაშვებულს გული ამოსახტომზე მქონდა—თითქოს დანაშაულზე დამიპირესო, ღელვისაგან პირი მიშრებოდა. აი, ის, „მეგობრებო, წინ წინ გასწით“...—ის დამწერი, ვისი სიტყვებიც დიდხანია რაც ასევე მახარებდა, როგორც ეს შეხვედრა. მაგრამ რაღა მალეღვებდა? ეს იყო მოწიწების გრძნობა, რაც მე შემდეგშიც ხშირად გამომიცდია უფროსი მწერლების მიმართ, რომლებიც ჩემი ბავშვური წარმოდგენით თითქოს ამქვეყნიურნი, ჩვეულებრივი ადამიანები არ უნდა ყოფილიყვნენ.

იროდიონი დამიპირისპირდა, დამაცქერდა და სანდომიანი ღიმილით გადამომძახა:

—გამარჯობა პატარა ქიზიყლო!—სადაური ხარ?

თითქმის ენა დამება, ნერწყვი ყელში გამჩხირია, ვეღარ ჩავყლაპე, რომ პასუხი გამეცა. ალბათ, სასაცილო ვიყავი, რადგან იროდიონმა უფრო მეტად გაიღიმა.

— მ—მ... აქაური.—წავილულულე ბოლოს.

— გაიზარდე პატარავ, გაიზარდე, სკოლაში დადიხარ?

— მ—მ... დიახ.

— ყოჩაღ პატარავ, ეგრე უნდა!

კიდევ გაიღიმა და გზა განაგრძო. მას მერე ის ქიზყუში აღარ მინახავს. 1910 წელს თბილისში პირველად ჩამოვედი. იროდიონი დიდი ხნის დეტუსაღებული იყო. დროგამოშვებით ციხიდან გამოგზავნილი მისი ლექსები იბეჭდებოდა გაზეთებში—სევდით აღსავსე ლირიკა მაინც სამშობლოს ტყივილებს დასტრიალებდა.

ერთ დღეს, ესლანდელ რუსთაველის პროსპექტზე მივდიოდით. ერთი ჩემი კეთილისმყოფელი მაჩვენებდა თბილისის თვალსაჩინო კუთხეებს და ქართულ დაწესებულებებს. ეტლით ტუსადი ჩამოატარეს. ორი ჯარისკაცის შუაში მჯდომს ბორკილდადებული ხელები მუხლებზე ეწყო. გამხდარი იყო, გაფითრებული, წვერმოშვებული და შუბლშეკრული: სევდიანი თვალებით იყურებოდა. ჩემმა თანამგზავრმა ქუდი მოიხადა. ტუსადმა იცნო ის და მხოლოდ თვალებით მიესალმა.

— ეედოშვილია!—არ იცნობ?—შემეკითხა ის.

— ეედოშვილი?—როგორ არ ვიცნობ!—მიუღე მე, თითქოს ტყვიანასროლმა.—როდის უნდა გაუთავდეს პატიმრობის ვადა?

— გაუთავდეს კი არა, გადასახლება მიუსაჯეს.—ციმბირში ჰგზავნიან,—მოკლედ მომიპირა ჩემმა მოსაუბრემ. ეს იყო კაბუკი მოხევე—დიმიტრი გელიაიძე, რომელიც იმავე წელში, სულ მცირე ხნის შემდეგ, რევოლუციური მუშაობისათვის დააპატიმრეს და იმავე ციმბირის გზას გაუყენეს. იგი იქვე, ციმბირში დარჩა. გადასახლებაში დაცოლშვილდა, რევოლუციის შემდეგ მცირე ხნით ჩამოვიდა მთლად გაქალაქარაგებული, თავისი სამშობლო მოინახულა, შემდეგ კი უკანვე დაბრუნდა ცოლ-შვილის ჩამოსაყვანად, მაგრამ აღარ დაბრუნებულა.

გადასახლებამისჯილ ეედოშვილს ციხეში მეგობრების ნახვის უფლება ჰქონდა. გელიაიძემ გადასწყვიტა სანახავად წასვლა და ჩემი წაყვანაც მოახერხა. ეს იყო 1910 წლის ვახაფხულზე. პირველად ენახე მეტეხის სულშემხუთავი კედლების ნესტიანი ლაბირინტი; კამერის რკინისცხავიან ფანჯარასთან, სხვებთან ერთად ბორკილების ჩხრიალით გამოვიდა ეედოშვილიც. მნახველები ბევრნი იყვნენ, თითო-ოროლა სიტყვა თუ მოასწრეს, ზე უფრო მოწვე ვიყავი ამ ყრუანტელის მომგვრელი შეხვედრისა. იროდიონის „ეტაპის“ დრო ახლოვდებოდა და მეგობრები მისი გამგზავრების საქმეებზე ელაპარაკებოდნენ.

— რა მოგიმზადოთ წააღებად?—შეეკითხა გელიაიძე.

იროდიონმა ბორკილი ააჩხრიალა და ხელის ჩაქნევითა და სევდიანი ღიმილით უპასუხა:

— რა უნდა მომიმზადოთ? ბოდბისხეჟური მიწა, ის ჩემი გამჩენი და სატანჯველად გამზრდელი ერთი მუქა მიწა. აბა, მაგაზე ძვირფასს რას წავიღებ? მაგონდება, რა დიდი სევდით, რა სიყვარულით აღსავსე გულით იყო მაშინ ნათქვამი! თავისი გამზრდელი, თავისი სათაყვანებელი მიწა უნდოდა

წადელო იქ, ციმბირში, რომ ის მშობლიური სიყვარულის გამაღვიძებელი ნაპერწკალი არ ჩაეჭრო იმ მიწას, რომელზედაც იროდიონი თვითონვე ამბობს ერთ შესანიშნავ ლექსში:

...„ხნულს ფეხი დავეკარ, მამაპაბათა
 სისხლმა ბელტიდან გადმოაწვეთა“-ო.

იმ ზაფხულის დამდეგს იროდიონი გაგზავნეს სოლვიჩეგოდსკში. მართალია, ბოდბისხევური მიწა არ ედო თავის სატუხალო ტომარაში, მაგრამ მან თან წაიღო თავისი ხალხის უსაზღვრო სიყვარულის სევდიანი გრძნობა, რომლითაც უღენტავდა იქიდან გამოგზავნილ ლექსებს და იქიდან ეხმაურებოდა სამშობლოს:

„მანდ რომ მკერდს დაჰკრავს ისარი,
 წვერი აქ, გულზე ტრიალებს,
 კავკასიონის ზევის ხმა
 ჩრდილოეთს დაიგრიალებს“.

* * *

1913 წლის გაზაფხულზე ციმბირში ნაწამები, დაავადყოფილებული იროდიონი დაბრუნდა საქართველოში. უმთავრესად თბილისში ტრიალებდა, ოჯახი აქ ჰყავდა და ხელმოკლეობაც არსად უშვებდა. ხშირად მოდიოდა „სახალხო გაზეთის“ რედაქციაში. აქვე ხშირად ტრიალებდნენ ვაჟა-ფშაველა, შიომღვიმელი, კიტა აბაშიძე, სანდრო შანშიაშვილი, გრიშაშვილი და სხვა მწერლები. იქ გავიციანი პირადად. ხშირმა შეხვედრებმა მალე დაგვაახლოვა. მეგობრები გავხდით.

იროდიონი ციმბირში თავისი ცხოვრების საინტერესო ეპიზოდებს გვიამბობდა ხოლმე სუფრაზე.

მუდამ ენაწულიანი, დარბაისელი, ტკბილად მოსაუბრე იროდიონი ყველასათვის საინტერესო და საყვარელი ადამიანი იყო იმ წრეში. სამშობლოში დაბრუნებამ და მეგობართა შორის მოტრიალებამ საკმაოდ გამოაცოცხლა, თვალელებში იმედი ჩაუდგა, გულიც გაუხალისდა, მაგრამ თავის ეკლიან გზაზე ნაშოვნი სენი მაინც თავის საქმეს აკეთებდა და დიდი ხანი აღარ გასულა, როცა გაზეთებში დაიწყო წერა იროდიონის დაქლექების შესახებ. ექიმები ურჩევდნენ საგარაკოდ წასვლას აბასთუმანში ან ბორჯომის ხეობაში, მაგრამ საამისო ნივთიერი შესაძლებლობა არ გააჩნდა, მეგობრებში ფულის შეგროვებაზე კატეგორიულად უარი განაცხადა და ან რა გამოსავალი იყო შემთხვევითი სახსრები?

ასეთ რამეში მეტად მგრძნობიარე ადამიანი იყო ვედოშვილი, მეტად ამაყი. ამგვარი ხასიათი ერთგვარი მიზეზიც კი ვახდა მისი სენის სწრაფი განვითარებისა: როცა ვილაკამ წამოიწყო მის სასარგებლოდ შემოწირულება პრესის საშუალებით და სწერდნენ: მე მავანი და მავანი ვწირავ მანეთს, ან მანეთ-ნახევარს ჩენი სასიკაძულო პოეტის ვედოშვილის სასარგებლოდო—კითხულობდა ამას იროდიონი და „მეორედ ქლექტებოდა“ დარდისაგან:

— აი, როგორ ფასდება ჩვენში მწერალი, — კვირაძალის მითხვრად გადამაქციეს.

ასე იყო თუ ისე, ამ გარემოებამ და ზოგიერთი დაწესებულების მიერ გაღებულმა დახმარებამ მაინც შეეღება მისცა იმ ზაფხულს ცემში წასულიყო. იქ ცოტათი მოიკეთა. შემდეგ საზოგადოებამ დაიწყო მისთვის სალამოების გამართვა, რომლებშიც თავის მიგობარ პოეტებთან ერთად თვითონაც მონაწილეობდა და ერთგვარად ხელს ინაცვლებდა. ორი წელი გავიდა ასე; ცოტა ფულს იშოვიდა, აგარაკზე წავიდოდა, მცირეს მოიკეთებდა და ისევ სალამოების თადარიგში იღლებოდა, კვლავ საკურორტოდ უხდებოდა საქმე. ყოველივე ეს მას არაკათს აცლიდა, მაგრამ მაინც ერთადერთი გზა ესლა იყო: მით უფრო, რომ საზოგადოება გულთბილად ხვდებოდა მის სალამოებს.

ამ სალამოებში მისი თანამომსწრე პოეტები მონაწილეობდნენ. მეც არერთხელ მხვდა ეს პატივი. 1915 წლის ზაფხულს იგი წალვერში ისვენებდა. იქიდან დადიოდა თავის სალამოებში მონაწილეობის მისაღებად. ასე შემოიარა საქართველოს თითქმის ყველა მნიშვნელოვანი კუთხე.

1915 წლის ზაფხულს მისი სალამო გაიმართა ზესტაფონში. თვითონ წალვერში ისვენებდა მაშინ. მე კახეთიდან დამიბარა სალამოში მონაწილეობისათვის. ხაშურში შეგხვდით და ერთად გავემგზავრეთ. ისეთი მხიარული, ისეთი ხალისიანი იროდიონი ჯერ არ მენახა: ლაპარაკს არავის აცლიდა, აღტაცებული იყო ინერეთით, იქაური ბუჩბებით, სტუმართმოყვარეობითა და ზრდილობით. თვითონ გარეგნულადაც შედარებით კარგად გამოიყურებოდა, მაგრამ ახირებულიდ ენაზე ეცქრა — „ეს უკანასკნელი ზაფხულია ჩემი, კარგია რომ სიკვდილის წინ საქართველოს მთავარი კუთხეები შემოვიარე, ერთი რთვლობას ბრძანისხვევით თუ ჩავედი, — ქვემო-მაჩხაანის ქედლიდან თუ გადავხედე ალანსს, მაშინ ხომ სინანული აღარაფრისა გამყვებაო“.

ჩვენ ვუშლიდით, დაეცინოდით და სულმოკლეობას ეუქიენებდით, მაგრამ აპირებულად ჰქონდა შავი წინათვრძნობა აკვიტებული.

სალამომ ზესტაფონში ბრწყინვალედ ჩაიარა, იროდიონი სკენაზე გამოიყვანეს, თავივლი მიართვეს და სიტყვებით მიმართეს. საერთოდ მას ექსპრომტები არ ემარჯვებოდა, მაგრამ აღტაცებულმა იროდიონმა ზესტაფონელებს წარმოთქმულ სიტყვებზე პატარა ექსპრომტით გასცა პასუხი:

„ეს ვარდების თავივლი
 შეება და სიხარული,
 გისურვებთ, რომ გღირსებოდეთ
 საქართველოს გაზაფხული!..“

— აზინ! — იგოილა დარბაზმა.

— გაუმარჯოს საქართველოს გაზაფხულს! — ისმოდა დიდხანს და ტაში არა ცხრებოდა, სანამ იროდიონმა ლექსების კითხვით არ დაიშო შმინა ხალხი. ზკონით გადახდილ სალამოს შემდეგ იგი ისევ წალვერს დაბრუნდა. იქ საბოლოოდ ჩავარდა ლოვინად, სისხლის ამოღება დააწყებინა. იქ ჩავდიოდით მეგობრები სანახავად, ვანუგეშებდით და დამშვიდებდას ვცდილობდით, მაგრამ

— აი, როგორ ფასდება ჩვენში მწერალი, — კვირამალის მათხოვრად გადამაქციესო.

ასე იყო თუ ისე, ამ გარემოებამ და ზოგიერთი დაწესებულების მიერ გაღებული დახმარებამ მაინც შეძლება მისცა იმ ზაფხულს ცემში წასულიყო. იქ ცოტათი მოიკეთა. შემდეგ საზოგადოებამ დაიწყო მისთვის საღამოების გამართვა, რომლებშიც თავის მეგობარ პოეტებთან ერთად თვითონაც მონაწილეობდა და ერთგვარად ხელს ინაცვლებდა. ორი წელი გავიდა ასე; ცოტა ფულს იშოვიდა, აკარაკზე წავიდოდა, მცირეს მოიკეთებდა და ისევ საღამოების თადარიგში იღლებოდა, კვლავ საკურორტოდ უხლებოდა საქმე. ყოველივე ეს მას არაკეთის აცლიდა, მაგრამ მაინც ერთადერთი გზა ესდა იყო: მით უფრო, რომ საზოგადოება გულთბილად ხედებოდა მის საღამოებს.

ამ საღამოებში მისი თანამომწერე პოეტები მონაწილეობდნენ. მეც არაერთხელ მხედა ეს პატივი. 1915 წლის ზაფხულს იგი წალვერში ისვენებდა. იქიდან დადიოდა თავის საღამოებში მონაწილეობის მისაღებად. ასე შემოიარა საქართველოს თითქმის ყველა მნიშვნელოვანი კუთხე.

1915 წლის ზაფხულს მისი საღამო გაიმართა ზესტაფონში, თვითონ წალვერში იქვენებდა მაშინ. მე კახეთიდან დამიბარა საღამოში მონაწილეობისათვის. ხაშურში შეეხვდით და ერთად გავემგზავრეთ. ისეთი მხიარული, ისეთი ხალისიანი იროდიონი ჯერ არ მენახა: ლაპარაკს არავის აცლიდა, ალტაცებული იყო იმერეთით, იქაური ბუნებით, სტუმართმოყვარეობითა და ზრდილობით. თვითონ გარეგნულადაც შედარებით კარგად გამოიყურებოდა, მაგრამ ახირებულად ენაზე ეყრა — „ეს უკანასკნელი ზაფხულია ჩემი, კარგია რომ სიკვდილის წინ საქართველოს მთავარი კუთხეები შემოვიარე, ერთი რთვლობას ბოდვისხევეს ითუ ჩაველი, — ქვემო-მანხანის ქედიდან თუ გადავხედე ალაზანს, მაშინ ხომ სინანული აღარაფრისა გამყევბაო“.

ჩვენ ვუშლიდით, დავცინოდით და სულმოკლეობას ვუკიციენებდით, მაგრამ ახირებულად ჰქონდა შავი წინათგრძნობა აკვიტებული.

საღამომ ზესტაფონში ბრწყინვალედ ჩაიარა, იროდიონი სცენაზე გამოიყვანეს, თავიგული ზიართვეს და სიტყვებით მიმართეს. საერთოდ მას ექსპრომტები არ ემარჯებოდა, მაგრამ ალტაცებულმა იროდიონმა ზესტაფონელებს წარმოთქმულ სიტყვებზე პატარა ექსპრომპტით გასცა პასუხი:

„ეს ვარდების თავიგული
შეგებაა და სიხარული,
ვისურვებთ, რომ გღირსებოდეთ
საქართველოს გაზაფხული!“

— ამინ! — იგრილა დარბაზმა.

— გაუმარჯოს საქართველოს გაზაფხულს! — ისმოდა დიდხანს და ტაში არა ცხრებოდა, სანამ იროდიონმა ლექსების კითხვით არ დაამოშინა ხალხი. ზვიმით გადახდილ საღამოს შემდეგ იგი ისევ წალვერს დაბრუნდა. იქ საბოლოოდ ჩაეარდა ლოვინად, სისხლის ამოღება დაიწყებინა. იქ ჩავდიოდით მეგობრები სანახავად, ვანუგეშებდით და დამშვიდებას ვცდილობდით, მაგრამ

მისთვის ნუკეში აღარ იყო. შუაგულზამთრობამდე დაჰყო იქ, ხოლო ზამთარში უკვე სასიკვდილოდ გადადებელი ჩაჰოიყენეს თბილისში.

იწვა ის თავის ღარიბ ბინაში, კავშირის ქუჩაზე, იწვა და ითვლიდა სიცოცხლის დარჩენილ წუთებს უმოივრესად მარტოობაში, უხმოდ, ნაღვლიანად. იწოდა, როგორც კანდელი. შეხვიდოდი თ მის ოთახში, გულადმა მწოლარე იროდიონი მსოლოდ. თვალებს მოაბრუნებდა ოქვენსკენ. უსახლვრო სევდა და დაუსრულებელი ნატვრა გამოსჰვიოდა ამ თვალბში და თითქოს გესმოდათ მისივე ღეჰის ბწკარი:

„შე ფერფლიდა ვარ ცეცხლზე დამწვარ საღამურისა,
შე გმიხვალა ვარ, შველის გმინვა განგმირულისა!..“

1916 წლის 2 მაისს მისი ოჯახი ატირდა, მისი ჩანგი დამგლოვიარდა. იროდიონ ევლოშვილი გარდაიცვალა.

ლელა ბარნაშვილი

მოგონებანი მამაზე

სოფ. კოდა

ვასილ ბარნოვი დაიბადა სოფ. კოდაში, სადაც ბარნოვიანთ რამდენიმე თაობას უცხოვრია. სოფელი კოდა გაშენებულია ვაკეზე, გარშემორტყმულია მინდორ-ველებით. სამხრეთით შემოთარაღულია იალღუჯის, ხოლო ჩრდილო-დასავლეთით თრიალეთის მთებით. ჰორიზონტი ფართო, მზის ჩასვლა შესანიშნავი, რაღაც მყუდროება სუფევს ირგვლივ. არ არის მეტისმეტად დიდი მთები. შორს, ცის კაბადონზე ნაზი ფერებით მოჩანან შენის-ლული კავკასიონის მთაგრებილის მომცრო ქედები და გარშემო მხოლოდ ველაია, თავისებური წყნარი სილამაზეა.

უცნაური სილამაზე აქვს მთვარიან საღამოს კოდაში. ეს აღნიშნული აქვს გრიგოლ ორბელიანსაც თავის წერილში ბარბაღე ორბელიან-საგინაშვილთან: „მენანება კოდა, მეტად და მეტად მენანება ამის ჰაერი, ამის მთვარე...“¹.

მკაფიოდ მოჩანს მთების კალთებსა და ტაშირზე გაშენებული სოფლები: ერტსი, ლოუბანი, შარაბდა, კუმისი, ვაშლოვანი, თელეთი და სხვა—ძალიან მცირე მანძილით დაშორებულნი ერთმანეთისაგან.

ეს ქართლის გულია. კოდელებისათვის ცოცხალნი და ხორცშესხმულნი არიან „ისნის ცისკრის“ გმირები და ადგილები, სადაც საამ გოსტაშაბიშვილმა მოიტაცა თავისი დანიშნული თინანო.

ბარნოვიანთ მამაბაბეული სახლი აღარ არის. პაპის ძმას სოლომონს დაუნგრევია ამ ორმოცი წლის წინათ და მის ნაცულად ორი სახლი აუშენებია, ეხლა მხოლოდ ერთი სახლი დარჩენილა.

ძველი სახლი აღწერილი აქვს ვასილ ბარნოვს თავის მოგონებებში—„სამწუხრო ღიმი“. სახლი მდგარა შუა სოფელში, ეკლესიასთან ახლო; „მოზრდილი სახლი დიდი ღერეფნით მუხის კოპებზედ, შუაში ვეება ბოძი. შესავალი კედელი ღია, გელაზეებით შეშოლულული. კიბეც სამი გელაზი. მარჯვნივ პატარა ოთახი, მარცხნივ დიდი ოთახის კარი, სატუმროსი. შემდეგ ორი ქვის კიბეს მიჰყავდა შინა სახლში. იქვე იყო საუკუნაო სამზარეულო, კილობანი. მარცხნივ შესავალი სათონეში. შინ—სახლიდან პირდაპირ მარნის კარი—სუფთა ოთახი, ქვევრებით მომწკრივებული, ბალის იარაღით, ჯაგნები...“ ეს იყო არსენას ოთახი.

სახლს პირი აღმოსავლეთისაკენ ჰქონდა, წინ მშენიერი ბაღი იყო, შიგ—ლეღვი, ფშატი, ნუში, კერამი, ატაში. სახლის უკან, სადაც ეხლა კაკალი

¹ იხ. სახ. ლიტ. მუხ. ფონდი.

დგას, შესავალი ყოფილა ვენახში. ეზოანდელი ჯბატკეცილი სკრის ბარნოვიანთ ძველ ვენახს და ეზოსაც. ვენახი საკმაოდ მოზრდილი ყოფილა სირონიკაიანთ სახლამდე, რომლებიც მომიჯნავე ყოფილან ამემამულ სირონიკაიანთ ნახალარში პერეულის საწყობაი. ბარნოვიანთ ნავეენახარის ფართობზე ეხლა შეიდი კომლი ბინადროას თავის ეზო ბაღებით.

ვისილ ბარნოვის პაპა იაკობი მღვდელი იყო კოდაში, პენსია(ე) ჰქონდა, მაგრამ მღვდლობა არ იყო მისი ცხოვრების მთავარი წყარო, ის მი' დევდა სოფლის მეურნეობას, ხენა-თესვას. ჰქონდა ბაღ-ვენახი, ჰყავდა მოჯამაგირეები.

ზაფხულობით ბარნოვიანთ მოზრდილი სახლა კოდაში საესე იყო თბილისიდან ჩამოსული ხელმოკლე ნათესავებით, რომლებიც ისვენებდნენ და იმარაგებდნენ სოფლის სხვადასხვა ნაწარმს თან წასაღებად.

თავის მოგონებებში ვისილი გვიამბობს, რომ, როდესაც მისი პაპის პაპა გაყრია თავის ძმას, აბრახან როგორც მღვდელს და მწიგნობარს რგებია მთელი სკიფრი წიგნები, მაგრამ წიგნები ვერ შეუნახიათ: ვისაც კი სდომნია წაუღია, აღარ დაუბრუნებიათ ნათხოვარი. მამას დროს ჰქონიათ სრული კარაბადინი, არისტოტელის ლოლიკა, პლატონის ხელნაწერები ლურჯ ქაღალდზე, საეკლესიო ისტორიის რამდენიმე ავტორი და ვითომ „სასწაულთმოქმედი“ სახარება, რომელიც თონეში ჩაეარდინლა და „არ დამწვარა“. მამა თითონვე ხსნის „სასწაულს“ — სახარება ეტრატზე ყოფილა დაწერილი, ყდაც სქელი ტყავისა ჰქონია, ამიტომაც არ დამწვარა.

რამდენიმე წიგნი: არისტოტელის ლოლიკა, პლატონი და იოანე პეტრიწონელის თხზულებანი მამას სემინარიაში წაუღია. ქართულ ენის სდევნიდნენ და ახალგაზრდობა ცდილობდა, როგორმე შეეცო მშობლიური ენის ცოდნა. თურმე ლაზ-ლამ სემინარიის პანსიონის საწოლ ოთახში, კარტოფილის სანთლის შექმე ძველ ქართულ წიგნებს კითხულობდნენ. ერთ ღამეს, როცა მამა ჩვეულებრივსამეგრე კითხულობდა სახლიდან მოტანილ არისტოტელის წიგნს, შედაძხედელმა მოასწრო, წიგნი წაართვა და დანარჩენი წიგნებიც გამოაჩენინა, მეორე დღეს გაცვეთილების შემდეგ მამა გამოიძახეს სემინარიის ინსპექტორ კუჭმენსკისთან. წიგნები მაკიდაზე ეწყო. ეს რა წიგნებია—შეგითხა ინსპექტორი, მანამ აუხსნა. შეხედე შენ წიგნებს,—უთხრა ინსპექტორმა და ყველა წყარა გახურებულ ბუხარში, მამა გამოეკოშაგა თურმე თავის წიგნებს. მაგრამ ინსპექტორმა უთხრა: მაძლობა შესწირე ღმერთს, რომ ასე გადარჩი და სემინარიაიდან არ გავრიცხეთ. ეს „ღმობიერება“ გამოიჩინა იმიტომ, რომ მამა საუკეთესო მოწაფე იყო.

ზემოხსენებული წიგნები მოწმობენ ბარნოვიანთ ოჯახის მწიგნობრობას, მათ ზღირველებას კულტურისადმი.

ამ ფაქტით დასტურდება ზეპირი გადმოცემა, რომ ბარნოვიანთ შორეულ წარსულში სუროთმოდერები და ეტრატზე მწერლები ყოფილან მესხეთში და იქიდან გადმოგვწილან, რომ არ გაემამადიანებინათ. ერთ წინაპარს მშვენიერი ხმა ჰქონია და მუეძინად სდომნიათ.

ბარნოვიანთ ასეთი ტრადიცია ჰქონიათ. ერთი ძმა რომ მღვდლად გამოვიდოდა, მეორე სამხედრო საქმეს აირჩევდა.

8. ლიტერატურის მკვლევ. ტ. VI

პაპანეშის ძმა გიორგიც (იაკობი) ოფიცერი იყო. ოფიცრობა ბრძოლაში დაიშახურა. მამას პაპის ძმა, ისიც საშვედრო, წასულა ინდოეთში და აღარ დაბრუნებულა.

ვასილ ბარნოვის დედ-მამა

ვასილ ბარნოვის დედა, სამსონ იაშვილის ქალი, კახელი, ადრე დაობლდა, გაზარდა მამილამ, ჭიკინაძის ცოლმა. ჭიკინაძე საშვედრო მოხელე იყო.

მამილას ორი თავისი შვილი ჰყავდა: გაიანე და კატინკა. კატინკამ ე. წ. „კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტი“ დაამთავრა. მაიკოსაც ინსტიტუტისათვის, უფროს კლასებისათვის ამზადებდნენ, მაგრამ სიმე ვარდაიცვალა და მამილამ ობოლი მაიკო მიათხოვა ზაქარია ბარნოვს.

მაიკო ბარნოვი განათლებული ქალი იყო, რუსული ენა კარგად იცოდა, მთელ დღეებს წიგნების კითხვაში ატარებდა. „ვეფხისტყაოსანი“ დაზეპირებული ჰქონდა. „დედა და მამა შაირობდნენ „ვეფხისტყაოსნით“ და ჩვენც თითქმის ზეპირად ვიცოდით ეს პოემა“, ამბობს ვასილ ბარნოვის და—ანა ზაქარიას ასული ბარნოვი. უყვარდა „ქართლის ცხოვრების“ კითხვა, შენახულია მისი ამონაწერები „ქართლის ცხოვრებიდან“. თარგმნიდა რუსულიდან ქართულად, შეადგინა ქართული ენის სახელმძღვანელო. მახსოვს ბებიის თელავში ჩამოსვლა მამის ავადმყოფობის გამო; იგი მამას კაბინეტში მოათავსეს. ბებიას დიდრონი ცისფერი თვალები ჰქონდა, ამაყი და ცივი გამომეტყველებებისა; მოწითალო თმა, გრძელი ნაწნავები. საშუალო ტანის იყო, ძალიან თეთრი კანი, მოპირისუფრო ლოყები. მამას კაბინეტი წიგნებით იყო გაჭედული. ბებია სულ წიგნით ხელში მახსოვს.

ვასილისთვის, ისე როგორც სხვა შეიღებისათვის, წერა-კითხვა დედას უსწავლებია. ბებიამ კარგი ხელსაქმე იცოდა, განსაკუთრებით კარგი ქარგვა და თავის ქალებსაც ასწავლა.

ვასილს თავისი მამა გამოუყვანილი ჰყავს მოზრობაში „მსახური ეკლესიისა“. დედაჩემი იტყვოდა, რომ პაპას მშვენიერი გემოვნება ჰქონდა ფერების შერჩევაში, ნივთის ყიდვაში.

ვასილ ბარნოვს მამას, ზაქარიას, სემინარია ჰქონდა დამთავრებული. მასაც უწერია ლექსები ახალგაზრდობაში. ლულში (ხეკსურეთი) რომ უმსახურია, ახლად დაქორწინებული ყოფილა, ცოლი თან არ წაუყვანია, კოდაში დედ-მამასთან ჰყოლია. წერილებს თურმე ლექსად წერდა. მამას დას ანას ახსოვდა ეს წერილები ლექსებად. პაპანეშის ძმას—სოლოსაც უწერია ლექსები.

ბებიას ანდერძაღ დაეტოვებინა, რომ პაპას ჩვენთან ეცხოვრა. მამამ მისწერა წერილი: „შენ სახლში მობრძანდიო“. პაპა თელავში ჩამოვიდა. მახსოვს მისი ჩამოსვლა. ზაფხული იყო. აივანზე ვეყავით. ფაეტონი ვაჩერდა ჩვენს ეზოსთან. თეთრწვერა მოხეტეი მღვდელი ვადმოვიდა. გამიკვირდა, რომ დედამ სწრაფად ჩაირბინა კბეზე (შეორე სართულზე ვცხოვრობდით) და ხელგაყრილი ამოიყვანა პაპა. დედაჩემი და პაპა კარგად შეეთვისნენ ერთმანეთს. პაპას ძალიან უყვარდა დედაჩემი.

ვახილ ბარნოვის ყრმობა

ერწოში, ტოლათ-სოფელში, სადაც ვასილის მამა ზაქარია ბარნოვი მღვდლად იყო გამწესებული, ვასილმა ბედნიერი ბავშვობა გაატარა. თავისი სიცოცხლის მწუხრის ეამს უქნობი ფერებით, ცოცხლად გადმოგვცა ყრმობის წარუშლელი შთაბეჭდილებები.

ავერ მათი სახლი ტოლათ-სოფელში. აქემის მარცხენა ნაპირას შეუენილ ვაკეზე დგას ეკლესია; შემდეგ სკოლის შენობა უფრო დიდი ეზოთი, მღვდლის სახლი ვეებერთელა მიდამოთი, სადაც ბაღა ჰქონდათ; ამ შენობების და მირგვალის ხევის დიდი ვაკე, ათი დღიურის ტოლა, სადაც აშენებული იყო ხევეურების ეკლესია კობაღე-იასსარი, შეუვალი ხევესურებისათვის. ეს უნარმაზარი ფართობი ოთხი შენობისა, შემოკლებული ერთიანი ღობით, შთლიანად ბავშვების სამფლობელო ყოფილა (იხ. „სამწუხრო ღიმი“). იასსარის დეკანოზის კურდღელა ვაეი, ვასილის ბავშვობის მეგობარი, და თითონ კურდღელა ცალიან ჰყვარებია პატარა ვასილს. ვასილი დაჰსმარებია კიდევ დეკანოზს ხატის მსახურების დროს.

ვასილი წერს: „ეს ეზო ჩენი, ბაღების, დიდი სარბიელი ადგილი იყო... არ გეკირდებოდა ეზოდან გასვლა: წყალი იქვე ჩამოგვიყვანვკარებდა, რომ წისქვილები გვეშენებინა, ჩარხები გვეტრიალებინა... ტიკსენად ყვავილები გვეყანდა... არჩულ ყვავილებს თავისი სახელები ჰქონდა: ჩაიმღველა, გოგლია, მერცხალა, ქოჩორა, ნებიერთ ყვავილი... არც ტანისამოსის დაკერება ჰირდებოდათ, ყოველთვის ღამაზად ეცვათ შნოიანებს“.

საინტერესოა ყვავილების სახელები, უმჯეულად ამ სახელების გამოგონებელი იყო მამა, ტიკინების—ყვავილების ღამაზ სახელებს ატყვია შემოქმედების დადი, ის გარემოება, რომ ისინი დასახული ჰყვანდა ცოცხალ არსებებად, უმჯეულად კვლია ხალხური წარმოდგენისა, რომლის მიხედვით ტიკინები ცოცხლდებიან ღამ-ღამე.

ყვავილები სიცოცხლის ბოლომდე უყვარდა მამას. ია რომ შემოვიდოდა გაზაფხულზე, ვუყილდი. უხაროდა, იტყოდა: „ია მოსულაო“.

მამას საყვარელი ყვავილი თეთრი ნარგიზი იყო, უმჯეულად მოუტანდი ნარგიზებს გაზაფხულზე.

ეს ეზო ნასოფლარი ყოფილა, ნაფუძარი—ნოყიერებით სავსე. ღობის ძირში დიდძალი ქამა სოკო მოდიოდა თურმე, ხის საირებთან—ხის სოკო. ეზო სავსე ყოფილა სხვადასხვა მცენარეულობით: ყინტორა, ძირხვენა, თხის ძეძუ, ქვიშიყვავილოვანი შამბები. ასე ავიწყვრს თვის მოგონებებში მამა.

ყველა ეს მცენარე და ყვავილი საყვარელი სათამაშოა და ზოგი მათგანი საჭმელიც-კი ბუნებასთან ახლო მდგომ სოფლის ბავშვებისათვის. მაგალითად, ყვავილი ღაშქარა ბავშვების საყვარელი სათამაშოა აღმოსავლეთ საქართველოში.

ემზოდან გავიღოდი... გვხვდებოდა ერთი ძველის-ძველი ნანგრევი... მთელი ეს ნანგრევები კერინჩით იყო მოდებული, მთელ სოფლის ბაღლებს, მყოფნიდა...

— შემდეგ შეხვიდოდით ტყეში. წერილიანი: ტყემალი, თხილი, მაცელი-ანი, შინდი, შინდაწალა... ცოტა მაღალი ტყე, მემრე უტყეო ადგილი, ბალახოვანი, მარწყვით საესე... თითხილედ კალოს სივრცე ჯიშინი ლონღოშო“.

სოფლის მიდამოები აწერილია მამას სიტყვებით.

უნდა წარმოვიდგინოთ რა წარმტაცი და სახალისოა ბავშვისათვის ასეთი მდიდარი ბუნების კალთაზე აღზრდა.

თავის მოგონებებში მამა რამდენჯერმე უბრუნდება მარწყვს. მარწყვი საყვარელი ხილი იყო მამასი. ბარბაროსობად მიაჩნდა მარწყვის რძით და შაქრით შეაყვება.

იგონებს მიუვალ ხაროს, ლონღოშოვანის¹ ახლო, სადაც ქვა რომ შეგვგდო, ლითონის ხმა გამოდიოდა... აქვე წერილიან ტყეში შენობების ნაშთებს და პატარ-პატარა სამლოცველოებს და დასძენს, რომ ეს ძველი საყდრონი უნდა ყოფილიყო.

მამას ბევრჯერ უთქვია ჩვენთვის, რომ ქრისტიანობის შექოსვლის შემდეგ, ხალხმა თავისი სიწმიდე, ძველი კერპები—ლითონის ქანდაკებანი—აღბათ, ასეთ მიუვალ ხარობებში შეინახა.

აგვიწერს აძეძის მარჯვენა ნაპირას მდებარე ღრმა ქაობს, ზედ მოსულს პრასასავით მსხვილ ბალახს, ეს ქაობი, საფლობი ყოფილა, საქონელი ვერ ეკარებოდა. „კაცის ფეხქვეშ მთელი ეს ადგილი იძვრის, ეძახიან ზანზარას.

ხეცურებისათვის მთელი ზანზარა და აძეძიც სავანეთ იყო ნაქტევი მავნე სულების“.

სოფლის ხევის სათავეში, ღრმა ტყეში პიტალო კლდე იყო ტალისა, კბილებივით ჩასხმული, აღმასისავით ბჭყვრიალა ქვებით, რომლებიც მინახა ქრიან... ამ კოხის კლდესთან ახლო მდებარეობდა პანტიანი—დათეების ბაღნარი, სადაც თითონაც ყოფილა სხეებთან ერთად და დათეიც შეჭფეფებიათ.

აგონდება თავის მამასთან ერთად დიდ ტყეში საიარული. დასვენება განმარტოებულ წიფელთან, „გარშემო რომ მარწყვით საესე კორდი არტყია“.

შემოდგომაზე ყოველდღე ტყეში წასვლა პანტაზე, მაქალოზე, თხილზე, ხუთყურაზე: „ჩაიცეკამდი სატყეოდ, ვადავიკიდეზი მხარზე აბვას და გავზობდი. საესეს ჩამოვიტანდი, საქმელათაც ვგუფონიდა და ჩირათაც“... ვასილის დღია ხან შაქარში, ხან თაფლში უხარშევიდა ამ ტყის ხილს. ზამთრისთვისაც ხილს საბძელში ინახავდნენ.

ზანზარაში ურემის ჩაფლობა, ძროხის დათვისაგან დავლეჯა, კალო, ტყეში მოგზაურობა—ყველა ეს მოგონებანი, ისე ცოცხლად, თითქოს ფერწერითი სურათების ხერხით ვადმოცემული ცხადპოფენ ვასილ ბარნოვის შემოქმედების სათავეებს.

ბუნების წარმტაცი ნაირი სურათები, ზღაპრები, მდინარე—ტყე—ქაობი, ძველი ქალაქის ნაფუძრები, პატარ-პატარა სამლოცველები ტრაპეზებით, კოპალ-იახსარის ღვდელმსახურება—წარმართული კულტის ნაშთები, თავის მამის შაქარია მღვდლის და დეკანოზ კურდღელას შეჯახება, იგივე ძველი ქარ-

¹ ლონღოშოვანი - ადგილი დაფარული ლონღოშოს ხეებით.

თული წარმართობისა და ქრისტიანობის ბრძოლაა. ყველა ეს აღიბეჭდებოდა წარუშლელად ბავშვის სულში, უღვიძებდა ფანტაზიას.

ეს შეუცნობლად ათვისებული სიმდიდრე, გულუბრყვილო ბავშვისათვის პირველი შთაბეჭდილებანი შემდეგ თანამედროვე კულტურის უმაღლეს საფეხურზე მდგომმა ვასილ ბარნოევმა გადმოგვიშალა არა პრიმიტივის სახით, არამედ ვამოიყენა საქართველოს წარმართულ, წინაქრისტიანულ კულტურის დასახატავად, ქართული წარმართული პანთეონის გასაცოცხლებლად.

ვ. ბარნოვისათვის სოფლის ყოველდღიურობის, ქირ-ვარამის ზედმიწევნითი ცოდნის სათავეები ერთის მხრივ ერწოა, ეგორე ზხრით სამშობლო სოფელი—კოდა.

ვასილ ბარნოვის წახვლა მოსკოვის აკადემიაში

ვასილ ბარნოვი სემინარიაში სახელმწიფო ხარჯზე სწავლობდა, კლასიდან კლასში მუდამ ჯილდოთი გადიოდა. პირველ მოწაფედ გაათავა.

სემინარიაში ასეთი წესი იყო: პირველი მოწაფე იგზავნებოდა მოსკოვის სასულიერო აკადემიაში უმაღლესი სწავლის მისაღებად. 1877 წელს სამმა დაამთავრა ერთნაირი ნიშნებით. პირველ რიგში რუსი გავგავენეს, მეორე—ბერძენი, ძალიან სწუხდა ვასილი, უნდოდა სწავლის განგრძობა. უთხრეს: თუ მოახერხებ, ნახეარ ხარჯზე გავგზავნითო. ეცადა, გზის ფული ეშოვა, შეუთვალა მშობლებს, რომლებმაც გზის ხარჯი იკისრეს, მაგრამ ამაზე რაღაც გაუგებრობის გამო არ მოუვიდა. დადარდიანებული წამოვიდა საზაფხულოდ თავის მშობლებთან კოდაზე, ისინი მიეგებნენ, კურსის დამთავრებამდე ულოცეს, მაგრამ ვასილმა გულაწყვერით უთხრა: „რად მინდოდა ასეთი დამთავრება, თუ აკადემიაში არ წავიადოდიო“. მთელი ზაფხული გაატარა თავის პაპის ოთახში წიგნების კითხვაში, საღილადაც არ გამოდიოდა, ისე იგლოვა აკადემიაში წაუსვლელობაო.

ერთი წელიწადი დარჩა ვასილი თბილისში სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველად. სემინარიის ინსპექტორს გამოეძახა და ეთქვა მისთვის, რომ ამ წელს (1878) აკადემიაში გასაგზავნი არეინ გეყავს და შენ გაიგზავნებო. მართლაც 1878 წელს გაიგზავნა ვასილი მოსკოვის აკადემიაში. საუკეთესოდ დაიჭირა გამოცდა და სახელმწიფო ხარჯზე მოჰყვა. თითონ წერს („სამწუხრო ღიმი“): „მხოლოდ რჩეულებს გზავნიდნენ აკადემიაში, მაგრამ ესეც საკმარისი არ იყო, საჭირო იყო რამდენიმე გამოცდის დაჭერა, ორმოცდაათ კაცამდე იღებდნენ ყოველწლიურად აკადემიაში, აქედან 26 საეკლესიო ხარჯზე მიიღებოდა. სიას ნიშნების მიხედვით აღგენდნენ, თხზულებების ნიშნებს ოთხზე ამრავლებდნენ“.

ვასილი მეთხუთმეტე მოხვდა, ე. ი. სახელმწიფო ხარჯზე. ხუთზე ჰქონდა დაწერილი თხზულება ფსიქოლოგიაში—„ცნობიერების არის სივიწროვე—ჰერბარტის თეორია“.

ვასილი ყოველთვის დიდი აღტაცებით იგონებდა სტუდენტობის ხანას მოსკოვის აკადემიაში. ამხანავ სტუდენტების და პროფესორების სურათების

მთელი შეკრულობა ჰქონდა, თვითფულზე სიყვარულით მოვეყვებოდა ხოლმე-
განსაკუთრებით იგონებდა ვასილი ობრაზცოვს, თავის საუკეთესო მკვობარს
აკადემიაში.

„სამწუხრო ღიშში“ წერს: „თითქოს სისმარი სავსებით ამისრულდაო:
მშვენიერი სასახლე ორ ბაღ შუა, ფართო ოთახები, თუ დარბაზები, ტანისა-
მოსი შეფერვული, რჩეული სასრდლობა უხვად. ცხოვრების ყოველდღიური
ყოფის ზხრივ მეტს ვერაფერს ვინატრიდით სტუდენტები“. განსაკუთრებით
იგონებს სწორედ იდეალურ ბიბლიოთეკას, ორი დიდი სახლი გამოკედილი
იყო რჩეული წიგნებით, ამ ბიბლიოთეკამ ოთხი წლის განმავლობაში გამო-
უსვლელად დააბა აკადემიაში. ოთხი წლის განმავლობაში სანუშობლო არ
უნახავს. მთელ თავისუფალ დროს წიგნების კითხვას ანდომებდა და თითონ
ამბობს „არც კი წუთონილაო“.

მოსკოვში ვასილი აკვირდებოდა იქაურ ყოფა-ცხოვრებას. თავის ამხა-
ნავ ვასილ ობრაზცოვთან ერთად დადიოდა „ობეჟორნი რიადში“, სადაც
გაუმასპინძლებდნენ „ცხოვრების ნაღვეებს“ ცოტაოდენი სანოვებით და
არაყით, ისინიც უამბობდნენ თავიანთ თავგადასავალს.

ზოლას თხზულებები „ობეჟორნი რიადში“ აქვს წაკითხული თავის მე-
გობარ ობრაზცოვთან ერთად, რომელიც მშვენიერი წამკითხველი ყოფილა.

ვასილი აგრეთვე სწორედ სტუმარი ყოფილა ხოლმე ვასილის დედათა მონასტერ-
ში. მონასტრის წინამძღვარ ქალთან თბილისიდან წერილი ჰქონია და, რო-
ცა აკადემიაში მოწვევდებოდა, იქ მიდიოდა. სასტუმრო ოთახი მსთვის მუ-
დამ მზად იყო, რამდენსაც მოსურვებდა, იმდენ დროს დარჩებოდა; მისი
მოგონება მშვენიერ მოლოზან ქალზე და სავანე პარაკლიტზე ცნობისმოყვარე
ახალგაზრდის დაკვირვებანაო.

ვასილი ეცნობოდა სერგის პოსადთან ახლო მდებარე სოფლების გლეხ-
თა ცხოვრებას. ჯან-ღონით სავსე ახალგაზრდის ძლიერი ბუნება მოითხოვდა
ფიზიკურ ვარჯიშს. ხშირად მთელ დღეს გაატარებდა გლეხებთან მკაში და
სიღამო ხანს მათთანვე ისმობებდა.

ვასილის მოსკოვში ყოფნის დროს აკადემიისა და უნივერსიტეტის ქართ-
ველ სტუდენტებს მეგობრული ურთიერთობა ჰქონიათ. ვ. ბარნოვს აწე-
რილი აქვს „სამწუხრო ღიშში“ ერთი შეხვედრა—ქეთი სერგის პოსადთან
(სადაც აკადემია იყო) ახლო მდებარე ნაძენარში. ბევრი სიტყვები წარმოუთ-
ქვამთ უნივერსიტეტისა და აკადემიის სტუდენტებს: „ვეთქვით და ვეთქვით.
რამდენი რამ აღუთქვით საწველ საქართველოს!“ ეს შეხვედრა საგულის-
ხმოა.

მამას აკადემიის სტუდენტებთან აერთებდა გულთბილი მეგობრობა და
ნდობა. ვასილი ძალიან ჰყვარებოდა ამხანაგებს; მისი ხაამბობიდან ვიცი, ბევრ-
ჯერ მათთვის თხზულებებიც უწერია, წერა ეტერხებოდა.

ვასილს ერთი მოზრდილი ვერცხლის საათი ჰქონდა თავისი ძეწვეით.
ღიშლით იტყოდა: ეს საათი შე არასდროს არ მქონდა ჯიბეზე, მუდამ ღი-
ვირავებული იყო ამხანაგების მიერ. მოვიდოდნენ, მეტყოდნენ: „Захарич,
дай часы заложить, деньги нужны“.

სხვათა შორის, აკადემიაში თითონ მასწავლებლის დაუხმარებლად შეისწავლა ფრანგული ენა იმდენად, რომ თავისუფლად კითხულობდა და სარგებლობდა ფრანგული წყაროებით, თარგმნიდა კიდევ ფრანგულიდან.

ვასილ ბარნოვი მოსკოვის აკადემიის ისტორიულ ფაკულტეტზე სწავლობდა. ლექციებს კითხულობდნენ საუკეთესო პროფესორები: კულრაიცივი, ცუბედიანსკი, ვანთქუელი კლუჩევსკი, რომლის დიდი პატივისმცემელი იყო ვასილი.

სამაგისტრო თხზულება დაწერა თემაზე „პასკალი იესუიტების წინააღმდეგ“. სამაგისტრო თხზულებადვე დაწერილი ჰქონდა: „იელიანე განდგომილი“ (ორივე ინახება ვასილ ბარნოვის არქივში). თხზულების „პასკალი იესუიტების წინააღმდეგ“ ვაფართოვებას აპირებდა, მაგრამ ეს ვერ მოხერხდა. ამისთვის საფრანგეთში წაიქცა სპირდებოდა, იქ ეგულებოდა წყაროები, რომლებიც რუსეთში არ მოიპოვებოდა, საფრანგეთში მუშაობა განხრახული ჰქონდა მონთბანის მონასტერში, სადაც იმყოფებოდნენ ქართველი ბენედიქტინები.

ვასილ ბარნოვი აკადემია დაამთავრა 1882 წელს. მისი სიტყვით, იმ ვარემოებებში „ეს ადვილი არ იყო, ძნელიც იყო. კი არ წამოვედი, გადმოვეფრინდი... ერთი მწვევე ახრი ტრიალებდა თავში: ვაფართოვებ, მიხანს მივალწვი, მაგრამ მოიპაქეს რაზე ჩემ ღამაზ სამშობლოსათვის?“

მას ბევრი რამ იტაცებდა და განსაკუთრებით შემოქმედებდა. ამიტომ მან აირჩია პედაგოგობა — პროფესია, რომელიც მეტ თავისუფლად დროს მისცემდა შემდეგში, რომ ეს დრო გამოეყენებინა თავისი საყვარელი ხელოვნებისათვის, მწერლობისათვის.

ვასილ ბარნოვის მეუღლე — ნინო ბენაშვილი

რექტორ ჩუდდუკის სემინარიელ ლადიაშვილის მიერ მოკლის შემდეგ ვასილ ბარნოვი გადაყვანილი იყო თელავის სასულიერო სასწავლებელში მასწავლებლად 1886 წ.

დედაქმნი — ნინო ბენაშვილი რუსეთში სწავლობდა ე. წ. „კეთილშობილ ქალთა სასწავლებელში“. ახლად კურსდამთავრებული 1894 წელს ჩამოვიდა თელავში. იქ შეხვდა მამ. ჩემს. მოთხოვნა „ილუსია“ მაშინვე უძღვნა ამ პირველ შეხვედრას თელავის ძველ ბულვარზე: „ვახაფხული იყო... მთვარე არხინად მიცურავდა ცის კაბადონზე, ისე ანათებდა დალოცვილი თითქო შხეს ეცილებოდა ბრწყინვალეობაში... ვნახით, ჩემს პირდაპირ მოდის სულ ახალი სული. შევდგე გაშტერებული. ვანი ქალი იყო: მოვარეს მოსწყენოდა ცაზე განმარტოება, ძირს ჩამოსულიყო ხალხში სამყოფად, შაპო მკლავზე გადაეკიდა. თმა შეკონილი არ ჰქონდა, შემოხვეული: ღახტებად გადაეშვა მძიმე ნაწნავები — ვარსკვლავი ხომ გინახავთ ბლომად სხივიმდენებული, კუდიანი ვარსკვლავი საიშვიათო? იმისი სხივები თმად აეკრიბა პირმანგს საღამაზოდ... ვაციანი, გამოვები ნაწნავთ ბოლოზე უწყვეტი ჯაჭვით ხელემშეკრული...“

თავის ურთიერთობას, ხანგრძლივ გზას სასურველი მისნის მისაღწევად ასე ასწერს ვასილ ბარნოვი: „თითქოს თანდათან ღებებოდა მისი გული ჩემ-

თვის: მიახლოვდებოდა, მეტყვოდა, გამომკითხავდა; ათასში ერთხელ სასიერ-ნოდ გამომყვებოდა“...

ე. ბარნოვის მოწაფე ნუცა გოგოლაძე მოგვითხრობს: „დედათქვენი მახსოვს ჯერ გასათხოვარი. მშვენიერი ქალი იყო. თეთრი, იშვიათი ღამაში ფერი ჰქონდა სახისა, ლოყები პირისფერი; დიდი თმა—წაბლსფერი—მოქერაო ნაწინავები, მამათქვენი მშვენიერი შესახედი ვაჟაკი იყო, ზორბა. თავი ყოველთვის მაღლა ეჭირა; მკიშე, დინჯი ნაბიჯი ჰქონდა“...

„ძალიან ღამაში იყო წინა, ბელოსტოკის ინსტიტუტიდან რომ ჩამოვიდა. მახსოვს, მოცისფრო ქიშმირის კაბა ეცვა ნაკეცებიანი, დიდი შლიაპა ეხურა, მორთული. ორი დიდი ნაწინავე ჰქონდა მჯჯის სიმსხო, ღია წაბლისფერი... 20 ივნისს ჩამოვიდა, მეზობლებმა ალუბლის ტოტები მიართვეს, რომ ესიამოვნებინათ. იმ ღამეს ვახშამი გვქონდა, სტუმრები, ხალხი დაგვესია“...

„ოთხი წელიწადი დასდევდა ვასო წინას. მშვენიერი, კობტა ვაჟაკი იყო, სერთუქში იყო ხოლმე გამოწყობილი, აკადემიური ნიშნით, დღესასწაულში ფრაკს იცვამდა“ (თამარ ბენაშვილის, დეიდაჩემის მოგონებებიდან).

ბებიაჩემის ნაამბობიდან ვიცი: მამა მათთან პირველად სტუმრად რომ მისულა, ყვავილნარში უნახავს დედა. დედა პირდაპირ ტრფიალი იყო ყვავილებისა: ბალში თვითველ ყვავილს უაღერსებდა.

მოთხრობა „სეკლის საგუბარი“ აწილობრივ ავტობიოგრაფიული ხასიათისაა. გულნახის სახით დედაჩემი ჰყავს გამოყვანილი:

„ყვავილნარის ერთ კუთხეში თვალი მოჰკრა ნორჩ არსებას. პირისფერი კაბა ეცვა ქალწულს, ალი ბაფთის სარტყელი ერტყა, გვერდზე დუნედ შეკრული, ფოჩებ ჩამოშვებული. მოწითალო ფერის მსუბუქ წულეებზე იდგა კონტად; იმავე ფერის წინდის ბადეთნაქსოვი მაღალი ყელიდან განიცდებოდა თეთრ-წითლად შეფერილი სურათი წვივები. ერთი ნაწინავე მკერდზე გადმოსტურებოდა, მუხლზე სცემდა ბოლოგაშლილი, მეორე ბეჭებზე ჰქონდა მძიმედ გადაგდებული. აშლილი კულულები შარავანდებდა მოდებოდა მის სპეტაკ შუბლს. ქალწული იდგა ისარივით სწორედ აზრდელ ვარდის ღეროსთან, რომლის თავს ახლად გადებულ იყო ყვავილი სურნელი. თითონაც ნახი ყლორტივით ლაღად აზრდილი თავს დაცქეროდა ვარდის ტოტს, ფურცლებს უსწორებდა მის ყვავილებს. კაბის განიერი სახელოები ძირს ჩამოშვებოდა და გაეძარცვა მარმარილოს მკლავები... პირს უქროდა ღიმი სიამისა... ვარდს დასცქეროდნენ მისი თვალები, ვაჩნა შორს უყურებდნენ, ძლიერ შორს, ოცნებათ სამფლობელოსკენ მიქცეულნი“.

ვასილ ბარნოვი თავის გულის ნადებს ათქვეყნიებს მოთხრობის გმირს: „ვანა ბედნიერება არ არის გამოუთქმელი უნაკლოდ ჰპოვო სინამდვილეში შენი ოცნება განსახებული... ეს იმ ნეტარების ნასახია, რომელი არს უქცნობი, გარდუკალი სამარადისო...“

„სულთა კავშირი“ დაწერილია დედას სიკვდილის შემდეგ, 1924 წელს. დედა გარდაიცვალა 1921 წელს, 27 მაისს.

ეს რომანი მამამ თავისი ხელით ჩაწერა დედას ინსტიტუტის ალბომში, ამ რომანში ბევრი ეპიზოდი აღებულია ჩვენი ოჯახის ცხოვრებიდან, დედაჩემის პიროვნების შემოქმედებითი ასახვა გულნახი:

„ზაფხული იყო. შვილები ყველანი გარს ეხვეოდნენ... უფროს დას ჰგვანდა მათ შუაში. ახალგაზრდულ ალტაცებს დაპნაცვლებოდა მზრუნველობა ჩაუთქრებელი. მისი თვალები ჰპატრონობდნენ მთელ მის სახესა და იგი სახე იმით შუქის სანახებად გარდაქმნილიყო. მგზნებარ სხივით ნაშუქებით თვალთა მორგევი სხვებსაც უნათებდნენ სავალ—სადენს“. —საკვებით დედაჩემის პორტრეტი.

„...სალამო ხანი იყო ეზოში გამოფენილიყენ შინაური თუ სტუმრები... ეზოს ამშვენებდა ტურფა სავარდე, ყვავილებს ზე აღეპართათ კრელი თვალები და შეპირნივიდნენ ლაქვარდ სივრცეს, ჩაჰავალ მსესა. ქალებს მათთვის აერთმით სიკვლუცე თუ მორთულობა... აყიროს ფოთლით მწვანედ მოცულ ვალავანთან ბაღლები ცალკე... სტკებოდა ოთარ [ამ შემთხვევაში ვასილ ბარნოვი] სიკეთით, რომელიც დისახლისის სახით დავანებულიყო მის კერაზე, ეზო-ყურეში, მის სულში, მთელ არსებაში. აივანზე იყო ოთარ თავის მეგობრებთან, თანაც თვალს არ ამორებდა თავის ეზოში გარდაფენილ სანახაობას, იგი მისთვის ძვირფასი იყო: თუ შეადგენდა მის არსების გადაფურჩქნას, მის განგრძობას სხვა სივრცეებში...“ („სულთა კავშირი“).

ეს ამონაწერი თელავში სტუმრობის სურათთა ჩვენს ოჯახში, და ჩვენი ეზო-ყურისა (ლეონიძიანთ სახლში ეცხოვრობდით). თვით აყიროცი, დათესილი ვალავანთან, მოხსენებულია.

ამ აღწერილობაში ჩართულია მამას ვანცდები მისი კერძო ბედნიერება და თაყვანისცემისა დედაჩემისადმი.

დედაჩემი შთამგონებელი მუჯა იყო მამასთვის. ბევრჯერ უთქვამს, რომ, ვიდრე დედაჩემს შეხვდებოდა, ნამდვილად არ იცოდა თავისი ხეიდრი. მისთვის ნათელი არ იყო შემოქმედების გზა. მრავალი სურათი ეხატებოდა მის გონებას, მრავალი სახე ასდევდა, ირეოდა მისი ცნობიერების არეში, მაგრამ ყველაფერი ეს ქაოტური იყო.

ძლიერმა სიყვარულმა დედაჩემისადმი ნათელყო მამასთვის მისი მისწრაფება, ჰარმონია შეეცანა იმ მრავალი სახის არეში, გარს რომ ეხვეოდნენ. დაალავა ისინი, შემოქმედებითი ძალები გაულფდა.

მატკრულ ნაწარმოებთა თარიღებიდან ჩანს, რომ მისი ნამდვილი შემოქმედებითა მუშაობა დაიწყო შეუღლების შემდეგ.

მანკლისი

1910 წელს ვასილ ბარნოვი თელავიდან აბილისის სასულიერო სემინარიაში ქართული სიტყვიერების მასწავლებლად გადმოიყვანეს. 1911 წლის დასაწყისიდან ჩვენი ოჯახი თითქმის ყოველ ზაფხულს საავარაკოდ მანკლისში იდიოდა. მამას ეგავრებოდა ავარაკზე წასვლისათვის მზადება—ოჯახის აშლა, ჩაბარგება. ავარაკზე ვასვლა კატაისტური ჩვეულებააო, ამბობდა ხუმ-

რობით, ჩვენ მომთაბარეთ ვედრებითო, როცა სიძნელენი ძლეულნი იქნებოდა, მაშინ უხაროდა ავარაკზე ყოფნა. საუკეთესო ავარაკს დაევიტრიაგებდით შიგ ტყეში ან ტყესთან აბოო, მამა გამართაივდა მაგიდას ფიქვებ ქვეშ, იქვე ვამაკს ვააბამდა და დლით აღრიიანადვე იქ წერდა, როდესაც ჩვენ გავდინა.

მამას ტყე განსაკუთრებით უყვარდა, ალბათ იმიტომ, რომ ბავშვობა ერთწოში ვაატარა, ხალაც მათი სახლი თითქმის ტყეში იღვა. შორს ტყეშიც ხშირად წაჰყვებოდა თავის მამას. ბავშვობის მრავალი ზოგონება დაკავშირებული ჰქონდა ტყესთან. ტყე ბოლომდე უყვარდა მამას. ზოგჯერ დღით სიამის ღიმით იტყოდა, წუხულ ტყე ერთხელ სისმარში და სახე გაუნათლებოდა.

მანგლისში მამას ხშირად დაჰკავდა ჩემი და-ძმები ალგეთზე სათევზაოდ. ტყეში ჯობებს დაჰრიდნენ, შეილდ ისრებს დაუკეთებდა, საინტერესო ხის სოკოებს, ტალს, ალგეთის ქვას მოიტანდნენ. ასეთი ექსკურსიები ძალიან უყვარდა.

ზაფხული მამასთვის ნაყოფიერი დრო იყო სამწერლო მუშაობისათვის, რადგან, როგორც პედაგოგს, ზაფხული თავისუფალი ჰქონდა; მასზე ყოფილთვის დიდ იმედებს ამყარებდა. წინათვე ვარაუდობდა, რომელ რომანს ან მოთხრობას დაწერდა ამ სიიდან, ხალაც ჩამოწერილი ჰქონდა ჯერ დაუწყებულ ნაწარმოებთა სათაურები.

1915 წლის ზაფხულს მამა შეუდგა რომანის „ტრფობა წამებული“-ს წერას. ათიოდე დღის ჩასულები ეიქნებოდით, რომ მამამ დააპირა ჩვეულებისამებრ ალგეთზე წასვლა. მამა და ბავშვები მომზადებულნი ზადით, ნემს-კაყვებით ეზოდან ვადიოდნენ, ამ დროს კოლიდან ცხენით ძია სოლო ჩამოვიდა. ძია სოლო ჩვენ პაბად გვეკუთვნიდა, შავრამ სულ ორი-სამი წლით იყო მამაზე უფროსი და ჩვენ ძიას ვეძახდით. ძია სოლო მამას ბავშვობის მეგობარი იყო, ერთმანეთის დიდი საყვარული და პატრონიცაა ჰქონდათ. ალგეთზე წასვლა ვადიდო საბედნიეროდ, თურში ორივე ჩემ ძმას ქუნარიუა ჯანში ჰქონდათ. ალგეთში რომ ებანავით, ვაუროთულდებოდით, ავადმყოფობა ისეც ძნელ ფორმებში შეგხდათ. ის ზაფხული დედამ და მამამ ჩაეტკილში ვაატარეს, მხოლოდ სექტემბრის შუა რიცხვებში წამოვიდით მარეღისიდან.

ასე, „ტრფობა წამებული“, რომელიც 1915 წლის ზაფხულს უნდა ეწერა, შეიღების მძიმე ავადმყოფობის გამო ვადიდო. თითონვე იტყოდა ხოლმე: ამ რომანს ბედი არა ჰქონდაო. 1918 წელს, როდესაც ამთავრებდა რომანს, ახლა მე ვაგხლდი მძიმე ავად, ძლიეს ვადამარჩინეს, დედას ავადმყოფობაც დაერთო ჩემსას. ბევრჯერ უთქვამს: ის ვერ დაეამუშავე რომანი, როგორც მინდოდაო. თითქოს ეშინოდა ამ რომანისათვის მოეკიდა ხელი, ისეთ ძნელ ვანცდებთან იყო დაკავშირებული.

„ტრფობა წამებული“ მამამ 1918 წლის დეკემბერში დაამთავრა, რომანი პირველად ვახეთში დაიბეჭდა 1919 წელს. მისი ბეჭდვა ვაკიანურდა, სულ პატარა თარგებად დაქუცმაცებული იბეჭდებოდა.

მაგონდება რამდენიმე მომენტი ამ რომანთან დაკავშირებით:

ერთხელ მამას კაბინეტში ვკითხულობდი რაღაც წიგნს, მამამ მომიწოდა

წიგნი „Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии“, გადაშლილი გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაზე. წაეკითხე და უნებლიეთ ყურადღება იმ ადგილს მივაქციე, სადაც აშოტის სიყვარულის ამბავია მოთხრობილი. ვუთხარი მამას: ხომ კარგი თემაა რომანისათვის. სწორედ მამას განეზრახა მასზედ დაწერა.

ამ რომანზე მუშაობის პერიოდში მკითხა, ვიცი თუ არა იეფაის ქალის ამბავი ბიბლიიდან. მე კარგად მახსოვდა. შემდეგ შემეკითხა, კარგი იქნებაო თუ არა, რომ იეფაის ქალის შეხვედრა მამასთან გამობატული ყოფილიყო სასახლეში დარბაზის კედელზე, მე ძალიან მოვუწონე. რომანში აშოტი იეფაის ქალს ახატვინებს და იეფაის ქალს საყვარელ ქალის სახეს მიაცემინებს.

ერთხელ, როცა მამა რომანს ასწორებდა გამოცემისათვის, ლაპარაკი ჩამოეყარა აშოტის სატრფოს დასახინარებაზე. მამამ გვიამბო წმ. ქრისტეფორეს ცხოვრება. წმ. ქრისტეფორე მშენიერი კაცი ყოფილა. როდესაც ის ქრისტეს სჯულს ჰქადაგებდა, ქალები უფრო მისი სილამაზის სანახავად მიდიოდნენ. ეს იყო „ცდუნება“. ქრისტეფორემ ილცა და მას ძაღლის სახე გამოება. ამ აგიოგრაფულ ნაწარმოებში, მამას ანალიზით, წმ. ქრისტეფორეს სილამაზის სიმახინჯით შეცვლის ამბავი—სელოვნური დამახინჯების ფაქტია. ეპიზოდი შექაის უეცარი სიკვდილისა სილამაზის დაკარგვისათან ერთად გამოძახებია წმ. ქრისტეფორეს ცხოვრების ანალიზისა.

შემოქმედების დროს მამა მთელი თავისი არსებით გადახული იყო იმ ეპოქაში, რომელსაც აღწერდა, ხედავდა თავის რომანის გმირებს, ესაუბრებოდა მათ. „ტრფობა წამებულს“ რომ წერდა, ერთხელ დიდის სინანულით ვეითხრა: „აშოტის სიმღერა ვევიკონგო, ნაწილი ჩავწერე, ნინას რომ არ დაეძახა ჩემთვის, სულ ჩავწერდიო“. შეძლებშიც სინანულით იგონებდა, რომ ეერ მოასწრო აშოტის სიმღერის ჩაწერა...

მანგლისშივე დაწერილი, მაგრამ უფრო ადრე (1912) „მიმქრალი შარბანდელი“.

1913 წელს მანგლისში გვექირა აგარაკი შიგ ფიქვნარში, აღვეთს რომ გადაპყვრებს იმ მხარეს, ჩვენი აგარაკიდან თავქვე რომ დაპყვებოლით აღგეთსაცენ, ყანებში იყო „შარათთან წყარო“. მამას ციცი-ცივი წყალი ჰყვარდა. ხშირად ღამის 10—11 საათზე იღებდა სურას და ამ წყაროზე ჩავიდოდა წყლის მოსატანად. შინამოსამსახურეს ამ დროს ეძინა.

ძვილი მანგლისის ტაძრის და ფიქვნარის შთაბეჭდილებების ზეგავლენით აქეს დაწერილი „ნაძენარის დევი“, „აღკტი“.

1930 წელს მანგლისში მამა უკვე ავადმყოფი წაეყენათ, ერთხელ როდესაც მამა უკვე მოკეთდა, ჩვენ: მამა, მე და ჩემი ძმა თეიმურაზი ერთად წავედით ტყეში. ჩვენ ტყის პირას დაეჯექით. მამა მარტო შევიდა შიგ. გვევონა იქვე ახლოს გაივლიდა, თურმე შორს წასულიყო. კარგა ხანმა გაიარა, არ გამოინდა, მე და ჩემი ძმა უკვე ვწუხდით, რადგან მამა ნაავადმყოფარი იყო. ბილიქს თვალს არ ვაშორებდით. გამოინდა მამა ჯობით ხელში, კმაყოფილი, გამარჯვებული სახით მოდიოდა. ხელში ტყის ყვავილები ეჭირა, ვრძელ ყვავილოვანი პალახები, სახე აწითლებული ჰქონდა, დაღლილიყო. თითონაც იგ-

რძნო, თქვა, რომ გული დაეღალა. ეს იყო მისი უკანასკნელი პაემანი საყვარელ ტყესთან.

ყოველ ღღე საღამო ხანს დავდიოდით ფეკენარში და ვისხედით ტყის განაპირას, სოფლის მხრივ („ბუდიონოვკა“), სადაც ყანებია. ყანებს შორის მიდიოდა გზა ტყისაკენ, ჟანის თვითიული ყვივილის სახელი იცოდა მამამ. უყურებდით ალგეთის ხეობას, გოხნარის მთას, სადაც ასეენია „გულდამაანთ მამიდა“. თქმულება „გულდამაანთ მამიდაზე“ გამოყენებული აქვს მამას რომანში „ტრფობა წამებული“ და აგრეთვე „ნაძენარის ღვეში“.

თ. ხახოკია

ვისილ ბარნოვი

ვისილ ბარნოვს ვიცნობდი 1882 წლიდან, როცა ის მოსკოვის სასულიერო აკადემიაში ახლად კურსდამთავრებული, ასე 25 წლის ვაჟაკი, გაამწესეს სამეგრელოს სასულიერო სასწავლებელში (ახალ-სენაკში) სასწავლებლის ზედამხედველის, ამბროსი ხელაშვილის, თანაშემწედ.

ეს ის დრო გახლდათ, როცა მოწაფეებმა არამტოვ გადმოცემით ვიცოდით, არამედ, პირადად, ჩვენის თვალთ გვიყურებია, როგორ ათვისებინებდნენ „სწავლის მძებნელთ“ წკეპლის საშუალებით წერა-კითხვას და თვით გავწეპლილვართ კიდევც...

ეს სკოლაში შესვლამდე, ხოლო სკოლაში შესულნი წკეპლას არ მოვსწრებდით, მაგრამ სიმინდის მარცვლებზე დაჩოქება, სახაზავით ხელის გულების აწითლება, ყურების მასაჟი, დაქორცვა—ვევლასათვის ბუნებრივად და საჭიროდ მისაჩნევ და წასაქებებელ ხერხებად ითვლებოდნენ სწავლის შესათვისებლად.

თავისთავად იგულისხმება, რომ თვით პედაგოგები უნდა ყოფილიყვნენ მრისხანენი, მარად შუბლშეკრულნი, გამწყრალნი, მბრძანებელნი, თითქო მომაკვდინებელ ცოდვიდ და დანაშაულად ჩაეთვლებოდათ, ტკბილი სიტყვა რომ წამოსცდნოდით, მოლიმარნი და შუბლგახსნილნი მოწაფეებს რომ სჩვენებოდნენ...

სასწავლებელი ორ ერთი-მეორეს გადაკიდებულ, ერთი-მეორეს მოწინააღმდეგე ბანაკად იყო დაყოფილი: ერთის მხრით სასწავლებელნი—ლაუქინარი მტრები მოწაფეთა და მეორეს მხრით—მის პირისპირ მდგარი მოწაფენი, ანუ დიაკვნები, როგორც მაშინ ვეძახდნენ სასულიერო სასწავლებლის მოწაფეთ, რადგან სასწავლებლის კედელთა შორის ყოფნა უდრიდა სადიაკვნო პერიოდს, ხოლო მისი დასრულება დამსრულებელს უფლებას ანიჭებდა მღვდლის ანაფორით შემოსილიყო, მრევლის „სასულიერო მწყემსი“ და ტრაპეზის მსახური გამხდარიყო. სწავლების ეს წესი ტრადიციით მოდიოდა მონასტრებიდან, სადაც ბერების ხელში იყო სწავლა-განათლების საქმე მომავალ სამღვდელთა და რომელთა (მონასტრების) გავრძელებად ითვლებოდა სამოც და სამოცდაათიან წლებში სასულიერო სასწავლებლები საქართველოში.

აი, ასეთს ატმოსფეროსა და ასეთს გარემოში, ჩვენის სასწავლებლის ცისკილურზე გამოჩნდა ახალგაზრდა კაცი, წარმოსადგვი, შეტად სათნო სახისა, რომელსაც კინი მრისხანებისა არ ეტყობოდა, მაგრამ არტოვ იმას გვიჩვენებდა.

ნება: წათამამდით, დამიშინაურდითო. მასწავლებელთა წინაშე კრძალვასა და ძრწოლას ჩვეულთ, ახალი მასწავლებლის რიდი გვექონდა, მაგრამ რიდი, რომელსაც ჩაქსოვილი ჰქონდა პატივისცემა, თავაზი, მოკრძალება, რომელიც უნდა გადაქცეულიყო გულწრფელ სიყვარულად და მამაშვილურ გრძნობად, რომლის შერყევა არაბრას შეეძლო და რომელიც თან უნდა ჩაგვეყოლოდა სამარეში.

ორი წლის წინადაც გვეყავდა ასეთი მასწავლებელი—პოლიევქტო კვიციანიძე და მას შემდეგ პირველად მოგვევლინა ვასილ ბარნოვი, რომელიც, უწინარეს ყოვლისა, აღამიანი იყო, ამ სიტყვის სრულის გაგებით და რომელმაც გვაგრძნობინა, რომ ისედაც გაჭირებულთ მასწავლებლის მხრით უადრესად ფეხის დაჭერა არა გვეჭირდებოდა; გვაგრძნობინა, რომ პირიქით—ჩვენთვის ავტოლმბელი იყო ჩვენება გულკეთილობისა, თანაგრძნობისა, გაჭირების შემსუბუქებისა, ხელის შეწყობა ლელოს გასატანად, გვაჩვენა, რომ ჩვენი დამოკიდებულება უნდა დამყარებულიყო ურთიერთ სიყვარულზე, ურთიერთ პატივისცემაზე, ურთიერთ შეტკობაზე.

ორი წელიწადი ისე გავატარე ვასილ ბარნოვის ხელში, რომ ვაჯავრებული და გასაწყრომად ხმაამაღლებული ერთხელ არ მინახავს. თუ ვინმე მის საწყენს ჩაედენდა, ერთს თავისებურად ისე გადმოხედავდა შავ, ლამაზ და იშვიათის სიკვდიანისა და შორსმჭკრეტელობის გამომეტყველ თვალებით, ოქროს სალტეებიან სათვალეებს ზემოდან, რომ ეს გადმოხედვა სავესებით ქმარებულიყო უსიამოვნობის მიმყენებლისათვის.

ყველას პატივისცემელი, ყველას მოსიყვარულე იყო და კიდევ ამიტომ არაივისა სმენია როგორც სასწავლებლის ამხანაგებში, ისე საზოგადოებაში ვინმე უპატივცემულოდ, უხამსად მოპყრობოდა. საზოგადოება ხედავდა ნამდვილ ინტელიგენტს, უყვედრებელს, უნაკლულს, წუნდაუდებელს, ყოველის ღირსებით სავსეს. მშობლები, ვისი შეილები ბედ-იღბალიც ებარა ვ. ბარნოვს, დიდად აფასებდნენ მის ზრუნვას ყრმათათვის.

პროვინციაში ჩავარდნილ ინტელიგენტთა ერთი ნაწილი გატაცებული იყო ბანქოს თამაშით ან მაგარი სასმელების სმით. ვასილ ბარნოვმა ისე გაატარა სენაკში სამი წელიწადი, რომ მისი ხელი ბანქოს არც გაჰკარებია და არც ლეინო სათრობლად უგვმნია. ყველას უკვირდა: კაცი აკადემისტია და ქაღალდს არა თამაშობს, ლეინოს არ ეწყობა, თუთუნს არ ეწყეო! მისი ხსიანის სიმტკიცე ყველას აკვირებდა.

სამი წელი ისე გაატარა სენაკში, რომ ერთი მომდურავი როგორც სასწავლებელში, ისე საზოგადოებაში ვას. ბარნოვს არაივინა ჰყოლია. პირიქით, ყველას მარტოოდენ მისი ქება და მადლობა ამოსდიოდა პირიდან. ისეთი სახელი კაციატობისა, შეგნებულ და უმწიკვლო მოქალაქისა სენაკში იმ დროს არაივის დღუმსახურებია.

საკმაო დრო იყო ვ. ბარნოვისათვის ეს სამი წელიწადი პროვინციაში დასარჩენად. მისი გული მიიწვიდა თბილისში, რომ სხვებს, უკვე საზოგადო

ასპარეზზე გამოხლული გვერდში ამოსდგომოდა, თავისი მომზადება გამოეჩინა, იმასაც გაეღო თავისი წილი საზოგადოების წინაშე სამსახურისა.

ამა, 1835 წელს კიდევ ასერხებს ტფილისის სასულიერო სემინარიაში ინსპექტორის თანაშემწედ გადმოსვლას. ამ თანამდებობაზე მუშაობა მისი თავმოყვარეობისათვის დიდიღე შენაღ�ეელი იყო, მაგრამ ურიღვდებოდა იმ იმედით, რომ რაკი ერთიღდერთი მოიკიდებდა ფეხს ტფილისში, უკეთესი ადგალის შოენა უფრო მისასბერხებელი იქნებოდა.

ვ. ბარნოვისათვის თავიღათავი იყო, მოქცეულიყო ტფილისში, ჩენის გონებრივისა და საზოგადოებრივის ცხოვრების შუაგულში და ჩენის ისტორიკოსის დამ. ბაქრაძის ზღმძღვანელობით საქართველოს ისტორიის კვლევაძიებაში ჩაბმულიყო. მაგრამ თავისი თანამდებობა არ აცლდა სემინარიის ზღუღეთა გარეშეღ გაღდეტანა მოქმედების ასპარეზი. თანაც, როგორც ქართულს, აღმაცერად უყურებდა სასულიერო მთავრობა და კერძოდ სემინარიის ზღმძღვანელობა; ორგულად მიანწღათ და მცირე საბაბსაღა ეძმღღენ თავიღას მოეშორებინათ ეს სემინარიისათვის არასასურველი ელემენტი.

ზღღდატანებაზე, სასწავლო წლის ვასულს, 1836 წლის მაისში, სემინარიის ნამოწავარი იოსებ ლღღაშვილი სატევერითა ჰკლავს სემინარიის რექტორის ღღკანოზს პავლე ჩუღდეკის, რასაც მოჰყვება შეგირღობის მოწინავე ნაწილის ღღთხოენა. ამით მიყოლეს საბღღაგოგო პერსონაღღიღან ვას. ბარნოვიც, რომელიც თღღავში გაღღაიყენეს სასულიერო სასწავლებლის რუსულის, არითმეტიკისა და გეოგრაფიის მასწავლებლად.

თღღავში ბინის დაღებიღან იწყება ვასილის ცხოვრების მეორე პერიოღღი. პერიოღღი, როღღესაც ფრთა გაშალა მისმა როგორც მწერღღის ნიქმა. იგი გაშოწნდა როგორც აქტიური წვერი საზოგადოებისა, მისთვის მზრუნველი, მისი მოამღვე, მისის ლხინით მომღღენი, მისის ჰირითა თუ ტკივიღღით გაქორებული და ნატენი.

ვ. ბარნოვი თღღავის სასულიერო სასწავლებელში მისთვის ჩეუღღის საღღისანობით ეწვევა ყრმითა აღზრღღის საქმეს. გაცღღენა ვაკეითღღებისა, ამა თუ იმ მიზეზით თავიღან ასხლეტა ნაკისრ მოვალეობისა—მისი ცხოვრების სათღღავაღღში არ შეღღის. იგი ყვეღღას აძღღევს მღღალითს ზნეობრივის უმწიკვეღღობისა, მოყვეღღის სიყვარუღღისა და მისთვის ზრუნღღა ურვისას.

თითქო ბეღი სღღეღა ვას. ბარნოვს... თღღავში, თითქმის ისეთსავე წრეში მოუხდა ტრიაღღი, როგორც სენაკში ამ სამი წლის წინათ. ძველებური ტრადიციული ცხოვრება, სტუმრობა, დაბატიეება; წვეუღღება, რომელიც უნდა გაათავებულიყო ქღღღღის თამაშიღღ და სმით.

ვეიან წღღებში, თავის სიღღცხლის მიწურულში, ვ. ბარნოვი წარსულს თღღას რომ გაღღაეღღება; განსაკუთრებით თღღავში გატარებულ ღღროს, უსომო სინანულით და გულღის ტკივიღღით ვაიხსენებღღა ხოღღე, თუ რამღღენმა ნიქიერმა ახალგაზრღღამ ჩაიღღრო თავი ღღენოში და პროვინციულ ფუქსავატ ცხოვრებაში; ვინ იღღს, ამაღღე ახალგაზრღღას რა მშვენიერი კღღალი გაეღღო ტხოვრებაში, უკეთეს წრეში რომ მოქცეულიყო, უკეთეს პირობებში რომ ჩავარღღიღიყო. მხოლოდ რჩეულნი თუ შესღღებღღენ შებრძოღღებას ამ მათს

გამანადგურებელ, მომსპობ პირობებთან, რასაც პროვინციის ცხოვრებას ვე-
 ძახლით, ცხოვრებას კარჩაკეტულობისა, კერძო ინტერესების სამსახურისა,
 ჰორიკანობისა, ერთი-მეორისათვის ორმოს თბრისა, შურისა, გაუტანლობისა,
 მარტოოდენ თავის ხსოვნისა, პირადი „მე“-ს განდიდებისას.

განსვენებულს უკვირდა, როგორ დაეღწიე თავი იმდენ განსაცდელს,
 როგორ არ ჩავეთრევიე პროვინციის წუმპესაო!.. პირდაპირ სასწაულებრივი-
 იყო ეს ჩემი გადაჩენაო!.. ამას უნდა ვუმადლოდეთ მისს ბუნებითვე თანდა-
 ყოლილ გამოზომილ, დინჯ ხასიათს, აუჩქარებელს, აწონილ-დაწონილს, აღე-
 ბულ-დაღებულს, ორგანულად წინააღმდეგს ყოველგვარი სიბოროტისა, უსე-
 შობისა, სიტლანქისა, უხამსობისა, უსამართლობისა. ე. ბარნოვის პირიდან
 უწმაწურ თქმას, უკაცრავლ სიტყვა-პასუხს ვერ ვაიგებდით. მისი უკმაყოფი-
 ლების გამომახატველი სიტყვები იყო: უწნო, უარშოო და ზოგჯერაც, თუ
 უნდოდა ვისთვისმე ცხოვრებაში გონებრივი ჩამორჩენილობა, უგერგილობა
 ესაყვედურებინა, რუსულ სიტყვა ყყააკ-ს მოიშველიებდა და ამით გამოხატავ-
 და მთელ მის გონებრივს თუ ზნეობრივს ავლადიდებას, ვის მიმართაც ეს
 სიტყვა იხმარებოდა.

ე. ბარნოვი ყრმობაშიაც გაურბოდა თურმე თავის გულსწყრომის გამო-
 ხატვას უწმაწური სიტყვებით; მეტყველების სიფაქიზე და დახვეწილობა მა-
 შინაც-კი ახასიათებდა. ჰყვარებია კი ქუჩა, ქუჩაში თამაშობა და განსაკუთ-
 რებით კოჭობანა. ნორჩობაში 10 წლის ვას. ბარნოვი გაკვეთილებს მორჩენილ
 დროს სავსებით ქუჩაში კოქს ანდომებდა. ერთხელ მამამისს ზაქარიას ერ-
 წოდან ვიდაც კაცის ხელით წერილი გამოუტანებია შვილისათვის. გამოგზავ-
 ნილ კაცს მომავალი მწერალი ქუჩაში უნახავს კოქის თამაშში გულმოდგინედ
 გართული და ისე გადაუცია წერილი. დაბრუნებულისათვის ზაქარია მღვდელს
 უკითხავს:

— რა ჰქენი, ვასო ხო მახეო?

— ვნახე, ქუჩაში იყოო.

— ქუჩაში რაღას აკეთებდაო?

— კოქსა თამაშობდაო. კოქის თამაშობაში თურმე პირველიაო..

ერთ ზაფხულს არდადეგებზე პატარა ე. ბარნოვი შინ რომ დაბრუნებუ-
 ლა, ორივე ჯიბე მოგებული კოქებით სავსე მოუტანია და თავს იწონებდა
 თურმე სწორებში.

გზამცდარ ცხოვრებას ე. ბარნოვის ბუნება ვერ ეგუებოდა მიუხედავად
 იმისა, რომ მარტოხელი იყო და მარტოხელობას თითქო ხელი უნდა შეეწყო
 ახალგაზრდული თვისუფლება ისე მოეხმარნა, როგორც ამას ხმაროდნენ
 მისი ტოლები. ახალგაზრდა, ნასწავლი, ფიზიკურად ძალზე მიშვიდველი სა-
 უკეთესო სასიძოდ ითვლებოდა, ბევრს ეკირა მასზე თვალი, ბევრის გული აუ-
 ტოკებია.

სხვა უმაგისოს თავბრუ დაეხვეოდა, მაგრამ აუჩქარებელი ე. ბარნოვი
 არც აქ ჩქარობდა, თითქო იცდისო, თითქო უცდის თავის გულის სწორს,
 უცდისო იმას, ვინც უნდა გაუწიოს საფერი მეუღლეობა, ვისთანაც უნდა
 სწიოს ჰამანი ცხოვრებისა, ვინც უნდა გააწლევინოს ფრთა, როგორც სწორ-

უპოვარ ბელეტრისტს, დიდ ქართველ მოაზროვნეს, ჩვენი საზოგადოების უღლის ტოლდასადებ წევრს.

ვინ იცის, რითი გათავებულყო ბარნოვის მარტოხელური ცხოვრება, რომ თელავის ცისკიდურზე არ გამოჩენილიყო მომავალი მწუღლე ვას. ბარნოვისა—ნინო ბენაშვილის ქალი, რომელსაც ის იყო დაეპარულენბინა სწავლა ქალ. ბელოსტოკის საქალებო ინსტიტუტში და თელავში დაბრუნებულიყო მშობლებთან. ვას. ბარნოვს თავისი ცხოვრების მომავალი თანამგზავრი დანახა თუ არა, გულში ეთქვა: აი, სწორედ ესაა, ვისაც ამდენ ხანს ვეძებდი და მოუთმენლად ვუცდიდიო, ამას და მხოლოდ ამას უნდა შევუერთო ჩემი მარტოხელი ცხოვრება, ეს უნდა გამძღვეს და განმინათლოს ჩემი ცხოვრების სავალი გზაო.

იშვით ცოლ-ქმარს შეუძლია დაიკვებოს ისეთი ტკბილი, სიამით სავსე სანატრელი ცოლქმრობა, როგორც ჰქონდათ ვასილ ბარნოვსა და მის კეთილად მოსახსენებელ მწუღლეს. 26 წელიწადი ერთად ცხოვრებისა ისე გაუტარებიათ, რომ ერთიმეორის საწყენი, ერთიმეორის უნდომი არაფერი შეუხედრებიათ; ერთიმეორისათვის წარბშეკვრით არ შეუხედრებიათ, ოდნავ მუქი ლანდები არ გადაპლარებია მათ ერთიერთობას. ყველანი დანატროდნენ. ამას არაერთხელ მოიგონებდა ვას. ბარნოვი თავის მწუღლის გარდაცვალების (1921 წ.) შემდეგ, განსაკუთრებით ავადმყოფობის დროს და, ამას რომ იტყოდა, თან ისე ამოიოხრებდა, თითქო გული თან ამოაყოლოა.

და ვას. ბარნოვს სრულებით ბუნებრივად მიიჩნდა, რომ ასეთ ქალს და არა სხვაგვარს შეეძლო გადაწყვეტი როლი ეთამაშუნა მის ცხოვრებაში, მიემართნა იმ დარგისაკენ, რომელსაც შესწირა თავისი სიცოცხლე ვას. ბარნოვმა.

— მე ვმრყეობდიო,—იტყოდა ბარნოვი,—ხან რასა ეკიდებდი ხელსა და ხან რასა, თანაც ბუნდადა ეხედავდი გზის, რომლითაც უნდა მეელო, თითქო თვალეზზე ლიბრი მეფარაო. ჩემი მეუღლე რომ შემოვიყვანე სახლში, მაშინდა მოხდა რაღაც გარდატეხა ჩემში, თითქო ვინმე მოვიდა და თვალეზზე აფარებული რიდე ხელით ამიკალაო. მაჩვენა გზა განათებული, შემაყენა ზედ და მითხრა: ამიერიდან ელიდე ამ გზითაო. და აჰა, მეც ამ გზით მივდივარ 1898 წლიდან, დღემდე ამას ვერთგულობო. მას აქეთ რაც მიწერია, ვაენაწილე და ოცი ტომი გამომივიდა. იმუღინეთ, თქვენი სულის ჭირიმე, მეტსაც მოვცემდით. დღესაც თოლწინ მიღვას ფერად-ფერადი სურათები ჩვენის შორეულ თუ მასლობელ წარსულისა; ჩემ წინ ციკვევენ ლამაზები, შემომცინიან, მელაპარაკებიან და ქალაღზე გადაღებულა მთხოვენ, მაგრამ, რა ექნა, ხელი არ შემორჩილება, რა ვუყო, წერა არ შემძლია... უნდა დაგაჯეროთ იმას, რაც შეეძელი.

ბედნიერი ვარ, რომ ხელისუფლება შეფასებს. რასაც გიტოვებთ, მოუარეთ.

ისე იყო თუ ისე, ფაქტი დაქტად რჩება და ვას. ბარნოვი მომავალ, უკვე გამორკვეულ სახის მატარებელ ბელეტრისტად გვევლინება 1898 წლიდან, როლისაც დაიბეჭდა მისი „ქაონობა ხე“ იმ წლის ეკრნალ „მოამბის“

მე-5 ნომერში. ეს სწორედ ის ხანა იყო, რომელიც მოჰყვა მის ბედნიერ დოჯახებას. ამას შემდეგ ერთიმეორეს ცვლის ვას. ბარნოვის ნაწერები, მძივივით ასხმულები, დაკვართულის, დახვეწილის ენით გამოთქმულები. როგორც ეურნალ „მოამბისა“, ისე გაზეთ „ცნობის ფურცლის“ სურათიანი დამატების № იშვიათად გამოვიდოდა, შიგ რომ არ ყოფილიყო ძვირფასი ვასოს მოთხრობა.

1898 წ. ვ. ბარნოვი უკვე ორმოცის წლისა იყო და მოთხრობა მოთხრობას ისეთის სისწრაფით მისდევდა, რომ თითქო რაც აქამდე მოსცდა, ახლა ერთბაშად უნდა მკითხველს შესთავაზოსო. რაც უფრო ხანში შედიოდა, უმეტესად ნაყოფიერი ხდებოდა. განსაკუთრებით 1921 წლიდან წამოვიდა მთელი რიგი რომანებისა. წელიწადი ისე როგორ გავიდოდა, თუ ორი არა, თითო რომანი მაინც არ დაესრულებინა იმის გარდა, რასაც მაშინდელ სალიტერატურო გაზეთებში ათავსებდა.

1929 წ. ვას. ბარნოვი ავად გახდა პარკმსონის ავადმყოფობით, ანუ მტოკავი სიღამბლით. ამ ავადმყოფობის დროს ადამიანის ნერვების ფუნქციის წონასწორობა დარღვეულია და იმით შეპყრობის უკანკალებს მთელი სხეული, განსაკუთრებით ზედა კიდურები და ტუჩები. ეს ავადმყოფობა ძირითადად გონებრივად ინტენსიურად მომუშავეთა ხვედრია.

1929 წლიდან მცხოვანი მწერლის ავადმყოფობა გარკვეულ სახესღებულბს. ავადმყოფი შინიდან გარეთ გამოსვლას და მოძრაობას ევლარ ახერხებს. ხელს იღებს თავის საყვარელ სეირნობაზე რუსთაველის გამზირზე. მანამდე რუსთაველზე მოსიარულე ხალხი ყოველ დღე ჰხედავდა საათს 11-იდან 1-მდე აღმა-დაღმა ნირშეუცვლელად მოსიარულე პატრიარქის შესახედაობის მოხუცს, წელში ოდნავ მოსრილს, სათვალეებიანს; ხელში ვანუშორებლად ეჭირა მოკაქულხელიანი ჯოხი, თავზე ეხურა ნესვა ქუდი, რომელსაც ძველად ყველა ინტელიგენტი ხმარობდა და ახლა მის მეტად ტფილისში არაეინ ატარებდა. სიარულიც რომ თავისებური ჰქონდა! შიგ ერთგვარი სტილი, დახვეწილობა, სხვათათვის უჩვეულო თავისებურობა იხატებოდა. შეუძლებელი იყო, კაცს შეეხედნა ვას. ბარნოვისათვის და მისადმი ერთგვარის მოწიწებით არ გამსჭვალულიყო...

ავადმყოფი პროფ. მიხეილ ასათიანს გაუსინჯია. ასათიანმა თვითონ ვ. ბარნოვს ნუგეში სცა, გული გაუკეთა, ხოლო ავადმყოფის პატრონი ესლა უთხრა: მდგომარეობა მეტად სერიოზულია; ეს ავადმყოფობა უმეტესად გონებრივად მომუშავეთა ხვედრია, თან სდევს დაავადებულის ინტელექტის დასუსტება, გონებრივი შერყევა. თქვენი—და მისიც—ბედი, რომ მხოლოდ ფიზიკურადა დასუსტებული და გონება კი სრულებით სალი, თითქმის ხელუხლებელი აქვსო. ამ ავადმყოფობით შეიძლება ოთხ-ხუთ წელიწადს გასძლოს, მაგრამ ისიც შეიძლება, ერთ წელიწადსაც ვერ გასტანოსო და ზოგჯერაც ასეთის ავადმყოფის დასასრული ყოველ წუთსაა მოსალოდნელიო. დარიგება: უკადეთ; საწყენი არაფერი შეახვედროთ, სრული, აბსოლუტური დასვენება, ეხრუნველობაა საჭიროო.

1.
2.
3.
4.
5.
6.
7.

1930 წლის ზაფხული მანგლისში გაატარა ვას. ბარნოვმა, თითქო ცოტათი მოუხდაო, მაგრამ მხოლოდ ცოტათი, მეტი არა...

მანგლისიდან დაბრუნებული ვ. ბარნოვი კარში გამოსული არივის უნახავს. ასე ხუთი წლის განმავლობაში ვ. ბარნოვი შინ იჯდა, სეამდა ნერვების დასამშვიდებელ და გულის სისუსტის საწინააღმდეგო წამალს და ვანაგრიძობდა წერას, რამდენად მოკანკაღე ხელი ამის ნებას აძლევდა. ფეროშენალური მესხიერება, საღი და ნათელი გონება ბოლომდე უკლებლად შერჩა, ბოლომდე გქიდებოდა (მისი ნახშირი სიტყვა) ფერად-ფერადი ისტორიული თემების ასახვასა და სორცქესხმას, ბოლომდე თავს ევლებოდა ჩვენი წარსული ცხოვრების ამა თუ იმ საყურადღებო და ქვეყნისათვის ამა თუ იმ მნიშვნელობის ამბებს. თავის შორსმჭვრეტელი ჯადოსანი თვალებით ვას. ბარნოვი კარგადა ხედავდა, რომ დიდი ხნის სიცოცხლე არ ეწერა და ესწრაფებოდა უმეტესად ზეავიანი გამოსულიყო მისი შესანიშნავი კალმის ნალეაწი. ეშურებოდა, რაც შეიძლება ნაკლებ ჩაყოლოდა ჯვარი ქალღმღვთვად გადუტანელი რომანებისა. მხოლოდ სიცოცხლის ბოლო წელიწადს სრულებით უღალატა მარჯვენამ და თავის ქალებს უკარნახებდა მოგონებებს.

სიკვდილამდე ორი კვირით წინ ძალზე დაუსუსტდა, ოთახში წაიქცა და მარჯვენა ბარძაყის ძვალი მოიტეხა, ამას დაერთო გაციება. სხეული იმ ზომამდე დაუსუსტდა, რომ ავადმყოფობასთან შებრძოლების უნარი აღარ შერჩა და 1934 წლის ნოემბრის 4-ს მიიცვალა და ნოემბრისავე 10-ს საუკუნოდ მიწას მივაბარეთ მთაწმინდის კალთაზე, ილ. ჭიჭიკაძისა და დიმ. ყიფიანის საცლავებს შორის.

ვასილ ბარნოვთან კვირაობა გვქონდა შემოღებული. ყოველ კვირას მისი პატივისმცემელნი თუ ნათესავნი საღამოს 8 საათზე თავს ვიყრიდით მწერალთან. ეს კვირაობა ბოლოს და ბოლოს მეტად პოპულარული გახდა, სტუმრად მოსვლა ვისაც უნდოდა, კვირა საღამოს ეწვოდა და დარწმუნებული უნდა ყოფილიყო, რომ შინ ყველანი დაუხვდებოდნენ. მასპინძლებიც თავისუფალნი იყვნენ სტუმრის უდროოდ, მოულოდნელად წვევისაგან. კვირა საღამო სივსებით შეწირული იყო სტუმრებისაივის, მათთან ტკბილი ბაასისა და ურთიერთ მოკითხვისათვის.

ამ კვირაობას, ტკბილ ბაასში, მწერალი გვიამბობდა თავის განუღილი ცხოვრების სხვადასხვა ეპიზოდებს. აგვიწერდა ადგილებს, საცა ესა თუ ის ხანა ცხოვრებისა გაუტარებია. პირველი ადგილი ეკვირა სამშობლო სოფელ კოდას, რომელმაც მოგვცა ადამიანის გულის სიღრმეში შეფარებული საიდუმლოს ამომკითხველი ვასილ ბარნოვი.

კოდას მოსდევდა ხევსურეთში, ერწოში ცხოვრება. მეგობრობა ხევსურთა სალოცაეების კოპალე-იანხარის ქურუმის დეკანოზ კურდღელას შვილის-შვილ ქიტესასთან, ხატობის ამბავი, გონებრივი განვითარების საფეხური ხევსურთა, პირველყოფილ ხნე-ჩვეულების სფეროში ტრიალი, რასაც შემდეგში მის მოთხრობებში („ადედის ხელი“ და სხვ.) ეხვდავთ ასეთი სინაზითა და სიყვარულით აღწერილს.

ხეესურეთს მიაყოლებდა ანჩხატის უბანს... მაშინდელ საყვარელ დროს-ტარებას—კრივს, მეკრივეთა ტანისამოსისთვის ყურისგდების დაკისრებას პატარა ვასოსთვის. მერე მოსკოვის სასულიერო აკადემია, მისი მდიდარი ბიბლიოთეკა, რუდუნებით მეცადინეობა, საფილოსოფიო წიგნებით გატაცება, თავგამოდებული ცდა სწავლით აღჭურვისა, სამშობლოს გამოსადეგ შეილაღვახლომისა. სურათი სურათისა ცვლის კალედოსკოპივით. მოსკოვიდან მიყრუებულ დაბა სენაკში, ღარიბ, ფეხშიშველა, ტანაუცქელ, უსმელ-უქმელ მოწაფეთა შორის ტრიალი, მათის საცოდაობით გულის გავსება, სტუმრობა ადგილობრივ ოჯახებში, მათი ტყბილი მასპინძლობა.

განსაკუთრებული სიამ-ტყბილობით, სათუთაობით მოსაგონრადა ჰქონდა ვ. ბარნოვს თელავში გატარებული 24 წელიწადი, დრო ნაყოფიერ საქმედაგოვო, საზოგადოებრივი და სალიტერატურო მუშაობისა. საესე ოჯახი, რომელსაც თავს დასტრიალებს ნანატრი მეუღლე, საზოგადო ასპარეზზე სამკალი აუარებელი, ეშხიანად სვეს გატანა, სალიტერატურო ასპარეზზე სახელოვნად გამოსვლა, ერთბაშად მოპოვება საზოგადოების ყურადღებისა. ამავე დროს საერთო გამოფხიზლება ჩვენის ხალხისა, თვალის მოუწყნეტა, დაფასება და პატივისცემა მოამაგეთა...

შემდეგ ოჯახს პატარები წამოეზარდნენ. სასწავლებლებში დაბინავება უნდოდათ. ტფილისსა და თელავში ორ ოჯახად ცხოვრება შეუძლებელია. კმარა პროვინციაში ფეხმოუცვლელად 24 წლის განმავლობაში ცხოვრება. ჰხამს სიცოცხლის ბოლო ხახები ტფილისში, საქართველოს გონებრივს ცენ ტრში გაატაროს. გადაწყდა დედაბუდიანად ტფილისში გადმობარგება და მთელი ოჯახი 1910 წ. თელავიდან სათბილისოდ აიყრება. თელაველები დიდის პატივისცემითა და უზომო გულის ტყვივით გამოაცილებენ თავის ამგადარ პედაგოგს, თელაველთა კეთილდღეობისა და წარმატებისათვის ყოველს დღესა და ეამს მზრუნველს.

ვას. ბარნოვი ტფილისში გადმოდის სასულიერო სემინარიაში ქართული მეტყველების მასწავლებლად.

მსოფლიო ომის მომდევნო ხანის უპრობა, უშეშობა, ეკონომიურად გასაწყდება. ყოველივე ამას ვაკაცურად ებრძვის ვ. ბარნოვი, უკვე იმ ხანში უკოფი, რომ თითქო დამსახურებული უნდა ჰქონოდა ისეთი მდგომარეობა, რომ პური არსებებისა არ მოკლებიყო.

1918 წლიდან, როდესაც სასულიერო სემინარია გაუქმდა, ვ. ბარნოვი გადადის ლექტორად ტფილისის სახალხო უნივერსიტეტში და, როცა ეს უნივერსიტეტი მუშათა ფაქულტეტად გადაკეთდა, განაგრძობს ამ ფაქულტეტზე სწავლებას.

1921 წლიდან, როცა მეუღლე გარდაეცვალა, ოჯახისათვის ზრუნვა ვ. ბარნოვს დააწვა კისერზე. ნივთიერი მდგომარეობა თანდათან გაუშეშობესდა. საბჭოთა ხელისუფლებამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია მოხუც მწერალს: დაუნიშნა პენსია, შეუქმნა ნაყოფიერი მუშაობის ყველა პირობა.

1927 თუ 1928 წ. ვასილ ბარნოვის მომავალ იუბილესთან დაკავშირებით ქალაქის საბჭომ გუნების ქუჩას, სადაც მწერალი ცხოვრობდა, მის პატივ-

საცემლად ვასილ ბარნოვის სახელი დაიარქვა. მოსკოვის ქუჩიდან მეტად დაქანებული ასასვლელია გურამიშვილის ქუჩამდე, რომელიც პერპენდიკულიარულია ბარნოვის ქუჩისა. ვ. ბარნოვი მაინც ამ ქუჩით აღიოდა და ჩამოდიოდა, იტყოდა ხოლმე: ბარნოვის ქუჩით უნდა ავიდე ან ჩამოვიდეო. სიტყვა ბარნოვს ხაზგასმით ამბობდა: ეტუობოდი რომ ძალიან ნასიამოვნები იყო ქალაქის საბჭოს ასეთი ყურადღებით.

ვ. ბარნოვმა თავის ნაწერებს სიკვდილამდე ორი წლით ადრე თავი მოუყარა, შინაარსის ხასიათის მხრივ დაალავა და ყველანი ოც ტომში მოაქცია ისეთი ანგარიშით, რომ თითო ტომს 400 გვერდი დაეკირა. ვინც გარშემო ეხეხეინით, პირადად ყველასა გვთხოვდა, —ოოცა ჩემის ნაწერების ბეკდვას შეუღებებთან, კეთილინებონ და ამ ჩემის განლაგებით იხელმძღვანელონო. გიორგი ლეონიძეს დაუტოვა სრული გეგმა თავისი ნაწარმოებების ტომებად გამოცემისა.

ერთხელ მის ნაწერების გამოცემასთან დაკავშირებით სიტყვა ჩამოვეუგდე მისი ნამდვილის გვარის — ბარნაეელის ხმარების შესახებ. მეტად ემძიმებოდა ბეშვიანიდან ხმარებული გვარის მოშორება, მიუხედავად იმისა, რომ ნამდვილი გვარი — ბარნაეელი — კეთილხმოვანებით თუ არ აჯობებდა, არაფრით ჩამოუყარდებოდა სიყრმითვე ნატარებ გვარს. ასე დასაბუთა თავისი სურვილი: დარჩეს ბოლომდე ფსევდონიმად ბარნოვიო.

ზემოთ კვირაობა ვასენე ვას. ბარნოვის სახლში.

ამ კვირაობას ვინ არ დადიოდა ავადმყოფ მწერლის სანახავედ?

მისი სიმამრიშვილი პროფესორი ან. ბენაშვილი, იროდიონ სონდულაშვილი, მე, თითო-ორიოლა ნამოწაჟარნი: მათ შორის პოეტი გიორგი ლეონიძე და სხვ. ერთი-ორჯერ მწერალთა კავშირის წარმომადგენელნიც მოვიდნენ; ხშირად დადიოდა უკრაინელი პოეტი პეტრენკო, რომელმაც ვას. ბარნოვის დიდი სურათიც-კი დახატა წამლებით. ძლიერ უხაროდა მათგან მოკითხვა.

განსაკუთრებით ეამებოდა გიორგი ლეონიძის ნახვა, აფასებდა, როგორც უტყუარის ნიჟის ახალგაზრდას, რომელიც შეიძლება ჩვეის მწერლობაში კვალის დამჩნევას. სიკვდილის წინ, სახამ ჯერ კიდევ ჰქონია გრძობა, რამდეჯერმე მოუკითხავს კიდევ — ხეტა, გოგლა (ლეონიძე) სად არისო?

ავადმყოფობის პერიოდში ზოგჯერ ხერეები დაუმშვიდდებოდა და ამ დროს ხელების კანკალი უკლებდა, სხივი განკურნების იმედისა ჩაესახებოდა, ისედაც ბოწყინვალე თვალეები სქელ წარბებ ქვეშიდან უმეტესად გაუბრწყინდებოდა და დამშკიდებულ ხელებს გამოგვიშვერდა — შეხეთ, არა ცეკვამეხო. მაგრამ, სამწუხაროდ, ასეთი იმედიახი მდგომარეობა წამიერი იყო ხოლმე. სიკვდილის მოახლოებებს, რა თქმა უნდა, ჰგრძნობდა, ხელების უხარის წართმევა ამის წინამორბედ ნიშნად მიიჩნდა, მაგრამ თვით სიტყვა „სიკვდილი“, ისე გარდაიცივალა, ერთხელ, მარცხადაც, არ უხსენებია. საბოლოოდ გაუბროდა ამ სიტყვას.

ერთავად იმის ცდაში ვიყავით, გაგვემხნევედინა, ავადმყოფობის ტვიროი შეგვემსუბუქებინა, ადიდის ხნის სიკვდილის იმედი მოგვეცა. მაგრამ უინ-

ცინდენტოდ მაინც არ ჩაგვიარა ცდამ. ერთხელ მისი ერთ-ერთი ნამოწაფარი, რომელიც მონაწილეობას იღებდა ვ. ბარნოვის ნაწერების („ტფილისის აზრდილები“) გამოცემის საქმეში, მის სანახავად და წიგნის გამოცემის საქმის მდგომარეობის შესატყობინებლად მისულა. კარგა ხანსაც დარჩენილა თავის ძვირფას ნამასწავლებლართან, სიამით მოუგონებიათ სემინარიის დროის ამბავი. ავადმყოფი მეტად კარგ გუნებაზე დამდგარა. გამოთხოვებისას სტუმარი შეეცადა, თურმე, უმეტესად ეამებინა ავადმყოფისათვის და გულწრფელად უთქვია:

— ბატონო ვასილ, ერთ ამ წელიწადს კიდევ გეიცოცხლოს თქვენი თავიო.

გულნატყვნა ავადმყოფმა მადლობა გადაუხადა და არცთუ სულ ხუმრობით უსაყვედურა:

— რა არი, შე კაი კაცო, მეტი გეთქვა, რა ვეხარჯებაო!..

ბარემ სიკვდილი ერჩიენა ნამოწაფარს თავისი გაუფრთხილებლობისთვის, მაგრამ უზერხულად ვადადგმულ ნაბიჯს ვერაფერი უშველა.



შ ი ნ ბ ა რ ს ი

22

1. თაყაიშვილი ე.—მოგონებანი ქართველ მწერლებზე	3 — 64
2. ავლაძე ო.—მცირე მოგონება	65 — 76
3. ჯანდიერი ნ.—მოგონებანი ილია ჭავჭავაძეზე	77 — 80
4. ვომელაური ი.—მოგონებათა ეპიზოდები	81 — 85
5. კლდიაშვილი ს.—აკაკი წერეთელი	86 — 90
6. ფაშალიშვილი ს.—აკაკის შესახებ	91 — 102
7. შანშიაშვილი ს.—იროდიონ ევდოშვილი	103 — 106
8. ფაშალიშვილი ს.—იროდიონ ევდოშვილი	107 — 111
9. ბარნაველი ლელა—მოგონებანი მამაზე	112 — 124
10. სასოკია თ.—ვასილ ბარნოვი	125 — 134

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედ.-საგამომც. საბჭოს დადგენილებით

ტექნიკატორი ა. თოდუა
კორექტორი ლ. კობიძე
კონტრალიორ-კორექტ. ო. გიორგაძე
გამომშვები კ. ნინუა

გადაცა წარმოებას 27.V.51. ხელმოწ. დასრულებად 14.2.52. ქალაქ.
№ 70 X 108 1/16. ქალაქი. ფურც. 4,25. საბჭ. ფურც. 11,64
საბჭო-საგამომც. ფურც. 8,94.
შეფ. № 763. ფე 01326. ტირაჟი 2000.

ფაილ № 8 მ.წ.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკად. გამომცემლობის სტამბა

თბილისი, ა. წერეთლის ქ. 3, 5

შ ი ნ ა ა რ ს ი

88-

1. თაყაიშვილი ე.—მოგონებანი ქართველ მწერლებზე	3— 64
2. აგლაძე ო.—მცირე მოგონება	65— 76
3. ჯანდიერი ნ.—მოგონებანი ილია ჭავჭავაძეზე	<u>77— 80</u> ✓
4. გომელაური ი.—მოგონებათა ეპიზოდები	81— 85
5. კლდიაშვილი ს.—აკაკი წერეთელი	86— 90
6. ფაშალიშვილი ს.—აკაკის შესახებ	91—102
7. შანშიაშვილი ს.—იროდიონ ევლოშვილი	103—106
8. ფაშალიშვილი ს.—იროდიონ ევლოშვილი	107—111
9. ბარნაველი ლელა—მოგონებანი მამაზე	112—124
10. სახოკია თ.—ვისილ ბაროვი	125—134

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედაქციო-საგამომცემო-საბჭოს დადგენილებით

ტექნიკდაქტორი ა. თოდუა
კორექტორი ლ. კობიძე
კონტროლიორ-კორექტ. ო. გიორგაძე
გამომშვები კ. ნინუა

გადაეცა წარმოებას 27.V.51. ხელმოწ. დასაბეჭდად 14.2.52. ქალაქი.
№მა 70×108^{1/16}. ქალაქი. ფურც. 4.25. საბეჭდ. ფურც. 11.64
საალრ.-საგამომც. ფურც. 8.94.

შეფ. № 763. ჟე 01326. ტირაჟი 2000.

ფასი 8 მან.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკად. გამომცემლობის სტამბა

თბილისი, ა. წერეთლის ქ. 3/5